

გრიგოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი

GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

აკადემიური გაცემ

ACADEMIC DIGEST

სამართალი

LAW

I

01ბ0ლ0 - 2012  
TBILISI - 2012

## სარედაქციო კოლეგია

მამუკა თავხელიძე - მთავარი რედაქტორი (თბილისი, საქართველი)  
გიორგი დლონიშვილი - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველი)

რუდიგერ ანდრესენი	(კილი, გერმანია)
გოგი ბატიაშვილი	(თბილისი, საქართველი)
მალხაზ ბაბალუა	(თბილისი, საქართველი)
გურამ თევზაძე	(თბილისი, საქართველი)
უდო რაინბოლდ იეკი	(ბოსტონი, გერმანია)
ნაკულ ვინოდ კარკარე	(პენსილვანია, აშშ)
ტრევორ კარტლეჯი	(ნოტინგემი, დიდი ბრიტანეთი)
მურთაზ კვირკვაია	(თბილისი, საქართველი)
ჰელმუტ აური	(ფრაიბურგი, გერმანია)
მანანა მოსულიშვილი	(თბილისი, საქართველი)
ტომას პაველკა	(პრაღა, ჩეხეთი)
მარიკა პირველი	(შტეჩინი, პოლონეთი)
ევა პოდუბნიჩკოვა	(პრაღა, ჩეხეთი)
ნინო ქემერტელიძე	(თბილისი, საქართველი)
ჰელმუტ შნაიდერი	(კასელი, გერმანია)
იან ჩადილი	(პრაღა, ჩეხეთი)
დავით ძამუქაშვილი	(თბილისი, საქართველი)
ელიკო წიკლაური-ლამიხი	(ფრაიბურგი, გერმანია)
ვალერიან ხრუსტალი	(თბილისი, საქართველი)
ჰეტრ ჰაეკი	(პრაღა, ჩეხეთი)

### აღმასრულებელი რედაქტორი:

გიორგი თოდრია

(თბილისი, საქართველო)

წინამდებარე აკადემიურ მაცნეში წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები სამარტალმცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე.

**Editorial Board:**

Mamuka Tavkhelidze - **Editor-in-chief** (Tbilisi, Georgia)  
Giorgi Glonti – **Deputy Editor-in-chief** (Tbilisi, Georgia)

Rudiger Andressen	(Kiel, Germany)
Giorgi Batiashvili	(Tbilisi, Georgia)
Markhaz Badzagua	(Tbilisi, Georgia)
Jan Cadil	(Prague, Czech Republic)
Trevor Cartledge	(Nottingham, Great Britain)
David Dzamukashvili	(Tbilisi, Georgia)
Petr Hajek	(Prague, Czech Republic)
Udo Reinhold Jeck	(Bochum, Germany)
Nakul Vinod Karkare	(Pennsylvania, USA)
Nino Kemertelidze	(Tbilisi, Georgia)
Valerian Khrustali	(Tbilisi, Georgia)
Helmut Kury	(Freiburg, Germany)
Murtaz Kvirkvaia	(Tbilisi, Georgia)
Eva Podubnickova	(Prague, Czech Republic)
Tomas Pavelka	(Prague, Czech Republic)
Marika Pirveli	(Szczecin, Poland)
Manana Mosulishvili	(Tbilisi, Georgia)
Helmut Schneider	(Kassel, Germany)
Guram Tevzadze	(Tbilisi, Georgia)
Eliko Tsiklauri-Lammich	(Freiburg, Germany)
Jan Vorlicek	(Prague, Czech Republic)

**Executive Editor:**

Giorgi Todria  
(Tbilisi, Georgia)

In the given academic bulletin are presented the articles of well-known Georgian and foreign scholars on the issues legal studies.

## სარჩევი – Content

### სისხლის სამართლი – Criminal Law

#### პეტრე დაუშვილი

ერთიანი დანაშაული და კვალიფიკაციის ზოგიერთი თავისებურება

9

#### Petre Dauthashvili

Common Criminal Offence and Some Peculiarities of Qualification

#### დავით მეშქიშვილი

საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი

12

#### Davit Meskhishvili

International Criminal Police Organization – Interpol

#### ირაკლი ლაგვილავა

თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კვლევის  
საკითხები

21

#### Irakli Lagvilava

Contemporary Transnational Organized Crime Research Issues

#### ალექსანდრე ჯავახიშვილი

საპროცესო შეთანხმება საქართველოში

32

#### Aleksandre Javakhishvili

Plea Bargaining in Georgia

#### სოფიო ასანიძე

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის  
ზოგიერთი საკითხი

39

#### Sophio Asanidze

Some Issues for Determination of Legalization of Illegal Revenue (Money Laundering)

#### ამირან მოსულიშვილი

ნარკომანიის პრობლემა თაობათა ურთიერთობის ჭრილში

46

#### Amiran Mosulishvili

Problem of Drug Addiction in Generations' Interrelation

#### ალექსანდრე გლონტი

აქტუალური დანაშაულების შედარებითი სტატისტიკური ანალიზი საქართველოსა  
და საზღვარგარეთის ქვეყნებში

51

#### Alexandre Glonti

Comparative statistical Analysis of Actual Crimes in Georgia and Foreign Countries

#### ირაკლი ცქინტაია

დანაშაულობის პრევენციის ცნება და მისი, როგორც გლობალური პრობლემის  
განხილვა საერთაშორისო აქტებში

72

#### Irakli Tskvitaiia

The Concept of Crime Prevention and Its Discussion as the Global Problem in International Acts

#### გია დეკანოზიშვილი

კრიმინალისტიკის სისტემა და მისი ადგილი მეცნიერებებს შორის

82

#### Gia Dekanozishvili

**გიორგი შაშიაშვილი**

სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა ფულის გათვარებისთვის“ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში

**Giorgi Shashashvili**

Criminal Responsibility for “Money Laundering” in some European Countries

**90**

**დავით მანაგაძე**

დაზარალებულის სტატუსი და პროცესუალური მდგომარეობა  
საპროცესო შეთანხმების დადგებისას

**David Managadze**

Victim's Status and Procedural State in the Process of Making Plea Bargaining

**97**

**ზეიად ელიზბარაშვილი**

სიმყარე, ორგორც ბანდის ძირითადი ნიშანი

**104**

**Zviad Elizbarashvili**

Liability, as the Main Rank of a Gang

**სოფო ლოლაძე**

არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის საკითხები

**112**

**Sopho Loladze**

Issues of Prevention of Minors' Criminality

**იოსებ მამესწარაშვილი**

მკვლელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით

**120**

**Ioseb Mametsarashvili**

Homicide According to the Ancient Georgian Law

**გაიზერ ჩანქშელიანი**

სასჯელის მიზანები სასჯელის ევოლუციის თეორიაში

**125**

**Maizer Chankseliani**

Goals of Punishment in the Theory of Punishment Evolution

**თამარ გლონტი**

ნარკომანია – სამედიცინო და სამართლებრივი ასპექტები

**137**

**Tamara Glonti**

Drug Abuse – Medical and Legal Aspects

**საჯარო სამართლი – Public Law**

**განანა მოსულიშვილი**

საქართველოს სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის სისტემის შესაბამისობის საკითხისათვის

**150**

**Manana Mosulishvili**

On the Issue of Correspondence between the Legal System and the Legislation System of Georgia

**თეონა გიორგაძე**  
ადამიანის უფლებათა ისტორიული ასპექტები  
*Theona Giorgadze*

156

Historical Aspects of Human Rights

### **კურძო სამართალი – Civil Law**

**დავით ძამუკაშვილი**  
საქართველოში დასაქმებულთა მიერ შექმნილ გამოგონებასა და დიზაინზე უფლებათა მფლობელობის შესახებ

164

*David Dzamukashvili*

Notes on Ownership of Rights to Inventions and Designs Created by Employees in Accordance to Industrial Property Law of Georgia

#### **დალილა გოგოძე**

უარი სამკვიდროს მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედეგებისაქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

173

*Dalila Gogodze*

Renunciation of an Inheritance and Its Legal Consequences According to the Civil Code of Georgia

#### **რუსუდან ვარსიმაშვილი**

შრომის უფლება, როგორც სოციალური უფლება საქართველოში და მისი საკანონმდებლო ხარვეზები

182

*Rusudan Varsimashvili*

The Right of Labor as a Social Right in Georgia and Its Legislative Faults

#### **ქეთევან კუხიანიძე**

შვილად აყვანის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა ძველ რომში და მისი სამართლებრივი რეგულირება ძველ ქართულ სამართალში

191

*Ketevan Kukhianidze*

Historian Review of Adoption Institute in Ancient Rome and Its Legal Regulation in Georgian Law

#### **მარი ქოქიაშვილი**

საქონლის ხარისხის კონტროლი და პასუხისმგებლობის განაწილება ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში

198

*Mari Kokiashvili*

Control of brand quality and separating responsibilities in franchise contract

#### **ნინო ჭიათაშვილი**

საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

206

*Nino Chipashvili*

Bank Guaranty According to the Georgian Legislation

#### **ლია ჭიგლაშვილი**

ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებები - ზოგადი მიმოხილვა

220

*Lia Chiglashvili*

Rights of Children Born out of Marriage - General Review

#### **ლეილა არხოშაშვილი**

მოქიცებულებათა უზრუნველყოფა სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით

227

**შედარებითი კვლევები – Comparative Researches**

*Dejan Marolov*

The Foreign Policy - Theoretical Overview

234

**დეჯან მაროლოვი - გოცე დელჩევის უნივერსიტეტი მაკედონია  
საგარეო პოლიტიკა – თეორიული მიმოხილვა**

*Jovan Shopovski*

Limited Liability Company (Legal Norms that Obstruct the Entrepreneurship)

244

**ჯოვან შოპოვსკი - ევროპული სამეცნიერო ინსტიტუტი მაკედონია**

**შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია**

(სამართლებრივი ნორმები, რომელიც აბრკოლებს მეწარმეობას)

**პელმუტ ძური, გიორგი ლლონტი, ედიშერ ფუტკარაძეგ**

კორუფცია საქართველოში – განვითარება და სისხლისსამართლებრივ-  
პრევენციული დონისძიებები

251

*Helmut Kury, Georgi Glonti, Edisher Putkaradze*

Korruption in Georgien - Entwicklung und kriminalpräventive Maßnahmen

**ლალა ე. ရაհიმლი**

The principle of equality of rights and its importance in Azerbaijani modern society

274

**სოციოლოგიური (კრიმინოლოგიური) კვლევები      Sociological  
(Criminological) Surveys**

**გიორგი ლლონტი**

კრიმინალიზაციის და ვიქტიმიზაციის სოციოლოგიური კვლევის შედეგების  
მიმოხილვა - საქართველო 2009-2011

278

*Giorgi Glonti*

Review of the Results of the Criminalization and Victimization Sociological Research. 2009-2011

**ლიტერატურის მიმოხილვა – Books Review**

**გიორგი თოლდრია**

ორიოდე სიტყვით ახალი პროექტის შესახებ – „პრიტიკული კრიმინოლოგია:  
პერსპექტივები და პრობლემები”

299

*Giorgi Todria*

A few words about the new project: "Critical Criminology: Problems and Prospects"

# *სისხლის სამართალი*

---

---

*Criminal Law*

**პეტრე დაუთაშვილი**  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

## მრთიანი დაცაშაული და პგალიზიკაციის ზოგიერთი თავისებურება

სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო პრაქტიკაში არცოუ ისე ხშირად ვხვდებით კონკრეტული დანაშაულის დეტალურ კალიფიკაციას ერთიანი დანაშაულის რომელიმე (მუხ.13. და მუხ.14.) [2] მუხლზე მითითებით, რომელიც, სამწუხაროდ, ამ ინსტიტუტის სრულ ან ნაწილობრივ იგნორირებაზე მეტყველებს. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების საფუძველზე დანაშაულის კვალიფიკაცია ხდება ისეთი ინსტიტუტების ჩანაცვლებით, როგორიცაა დაუმთავრებელი დანაშაული ან დანაშაულის სიმრავლის ერთეულთი სახე—არაერთგზისობა, რასაც დანაშაულის სუბიექტის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის დანიშნის იურიდიულად გაუმართავ და არასამართლიან გადაწყვეტილებამდე მივყავართ. სისხლის სამართლის თვორიაში, კანონმდებლობაში, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ერთიანი დანაშაულის ცნება. იგი შედგება ერთი ან რამდენიმე დანაშაულებრივი ქმედებისაგან, რომლებიც ჩადენილია პირის მიერ მის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებაში მიცემამდე, ხასიათდებიან შინაგანი კავშირით და მოიცავენ ერთი დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს.

ობიექტური ნიშნების ერთიანობა გამოიხატება იმაში, რომ თითოეული ცალცალკე განხორციელებული დანაშაულებრივი აქტი მოიცავს ერთიან დანაშაულს, რომელიც ხელყოფს და ზიანს აყენებს ერთსა და იმავე უშუალო ობიექტს და იურიდიულად ხასიათდება ერთნაირი დანაშაულებრივი შედეგებით. მაგრამ თავიანთი ფაქტობრივი თვისებებით ისინი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა გამოიხატება იმაში, რომ ერთიანი დანაშაულის შემადგენელი დანაშაულებრივი ქმედების ყოველი აქტი ხორციელდება ერთნაირი ბრალის ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება დანაშაულთა სიმრავლე. მაგალითად, პირმა მეორე პირს გამოსთხარა ერთი თვალი. ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდება სსკ-ს 117-ე მუხლით: ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება. იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ათი დღის გასვლის შემდეგ, მეორე თვალიც გამოსთხარა, მაშინ სახეზე კვლავ ერთიანი დანაშაული გვექნება და არა დანაშაულთა სიმრავლე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის მეოთხე თავი იცნობს ერთიანი დანაშაულის ორ სახეს: დენადს მუხ.13 და განგრძობადს მუხ.14. ორივე სახის ერთიანი დანაშაული ფაქტობრივად ფარულ დანაშაულებებს წარმოადგენენ. ხშირ შემთხვევაში მათი დანაშაულებრივი ქმედების მიმდინარეობისა და არსებობის შესახებ პირველ რიგში სამართალდამცავი ორგანოსათვის ცნობილი არაა.

1. „დენადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება.“  
მაგალითად, პიროვნებამ დანაშაულის ჩასადენად უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ განზრას სისრულეში მოყვანა გადაიფიქრა და იარაღი სახლში შეინახა. სწორედ, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვიდან დაიწყო ათვლა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულმა დანაშაულმა: “ცეცხლსასროლი იარაღის
2. დენადი დანაშაული დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან”.

მაგალითად, პიროვნებამ დანაშაულის ჩასადენად უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ განზრას სისრულეში მოყვანა გადაიფიქრა და იარაღი სახლში შეინახა. სწორედ, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვიდან დაიწყო ათვლა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულმა დანაშაულმა: “ცეცხლსასროლი იარაღის

(გარდა გლუკოზისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შემენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება”, რომელიც გრძელდება უწყვეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში და შეწყდება მაშინ, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები აღმოჩენენ იარაღის არსებობას ან კიდევ მისი უკანონო მფლობელი ან ახლობელი ნებაყოფლობით ჩაბარებს ცეცხლსასროლ იარაღს. ნებაყოფლობითი ჩაბარება კი გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ პირი დანაშაულის ჩადენის განზრახვას განაცხადებს და ამ იარაღის სამუალებით სხვა დანაშაული არ იქნება ჩადენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პიროვნებას ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 236-ე მუხლით.

კანონმდებელი ქმედების (ქმედებათა) ინტენსივობასა და ხანგრძლივობაზე საუბრობს მაგ. მუხლებში: 388, 389, 144 [1] და ა.შ. 388-ე და 389-ე მუხლების დისპოზიციებში მოცემულია სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება (მუხ.388) და დეზერტირობა (მუხ.389) დროის სხვადასხვა ხანგრძლივობით. 144<sup>1</sup> პრიმა მუხლის დისპოზიცია “წამება” პირდაპირ მიუთითებს ისეთ ქმედებზე, რომლებიც დაზარალებულის ძლიერ ფიზიკურ ტკიფილთან ან ფსიქიკურ თუ მორალურ ტანჯვასთანაა დაკავშირებული თავისი ინტენსივობით და ხანგრძლივობით და ა.შ. კანონმდებელმა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ ამ დანაშაულის სახეს, წამებას, მიანიჭა დიდი მნიშვნელობა და ასეთი სახის დენად ქმედებაზე არ გაავრცელა სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადები [1].

“1. განგრძობადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას.

2. განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან.” მაგალითად, ბიბლიოთეკის გამგემ განიხრასა რომელიმე ენციკლოპედიის ორმოცდაათტომეულის მოპარვა. ობიექტური მხარის მიხედვით მისი ქმედება მოიცავს ერთიან განზრახვას, მიზანსა და მოტივს. ამიტომ ჩადენილია არა ორმოცდაათი ქურდობა, არამედ ერთი – ორმოცდაათტომეულის ქურდობა. ე.ი. ქურდობა იწყება ერთი ტომის ქურდობით და მთავრდება ყველა ტომის ქურდობით. იმ შემთხვევაში, თუ მას განზრახვა ჰქონდა მოვპარა ორმოცდაათტომეულის მხოლოდ ერთი რომელიმე ტომი, მაშინ იქნება არა განგრძობადი, არამედ ჩვეულებრივი დანაშაული – ქურდობა.

მაშასადამე, განგრძობადი დანაშაულის არსიდან გამომდინარე, დანაშაულის სუბიექტის ნებისმიერ განზრახვაში, დენადი დანაშაულისაგან განსხვავებით, ყოველთვის განსაზღვრულია ხელყოფის ობიექტის ისეთი ზუსტი, დროსა და სივრცეში წინასწარ გათვლილი გარეგნული ნიშნები თუ სხვა თვისებები, როგორიცაა: რაოდენობა, მოცულობა, წონა, ხარისხი და ა.შ. სწორედ, ამ კრიტერიუმების არასწორი თუ ზედაპირული შეფასება იძლევა ასეთი ქმედებით ჩადენილი დანაშაულის არასწორ კვალიფიკაციას.

ამრიგად, ერთიანი დანაშაულის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო დანაშაულის კვალიფიკაციის, არამედ დამნაშავის პიროვნების დახასიათებისა და, შესაბამისად, სასჯელის გამოტანისათვის იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად კრიმინალურია პიროვნება, რომელიც საზოგადოებისათვის მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენს, რამდენად დაუოკებელია მისი სწრაფვა და რამდენად ხმარობს ყოველ დონეს, რათა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ან ეტაპობრივად, ანუ ნაწილ-ნაწილ განახორციელოს თავისი დანაშაულებრივი განზრახვა და მიაღწიოს სასურველი დანაშაულებრივი შედეგის დადგომას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- დაუთაშვილი პ. 2008. საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი.

**Petre Dauthashvili**  
Grigol Robakidze University

## **Common Criminal Offence and Some Peculiarities of Qualification**

### **Summary**

The author of the article analyzes actual problems of the qualification of common criminal offences, appearing in the sphere of Georgian criminal proceedings. In the investigatory practice of law enforcement bodies we do not often come across the detailed qualification of a concrete crime with indications on any article of common criminal offence (article 13 and article 14) which, unfortunately, points to full or partial ignoring of this institute. Proceeding from this, on the basis of subjective and objective factors, qualification of a crime is replaced with such institutions as uncompleted crimes or one of the types of plural crime - recurrence which leads to the uncontrollable wrongful decision.

In the theory of Criminal Law, legislation, investigative and court practice there exists the concept of common criminal offence. It consists of one or more criminal acts made by a person before passing a sentence upon him/her. They are characterized by internal relations and cover objective and subject features of a crime. By their factual qualities they may be substantially different from each other.

The unity of objective features is expressed in the fact that each separate criminal act consists of united crime which directly harms one and the same object and is legally characterized by identical criminal result. The generality of subjective features is expressed in the fact that each act of criminal activity of the unified criminal structure is carried out by the unified form of charge. Otherwise, there will be a great number of crimes. For example, a person puts out another person's eye. This action is qualified under the article 117 of the code of criminal law: deliberate damage to health. If after ten days the same person puts out the victim's second eye, we will deal with a unified crime and not with multiple crimes.

Proceeding from the above- noted, the fourth chapter of the code of Criminal Law recognizes two kinds of unified crimes: fluid - article 13 and continuous - article 14. Both kinds of a unified crime actually represent the latent crime. In frequent cases law enforcement bodies are not aware of their existence and their criminal activities.

Understanding the main principles of common offences is very important not only to qualify criminal actions, but also to describe an offender's personality and impose a penalty considering an extant of criminality of a person and how high is a rate of danger in the society. In this case an offender has got an burning ambition to continue criminal actions for a long time continuously or stage by stage and tries all kinds of possibilities to reach the expected result.

დაგით მესხიშვილი  
გრიგოლ რობაქიძის ხახულობის უნივერსიტეტი

## სამრთაშორისო პრიმიტიური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერაოლი

თანამედროვე პერიოდში ორგანიზებული დანაშაულობა აღარ წარმოადგენს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის პრობლემას. სხვადასხვა დანაშაულებრივი გაერთიანების საქმიანობის სფეროები სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს. გარდა ამისა, კრიმინალური ორგანიზაციები ერთმანეთთან ამყარებენ მჭიდრო კავშირს, რაც ხელს უწყობს მათი დანაშაულებრივი საქმიანობის გაფართოება-განვითარებას. აღნიშნულ კითარებაში, იმისათვის, რომ კრიმინალური სამყაროს მიმართ სახელმწიფოთა მხრიდან ადექვატური პასუხი იქნეს გაცემული, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოთა ინტენსიურ, კოორდინირებულ საქმიანობას. ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის პოლიციის ორგანოების თანამშრომლობას უზრუნველყოფს ამ ქვეყნებს შორის დიპლომატიური კავშირების არ არსებობის შემთხვევაშიც კი.

ინტერპოლის შექმნის მიზნით პირველი ნაბიჯი 1914 წელს კრიმინალური პოლიციის პირველ საერთაშორისო კონგრესზე გადაიდგა. აღნიშნულ შეხედრაზე 14 ქვეყნის პოლიციის მაღალჩინობები, იურისტები და მოსამართლები დაკავების პროცედურის, იდენტიფიცირების ტექნიკის, ერთიანი კრიმინალური ისტორიისა და ექსტრადიციის პროცედურის შექმნის საკითხებს იხილავდნენ. სწორედ ამ შეკრების დროს გაუდევდა პირველად პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის ინიციატივა, თუმცა, სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ხსენებული იდეის ხორცების პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერება. პოლიციის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია მხოლოდ 1923 წელს დაარსდა, სახელწოდებით საერთაშორისო კრიმინალური პოლიცია (სკპ). ორგანიზაციის შტაბ-ბინა ვენაში მდებარეობდა.

1938 წლიდან სკპ-ს კონტროლი მთლიანად ნაცისტების ხელში აღმოჩნდა, რის შედეგადაც წევრი ქვეყნების უმრავლესობამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა შეწყვიტა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1946 წელს, ბელგიის ინციატივით, ორგანიზაცია აღდგა. მისი შტაბ-ბინა სენ-კლუში (პარიზის გარეუბანი) განთავსდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ამ ეტაპისათვის ორგანიზაციაში განხორციელდა, სტრუქტურულ მოწყობას უკავშირდება, კერძოდ, შემოდებულ იქნა ორგანიზაციის მმართველი ორგანოების არჩევის დემოკრატიული პროცედურა.

1956 წელს მიღებულ იქნა ინტერპოლის განახლებული კონსტიტუცია, ორგანიზაციის სახელწოდებად განისაზღვრა „საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – ინტერპოლი“, შემოკლებით სკპ-ინტერპოლი ან უბრალოდ ინტერპოლი. გარდა ამისა, ორგანიზაცია გახდა სრულიად ავტონომიური წევრი ქვეყნებისაგან, საწევროების აკრეფისა და ძირითად წევროდ ინვესტიციების განსაზღვრის ხარჯზე. 1971 წელს გაერომ ინტერპოლი საერთაშორისო ორგანიზაციად აღიარა.

ამჟამად ინტერპოლი სიდიდის თვალსაზრისით საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის გაეროს შემდეგ მეორეა. იგი აერთიანებს 188 წევრ-ქვეყნას. ორგაზანიციის შტაბ-ბინა საფრანგეთში, ქალაქ ლიონში მდებარეობს.

რაც შეეხება ორგანიზაციის სტრუქტურას, ინტერპოლის მმართველობის უმაღლესი ორგანო გენერალური ასამბლეა, რომელიც ყველა წევრი-ქვეყნის მიერ არჩეული დელეგატებისაგან

შედგება და წელიწადში ერთხელ იკრიბება. რიგგარეშე სხდომის მოწვევა შესაძლებელია აღმასრულებელი კომიტეტის ან წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით. წევრ-ქვეყანას შეუძლია ასამბლეაზე რამდენიმე დელეგატის გაზავნა, მაგრამ ხმის უფლებით მხოლოდ ერთი მათგანი ისარგებლებს.

გენერალური ასამბლეის ძირითადი ფუნქციებია:

- ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად დონისძიებებისა და პრინციპების განსაზღვრა;
- გენერალური სამდივნოს მიერ მომზადებული წლიური პროგრამის შესწავლა და დამტკიცება;
- საჭიროებისამებრ სხვადასხვა ინსტრუქციებისა და წესების მიღება;
- ორგანიზაციის კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირების არჩევა;
- რეზოლუციებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- ორგანიზაციის ფინანსური პოლიტიკის განსაზღვრა;
- ორგანიზაციასთან ნებისმიერი ხასიათის შეთანხმების დამტკიცება.

გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებები სავალდებულოა წევრი ქვეყნებისათვის შესასრულებლად.

გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ორგანიზაციაში შექმნილია აღმასრულებელი კომიტეტი. იგი შედგება ორგანიზაციის პრეზიდენტის, სამი ვიცე-პრეზიდენტისა და ცხრა დელეგატისაგან. კომიტეტის წევრები სხვადასხვა ქვეყნიდან უნდა იყვნენ.

პრეზიდენტი აირჩევა ოთხი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტები - სამი წლის ვადით. დაუშვებელია მათი არჩევა ზედიზედ ერთზე მეტი ვადით.

ორგანიზაციის პრეზიდენტი უძღვება გენერალური ასამბლეისა და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს, წარმართავს დისკუსიას; უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობას გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებთან; ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს გენერალურ სამდივნოსთან.

კომიტეტის ცხრა დელეგატს ირჩევს გენერალური ასამბლეა სამი წლით. დაუშვებელია მათი ზედიზედ ერთზე მეტი ვადით არჩევა. აღმასრულებელი კომისიის ყველა წევრი მოქმედებს, როგორც ორგანიზაციის და არა თავისი ქვეყნის წარმომადგენელი.

აღმასრულებელი კომიტეტის ფუნქციებია:

- გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობა;
- გენერალური ასამბლეისათვის დღის წესრიგის მომზადება;
- გენერალური მდივნის საქმიანობის ზედამხედველობა;
- გენერალური ასამბლეის მიერ დელეგირებული ნებისმიერი სხვა ფუნქციის შესრულება.

ორგანიზაციის მუდმივმოქმედი დეპარტამენტები ქმნიან გენერალურ სამდივნოს. გენერალურ სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელსაც აღმასრულებელი კომიტეტის წარდგინებით ირჩევს გენერალური ასამბლეა 5 წლით. მისი არჩევა შესაძლებელია რამდენიმე ვადით, თუმცა, თანამდებობიდან უნდა გადადგეს 65 წლის მიღწევისთანავე. გენერალური მდივნობის კანდიდატი უნდა იყოს პოლიციის საქმიანობაში კომპეტენტური პირი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით, გენერალურ სამდივნოს შეუძლია გენერალური მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლება.

გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს აპარატს, ახორცილებს ბიუჯეტის აღმინისტრირებას, ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედ დეპარტამენტებს.

მას შეუძლია გენერალურ ასამბლეას ან ადმასრულებელ კომიტეტს წარუდგინოს პროექტები ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით.

გენერალური სამდივნოს ფუნქციებია:

- გენერალური ასამბლეისა და ადმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების რეალიზება;
- დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო ცენტრის ფუნქციის შესრულება;
- საინფორმაციო და ტექნიკური ცენტრის როლის შესრულება;
- ორგანიზაციის ეფექტური აღმინისტრირების უზრუნველყოფა;
- ეროვნულ და საერთაშორისო ორგანოებთან კავშირის დამქარება;
- ინტერპოლის საქმიანობასთან დაკავშირებული პუბლიკაციების გამოცემა;
- ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ან ადმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე სამდივნოს ფუნქციის შესრულება;
- მომავალი წლისათვის სამოქმედო პროგრამის შემუშავება.

თავისი საქმიანობის პროცესში გენერალური მდივანი და სამდივნოს თანამშრომლები დამოუკიდებლები არიან რომელიმე ქვეყნის მთავრობის ან ორგანიზაციის გარეთ რომელიმე უწყების ინსტრუქციების ან ჩარევისაგან.

ინტერპოლის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია ეროვნული ცენტრალური ბიურო (ეცბ). საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის ინტერპოლს ესაჭიროება წევრი ქვეყნების მუდივი და აქტიური თანამშრომლობა. თითოეულმა წევრმა, საკუთარი შესაძლებლობებისა და კანონმდებლობის გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს სრული მონაწილეობა ორგანიზაციის საქმიანობაში. ამგვარი თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ქვეყანაში იქმნება ორგანო, რომელიც ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მოვალეობას შეასრულებს. ბიუროს ფუნქცია თავისი ქვეყნის სხავდასხვა ორგანოსთან, სხვა ქვეყნების ეროვნულ ბიუროებთან და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან კავშირის უზრუნველყოფა.

რაც შეეხება ინტერპოლის საქმიანობას, იგი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, ორგანიზაცია არ ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს. მისი საქმიანობა მოიცავს ადმინისტრაციული კავშირის როლის შესრულებას და მონაცემთა ბაზებით სხვადასხვა ქვეყნის სამართლდამცავი ორგანოების უზრუნველყოფას. საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის პროცესში ამგვარ თანამშრომლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბევრი ბიუროკრატიული თუ ფორმალური მოთხოვნის აცილების საშუალებას იძლევა. ინტერპოლის მონაცემთა ბაზები საშუალებას აძლევს სამართლდამცავ თრგანოებს საერთაშორისო კრიმინალის სრული სურათი დაინახონ. ორგანიზაციას შეუძლია, თვალყური ადგვნოს კრიმინალს მსოფლიო მასშტაბით. გენერალურ სამდივნოში თავმოყრილია თითის ანაბეჭდების, მოპარული ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ძებნილი პირების, დნმ-ის, დაკარგულ კულტურულ ფასეულობათა და ა.შ. მონაცემთა ბაზები.

იმისათვის, რომ ინტერპოლმა შეინარჩუნოს მაქსიმალური პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, 1938-1945 წლების გამოცდილების გათვალისწინებით, კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, ორგანიზაციას მკაცრად ეკრძალება რელიგიური, რასობრივი, პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის დანაშაულებთან დაკავშირებით რაიმე მოქმედების განხორციელება.

აღნიშნული მუხლის მიზანი იყო, რომ ორგანიზაციას არანაირი შეხება არ ჰქონდა ამ ტიპის დანაშაულებთან, თუმცა, მოვინანებით, მიღებული სამი რეზოლუციის საფუძველზე, დადგინდა მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლები. ზემოაღნიშნული მუხლი ზღუდავს როგორც ეროვნულ ბიუროს, ისე გენერალურ სამდივნოს. ამ უკანასკნელს ეკრძალება მე-3 მუხლის პრინციპებთან შეუსაბამო მოთხოვნების შესრულება, რაც შეეხება ეროვნულ ბიუროებს, თითოეული სახელმწიფო ინტერპოლში გაწევრიანებისას იღებს ვალდებულებას,

დაქმორჩილოს ორგანიზაციის კონსტიტუციის მოთხოვნებს. ამგვარად, კონსტიტუციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოთხოვნების ინტერპოლის ქსელის მეშვეობით გავრცელება დაუშეგებელია.

იმისათვის, რომ დადგინდეს, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა მე-3 მუხლის პირობებს, მოქმედებს შეფასების ორი სქემა. პირველი სქემა აერთიანებს დანაშაულებს, რომლებიც, თავისი არსით, პოლიტიკური, სამსედრო, რელიგიური ან რასობრივი ხასიათისაა. ამ ტიპის დანაშაულთა მაგალითია პრესის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა, დეზერტირობა, რომელიმე რელიგიის ქადაგება. ეს დანაშაულები ავტომატურად ექცევა მე-3 მუხლით დადგენილი შეზღუდვის ფარგლებში.

რაც შეეხება მეორე სქემას, ამ შემთხვევაში ხდება მოთხოვნის სკურპულოზური შესწავლა, რათა განისაზღვროს, რომელი ტიპის დანაშაული დომინირებს. ამ დროს ფასდება ბრალდებული პირის მიზნებსა და მსხვერპლს შორის კავშირი. მხედველობაში მიიღება დანაშაულის ჩადენის აღგილი, მსხვერპლის სტატუსი და დანაშაულის სიმძიმე. შეფასების იგივე სქემა მოქმედებს საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევის საქმეებზეც.

ამგვარად, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რომელი დანაშაულები ჩაითვლება სამხედროდ, რასობრივად ან რელიგიურად აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის. რაც შეეხება პოლიტიკურ დანაშაულს, ასეთად მიიჩნევა სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაული, პოლიტიკური კორუფცია, ჩადენილი მოქმედი ან უკვე გადამდგარი პოლიტიკური ფიტურის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია მოქმედი პოლიტიკოსის, როგორც ფიზიკური პირის მიერ (მაგალითად, მკვლელობა), მე-3 მუხლით დადგენილი შეზღუდვა არ გამოიყენება. თუ პირი რამდენიმე დანაშაულისათვის იძებნება, მათ შორის იმ დანაშაულებისათვის, რომელთა ნაწილი მე-3 მუხლის რეგულირების რეჟიმში ექცევა, ხოლო ნაწილი კი აღნიშნული მუხლის ფარგლებს სცილდება, ინტერპოლის არხებით ძებნის გამოცხადება მხოლოდ იმ ნაწილშია შესაძლებელი, რომელი დანაშაულებიც მე-3 მუხლის ფარგლებს სცილდება.

რაც შეეხება ტერორიზმის საქმეებს, ინტერპოლი განასხვავებს მოთხოვნებს, რომლებიც შეეხება ტერორიზმი ბრალდებული ან მსჯავრდებული პირების დაკავებას, ექსტრადიციას და ტერორიზმის პრევენციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. პრევენციის შემთხვევაში, შეფასების მეორე სქემა არ გამოიყენება, თუმცა, ინფორმაციის გავრცელების გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მონაცემებს, რომლებიც ადასტურებს პირის ჩართულობას ტერორისტულ საქმიანობაში და არა მხოლოდ მის რომელიმე ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილებას.

2002 წლიდან ინტერპოლში ამოქმედდა ვებ-გვერდზე დაფუძნებული უსაფრთხო საკომუნიკაციო სისტემა I-24/7. სისტემა ეროვნულ ბიუროებს ინტერპოლის მონაცემთა ბაზებთან და გენერალური სამდივნოს სამსახურებთან უშუალო წვდომის საშუალებას აძლევს.

ინტერპოლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლა. ამ შემთხვევაში ინტერპოლი მონაცემების მთავარი საცავისა და ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზის პროცესების ძირითადი ორგანოა. იგი ახდენს ორგანიზებული დანაშაულობის გლობალურ მონიტორინგს და კოორდინაციას უწევს საერთაშორისო გამოძიებას.

ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებით ინტერპოლის ფუნქციაა წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის წარმართვა, ამ სფეროში მოქმედ ყველა ეროვნულ თუ საერთაშორისო უწევებას შორის ინფორმაციის გაცვლა ორგანიზებული დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული კორუფციის შესახებ. უფრო კონკრეტულად, ინტერპოლი ეხმარება წევრ ქვეყნებს:

- ამ სფეროში ექსპერტების მოძიებასა და კონტაქტის დამყარებაში;
- კრიმინალური ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკურ სფეროებთან დაკავშირებული ინფორმაციის მონიტორინგსა და ანალიზში;
- პოტენციური გლობალური კრიმინალური საშიშროების იდენტიფიცირებაში;
- სხვადასხვა ორგანიზაციისთვის სტრატეგიული თანამშრომლობის წარმართვაში;
- სამართალდამცავი ორგანოებისათვის პრობლემების დასაძლევად დახმარების აღმოჩენაში;
- გენერალური სამდივნოს მიერ ეცბ-ებისაგან, დია წყაროების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა წყაროების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შეფასებასა და დამუშავებაში;
- დია წყაროებისაგან მიღებული ინფორმაციისა და ანგარიშების მონიტორინგში;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის სხვადასხვა პროგრამის ინიცირებაში, წარმართვასა ან მონაწილეობის მიღებაში;
- სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებითან ან სამართალდამცავ ორგანოებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებაში;
- მიმდინარე საერთაშორისო გამოძიების ფარგლებში წევრი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენაში.

ამგვარი თანამშრომლობა ხელს უწყობს შიდაეროვნული სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებულ საქმეებზე კავშირის დადგენას.

ამჟამად, ინტერპოლი 5 პროექტს ახორციელებს, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულობასა და სხვა სპეციფიკურ დანაშაულებს მოიცავს. ესენია:

- პროექტი „მილენიუმი“ - შეეხება ევრაზიულ კრიმინალურ ორგანიზების;
- პროექტი „ეი-ოუ-სი“ - შეეხება აზიურ კრიმინალურ ორგანიზების;
- პროექტი „სქრიმი“ - შეეხება სერიულ მკვლელობებსა და გაუპატიურებების;
- პროექტი „ბადა“ - შეეხება საზღვაო მეკობრეობას;
- პროექტი „ფინქ პანტერსი“ - საიუველირო ნაკეთობების შეიარაღებული ძარცვა, ჩადენილი ყოფილი იუგოსლავის მოქალაქეების მიერ.

დასავლეთ ევროპული ორგანიზებული დანაშაული ფენომენია, რომელმაც გავრცელება მთელს მსოფლიოში მოახერხა. გლობალიზაციის პროცესებისა და განსაკუთრებით, საკომუნიკაციო საშუალებების შეუზღუდვი არჩევნის შედეგად, ორგანიზებული დანაშაულობა უფრო მეტადაა ტრანსნაციონალური, ვიდრე ოდესმე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, „დიდი რვიანის“ ქვექნების სამართალდამცავი ორგანოების ჯგუფი ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის მიზნით ერთობლივი პროექტის შექმნის გადაწყვეტილებამდე მივიდა. ვინაიდან ინტერპოლს განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან შედარებით, გარდა ამისა, გააჩნია მნიშვნელოვანი საშუალებები, როგორიცაა საკომუნიკაციო სისტემა, მონაცემთა ბაზები, ანალიტიკური სამსახურები და ექსპერტთა უხვი რაოდენობა, გადაწყდა, რომ პროექტი „მილენიუმი“ ამ ორგანიზაციის ფარგლებში განხორციელდებოდა. პროექტის უმთავრესი მიზნებია:

- ტრანსევროპული ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ ინფორმაციის მოძიება ანალიზისა და შედარებისათვის;
- ერთიანი, გლობალური, ამომწურავი და უსაფრთხო მონაცემთა ბაზის შექმნა დანაშაულებრივი ორგანიზაციებისა და მათი წევრების შესახებ.
- კრიმინალური ორგანიზაციების წევრების, იურაქიის, საქმიანობის სფეროებისა და მეთოდების დაღგენა;
- პროექტის მონაწილე ქვეყნებისათვის ანგარიშისა და ინფორმაციის წარდგენა;
- მონაწილე ქვეყნების დახმარება საგამოძიებო ინფორმაციის გაცვლის პროცესში;
- საკონტაქტო პირების დადგენა თითოეულ წევრ-ქვეყნაში.

პროექტის საქმიანობა ორი მიმართულებით ხორციელდება: სტრატეგიული და ოპერატიული. სტრატეგიული საქმიანობა მოიცავს სტრატეგიული ანალიზის განხორციელებას, კვლევების, შეხვედრებისა და კონფერენციების ჩატარებას. რაც შეეხება ოპერატიული ხასიათის საქმიანობას, აღნიშნული მოიცავს ოპერატიულ ანალიზს, მონაცემების გაცვლას, ინტერპოლის საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან დაშვებას, მწვანე ცირკულარების გამოცემას და სხვა სახის დახმარებას.

საქართველო ინტერპოლის წევრია 1993 წლიდან, აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია აზერბაიჯანის შეამდგომლობა ინტერპოლის გენერალური სამდიგნოს წინაშე, რომლის საფუძველზეც განხილულ იქნა საქართველოს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ინტერპოლში გაწევრიანების საკითხი 62-ე გენერალური ასამბლეის სესიაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობის ყველაზე ნაყოფიერ ეტაპად 2006 წლის შემდგომის პერიოდი უნდა ჩაითვალოს, როდესაც სახელმწიფომ დამნაშავეთა წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით ბრძოლის პარალელურად, იმ კრიმინალთა წინააღმდეგ დაიწყო აქტიური ღონისძიებების განხორციელება, რომელთაც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები უკვე დატოვებული პქონდათ. ამავე პერიოდში, კერძოდ, 2007 წლის 12 თებერვალს ხელი მოეწერა პრეზიდენტის ბრძანებულებას, რომლითაც დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს საქმიანობისა და მასთან თანამშრომლობის წესი“, რომლითაც კიდევ უფრო ეფექტური და მოქნილი გახდა აღნიშნული სტრუქტურის საქმიანობა და თანამშრომლობა სხვა ორგანოებთან.

სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული დანაშაულობისათვის 2005 წლიდან გამოცხადებულ ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ინტერპოლის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ. მისი მეშვეობით მოხდა წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნის გამოცხადება არაერთ ცნობილ კრიმინალზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ მწვანე ცირკულარების გამოყენება. მითითებულს მეტად დიდი მნიშვნელობა პქონდა, რადგან საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენლების – კანონიერი ქურდების ინსტიტუტი, ძირითადად, ცნობილი იყო მხოლოდ პოსტ საბჭოთა სივრცის ტერიტორიაზე. შესაბამისად, სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში გავლენის სფეროების გაფართოებისათვის ჩასული კრიმინალური ელიტის წარმომადგენლები, სამართალდამცავთა მხრიდან ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე იწყებდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას. ცხადია, მათთან ბრძოლა ძალიან გართულდებოდა მას შემდეგ, რაც ისინი გაძლიერდებოდნენ და მოხვდებოდნენ სახელმწიფო ორგანოების თვალთახედვის არეში. შესაბამისად, ზემოთ მითითებული მწვანე ცირკულარების გამოცემით ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნის გაფრთხილება, თუ რა საფრთხის წინაშე შეიძლება დამდგარიყვნენ ისინი ქართული კრიმინალური ელიტის მათ ტერიტორიაზე აღმოჩენის შემთხვევაში. ამასთან ერთად, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ აქტიურად ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნის ოპერატიულ სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლა ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებით და შემდგომ მათთან ქართველი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების დაკავშირება.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პროექტ „მილენიუმის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ჩატარებას საქართველოში, რომელზედაც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, მოწვეულ იქნება ასევე საქართველოს სხვადასხვა ოპერატიული დანაყოფის ხელმძღვანელები. მითითებულმა შეხვედრამ დიდი შედეგი გამოიღო – ერთი მხრივ, ჩამოყალიბდა მჭიდრო ურთიერთობა საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის ოპერატიულ დანაყოფებს შორის, რაც შემდგომში აქტიურად იქნა გამოყენებული ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში, კერძოდ, ქართველ თერატიულ თანამშრომელთა მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე არაერთი წარმატებული

სპეციალურაცია ჩატარდა ესპანეთში ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი, უცხო ქვეყნის სამართალდაცავა სტრუქტურებმა ქართველი კოლეგაბისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გააცნობიერეს, თუ რას წარმოადგენენ კანონიერი ქურდები და რა კონტრზომების მიღება შეიძლება მათ წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, ინტერპოლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში. სწორედ მითითებული ორგანიზაციის დამსახურებაა ის, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს ერთმანეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობა გააჩნიათ, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ამ ქვეყნებს ერთმანეთთან დიპლომატიური კავშირები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტერპოლის საქმიანობა მრავალმხრივია. იგი ეყრდნობა როგორც საერთაშორისო წყაროებიდან მოპოვებულ, ისე შიდა ეროვნულ დონეზე დამუშავებულ ინფორმაციას, რომლის ანალიზის შედეგადაც იქმნება საერთაშორისო დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ესოდენ საჭირო და გამოსადეგი საინფორმაციო ბაზები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ორგანიზებულმა დანაშაულობამ თანამედროვე პერიოდში მოქმედების არეალი და მასშტაბები მნიშვნელოვანწილად გაიფართოვა და ტრანსნაციონალური ხასიათი შეიძინა. შესაბამისად, გაიზარდა მასთან ბრძოლის გაძლიერების საჭიროება, რაც მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, პრაქტიკულად, შეუძლებელია. სწორედ აღნიშნულმა ობიექტურმა საჭიროებამ განაპირობა სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოთა ერთობლივი, კოორდინირებული საქმიანობა და ინტერპოლის ქსელის აქტიურად გამოყენება.

დასასრულს კი უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ზემოთ მითითებული ფაქტები ცხადყოფს, საქართველოს ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროს მნიშვნელოვანი წელილი შეაქვს ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ზოგადად, საერთაშორისო თანამშრომლობის დონეზე.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.interpol.int/Public/icpo/governance/sg/history.asp>
2. <http://www.interpol.int/Public/ICPO/LegalMaterials/constitution/constitutionGenReg/constitution.asp>
3. <http://www.interpol.int/Public/ICPO/LegalMaterials/FactSheets/FS07.asp>.
4. <http://police.ge/index.php?m=260>

*Davit Meskhishvili  
Grigol Robakidze University*

## International Criminal Police Organization – Interpol

An organized crime is not a problem of any single country in modern society. The activities of criminal organizations are not limited with borders of one particular country. Strong alliances between criminal organizations facilitate the further development of their criminal activities. In the given circumstances, in order the criminal entities to be adequately responded by states, the intensive coordinated co-operation of law enforcement agencies and international entities is vitally important. International Criminal Police Organization – Interpol is an active participant of these procedures. The aim of the organization is to facilitate international police co-operation, even when diplomatic relations do not exist among these countries.

Interpol is the second of the largest international organizations, after UNO, with 188 member countries. The headquarter of the organization is located in Lion, France.

As for the structure of Interpol, the General Assembly is the body of supreme authority in the Organization, which is composed of delegates appointed by member states. The meetings of General Assembly are held once a year. It may meet in extraordinary session at the request of the Executive Committee or of the majority of Members.

To ensure the execution of decisions of General Assembly, the Executive Committee is created consisting of the President of the Organization, the three Vice-Presidents and nine Delegates. The members of the committee must be the representatives of different countries.

The permanent departments of the organization constitute the General Secretariat. The General Secretariat is headed by the Secretary General who is elected for five years by the General Assembly at proposal of the Executive Committee. He may be re-elected for other terms but must resign on reaching the age of 65. The Secretary General must be chosen from persons highly competent in police matters. In extraordinary circumstances, the Secretary General may be dismissed by the General Assembly at a request of the Executive Committee.

In the exercise of their duties, the Secretary General and the staff of the Secretariat neither solicit nor accept instructions from any government or authority outside the Organization.

One of the key entities of the organization is the National Central Bureau (NCB). In order to further its aims, the Organization needs the constant and active co-operation of its members. Each state should provide the widest possible co-operation within its power which is compatible with its national legislations. In order to ensure the above co-operation, each country shall appoint a body which will serve as the National Central Bureau. It shall ensure liaison with the various departments in the country, the Organization's General Secretariat and the NCBs of other countries.

As for the activities of the organization, it should be mentioned that the organization carries no operative activities. The aim of the organization is to serve as an administrative liaison and provide law enforcement agencies of the member states with databases. In the process of fighting against international crime, this type of co-operation is highly important, since it gives the opportunity to avoid bureaucracy and many formal requirements. The databases of Interpol give the possibility of global overview of international crime. The organization is able to exercise worldwide monitoring of the crime. The General Secretariat holds the databases of fingerprints, stolen vehicles, wanted persons, DNA profiles, stolen works of art, etc.

In order to ensure political neutrality of the organization, according to the article 3 of the ICPO-Interpol constitution, it is strictly forbidden for the organization to undertake any intervention or activities of a political, military, religious or racial character.

Fighting against an organized crime is one of the areas of Interpol activity. For this reason, Interpol serves as a central data holder and main entity in the process of seeking, elaborating and analyzing organized crime related information. It exercises global monitoring of an organized crime and co-ordinates international investigation.

In the process of fighting against an organized crime the main function of Interpol is co-ordination of co-operation between member states, exchange of information about an organized crime and related corruption between all national or international entities dealing with these issues. To support member states the main functions of Interpol are:

- to identify, establish and maintain contacts with the experts in this field;

- to monitor and analyze information on specific areas of activities of an organized crime;
- to identify potentially global criminal threats;
- to exercise strategic co-operation with other organizations;
- to facilitate law enforcement agencies in solving problems;
- to assess and analyse information from NCBs, international organizations, open sources and other sources by General Secretariat;
- to monitor information and reports received from open sources;
- to initiate, guide or participate in different projects in order to facilitate international co-operation;
- to implement mutual projects with other international or law enforcement entities;
- to provide assistance to member countries within the frame of the existing investigations.

This kind of co-operation ensures establishing connections between investigations that are carried out by national law enforcement entities.

Currently Interpol carries out 5 projects that are related with an organized crime and specific crime areas:

- Project “Millennium” – concerns Eurasian criminal organizations;
- Project “AOC” – concerns Asian criminal organizations;
- Project “Scream” – focused on serial murders and rape;
- Project “Bada” – concerns sea piracy;
- Project “Pink Panthers” – concerns armed jewelry robbery conducted by citizens of former Yugoslavia.

Georgia is a member of Interpol since 1993. It is remarkable to refer to solicitation made by Azerbaijan before the General Secretariat, intended to support Georgia become the member of Interpol, on the basis of which was discussed the joining of Georgia on the 62<sup>nd</sup> Session of the General Assembly.

The National Central Bureau of Georgia actively contributed to the process of fighting against an organized crime started by Georgian authority in 2005. With its assistance red notices were issued on many famous criminals. Furthermore, the NCB of Georgia actively exchanged information among operative entities of different countries and maintained liaison between these entities and representatives of Georgian law enforcement agencies.

In conclusion should be said, that Interpol holds quite important position in the process of fighting against transnational crime. It is the merit of this organization that law enforcement entities of different countries have an opportunity to co-operate even where no diplomatic relations exist. As mentioned above, the activities of Interpol are quite multiplex. It relies on information received from international sources as well as on national level elaborated data, the analysis of which lead to constitution information bases that are vitally important in the process of defeating international crime. As noticed, an organized crime hugely extended the area of activity and becomes more and more transnational, consequently, raised the necessity of growing the activities to combat this type of crime which is practically impossible only on the national level. Namely this objective necessity conditioned the active usage of Interpol network and coordinated activities of the law enforcement bodies of different countries.

## თანამედროვე ტრანსაციონალური ორგანიზაციული დანაშაულობის პრინციპის საპიროები

ორგანიზებული დანაშაულობა მთელ მსოფლიოში ტრანსაციონალურ ხასიათს იღებს. XXI საუკუნეში სწორედ ტრანსაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა იქცა რეალურ საფრთხედ მთელი კაცობრიობისთვის როგორც საკუთარი დამანგრეველი ზეგავლენით, ისე თავისი მასშტაბების მიხედვით.

ტრანსაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა დიდ პრობლემებს უქმნის სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ხელს უშლის რა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სახელმწიფოს მიერ მართლწესრიგის დაცვას, მიდა კონფლიქტების მოგვარებასა და მათ თავიდა აცილებას, ასევე ტერორიზმის, იარაღის გავრცელებისა და ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაციის პრევენციას [4].

ტრანსაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა მოვლენაა, რომელიც წინ ედობება ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ამასთანავე მისი მასშტაბები მუდმივად ფართოვდება. მას შეუძლია, არა მხოლოდ აითვისოს ახალი ბაზრები, არამედ შეარყიოს სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება, მით უმეტეს, თუ ეს სახელმწიფო გარდამავალი ეკონომიკის განვითარებადი ქვეყანაა. ამასთანავე, ტრანსაციონალური დანაშაულობა გლობალურ ხასიათს ატარებს და მისი ზეგავლენისგან არც ერთი ქვეყანა თუ რეგიონი არაა დაზღვეული.

კრიმინოლოგები ისტრაფვიან ყოველმხრივ და ადგენატურად შეაფასონ იმ საფრთხის მასშტაბები და ხარისხი, რომელსაც სწრაფად მზარდი ტრანსაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა გვიქადის. ამისათვის ისინი აღნიშნულ მოვლენას განიხილავენ არა როგორც ორგანიზებული დანაშაულის “ტრადიციული” ფორმების მოდიფიკაციას, არამედ, როგორც საქმიანობის პრინციპულად ახალ სახეობას, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულებრივ სტრუქტურებს საშუალებას აძლევს, სწრაფად გაზარდონ კრიმინალური შემოსავლები, რითაც მუქრებიან სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. ამასთანავე ტრანსაციონალური დაჯგუფებები დემონსტრაციულად წარმოაჩენენ საკუთარ შესაძლებლობებს და შედარებით ხელშეუხებლობას სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან [6, 34].

შეიძლება გამოვყოთ საერთო და ფაკულტატური მახასიათებლები, რომლებიც მსგავსია დამნაშავეთა ყველა ორგანიზებული ფორმირებისთვის და განსაკუთრებული თავისებურებები, რომლებითაც ხასიათდება ტრანსაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა.

ორგანიზებული დანაშაულობის საერთო ნიშნებია:

- კონკრეტული დანაშაულებრივი ფორმირების მდგრადობა, რაც გამოიხატება მის ხანგრძლივ აქტივობაში და მსგავსი დანაშაულების არაერთჯერადად ჩადენაში;
- როლების გადანაწილება ორგანიზაციის წევრებს შორის ვერტიკალური (ხელმძღვანელი რგოლის გამოყოფით) და ჰორიზონტალური (დანაშაულებრივი სპეციალიზაციის) პრინციპებით;
- იერარქიული სტრუქტურა, რომლის უმაღლესი რგოლი წარმოდგენილია მინიმუმ ერთი პირით, რომელიც ხელმძღვანელობს ორგანიზაციის საქმიანობას;

- ძალისხმევის მიმართვა განსაზღვრული სახეობის დანაშაულებრივ საქმიანობაზე (რაც უფრო მსხვილია ორგანიზაცია, მით უფრო ფართეა აღნიშნულ სახეობათა წრე);
- მინიმალურ ვადებში მაქსიმალური შემოსავლების მიღების მიზნის არსებობა;
- ჯგუფის წევრებს შორის სოციალური ურთიართდახმარების სისტემის ფუნქციონირება (მაგალითად “ობშიაკის” სისტემა);
- აქტიური წინააღმდეგქმედება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, მათ შორის, კორუფციული მექანიზმების გამოყენებითაც;
- მკაცრი შიდა დისციპლინა, ქცევის განსაზღვრული კოდექსის არსებობა, რომლის დამრღვევთა მიმართ ტარდება დამსჯელობითი დონისძიებები.

**ფაქულტატური ნიშნებია:**

- ორგანიზაციის ხელმძღვანელის იზოლირება კონკრეტული დანაშაულებრივი საქმიანობისგან: ის არ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, ხშირად არც აქვს პირდაპირი კავშირი მის შემსრულებლებთან და რჩება საქმიანობის იდეურ შთამცონებლად;
- დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის (“გათეთრების”) მექანიზმების გამოყენება;
- კადრების შერჩევა ნაციონალური და კლანური ნიშნების მიხედვით;
- ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენება დანაშაულებრივ საქმიანობაში.

ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისთვის:

- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება ერთზე მეტ სახელმწიფოში;
- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვისა თუ კონტროლის განხორციელება სხვა სახელმწიფოში;
- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოება ერთ სახელმწიფოში, მაგრამ იმ ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას ერთზე მეტ სახელმწიფოში ახორციელებს;
- ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის გახორციელდება ერთ სახელმწიფოში მისი ძირითადი შედეგების სხვა სახელმწიფოში წარმოჩენით.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ გაეროს კონვენციის მიხედვით, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას მიეკუთვნება ადამიანის კრიმინალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: ადამიანის ტრეფიკინგი, ორგანიზებული პროსტიტუცია, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა და არალეგალური მიგრაცია [16].

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის განვითარებას საფუძვლად უდევს შემდეგი სამი ფაქტორი:

- ეკონომიკის გლობალიზაცია;
- გლობალური საკომუნიკაციო სისტემების სრულყოფა;
- იმიგრაციული პროცესების ზრდა.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნებით ოპერირებისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ მისი არსი და ძირითადი მახასიათებლები [5].

დეფინიციისადმი სწორი მიღგომა საშუალებას იძლევა რეალურად შევაფასოთ საფრთხის მასშტაბები, განვსაზღვროთ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმირების გზები, მისი აღმოცენებისა და არსებობის მიზეზები. ეს, თავის მხრივ, ეხმარება საერთაშორისო საზოგადოებას გააერთიანოს ყველა სახელმწიფოს ძალისხმევა და

შეიმუშავოს ტრანსნაციონალურ დანაშაულობასთან წინააღმდეგქმედების აღეპვატური ღონისძიებების კომპლექსი.

სამწუხაოდ, აღნიშნული მოვლენით განპირობებული გლობალური საფრთხის გაცნობიერება და მის წინააღმდეგ კოორდინირებული ქმედების აუცილებლობის საკითხი სულ ცოტა ხნის წინ - XXI საუკუნის მიჯნაზე აღმოცენდა [2]. ამიტომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის აღწერისა და კლასიფიკაციის ცალკეული მცდელობის მიუხედავად, უკანასკნელ დრომდე არ შეუმუშავებიათ მისი მკაფიო განსაზღვრება და ყოვლისმომცველი დახასიათება.

ერთერთი პირველი განსაზღვრება აღნიშნული მოვლენისა შემოთავაზებულ იქნა ორგანიზებული დანაშაულობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე სანტ-კლაუდში 1988 წელს. საკითხის განხილვის შედეგად ინტერპოლის 46 წევრი-ქვეყნის 84 მონაწილე შეთანხმდა, რომ შემდგომ დისკუსიებში “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის” ქვეშ ეგულისხმათ “ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფის ნებისმიერი უწყვეტი დანაშაულებრივი საქმიანობა, რომლის მთავარი მიზანია შემოსავლების მიღება ყველგან - ნაციონალური საზღვრების გარეშე” [17,8].

მოცემულმა განსაზღვრებამ საშუალება მოგვცა, გამოგვეუყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ოთხი ძირითადი ნიშანი:

1. ორგანიზაციის არსებობა და მასში მონაწილეობა;
2. საქმიანობის უწყვეტობა;
3. მიზნად მოგების მიღების დასახვა;
4. მოგების მიღწევის ხერხები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული საზღვრების იგნორირებას.

ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, უეჭველია, წარმოადგენს ტანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ამა თუ იმ მახასიათებელს, მაგრამ პირველი სამი საბაზოა კლასიკური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმულირებისთვისაც. მხოლოდ ერთადერთი ნიშანი - დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელება როგორც ეროვნული საზღვრების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ - ამჟღავნებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სპეციფიკას. მაგრამ, გამოხატავს რა მის ძირითად არსს, ეს ერთადერთი ნიშანი არ გვაძლევს საშუალებას, სრულად შევაფასოთ პრობლემის გლობალურობა, მით უმეტეს, მთლიანად მოვიცვათ მისი მახასიათებლები და თავისებურებები.

თანამედროვე კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში წარმოდგენილია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის განმარტებების საქმარისი რაოდენობა [8]; [10]; [13]; [14]; [15]. ცალკეული ავტორი მოცემული მოვლენისათვის დამახასიათებელ ნიშნებს განსხვავებული პოზიციებიდან აღწერს, შესაბამისად მათ დახასიათებებში შეინიშნება გარკვეული განსხვავებების არსებობა. შეიძლება გამოვყოთ ორი დომინირებული მიღღომა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციის სტრუქტურისადმი. ერთერთ მათგანში ყურადღება აქცენტირებულია თავად დანაშაულებრივი ორგანიზაციების აღწერაზე. დაწვრილებითაა განხილული ძირითადი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სტრუქტურა, იერარქია და სპეციალიზაცია, ასევე მათი ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურება [11]; [14]; [15]. მსგავსი მიღღომა არ იძლევა საშუალებას, გამოვგვეთოთ ის სპეციფიკური ნიშნები, რომელთა არსებობა დაგვეხმარება, გამოვაცალკევოთ ისინი სხვა განვითარებადი დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებიც ასევე იძენენ ტრანსნაციონალურ ხასიათს და გადიან საერთაშორისო არენაზე ზემოგების მიღებისთვის.

უფრო რაციონალურია მეორე ტიპის მიღღომა, რომელიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნების განმარტებამდე მიღის მისთვის დამახასიათებელი

ყველაზე უფრო ტიპური ნიშნების ანალიზის მეშვეობით. კრიმინოლოგების აზრით, შეიძლება გამოვყოთ თოთხმებამდე ასეთი ნიშანი. მათი შესწავლით ირკვევა, რომ ცალკეულ შემთხვევაში ისინი მოიცავენ როგორც ზოგადად ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების, ისე მათი ტრანსნაციონალური სახეობებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

სხვა შემთხვევებში ავტორები განიხილავენ მხოლოდ იმ ნიშნებს, რომლებიც ტრადიციულ ორგანიზებულ დაჯგუფებებს განასხვავებენ ტრანსნაციონალურისაგან [5]; [9, 154-156]; [14, 4].

იმისათვის, რომ განისაზღვროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის არსი, აუცილებელია ყურადღების ფოკუსირება მახასიათებლებზე, რომლებიც ნიშანდობლივია მხოლოდ ამ საქმიანობისთვის და მიჯნავს მას თრგანიზებული დანაშაულობის სხვა ფორმებისგან. ასე მაგალითად, ლ. შელი გამოყოფს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის 3 განმასხვავებელ ნიშანს:

1. ორგანიზაცია ბაზირებულია ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
2. მას შეუძლია, დანაშაული ჩაიდინოს ერთი ქვეყნის საზღვრებზი, მაგრამ, როგორც წესი, თავის კრიმინალურ აქტივობას განავრცობს რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე;
3. მსგავსი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეუძლიათ მხილების რისკის მინიმუმამდე დაყვანა კრიმინალური აქტივობისა და ნეგატიური შედეგების სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე გადატანით კონკრეტული შემსრულებლებისა და უცხო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოებისგან გამიჯვნის მიზნით [14, 4].

ორგანიზებული დანაშაულობა სულ უფრო მეტად იყენებს მართვის მოქნილ ქსელებს და ნაკლებად ფორმალურ იერარქიულ სტრუქტურებს. ორგანიზების ამ ფორმას გააჩნია ისეთი დადებითი მხარეები, როგორიცაა მრავალფეროვნება, მობილობა, დაცულობა. სხვადასხვა ქსელს შორის კავშირები XX საუკუნის დასასრულის ორგანიზებული დანაშაულობის ერთერთი უმთავრესი თავისებურება, რომელმაც კონგლომერატების შექმნის შესაძლებლობა წარმოშვა. კრიმინალური ქსელების მოქნილობა მეტად მომგებიანია და არსებითად განსხვავდება სახელმწიფოთაშორისო ძალოვანი სტრუქტურების კოოპერაციების მასიური სისტემებისგან, რომელთათვისაც დამახასიათებელია ინფორმაციის გაცვლის უფრო დაბალი ტემპი, ბიუროკრატიზაცია და არაკომპეტენტურობა ორგანიზებული დანაშაულობის სისხლისსამართლებრივი ძიებისა და სამართლებრივი დევნის საქმეში.

საკუთარი ეფექტურობის წევლით ორგანიზებული დანაშაულობა ქმნის ახალ “პროდუქციას”, მოიპოვებს ახალ სასაქონლო და მომსახურების ბაზებს, აღრმავებს ტრანსნაციონალურ კოოპერაციას. ესპანეთის პოლიციის წარმატებულმა ოპერაციამ, რომელმაც სხვა ევროპულ სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ჩაატარა მასშტაბური ოპერაცია სახელწოდებით “იაგა” და დაკავა 60-ზე მეტი დამნაშავე, მათ შორის, ქართველი “კანონიერი ქურდებიც”, აჩვენა, რომ პოსტსაბჭოთა კრიმინალური სტრუქტურები მჭიდრო კოოპერაციაში არიან ლოკალურ ორგანიზებულ დამნაშავეებთან და იყოფენ კრიმინალურ შემოსავლებს ნარკობიზნებიდან, შეკვეთილი მქაფელობებიდან, ფულის გათეთრებიდან და უკანონო მიგრაციდან [21]. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ადვილად რეაგირებს სიტუაციის შეცვლაზე რომელიმე ქვეყანაში და წარმატებით იყენებს უთანხმოებას სამართალდამცავი სტრუქტურების საერთაშორისო კოოპერაციაში [9, 155-156].

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ეწევიან სხვადასხვა სახის კრიმინალურ საქმიანობას. მათ შორის ვხვდებით დანაშაულის ტრადიციულ (რეკეტი, პროსტიტუციაში ჩაბმა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა) და თანამედროვე როჟელ (სამრეწველო და ტექნოლოგიური შპიონაჟი, მანიპულაციები ფინანსურ ბაზაზე და სამშენებლო ბიზნესში და ა.შ.) ფორმებს. ამგარი საქმიანობა ეფუძნება სახელმწიფო სტრუქტურების კორუმპირების, არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და

კორპორაციული ინტერესების ლობირებას როგორც სახელმწიფო სამართლებრივი სისტემის ჩარჩოებში, ისე მის გარეთ. ეს სისტემა გულისხმობს “ფულის გათეთრებას” მისი ჩადებით ბანკებში, საფინანსო ინსტიტუტებში და ბიზნესში მთელ მსოფლიოში, რაც უზრუნველყოფს უკანონო შემოსავლების გათეთრებისათვის სტრუქტურების ფორმირებას, კორუმპირებული ჩინოვნიკების და საერთაშორისო ორგანიზაციების მოსყიდვას.

ტრანსნაციონალური დანაშაული ვლინდება სხვადასხვა სახით, რომელთა შორის ერთეულთი ყველაზე უფრო საშიში ფორმათაგანია ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაცია, რაც გამოიხატება ტრევიკინგში, პროსტიტუციაში, პორნობიზნესსა და არალეგალურ მიგრაციაში [1]. ამის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებამ გაეროს სტრუქტურების მეშვეობით ხელი შეუწყო ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან და მის ისეთ ფორმებთან ბრძოლის კონვენციის მიღებას, როგორიცაა ადამიანის ტრევიკინგი და არალეგალური მიგრაცია.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ცნების განსაზღვრისათვის გამოიყენება შემდეგი მიღვომები:

1. აღწერენ მოცემული სახეობის დანაშაულობის ყველაზე უფრო ტიპურ ნიშნებს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების დახასიათების საფუძველზე [17, 8-10]; [19, 28];
2. იყენებენ უფრო ფართე (“ტრანსნაციონალური დანაშაულობა”) [18, 20] და უფრო ვიწრო (“ტრანსნაციონალური კრიმინალური კორპორაციების საქმიანობის”) [3, 12] ცნებების კომბინირებულ განსაზღვრებას.

უდავოა, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა, ისევე როგორც, დანაშაულობის ნებისმიერი სხვა ფორმა, ხასიათდება საქმიანობის საკუთარი სპეციფიკური მეთოდებით და მონაწილეების ქცევის მოდულებით. ამიტომ მისი ძირითადი ნიშნების აღწერისთვის აუცილებელია გავანალიზოთ, როგორც საქმიანობის, ისე მისი სუბიექტების მახასიათებლები. იმისათვის, რომ განვაცალევოთ ერთი სახელმწიფოს საზღვრებში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულობისა და მისი ტრანსნაციონალური ფორმების სუბიექტები, აუცილებელია, ყურადღებით შევისწავლოთ ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა. კრიმინოლოგთა უმრავლესობის აზრით, სწორედ სივრცობრივიად შემოუსაზღვრავ კრიმინალურ საქმიანობაში ორგანიზებული დანაშაულობა ტრანსნაციონალური ხდება, თუ:

1. ის უკავშირდება მატერიალური და არამატერიალური რესურსების სახელმწიფო საზღვრებზე გადატანის უკანონო ოპერაციების წარმოებას, რასაც არსებითი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს;
2. მისი განხორციელებისას გამოიყენება სხვა ქვეყნებში არსებული ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურა, მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა ქვეყნის სისხლისსამართლებრივ სისტემებში და მათ ლეგალურ ეკონომიკაში შეღწევა კორუფციისა და ძალადობის დახმარებით;
3. ხორციელდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, ანუ ის სცილდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს, რამაც თანამედროვე პირობებში საერთაშორისო პროცესის სახე მიიღო და კრიმინალური უფლუციის უმაღლეს დონედ მოგვევლინა [17, 5].

თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა და ორგანიზებული დანაშაულობის ფართო კავშირებმა გააადვილა კონტაქტების დამყარება პარტნიორებთან სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზე. ელექტრონული ანგარიშების თანამედროვე საბაზო სისტემები საერთაშორისო დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების საშუალებას იძლევა, რაც, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება უკანონოდ მიღებული შემოსავლების გათეთრებას, ასევე სხვადასხვა სახის ფინანსური მაქინაციების წარმოებას.

ტრანსნაციონალური ორგანიზაციები დანაშაულებრივი საქმიანობა კრიმინალური ქცევის ყველაზე პროფესიონალური და რაციონალური ნაწილია. მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია შესაძლო რისკის მინიმუმადე დაყვანისა და მაქსიმალური მოგების მიღებისადმი სწრაფვა. დანაშაულებრივი ორგანიზაციები სწავლობენ საკუთარ და სხვის შეცდომებზე. მათ აქვთ სიტუაციისა და მისი შესაძლო განვითარების სტრატეგიული ხედვის უნარი. ისინი სშირად იყენებენ მაღალი კლასის სპეციალისტების დახმარებას, იყენებენ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი ორგანიზებული დამნაშავეები არასოდეს გადაბიჯებდნენ ნაციონალურ საზღვრებს, რომ არ ჰქონდეთ სერიოზული სარგებელი, მნიშვნელოვანი უპირატესობა და შესაძლებლობები. სწორედ ამ მიზნების მიღწევისთვის დაიწყეს საერთაშორისო მასშტაბის ოპერაციების განხორციელება ნაციონალურმა კრიმინალურმა ორგანიზაციებმა, რასაც შედეგად მათი ტრანსნაციონალიზაცია მოჰყა.

გრანსნაციონალური ოპერაციების წარმოება დანაშაულებრივი ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომს ხდის მომგებიან ბაზრებს. საშუალებას აძლევს მათ, შეაღწიონ ასეთ ბაზრებზე ისე, რომ იმოქმედონ ტერიტორიებიდან, სადაც ისინი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შედარებით ხელშეუხებლები არიან. შემოსავლები დანაშაულებრივი საქმიანობიდან მსოფლიო საფინანსო სისტემების არხებით იმალება ოფშორულ ზონებში და შედარებით რბილად რეგულირებად საბანკო ცენტრებში.

ასეთი ორგანიზაციები იქცევიან მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან მოთამაშეებად და ასრულებენ განსაკუთრებულ როლს კანონით აკრძალული საქმიანობის სფეროებში, მაგალითად, ადამიანების ორგანოებით ვაჭრობისა და მათი კრიმინალური ექსპლუატაციის ორგანიზებაში, რამაც გლობალური მასშტაბები მიიღო და ისეთი შემოსავლები მოაქვს, რომლის რაოდენობა ადემატება ზოგიერთი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნის შიდა საერთო პროდუქტის მაჩვენებელს [12]; [2]. ვაშინგტონის ნაციონალური სტრატეგიული საინფორმაციო კომიტეტის ექსპერტების მოსაზრებების თანახმად, „მსოფლიო მაფიის“ შემოსავალი დახმარებით 1 ტრილიონი დოლარია. თანხის ეს რაოდენობა თითქმის ამერიკის ფადერალური ბიუჯეტის ექვივალენტია [7].

გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნების განსაზღვრისას არ შეიძლება, შემოვიფარგლოთ მხოლოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის დახასიათებით. აღნიშნული ცნების მნიშვნელოვან კომპონენტს აგრეთვე წარმოადგენს იმ სუბიექტთა სპეციფიკის განსაზღვრა, რომლებიც ახორციელებენ ამგვარ საქმიანობას.

ამასთანავე, ტრანსნაციონალური დანაშაულობის დახსიათება მხოლოდ თავის საქმიანობაზე დაყრდნობით არ იძლევა მისი გამოცალკევების საშუალებას ისეთი მომიჯნავე ცნებებისგან, როგორიცაა, მაგალითად, “საერთაშორისო დანაშაულობა”, რომლის ერთერთი ნიშანთაგანი ასევე ნაციონალური საზღვრების იგნორირებაა დანაშაულის ჩადენის დროს. აღნიშნული ორი ცნების გამიჯვნისას უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო დანაშაული გულისხმობს ტრანსნაციონალურ-სტრუქტურირებული ან პროფესიული დანაშაულებრივი გაერთიანებების მართლსაწინააღმდეგო ფუნქციონირებას, რომელთაც არ ახასიათებთ წვეულებრივი დამნაშავეებისგან (სხვადასხვა რაოდენობითა და ერთობის ურთიერთგანსხვავებული სიმყარით, მარტო მოქმედი დამნაშავის ჩათვლით) შემდგარი ჯგუფების მკაფიო ორგანიზება და დანაშაულებრივი ჩანაფიქრის რეალიზაციის მიზნით საჭიროებენ სახელმწიფოთა საზღვრების გადაბეჭთას, რათა მიიღონ უკანონო მატერიალურ-ფულადი სახსრები [20, 233].

უდავოა, რომ “საერთაშორისო დანაშაულობა” მნიშვნელოვნად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა” და რომ ეს უკანასკნელი მისი სტრუქტურული ელემენტია. მათი გამიჯვნა კი ხდება ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის სუბიექტების, მასშტაბებისა და ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით.

განმარტებიდან გამომდინარე, საერთაშორისო დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ჯგუფი ან ორგანიზაცია, ასევე მარტო მოქმედი დამნაშავე. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტთა შემადგენლობა უფრო ვიწროა და რიგი მხოლოდ მისოვის დამახასიათებელი ნიშნის მატარებელია. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტთა ძირითად ჯგუფს ქმნიან დანაშაულებრივი ორგანიზაციები და საზოგადოებები, რომლებიც ეყრდნობიან საკუთარი ფილიალების ქსელს სხვადასხვა ქვეყანაში. მათვის დამახასიათებელი უფრო ტიპური ნიშნებია: ორგანიზებულობის მაღალი დონე, ოჯახური ან ეთნიკური ბაზა, რაც წყვეტს ორგანიზაციის შევსების, საქმეში ჩახედულობისა და შიდა დისციპლინის პრობლემებს, ტრანსნაციონალური კავშირების არსებობა სხვა ქვეყნების დანაშაულებრივ ტრანგანიზაციებთან, სწრაფვა ვიწროკორპორაციული ინტერესების დაცვისა და განხორციელებისკენ, სწრაფი ადაპტაცია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მათზე ზეწოლის გაძლიერებასთან.

გარდა ამისა, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების სუბიექტების ნაწილი წარმოადგენს დანაშაულებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს სიმბიოზს, სადაც უკანასკნელი თავისი სტრუქტურების მეშვეობით იყენებს დანაშაულებრივ სახსრებს, საშუალებებსა და საქმიანობის სახეობებს საკუთარი მიზნების მიღწევისთვის ან მთლიანად დამოკიდებულია კრიმინალურ ტრანგანიზაციებზე, რომლებიც თავის მხრივ სარგებლობენ სახელმწიფო ატრიბუტიკით, როგორც საფარით საქმიანობის ჰეშმარიტი არსის შესანიღბად.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, საერთო ნიშნის - “საზღვრის გადაკვეთის” გარდა, ხასიათდება უწყვეტი ფუნქციონირებით, კავშირების გლობალური მასშტაბებით, სტრუქტურული მსგავსებით ლეგალურ ბიზნესთან, მაგრამ სოციალური კონტროლისგან დაცვის უფრო მაღალი ხარისხით, კორუფციისა და ძალადობის გამოყენებით მიზნის მიღწევისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა** შეიძლება განვმარტოთ, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციებისა და თანასაზოგადოებების საქმიანობა, რომელთაც გააჩნიათ ფილიალების განტოტვილი ქსელი სხვა ქვეყნებში, იყენებენ საერთაშორისო კავშირებს გლობალური უკანონო მპერაციების მუდმივად განხორციელებისთვის, რაც დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკადის, ფულის, ფიზიკური ობიექტების, ადამიანების, მატერიალური და არამატერიალური საშუალებების გადაადგილებასთან სახელმწიფო საზღვრებზე ხელსაყრელი საბაზრო კონუნქტურის გამოყენების მიზნით საზღვარგარეთის ერთ ან რამოდენიმე სახელმწიფოში არსებითი ეკონომიკური სარგებლის მიღებისა და სოციალური კონტროლისათვის თავის უფლებურად არიდებისთვის კორუფციის, ძალადობისა და სხვადასხვა ქვეყნის სისხლისსამართლებრივ სისტემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების გამოყენებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან ნელა რეაგირებენ ორგანიზებული დანაშაულობისა და კორუფციის საფრთხეებზე. ამის მიზეზებია არასაკმარისი თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის, საერთაშორისო დაწესებულებების სუსტი ურთიერთკოორდინაცია, არსებული დებულებების არააღეპვატური დაცვა ბევრი სახელმწიფოს მიერ.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კონკრეტულ გამოვლინებებთან ბრძოლის ეფექტურობა სხვადასხვაა. რიგ შემთხვევაში, შესაძლებელია ტრანსნაციონალური

დანაშაულობისა და კორუფციის წინააღმდეგ რეალური პროგრამების განხორციელება, რაც კარგად ჩანს საქართველოს მაგალითზე.

## ბამოყენებადი ლიტერატურა

1. გაეროს გენერალური მდივნის ჩანაწერი, 2 დეკემბერი, 2004A/59/56.
2. პრობლემები და საშიშროება, რომელთაც ქმნის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. მინისტრების დონეზე ჩატარებული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციის ცენტრის ცენტრი. ნეაპოლი, 21-23 ნოემბერი. 1994. E/CONF. 88/2. 1994. 18 Aug.
3. Billy's Money Laundering Home Page by Billy Steel. 2004.
4. Brock Mark, Miguel De Anda, Rummel Joseph and Calderon Michelle. March 29, 2010; December 2004. The Impact of Transnational Organized Crime A/59/565.
5. Calvani Sandro - Transnational Organized Crime: a global concern NATO DEFENSE COLLEGE- [http://www.unicri.it/wwa/staff/speeches/080519b\\_dir.pdf/](http://www.unicri.it/wwa/staff/speeches/080519b_dir.pdf/) Rome, 16 May 2008.
6. Edwards A. and Gill P. 2003. *Transnational Organized Crime; Perspectives on Global Security*. London: Routledge.
7. Global Mafia Special Report. *Newsweek*. Washington, 1995.
8. *Global Organized crime and International Security* / Ed. by E.Viano. Ashgate. Pub. Ltd. 1999.
9. Godson R., Olson W. International Criminal Organization. *Organized Crime: Contemporary Issues*.
10. Kenney D.J. Finckenauer J.O. 1995. *Organized Crime in America*. Wadsworth Pub. Com.
11. Lyman M. D., Potter G.W. 1999. *Organized Crime*. 2<sup>nd</sup> ed. Prentice-Hall Inc.
12. OECD, The economic impact of counterfeiting and piracy, 2007.
13. *Organisierte Kriminalität in Europa* / M. Edelbacher. Wien: Linde. 1998.
14. Richards J. R. 1999. Transnational Criminal organization, Cybercrime, and Money Laundering. CRC Press LLC.
15. *The United Nations and Transnational Organized Crime* / Ed. by P.Williams and E. Savona. Portland. Oregon. 1996.
16. UN Convection against Transnational Organized Crime/ [www.unodc.org/unodc/en/.../index.html](http://www.unodc.org/unodc/en/.../index.html)
17. Воронин Ю.А. 1997. *Транснациональная организованная преступность*. Екатеринбург.
18. Зорин Г. А., Танкевич О. В. 1997. *Понятие транснациональной преступности*. Гродно.
19. *Основы борьбы с организованной преступностью*.
20. Уголовная юстиция: Проблемы международного сотрудничества. Международный научно-исследовательский проект. М., 1994. С. 233.
21. <http://rus.ruvr.ru/2010/03/15/5295734.html>; <http://news.rambler.ru/Russia/world/5674764/?page=2>

***Irakli Lagvilava***

*Grigol Robakidze University*

## Contemporary Transnational Organized Crime Research Issues

### Summary

The paper presents the characteristics of transnational organized crime as a negative social phenomenon. In the XXI century transnational organized crime has become a real threat to the security of the humanity by its scale and devastating consequences. Transnational crime is a global phenomenon and no state or region of the world can be insured from its negative effects.

Development of transnational organized crime is based on the following three factors:

- Globalization of the economy;
- The improved global communication systems;
- Increased immigration processes.

In the article are analyzed four major features of transnational organized crime:

- (1) the existence of a criminal organization or participation in it;
- (2) continuity of activities;
- (3) the presence of goal – profit;
- (4) the ways to achieve criminal objectives, based on the disregard of national boundaries.

Organized crime is increasingly operating through the flexible network rather than through more formal hierarchies. This form of organization provides criminals such advantages as diversity, flexibility, low visibility and longevity. Communications between different networks became one of the main features of organized crime in the 90s, thus leading to the creation of networks of networks.

The flexibility of these networks is in sharp contrast with the bureaucratic systems of exchange of information and lack of cooperation in criminal investigations and prosecutions by the states. In addition, such networks allow them to create new products or opening new territorial markets for their goods and services, as it tried to make the "thieves in law", forging links with the Italian Mafia and other European criminal organizations. Transnational organized crime is able to adapt taking advantage of the changing situation in any country and make good use of disagreement in the international cooperation of law enforcement forces.

The article deals with the activities of transnational organized groups that are involved in various types of criminal activities, ranging from the traditional species, such as racketeering, or resulting in prostitution and drug trafficking and modern complex forms as an industrial and technological espionage, manipulation of the financial market and construction business . This activity is based on the corruption of state structures, unfair competition, and lobbying of corporate interests, both within and outside the legal system of the state.

The system involves "laundering" money through their investment in banks, financial institutions and businesses around the world promoting the development of structures to launder dirty money pay in corrupt government officials and international organizations. Transnational crime manifests itself in various forms among which one of the most dangerous forms is the criminal exploitation of people such as trafficking, prostitution, porn business and illegal migration. Considering this, the international community through UN agencies contributed to the adoption of the Convention against transnational organized crime, and especially such forms as human trafficking and illegal migration.

The following approaches are used for defining the concept of transnational criminal organizations:

1. Describe the most typical features of this type of crime through the characterization of transnational criminal organizations;
2. Use the combined definition of the broader concept ("transnational crime") and the narrower concept ("activities of transnational criminal corporations").

Studies confirm that transnational organized crime, like any other form of crime has its own special methods of activities and the characteristic behaviors of its members. Therefore, while describing its main features, it is necessary to analyze the characteristics of the activity itself and its subjects. The author believes that the hallmark of leading transnational organized crime is a specific activity that is not the only restriction is space.

Determination of the main features of transnational organized crime allows us to distinguish organized crime that exists within individual states and transnational crime.

The paper analyzes the factors under which an organized criminal activity is becoming transnational. In particular, if:

1. it is related to the illegal operations on transferring tangible and intangible assets across the national borders what brings substantial economic benefits;
2. while its implementation are used the profitable market conditions of other countries, significant differences in criminal justice systems of other countries and entrance in their legitimate economy through corruption and violence.

Transnationalization of organized crime is now considered by scientists as one of the highest levels of the criminal evolution. Modern communication technologies and broad contacts of organized crime made it easier to establish contacts with counterparts in other countries on other continents. Modern bank electronic payment systems enable the international criminal transactions related primarily to the "laundering" illegal proceeds as well as various kinds of financial fraud.

Transnational organized crime activity is the most efficient and professional part of criminal behavior, for its most characteristic feature is the desire to minimize risks and maximize profits. Criminal organizations are able to learn from their own mistakes and the mistakes of other people. They have the ability of strategic vision of the situation and its possible development. They often resort to the help of highly skilled professionals, use the latest technology. Organized criminals operating in any country will never cross its national borders if they do not see the benefits, serious advantages and opportunities.

In pursuing these objectives, the most powerful national criminal organizations started to carry out operations on an international scale, thus becoming transnational criminal organizations.

According to the author of the article, the transnational organized crime:

1. Is related to illegal operations on a transfer of pecuniary and non-pecuniary assets across national boundaries bringing significant economic benefits;
2. Penetrates into the legitimate economy of the third countries through corruption and violence.
3. To implement the expansion of transnational criminal organizations used the favorable market conditions, inadequate legislation, as well as corrupt government officials of other states;
4. Represents one of the highest levels of criminal evolution as beyond the limits of the national territory of one state and become an internationally significant process;
5. Become inaccessible to law enforcement systems of individual states which cannot resist the criminal activity of these forms of organized crime.

Practice shows that most states tend to oppose the expansion of transnational organized crime which to achieve their criminal objectives and protect their own interests use violence and corruption. Analysis of transnational crime shows that violence and corruption are used mostly selectively for the rapid solution of specific problems. The most often used violence to implement a continuous process of criminal activity is only in the interests of "business": to ensure discipline in the organization, in the event of security threats, to intimidate rivals. The level of violence in various criminal organizations may vary, but in any case, violence is the principal controlling instrument to achieve their pragmatic goals.

Typically, the violence is not directly used for public and law enforcement agencies. For this purpose another effective method of action - corruption is widely used. Law enforcement agencies and state executive bodies were corrupted in order to avoid investigation and punishment for illegal lobbying and benefits of transnational criminal organizations. Corruption can be used to neutralize both individuals and entire institutions, and can have disastrous consequences for the credibility of political and social structures of society.

The author believes that the definition of transnational organized crime cannot be limited only by the characteristics of transnational organized crime. An important component of this concept is also characteristic of the specific entities involved in such activities. In addition, the characterization of transnational crime only through its activities does not allow one to distinguish the concept of transnational organized crime from such related concepts, such as international crime, one of the hallmarks of which is also "ignore national borders, "the commission of crimes.

Thus, transnational organized crime can be defined as the activity of criminal organizations and illicit communities with an extensive network of branches in other countries using international links to the permanent implementation of the global illegal activities related to the transferring of flow of information, money, physical objects, people, other tangible and intangible assets through state borders to take advantage of favorable market conditions in one or more foreign countries to receive substantial economic benefits as well as for efficient evasion from social control through corruption, violence and the use of significant differences in criminal justice systems in different countries. According to the author, the international community is too slow to respond to the threat of organized crime and corruption. Statements about the seriousness of this threat are rarely accompanied by practical deeds. In the way of more effective international response, there are three major obstacles: the lack of cooperation among States, weak coordination among international agencies and inadequate compliance with the existing regulations in different countries.

**აღეჭვანდოუ ჯაგახიშვილი  
სამართლის დოქტორი, პროფესორი**

## საპროცესო შეთანხმება საქართველოში

საპროცესო შეთანხმება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით შედარებით ახალი ინსტიტუტია. შესაბამისად, ჩვენს ქვეყნას არ გააჩნია სამართლებრივი ტრადიციები მის გამოყენებასთან დაკავშირებით და იმისათვის, რომ ამ ინსტიტუტის საქართველოში შემოდება დახვეწილი ფორმით მომხდარიყო, საჭირო იყო სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და იმ მიმართულებისა თუ თავისებურებების გათვალისწინება, რაც დამასასიათებელია ქართული სინამდვილისათვის.

მოხდა თუ არა ეს ასე და შედეგად აკმაყოფილებს თუ არა ქართული „საპროცესო შეთანხმება“ საერთაშორისო სტანდარტებს, ეს დღემდე დავის საგანია. ამისდა მიუხედავად, საკითხის აქტუალურობა დღითიდებულ იზრდება და ამას მოწმობს მისი გამოყენების კოეფიციენტის არსებითი ზრდა წინა წლებთან შედარებით.

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყნაში მოსალოდნელია საპროცესო კნონმდებლობის ფუნდამენტური შეცვლა, აუცილებელია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – „საპროცესო შეთანხმების“ შესწავლა და დებალური ანალიზი.

„საპროცესო შეთანხმება“ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემოღებული იქნა 2004 წელს 13 თებერვალს. იგი საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინა სხვა საკანონმდებლო პროექტებთან ერთად და მათ ერთიანობაში „ანტიკორუფციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი ეწოდებოდა.

საკანონმდებლო პაკეტი მიზნად ისახავდა სისხლისსამართლებრივი წარმოების გამარტივებას იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომელთა წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე კორუფციული სამართალდარღვევის გამო [2].

მაშასადამე შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში იყო საპროცესო შეთანხმების შემოღება. საპროცესო შეთანხმება იყო „შეთანხმება პროცესუატურისა და დაცვის მხარეს შორის იმაზე, რომ თუ ბრალდებული ბრალს აღიარებს, მას ჩადენილი დანაშაული შეუმცირდება, ან მის მიმართ ნაკლებად მკაცრი სანქცია იქნება გამოყენებული“. პრინციპი მარტივია: ბრალდებული ბრალის პირდაპირ აღიარებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე უარის თქმის სანაცვლოდ გარკვეულ კომპენსაციას იდგეს, რადგან ყველა მხარეს ათავისუფლებს ხანგრძლივი და ხარჯიანი სასამართლო პროცესისგან.

ამ, ერთი შეხედვით, სიმარტივის მიუხედავად საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული პოზიციები არსებობს იურისტებს შორის, ზოგიერთი მას დადგებითად აფასებს და არგუმენტად მოაქვს ის, რომ საპროცესო შეთანხმება მართლმსაჯულების სისტემას უფრო სწრაფსა და ეფექტურების ხდის, მეორეებს –ოპონენტებს კი მიაჩნიათ, რომ ის სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას ზღუდავს და მართლმსაჯულების ყიდვა–გაყიდვის საგნად აქცევს.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება კანონის ფარგლებში ექცევა და ამერიკის სამართლებრივ სისტემაში ფართოდ არის გავრცელებული, მის დანერგვაზე არაერთმა ქვეყანამ თქვა უარი. გაერთიანებული სამეფო (ინგლისი) უფრო შორს წავიდა, აქ მოსამართლეები, რომლებმაც საპროცესო შეთანხმება არაფორმალურად გამოიყენეს, თანამდებობიდან გაათავისუფლეს [3].

ბოლო წლებში ამ მხრივ სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა და იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც საპროცესო შეთანხმება სხვადასხვა ფორმით ნებადართულია, ნელ-ნელა გაიზარდა. ის მოდიფიცირებული სახით ისეთ კლასიკურ ინკვიზიციურ სისტემებშიც კი დამკვიდრდა, როგორც არის საფრანგეთისა და გერმანიის სამართლებრივი სისტემები.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული საპროცესო შეთანხმება ინკვიზიტორული სისტემისათვის დამახასიათებელი ფორმისაგანაც განსხვავდება და ის უკიდურესად ლიბერალური და თითქმის შეუზღუდავია.

განვიხილოთ „საპროცესო შეთანხმების“ ქართული მოდელი და მის მიმართ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, „საპროცესო შეთანხმება“ ხორციელდება სასამართლოს დამოუკიდებლობის პროცესის დაცვით და მისი მიზანია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის ძალით უშვებს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოგანის შესაძლებლობას და ამის საფუძველი „საპროცესო შეთანხმებაა“, რომელიც ხორციელდება ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმებით [13].

რიგი იურისტებისა თვლიან, რომ პროკურორს, როგორც ბრალზე, ასევე სასჯელზე შეთანხმებას ერთიანი უფლებები გააჩნია და ეს ნორმა ორივე შემთხვევაში ერთნაირ შედაგათებს აღენს. მათი აზრით, ეს გარემოება ბრალზე და სასჯელზე შეთანხმებებს შორის განსხვავებებს აბსოლუტურად შლის, ბრალზე გარიგება თავისთავად გულისხმობს სასჯელზე შეთანხმებას [1, 168].

მაშასადამე, აქედან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმებას ისეთი საფუძველის არსებობა როგორიცაა სასჯელზე შეთანხმება, საჭირო აღარ არის.

ზოგი იურისტი კი თვილს, რომ ბრალზე შეთანხმების დროს კანონი გამორიცხავს სასჯელზე შეთანხმებას და აღნიშნული ამ ინსტიტუტის საფრთხის შემცვლელი ხარვეზია.

ამის საპირისპიროდ გამოთქმულია მოსაზრებები იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმების ორი საფუძვლის არსებობა განპირობებულია პრაქტიკული მოსაზრებიდან და იგი ამ სახით უნდა იყოს შენარჩუნებული.

მართალია, ბრალზე შეთანხმება ფაქტობრივად გულისხმობს საქმეზე შეთანხმებას (სხვაგვარად იგი აზრს დაკარგავდა), მაგრამ საპროცესო შეთანხმების მეორე საფუძველი არ გულისხმობს ბრალის აღრიცხვასაც. ამ შემთხვევაში ბრალდებული არ ეწინადმდეგება წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ ეთანხმება პროკურორის ან სასჯელის ზომაზე ან სასჯელისგან სრულად განთავისუფლებაზე [13]; [10, 54-55].

ასეთ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დადგებისას მეტად მნიშვნელოვანია როგორც ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის წახალისება და მისგან მიღებული ინფორმაცია სხვადასხვა დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ, ასევე პროცესის სწრაფად და ეფექტურად წარმართვის შესაძლებლობების გაჩენა და ამიტომ საპროცესო შეთანხმების ორი

საფუძვლის არსებობა განპირობებულია პრაქტიკული მოსაზრებებით და იგი ამ სახით უნდა იყოს შენარჩუნებული.

საპროცესო შეთანხმების ინიციატორები შეიძლება იყვნენ ბრალდებული (განსასჯელი) ან პროკურორი, ასევე აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითი განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სასამართლო კამათის დაწყებამდე შესთავაზოს მხარეებს საპროცესო შეთანხმების დადება.

აღნიშნული ნორმის ამ სახით ჩამოყალიბება გარკვეულად ეწინადმდეგება უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპს, რაზედაც შემდგომში გვექნება საუბარი.

ბრალზე შეთანხმების დროს ბრალდებული (განსასჯელი) აღიარებს დანაშაულს, ხოლო სასჯელზე შეთანხმებისას იგი არ ეწინადმდეგება წაყქნებულ ბრალდებას, მაგრამ ეთანხმება პროკურორის ან სასჯელის ზომაზე, ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებაზე, ხოლო სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლება.

საპროცესო შეთანხმებისას პროკურორი უფლებამოსილია მოითხოვოს განსასჯელისათვის სასჯელის შემცირება, ასევე დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) ან ბრალდების შემსუბუქების თაობაზე ან და ბრალდების ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების დადებისას დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით არანაირ შეზღუდვას ითვალისწინებს, პროკურორმა აღნიშნულ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმბიმე და ქმედების მართლსაწინადმდეგობა და ბრალდებულობის ხარისხი, რაც ხაზს უსვამს კანონმდებლობის იმპერატიულ ნებას, რათა პროკურორმა წინდახედულობა გამოიჩინოს ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ საჯარო ინტერესებთან მიმართებაში, თუმცა, აღნიშნულ პრობლემას არ ხსნის.

კანონმდებლობის მიერ შემოთავაზებული ფორმულირება იმისა, თუ რა გარემოებებს უნდა ითვალისწინებდეს პროკურორი შეთანხმების დადებისას, ძალზე ზოგადი ხასიათისაა. არსებობს დანაშაულები, რომლებიც მოითხოვენ სამართალდამცავთა მხრიდან მკაცრ რეაქციას და საზოგადოებაში ჩნდება კითხვა – შეიძლება თუ არა მკვლელს, მოძალადესა და რეციდივისტს გაუფორმონ საპროცესო შეთანხმება? რა თქმა უნდა აღნიშნული გარიგების დადება საფუძველშივე არ ნიშნავს დამნაშავის სასჯელისგან გათავისუფლებას ან უსამართლო სასჯელის დაკისრებას, მაგრამ კანონმდებლობის შინაარსიდან გამომდინარე გამორიცხული არაა, რომ პროკურორმა არაადეკვატური სასჯელი მოითხოვოს რომელიმე დამნაშავის მიმართ და ამას სასამართლოც დაეთანხმოს. აღნიშნულის საფრთხეს აძლიერებს ისიც, რომ დაზარალებული მოკლებულია უნარს, გაასაჩივროს დაჩქარებული პროცესით გამოტანილი განაჩენი. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? ხომ არ არის საშიშროება იმისა, რომ რომელიმე ბრალდებული ზედმეტად ლმობიერად ან საერთოდ არ ისჯება?

პასუხი ცალსახაა: რა თქმაუნდა, არის.

აღნიშნული სიტუაციიდან ერთი გამოსავალია, ის, რომ ჩარჩოებში მოექცეს დანაშაულთა კატეგორიები, რომელზედაც შესაძლებელი გახდება საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ასეთ ხერხს მიმართეს ესპანეთში, იტალიაში, ბელგიაში.

სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმება უნდა დაიდოს ზემდგომ პროკურორთან წინასწარი თანხმობის წერილობით [13].

მას შემდეგ, რაც ბრალდებულისა და ბრალდების მხარეს შორის მოხდება პოზიციების შეთანხმება, პროკურატურა შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შეთანხმების შინაარსი. შუამდგომლობას ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებულის დამცველი და ბრალდებული (განსასჯელი).

აღნიშნულ შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს ბრალდებულის (განსასჯელის) სახელი, გვარი, დაბადების რიცხვი თვე და წელი, ბრალდების ფორმულირება (ფაბულა) მტკიცებულებანი, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული, პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა და გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მიერ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე ის, რომ სასამართლო არ არის ვალდებული უპირობოდ და მსჯელობის გარეშე გაიზიაროს და დამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, ვინაიდან მოსამართლე გადაწყვეტილებას საპროცესო შეთანხმების შესახებ იღებს კანონის საფუძველზე და უფლებამოსილია არ დამტკიცოს პროკურორსა და ბრალდებულს შორის მიღწეული შეთანხმება.

სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის ან საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტილებიდან პროკურორისთვის საქმის უკან დაბრუნების თაობაზე [13]. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის ბრალის დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი კანონიერია, მას გამოაქვს განაჩენი პროკურორის მიერ შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმება ზღუდავს შეჯიბრებითობის პრინციპს, ვინაიდან შეჯიბრებითობა, პირველ რიგში, გულისხმობს ბრალდებისა და დაცვის მხარის პაქტობას და საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცეში დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩევე და მათი წარმომადგენლები მონაწილეობას ვერ იღებენ [10, 8].

არსებობს ასევე მოსაზრება თითქოსდა საპროცესო შეთანხმებს დადგბისას ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან მიმართებაში პრიორიტეტი ენტება, რადგან დაცვის მხარეს არა აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს გამამართლებელი მტკიცებულებები და თითქოს ამით ირდვევა შეჯიბრებითობის პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის როლი საპროცესო შეთანხმების დადგების დროს მიყენებული მატერიალური, ქონებრივი და მორალური ზიანის მიუხედავად შეზღუდულია, დაყვანილია მინიმუმადგ. საპროცესო შეთანხმების დადგების შესახებ უნდა ეცნობოს დაზარალებულს, თუმცა მას აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ გააჩნია.

თავდაპირველად საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი აღნიშნული შეთანხმების დადგებისათვის დაზარალებულის თანხმობასაც ითვალისწინებდა, მაგრამ სუბსიდიური ბრალდებით სამართლწარმოებისას, სასამართლოები აწყდებოდნენ სამართლებრივ კაზუზს იმ საქმეზე, სადაც პროკურორმა ბრალდებულთან მიაღწია საპროცესო შეთანხმებას, ხოლო დაზარალებული კვლავ განაგრძობდა ბრალდების მხარდაჭერას და ხწორედ ამ გარემოებამ განაპირობა დაჩქარებული პროცესიდან დაზარალებულის განდევნა და მისი უფლებების ამგვარი შეზღუდვა.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმება საქართველოში მისი შემოდგების დღიდან სულ უფრო ხშირად გამოიყენება არა მხოლოდ კორუფციული შემთხვევების დროს, არამედ თითქმის ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულებზე.

საპროცესო შეთანხმების გამოყენების სტატისტიკა საქართველოში 2005–2009 წლებში გვიჩვენებს, რომ 2005 წელს დაიდო 932 საპროცესო შეთანხმება, 2006 წელს – 3.791, 2007 წელს – 8.432, 2008 წელს – 9.207 და 2009 წელს 5.380. საპროცესო შეთანხმება და დასრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი დაფიქსირდა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში 68%, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – თბილისა და აჭარაში 28 %.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად გამოიკვეთა საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის პრობლემატიკა და მის მიმართ გამოოქმული კრიტიკის საფუძვლიანობა თუ უსაფუძვლობა. აქედან ჩანს, რომ მოსამართლეები, პროკურორები და ხელისუფლების წარმომადგენლები ამ სამართლებრივ მექანიზმს დადგებითად აფასებენ და შესაბამისად საქართველოში, ისევე როგორც ამერიკაში, აღნიშნული სასამართლო პროცესი უფრო ალტერნატიული პროკურატურის სახეს იდგას, ვიდრე ჩემულებრივი [14]. იგი არც ისეთი წარმატებულია, როგორც ამას ხელისუფლება წარმოადგენს და არც ისეთი გამოუსწორებელი, როგორც ოპონენტები ახასიათებენ. ფაქტი ერთია – საპროცესო შეთანხმება მნიშვნელოვანი ცვლილებაა, მაგრამ ის სასამართლოების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხისა და სამართალწარმოების არსებითი კულტურის პირობებში სამართლიანობის განმტკიცებას ხელს ვერ უწყობს.

## ბამოუნებული ლიტერატურა

1. ბესელია ე. 2005. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი და ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტი. სტატიათა კრებული. თბილისი.
2. განმარტებითი ბარათი „ანტიკორუფციული დინისძიებების განხორციელების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტი.
3. ვერკაიი რ. 2000. მოსამართლეებს საპროცესო შეთანხმების გამოყენება კერძალებათ. ინდეფენდით.
4. კაციტაძე ნ. 2008. საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა საქართველოში. თბილისი.
5. კორკელია გ. 2004. ადამიანის უფლებათა ეკროპული კონკრეტის გამოყენება საქართველოში. თბილისი.
6. ონიანი დ. 2002. საპროცესო გარიგება. *New York Times*.
7. რატიანი ც. 2006. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, მითი და რეალობა. მართლმაჯულება და კანონი, № 3.
8. სიმსი ს. 2008. საპროცესო შეთანხმების იხტორიული და რასობრივი რეალობები. თბილისი.
9. ხაჩიძე დ. 2004. საპროცესო შეთანხმება. თბილისი.
10. ჭანტურიძე გ. 2007. საპროცესო შეთანხმების მიმართება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან. თბილისი.
11. ჭანტურიძე გ. 2006. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი.
12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2010. თბილისი.
13. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2010. თბილისი.
14. საქ. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები.

Aleksandre Javakhishvili  
Grigol Robakidze University

One of the first acts of Mikheil Saakashvili's government was to introduce plea bargaining into Georgia's legal system. Plea bargain is, quite simply, "an agreement between a prosecutor and a defendant whereby if the accused admits his/her guilt, he/she will be charged with a less serious crime or will receive a less severe punishment". The principle is simple: the accused is recompensed in return for admitting his/her guilt and refusing his/her right to a fair trial and therefore saves all parties from a long and expensive trial.

Georgia is almost unique among countries operating according to the inquisitorial model, in that it has instituted a much more liberalized – indeed almost unlimited - form of plea bargaining than is common in other such systems.

This report aims to analyze the effects of plea bargaining in Georgia and determine what implication its use has had on the right to a fair trial.

The Georgian legal system, like most in continental Europe, is based on the inquisitorial system. This means that the role of the judge is that of an investigator rather than, as is the case in adversarial systems such as the US, an arbiter. The judge hears the evidence from both - the prosecution and the defense and declares both the verdict (guilt or innocence) and the sentence.

The process itself is simple and is codified in the article 679 of the Georgian Criminal Procedural Code. In theory, either the prosecutor or the defendant can start negotiations which must be attended by the accused person's attorney. A plea bargain can be concluded on the charge or on the sentence. The sole difference between these two variants is that in the latter case the defendant pleads *nolle contendre*<sup>1</sup> whereas in the former case he/she pleads guilty. This is not a significant difference as in both cases the defendant, once convicted, is left with a criminal record.

The judge must confirm that the plea bargain was reached voluntarily without the use of threats, deception or violence and that the defendant was properly assisted by a qualified attorney. The judge must also ascertain that the defendant and his lawyer are familiar with the plea bargain agreement and are aware of the repercussions (such as the refusing the right to appeal) of going through with the bargain.

Based on the fact that Georgia was until a few years ago one of the most corrupt states in the world, it would be natural to assume that the most obvious argument for introducing plea bargaining is its utility in the fight against corruption. Indeed, plea bargaining was originally seen primarily as a tool in the post-Rose Revolution anti corruption campaign. The idea is that plea bargaining provides the means for the state to recoup funds lost to corruption. Corrupt officials are allowed to walk freely, provided they compensate the state for the funds they embezzled.

The practice of allowing defendants to walk away without a criminal record was abolished in 2005 in the face of both domestic and international criticism. A prominent opposition politician went as far as to call this practice "legalized state racketeering" and a report by the Council of Europe said that the 2004 version of plea bargaining on the one hand allows some alleged offenders to use the proceeds of their crimes to buy their way out of prison and, on the other, risks being applied arbitrarily, abusively and even for political reasons.

Nevertheless, placing the broader morality of the practice to one side, plea bargaining was successful in the short term as the means of recouping revenue lost to corruption.

It should be noted that during the plea bargaining a victim's role is minimum, binding in point of view for material, property and moral damage. A victim must be informed about the plea bargaining, but a victim does not have the right to appeal the mentioned decision.

At first the Georgian model of plea bargaining for making the mentioned agreement considered also a victim's consent, but during the criminal proceeding with subsidiary charge, the courts encountered with the legal

---

<sup>1</sup> Meaning that the defendant does not contest the charges and accepts the sentence but does not plead guilty.

special case, where the prosecutor reached the plea bargaining with the accused, but the victim still continued to support the accusation. Namely this fact conditioned the victim's withdrawal from the hastened process and such restriction of his/her rights.

It should be noted, that plea bargaining in Georgia since its introduction is more often used not only during the corruption case, but in all kind of criminal cases.

Statistics of using plea bargaining in Georgia in 2005-2009 shows that in 2005 were observed 932 cases of plea bargaining, in 2006 - 3.791, in 2007-8.432, in 2008-9.207 and on 2009 5.380. The highest percent of plea bargaining and of closed cases was fixed in Regional Procurator's Office of West Georgia; it was 68%, but the lowest rates were in Tbilisi and Adzharia - 28%.

Thus, from the above mentioned was clearly shown the problem of the Georgian model of plea bargaining and validity or groundlessness of its criticism. It is obvious that judges, prosecutors and representatives of government are estimating this legal mechanism positively. Consequently, in Georgia, as in America the mentioned suit gets the form of alternative prosecution rather than ordinary. It is not as successful as the government is presenting it and is not as incorrigible as the opponents are characterizing. The fact is one – plea bargaining is the significant change.

**სოფიო ასანიძე**  
**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

**შპანონი შემოსავლის ლეგალიზაციის (ვულის გათეთრების)  
დეტარმინაციის ზოგიერთი საკითხი**

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეფექტური აღკვეთისათვის აუცილებელია, ნათლად გავანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ მასზე. ეს მიზეზები და პირობები შეგვიძლია დავაჯგუფოთ სხვადასხვა ნიშის მიხედვით – საერთო სოციალური, ეკონომიკური, სახელმწიფო-პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური და ა.შ. შემოთავაზებელი კლასიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა კოპლექსურად იქნეს ნაჩვენები ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ შესასწავლ სფეროში და, ამასთან, მათი ანალიზიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე ზემოქმედების ზოგადსოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიურ ზომები.

საერთო სოციალურ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგი მოვლენები:

- დაბალი სოციალური დონე და მოსახლეობის ფენების მკვეთრი პოლარიზაცია. როგორც ცობილია, კრიმინალურ სიტუაციაზე ძლიერ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს შემოსავლების მიხედვით ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მკვეთრი პოლარიზაცია. ბუნებრივია, მოსახლეობის ღარიბი ფენა ცდილობს გაცდებილის ანაზღაურებას, მათ შორის, სხვადასხვა სახის ეკონომიკური დანაშაულების ჩადენით, რომელთა რიგს მიეკუთვნება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაც. ხშირ შემთხვევაში სწორედ ასეთ პირებს აბამენ ფულის გათეთრების ოპერაციებში (გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ გამოიყენება მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ანგარიშები და ა.შ.).
- სამართლებრივი ნიკილიზმი და მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება. მნიშვნელოვან სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ფართოდ გავრცელებული სამართლებრივი ნიკილიზმი და მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე რეაგირებისას. სამართლებრივი ნიკილიზმი არსებითად ზღუდავს ფულის გათეთრების აღკვეთის რეალურ შესაძლებლობებს, ვინაიდან ფულადი სახსრებით თუ სხვა სახის ქონებით განხორციელებული გარიგების სუბიექტები, შესამაბისი ინსტიტუტების (მაგ. ბანკის) თანამშრომელები, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ეს ოპერაციები, რიგითი მოქალაქეები არიან სამართლებრივი აზროვნების დაბალი დონით. თუ ეს ფსიქოლოგია არ შეიცველება შესაბამისი დონისძიებების გატარების შედეგად, მოსახლეობა ვერ გაუწევს დახმარებას სამართლდამცავ სტრუქტურებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში, ეს კი მნიშვნელოვნად დააქვეითებს მათი საქმიანობის ეფექტურობას ამ სფეროში.
- მოსახლეობის სამართლებრივი განათლების დონე. ხაზი უნდა გავუსვათ მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების აუცილებლობას ფულის გათეთრების საკითხებში. თუ მოსახლეობას არ ექნება გაცნობიერებული ის საფრთხეები, რომელსაც დანაშაულის ეს სახეობა ქმნის, ეკონომიკური ურთიერთობებში მონაწილეობისას არ ეცოდინება ამ სფეროში არსებული წესების დაუცველობის იურიდიულ შედეგები, სავსებით შესაძლებელია მარტივად მოხდეს მათი ჩართვა შემოსავლების ლეგალიზებასთან დაკავშირებულ უკანონო საქმიანობაში

(მოქალაქეთა საბანკო ანგარიშების გამოყენება, მათ სახელზე უძრავი ქონების გაფორმება და ა.შ.).

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე არსებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები. ამ ჯგუფის ფაქტორებს შორის შეიძლება მოვიაზროთ:

- ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა, რომელიც არის უკანონო შემოსავლების უმსხვილესი მწარმოებელი და ამავდროულად მომხმარებელიც. ამ ფაქტორის ზემოქმდება ახდენს ფულის გათეთრების პროცესის სტიმულირებას და ზრდის მის მასშტაბებს.
- „საინვესტიციო შიდშილი“ - ცალკეული სახელმწიფო არალეგალური კაპიტალის მიზიდვისათვის პირობების შექმნით ცდილობს მოახდინოს გარკვეული კომპენსირება ეკონომიკური განვითარების დაფინანსების კანონიერი წყაროების არარსებობისა (როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნები დილემის წინაშე არიან – დაუშვან არალეგალური კაპიტალის შემოდინება, თუ შეეგუონ ფულადი ნაკადის საერთოდ არარსებობას). [3-გვ320]
- ეკონომიკური ხასიათის შემდეგ ფაქტორად მიიჩნევა კრიმინალური ინდუსტრიის სფეროს გაფართოვება, რის შედეგადაც ხდება დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლების მიღება, რომელიც საჭიროებს შემდგომ გათეთრებას. არსებობს ცალკეული ეკონომისტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საბაზრო ეკონომიკისთვის არ აქვს მნიშვნელობა ეკონომიკურ ბრუნვაში ლეგალური კაპიტალი ერთვება თუ არალეგალური. ასეთ მოსაზრებას, ბუნებრივია, ვერ დავეთანხმებით. ერთი შეხედვით, ლეგალურ ბრუნვაში კრიმინალური კაპიტალის გამოყენებას კანონიერი მეწარმოების განვითარების საქმეში საზოგადოებისთვის მოაქვს აშკარა სარგებლობა - მუშავდება საწარმოები, საქმდება მოსახლეობა, მზადდება პროდუქცია, ბიუჯეტში ირიცხება გადასახადები. თუმცა, არ უნდა დაგვაგიწყდეს, რომ ლეგალურ ბრუნვაში ჩართული და „სახეცვლილი“ ფული არცოუ იშვიათად რეინვესტირდება ისევ კრიმინალურ საქმიანობაში, სამეწარმო სფეროში ამკვიდრებს დანაშაულებრივი სამყაროს წეს-ჩვეულებებს, ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს გზას უხსნის დიდი პოლიტიკისკენ; ეს უკვლავერი იწვევს საზოგადოების დაძაბვას, სუფთა ბიზნესის წარმოების მიმზიდველობის დაქვეითებას, ბაზრის კანონმორჩილი სუბიექტების ინვესტიციების გადინებას და, როგორც წესი, შედეგად ეკონომიკური კრიზისის გადრმავებას. დანაშაულებრივი ინდუსტრიის, სხვადასახვა დონის დანაშაულებრივი ორგანიზაციების განვითარება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას აქცევს ამ ინდუსტრიისა და ორგანიზაციების ფუნქციონირების ჩვეულებრივ საშუალებად.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის პროცესზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ხასიათის ფაქტორები. დანაშაულობის, მათ შორის ფულის გათეთრების წინააღმდეგ უფექტური ბრძოლისთვის აუცილებელია, რომ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ტექნოლოგიები და, მათ შორის, დანაშაულობაზე კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიები სრულყოფილად და მკაფიოდ იქნეს ჩამოყალიბებული. ფულის გათეთრების მასტიმულირებელ სახელმწიფო-პოლიტიკურ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება მოვიაზროთ:

- სახელმწიფო ნების არარსებობა ებრძოლოს ამ მოვლენას – ფულის გათეთრება დანაშაულის ის კატეგორიაა, რომლის წინააღმდეგ უფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია მკაფიოდ ფორმულირებული სახელმწიფო ნების არსებობა და მისი რეალიზება როგორც კანონმდებლობაში, ასევე ადმინისტრაციულ მექნიზმებში. სწორედ ქვეყნის ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მკაცრად გაკონტროლდეს ქვეყანაში შემოდინებული ინვესტიციების წარმომავლობის კანონიერება, საფინანსო სისტემაზე კონტროლის დამყარება ვერ შეძლოს დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა და ა.შ.

- მთავრობის უსუსურობა – ხელისუფლების უსუსურობად შეიძლება მივიჩნიოთ, როდესაც არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, მაკონტროლებელი ორგანოები, მაგრამ არ არის საკმარისი მატერიალური, ფინანსური თუ ტექნიკური რესურსები დანაშაულის აღსაკვეთად. გათეთრების ადმინისტრაციული უნდა შეესაბამებოდეს თავად მოვლენის მასშტაბებს. ბუნებრივია, რომ მილიონობით დოლარის გათეთრების აღკვეთას იაფფასიანი სისტემა ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სისტემისათვის ასევე უმნიშვნელოვანები ინსტრუმენტი უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის არსებობა - მრავალფუნქციური და მრავალდარგობრივი მონაცემთა ბანკის სახით. ბუნებრივია, ეს უკელაფერი საკმაოდ სოლიდური სახსრების ხარჯვასთანაა დაკავშირებული.
- საკანონმდებლო ხარვეზები – ფულის გათეთრების აღკვეთის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიული ბაზა პასუხობდეს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მოთხოვნებს, მაქსიმალურად ასახავდეს ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს და არ ითვალისწინებდეს ისეთ საკანონმდებლო გამონაკლისებს, რომლებითაც შესაძლოა ისარგებლონ დამნაშავეებმა ლეგალიზაციის ოპერაციების განხორციელებისას.
- კორუფცია. არ შეიძლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემის გადაჭრა კორუფციისგან იზოლირებულად. კორუმპირებული ჩინოვნიკები ერთი მხრივ წარმოადგენენ გათეთრების „მომსახურების“ ყველაზე უფრო აქტიურ მომხმარებლებს, ხოლო მეორე მხრივ - პრაქტიკულად გათეთრების ყველა მექანიზმში გამოიყენება კორუფციული კავშირები. შესაბამისად, ქვეყანაში, სადაც კორუფციის მაჩვენებლები მაღალია, პრალელურად მაღალია უკანონო სახსრების ლეგალიზების მაჩვენებლებიც.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანების ხელშემწყობ პირობად უნდა მივიჩნიოთ გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან განხორციელებული ტექნოლოგიური პროგრესი - ბანკთაშორისი საკომუნიკაციო ქსელის შექმნა საერთაშორისო ანგარიშსწორების საწარმოებლად, ინტერნეტ ტექნოლოგიები, მობილური სატელეფონო კავშირი, პლასტიკური ბარათები და ა.შ. ამ ყველაფერმა ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია, სახსრების მსოფლიოს ერთი წერტილიდან მეორეში წამიერი გადატანის შესაძლებლობა შექმნა და თავისთავად განაპირობა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის მასშტაბების ზრდა. ფულის გათეთრება ტრანსნაციონალური დანაშაულია და ბუნებრივია, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალება მეტად მოქნილად გამოიყენება დამნაშავეების მიერ სახსრების ლეგალიზებისას. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ახალი სტიმული შექმნა როგორც კანონიერი სამეწარმეო, ასევე კრიმინალური საქმიანობისთვის. მასობრივმა კომუნიკაციებმა გააიოლა კონტაქტების დამყარება საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, თანამედროვე საბანკო საქმიანობამ კი დააჩქარა და გაადგილა საერთაშორისო გარიგებების დადების პროცედურა.

უშავლოდ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სფეროსთან დაკავშირებულ სპეციალური ხასიათის ფაქტორებს შორის, უმნიშვნელოვანებად შეიძლება მივიჩნიოთ ფულის გათეთრების სფეროში სპეციალისტთა გარეკვეული სახის გილდიის შექმნა, რომელშიც შედიან ბანკირები, იურისტები, ბუდალტრები. [1.გვ.219] ისინი არანაირად არ არიან დაკავშირებული კრიმინალურ სამყაროსთან, გარდა იმისა, რომ გეგმავენ და უზრუნველყოფენ უკანონო შემოსავლების წყაროს დაფარვას და სხვა ოპერაციებს, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ ამ შემოსავლებს კანონიერი სახე მიეცეს და შემდგომში ჩაიდოს ლეგალურ ბიზნესში. უკანონო შემოსავლებით მანიპულაციის, მათოვის კანონიერი სახის მიცემისა და ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩადების სანაცვლოდ კი იღებენ საქმაოდ სოლიდურ საკომისიოს. აღნიშნული ფაქტორის არსებობა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მოითხოვს ადეკვატური ზომების გატარებას, რომლებითაც შესაძლებელი იქნება ზემოაღნიშნული სახეობის სპეციალისტების პროფესიონალური განეიტრალურება.

მნიშვნელოვან სპეციალურ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, წარმოადგენს ასევე შესასწავლი პროცესის სულ უფრო და უფრო მზარდი ინტერნაციონალიზაცია, რაც გამოწვეულია საფინანსო ბაზრის ინტეგრაციით და უკანონო შემოსავლების მიმღები პირების მცდელობით, თავი აარიდონ მათი უკანონო საქმიანობის გამოვლენას შავი ფულის კონცენტრაციის ხარჯზე იმ ქვეყნებში, სადაც არ ხორციელდება ფინანსური კონტროლი ან ამ კუთხით სახეზეა არსებითი ნაკლოვანებები. ამ თვალსაზრისით ფულის გათეორების ერთ-ერთ უმთავრეს და მიმზიდველ საშუალებად ისევ რჩება ოფშორული ფირმები, რომლებიც ფინანსური ოპერაციების საიდუმლო გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და საგადასახადო დაბეგვრისაგან მათი გათავისუფლების შესაძლებლობას იძლევიან.

ძირითადი ფაქტორების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის პროცესზე და განაპირობებენ მის არსებობასა და განვითარებას, საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1) მოვლენები და პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სფეროზე, ატარებენ როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ ხასიათს. მათი სისტემა მუდმივ შესწავლას საჭიროებს, ვინაიდან ეკონომიკური ურთიერთობის სწრაფი ცვლილებების გამო, ეს ფაქტორებიც ანალოგიურად სწრაფად იცვლება.

2) ზოგადი ხასიათის ფაქტორების (დაბალი სოციალური დონე, ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია და ა.შ.) ერთობლიობა საჭიროებს ანალიზს ზოგადსოციალური ხასიათის ღონისძიებების ადეპატური სისტემის შემუშავების თვალსაზრისით, რაც მიმართული იქნება ფულის გათეორებაზე აღნიშნული ფაქტორების გავლენის მინიმიზაციისკენ.

3) განსაკუთრებით დეტალურ ანალიზს მოითხოვს სპეციალური ხასიათის ფაქტორები (ფულის გათეორების პროცესის „პროფესიონალიზაცია“, ინტერნაციონალიზაცია და ა.შ.), ვინაიდან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი უკანონო შემოსავლის ლაგალიზაციის სფეროში შექმნილ სიტუაციაზე რეაგირების მოსახდენად სპეციალურ-კრიმინოლოგიური ღონისძიებების შემუშავება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ღლონტი გ., მოსულიშვილი მ., დაუთაშვილი პ. 2009. კორუფცია. თბილისი: პოლიგრაფი.
2. Bartlett B.L. 2002. *The Negative Effects of Money Laundering on Economic Development*. Manila.
3. Gilmore W.C. 1995. *Dirty money: the evolution of money laundering countermeasures*.-Strasbourg: Council of Europe. 320 p.
4. Official web-page of the Committee of Experts of European Union evaluating the implemented arrangements against money laundering – [www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval) (23.08.2011)
5. Official web-page of the International Commission for fighting against money laundering– [www.fatf-gafi.org](http://www.fatf-gafi.org) (17.09.2011)

*Sophio Asanidze  
Grigol Robakidze University*

## **Some Issues for Determination of Legalization of Illegal Revenue (Money Laundering)**

### **Summary**

For the effective suppression of legalization of illegal revenues we shall analyze clearly those factors which substantially affect them. These reasons and conditions might be grouped according to various signs – general social, economic, state-political, legal, technological, etc. The proposed classification provides the opportunity to show comprehensively the factors acting in the research sphere and thus, due to their analysis general social and special criminological measures for affecting onto the legalization process of the illegal revenues should be generated.

The following events might be united into the common social reasons and facilitating conditions:

- Low social level ad sharp polarization of population segments. As it is widely known, the criminal situation is exposed to strong negative influence by sharp polarization of various segments of population according to the revenues. Naturally, the poor strata of the population tries to compensate the spared of, among them committing various types of economic crime, to which legalization of the illegal revenues belong as well. In most cases such persons exactly are used for implementation of the operations for money laundering (for the particular fee their identification data, accounts, etc. are used).
- Legal nihilism and indifferent attitude of the population. Widely spread legal nihilism and indifferent attitude of the population while reacting on facts of legalization of the illegal revenues should be considered as the significant social-psychological factor. Legal nihilism significantly restricts real opportunities of suppression of money laundering, as the subjects of the deals implemented by means of the monetary funds or other type of property, employees of the appropriate institutes (e.g. bank), with the assistance of which these operations are carried out, ordinary citizens are distinguished for the low level of the legal thinking. If such psychology does not change as the result of implementing appropriate arrangements, the population will not be able to assist law-enforcement agencies in suppression of legalization of the illegal revenues, and that will lower significantly their effectiveness in this field.
- Level of the legal development of the population. The necessity of raising the consciousness of the population on issues regarding money laundering shall be underlined. If the population is not aware of those issues which are born by this type of the crime, if the population while participating in economical relations is not familiar with the legal results of non-implementation of the rules existing in this field, it is possible to involve them simply into illegal activities related to legalization of the illegal revenues (using bank accounts of citizens, closing down the real estate on their names, etc.).

Factors of economic nature have significant impact on legalization of illegal revenues. Among the factors of this group the following might be considered:

- Existence of the shadow economy which is the major producer of the illegal revenues and the consumer at the same time. Impact of this factor stimulates the money laundering process and increases its scopes.
- “Investment famine” – particular states establishing the conditions for attracting the illegal capital attempt to compensate non-existence of the legal financing sources aimed at their economic development (as a rule, developing countries are facing the dilemma – to allow inflow of the illegal capital or to put up with complete non-existence of the cash flow).
- Another factor of the economic nature is expansion of the field of criminal industry, as a result of which huge amount of the illegal revenues are obtained which requires subsequent laundering. There is the opinion of the particular economists regarding the fact that for the market economy it does not matter whether the legal or illegal capital is involved into the economic turnover. Naturally, we might not agree with it. From the very first sight directing the criminal capital into the legal turnover in the development of the legal enterprise bring definite benefits for the society from the point of view of developing the enterprise – the enterprises start to work, the population gets employed, the production is manufactured, and the taxes are transferred to the budget. Though it shall not be forgotten that the “altered” money involved into the legal turnover is reinvested not so rarely into the criminal activities, introduces rules and habits of the criminal world into the field of enterprise,

opens the way towards the big politics to the organized criminal alignments, and everything this causes tension for the society lowering the attractiveness of leading clean business, outflow of the investments by the law-abiding subjects at the market and as a rule, the economical crisis gets aggravated. Development of the criminal industry, as well as the criminal organizations of various levels turns the legalization of the illegal revenues into the ordinary means of functioning for this industry and organizations.

Factors of political and organizational legal nature also have significant impact onto the process of legalization of the illegal revenues. For the effective fight against the crime, and the money laundering among them, it is necessary to develop the political system of the country, political technologies and the technologies of control over the crime in perfect and definite style. Among the reasons and facilitating conditions for stimulation of the money laundering the following might be considered:

- Absence of the state will to combat this phenomenon – money laundering is the category of the crime, for fighting effectively against which existence of the definitely established state will is required, and its realization shall be carried out in legislation as well as in administrative mechanisms. The government of the country shall be interested to control strictly the legality of the origins of the investments inflowing into the country; in order the criminal alignments could not establish control over the finance system, etc.
- Inability of the government – the government might be considered as weak and lacking of abilities, when the appropriate legislative base exists, controlling bodies, but there is no sufficient material, financial or technical resources in order to suppress the crime. Value of the money laundering suppression system shall correspond to the scopes of the event itself. Naturally, the cheap system might not oppose effectively to the laundering of million dollars. For the system of suppression of legalization of the illegal revenues the most important instrument shall be also existence of the appropriate technical support – as the multifunctional and diversified data bank. Naturally, all these are connected to the quite solid means.
- Legislative faults – from the point of view of suppression of money laundering, it is especially significant that the normative base respond to the requirements of the effective fight against legalization of the illegal revenues reflect maximally the international standards acting into field and not foresee such legislative exceptions which might be applied for by the criminals for implementation of the legalization operations.
- Corruption. Solution of the problem of legalization of the illegal revenues is not possible in isolation from corruption. Corrupted officials on the one hand represent the most active consumers of the laundering “service” and on the other hand – practically in all the mechanisms of money laundering corrupted relations are used. Therefore, in the country where the corruption indicator is high, simultaneously the indicators of legalization of the illegal assets are also high.

One of the most important facilitating conditions for legalization of the illegal revenues should be considered the technological progress implemented starting from 70-80s of the last century – establishing the interbank communicational network for implementing the international settlement, internet technologies, mobile telephone connection, plastic cards, etc. All these provided the opportunity for globalization of financial markets, creating opportunity for the instant transfer of the assets from one point of the world to the other, and that of course preconditioned expansion of the scopes for legalization of the illegal revenues. Money laundering is the transnational crime and, naturally, all the above mentioned means are used in a very flexible way by the criminals for legalization of the assets. Modern technologies gave new stimulus to the legal enterprising as well as to the criminal activities. Mass communication facilitated establishing the contacts with foreign partners, and the modern bank activities accelerated and simplified the procedure of drawing the international deals.

Among the factors of special character which deals directly with the field of legalization of the illegal revenues, one of the most important factors might be consider establishing the kind of guild of the specialists involved into the field of money laundering the members of which are bankers, lawyers, and accountants. They are not related to the criminal world, besides the fact that they plan and secure covering the source of the illegal revenues and other operations which are directed to provide such revenues with the legal outlook and consequently to be reinvested into the legal business; but for manipulation with the illegal revenues, legalizing

them and investing into the legal economic turnover they receive quite solid commission. Existence of the indicated factor from the appropriate state structures requires taking the adequate measures which might stand up to the professionalism of the specialists of the above mentioned field.

The significant special factor, which affects legalization of the illegal revenues, is also the growing internationalization of the research process which is caused by integration of the finance market and with attempts of the persons receiving the illegal revenues to avoid revelation of their illegal activities for account of concentration of the black money in those countries where financial control is not carried out or bear significant faults. From this point of view, one of the most important and attractive means for money laundering still remains the offshore firms which give opportunity to implement financial operations in secret environment and thus, to stay free from taxation.

Studying of the general factors which affect the process of legalization of the illegal revenues and precondition its existence and development allow us to draw the following conclusions:

- 1) The events and processes which affect the field of legalization of the illegal revenues bear objective as well as subjective character. Their system requires constant studying due to the fast changes into the economic relations, and these factors also change very fast.
- 2) Complexity of the factors of general character requires analyzing from the point of view of the development of the adequate system of the general social arrangements which will be directed towards money laundering while minimizing the impact of the indicated factors.
- 3) The factors of special character require especially detailed analysis, as only thus it is possible to elaborate special criminological arrangements for reacting on the situation established in the field of legalization of the illegal revenues.

ამირან მოსულიშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

### ნარკომანის პროგლემა თაობათა ურთიერთობის ჰრილში

ურთიერთობების არასწორი წარმართვა ხშირად დაღს ასვამს მოზარდების სულიერ სამყაროს, რაც შემდგომში შეიძლება ნებატიურად აისახოს მათ ქვევაზე და ნარკოტიკების მოხმარებისკენ უბიძგოს. მშობლებისა და შვილების ურთიერთობა გამოირჩევა დიდი ემოციური დატვირთვით და იცვლება შვილების ასაკთან ერთად. ურთიერთობისას მნიშვნელოვანია შვილმა იგრძნოს, რომ მშობელი ზრუნავს მის უსაფრთხოებაზე, ცდილობს შეუქმნას დადებითი ემოციების გარემო, დაუკმაყოფილოს მოთხოვნილებები. შვილის მშობლისადმი დამოკიდებულებას ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია უდევს საფუძვლად. ერთი მას სიახლის შეცნობისა და რისკისკენ უბიძგებს, მეორე – დაცვისა და უსაფრთხოებისკენ. პირველი მათგანი აიძულებს შვილებს, გამოეყონ მშობლებს და გარე სამყაროსკენ ისწრაფონ, მეორე კი მათ მშობლიურ კერასთან აბრუნებს. მშობლებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია აღნიშნული ტენდენციების პარმონიულად წარმართვა, რაც კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებს ბავშვის მომავალზე.

პრობლემურ ოჯახებში, სადაც დარღვეულია ამგვარი პარმონია, ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული ტენდენცია მნიშვნელოვნად პრევალირებს ხოლმე. პირველ შემთხვევაში იკვეთება თაობებს შორის ემოციური დაპირისპირება, მშობლები ფორმალურად ეკიდებიან შვილების აღზრდას, ნაკლებად აინტერესებთ მათი ცხოვრება, ბავშვი კონტროლის გარეშე რჩება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების ამარა, რაც დაღს ასვამს მის სულიერ სამყაროს. მეორე შემთხვევაში სულ სხვა სურათი იქმნება: მშობელი ზედმეტად აკონტროლებს შვილს, უზღუდავს მას თავისუფლებას, მუდმივად უმწიფრად მიიჩნევს და პასუხისმგებლობას იღებს მთელ მის ცხოვრებაზე. ამ შემთხვევაში, ბავშვი, რომელსაც ადრეულ ასაკში არ შეეძლო მშობლისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ასაკის მატებასთან ერთად, პროტესტის აქტიურად გამოხატვას იწყებს. მდგომარეობას, როდესაც ადამიანს საშუალება უჩნდება აკეთოს ის, რაც მას ადრე ეკრძალებოდა, მეცნიერებმა “თავისუფლებით მოწამვლა” უწოდეს. ხშირად ასეთი თავისუფლებისა და მშობლის მუდმივი კონტროლისაგან თავის დაღწევის სიმბოლოდ მოზარდისთვის ნარკოტიკის მოხმარება ხდება ხოლმე, [2] ხოლო როდესაც საქმე ნარკოტიკის მოხმარებამდე მიდის, მშობელი, როგორც წესი, უძლურია რაიმე ზეგავლენა მოახდინოს შვილზე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობების ფორმებს – ვერბალურსა თუ ემოციურს. ცნობილია, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობა არ გამოიხატება მხოლოდ სიტყვებით. გზავნილის შინაარსი აისახება ასევე ინტონაციაში, მიმიკასა თუ ექსტებში. ოჯახებში, სადაც ნარკომანიის პრობლემაა, გაუცხოება და ფარული ქვეტექსტებით ურთიერთობა მკვიდრდება, როდესაც ერთს ამბობენ, შინაარსი კი სხვას გულისხმობს.

ორაზროვანი ინფორმაციის გადაცემა, თავის მხრივ, კიდევ უფრო ართულებს ურთიერთობებს მშობლებსა და შვილებს შორის. ახალგაზრდებს არ მიეწოდებათ მათოვის აუცილებელი ინფორმაცია საჭირო ფორმით, რაც ამძიმებს მათ ფსიქოლოგიურ პრობლემებს და ნეგატიურ შედეგებს იწვევს. ეს კი ის დამატებითი გარემოებაა, რომელიც ახალგაზრდებში სხვადასხვა პათოლოგიის აღმოცენებას უწყობს ხელს.

ალკოჰოლიზმით დაავადებულთა ოჯახებში დაბადებული და გაზრდილი ბავშვებისათვის ხშირია იმის რისკი, რომ ისინიც ბოროტად გამოიყენებენ ალკოჰოლს და ნარკოტიკებს მიეძალებიან. ამაში თავის როლს ცუდი მაგალითის გარდა, გენეტიკური ფაქტორიც ასრულებს.

არსებობენ ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ შვილების სწორად აღზრდის უნარი. ასეთ ოჯახებში არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქცევის ნორმები, რასაც თან სდევს ახალგაზრდებზე კონტროლის შესუსტება და მათაც შეუძლიათ, რაც სურთ ის აკეთონ, მაგალითად, მოიხმარონ ნარკოტიკები. თავისუფლების მაპროვოცირებელი ამგვარი ფაქტორი ხშირად ოჯახებში ცოლ-ქმარს შორის არსებული მუდმივი კონფლიქტებიცაა, რის გამოც მშობლები ზეობრივ ზეგავლენას ვედარ ახდენენ შვილებზე და ვეღარც მათ ნეგატიურ მოქმედებებს აკონტროლებენ.

საინტერესოა ერთი დაკვირვებაც, ნარკომანის პრობლემა დიდია ახალგაზრდებს შორის, რომლებიც იზრდებიან არასრულ ოჯახებში. ეს გარემოება ბადებს პრობლემათა რიგს, ქმნის ნერვული გადიზიანებისა და სტრესის ფონს, რაც, თავის

მხრივ, ზრდის ნარკოტიკების გამოყენების რისკს. კვლევები გვიჩვენებენ, რომ ნარკომანების დაახლოებით 51% არასრულ ოჯახებში იზრდებოდა. ამ გარემოებას არ იწვევს მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის ფიზიკური არყოფნა ოჯახში. საქმე იმაშია, რომ ოჯახის სტრუქტურულ ნგრევას ფსიქოლოგიური დაძაბულობის ზრდა და შესაბამისად, დარჩენილ წევრებს შორის კონფლიქტების გახშირება ახლავს თან. მარტო დარჩენილი მშობელი, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს ხალგაზრდის სრულფასოვან აღზრდას.

ამერიკელი მეცნიერების კვლევებით ირკვევა, რომ ახალგაზრდებს შორის, რომელთაც მხოლოდ დედა ზრდით, მეტია ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების რისკი. ამის მიზეზი არ არის მხოლოდ მეუღლის გარეშე დარჩენილი მშობლის მიერ განხორციელებული კონტროლის სისუსტე. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, არასრული ოჯახების შვილები ხშირ შემთხვევაში მშობლების დაშორების გამო თავს იდანაშაულებენ და სტრესის ფონზე იწყებენ ნარკოტიკების გამოყენებას. [3]

უდავოა, რომ ნარკომანის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ადამიანის ხასიათის თავისებურებები. დღეისათვის არ არის დადგენილი ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც ყველა ნარკოტიკების მომხმარებლისთვის ერთნაირად ნიშანდობლივია. მდგრმარეობას ართულებს ისიც, რომ ნარკომანის პიროვნების გამოკვლევა ხორციელდება მაშინ, როდესაც ის უკვე დაავადებულია ამ სენით და როგორია ამოსავალ ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებზე საუბარი.

ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების დაწყების მიების პროცესში, პირველ ადგილზე ხშირად “ცნობისმოყვარეობა” დგას. ამის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ახალგაზრდების მუდმივი სწრაფვა სიახლის შეგრძნებისკენ, რაც ამაღლებებულია მათოვის. ერთი მხრივ, ეს არის ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა, რომელიც ადამიანს გააჩნია და მასში ძალზე პატარა ასაკიდან ვლინდება, რაც უდავოდ დადებითი მოვლენაა. ახალგაზრდები უფრო ხშირად სინჯავენ ნარკოტიკებს, რათა საკუთარ თავზე გამოცადონ მისი ზემოქმედება. სამწუხაორი, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილს შემდგომში ნარკოტიკული ნივთიერების მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულებისა და ფიზიკური აბსტინენციის ჩამოყალიბება ერთვის, რაც საბოლოოდ პიროვნებას იძულებულს ხდის, მუდმივად გამოიყენოს პრეპარატი.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდები ნარკოტიკულ საშუალებებს ხშირ შემთხვევაში თანატოლებთან ერთად სინჯავენ და მოიხმარენ. ახალგაზრდას კმაყოფილებას ერთი მხრივ ნარკოტიკის მოხმარება ანიჭებს, მეორე მხრივ კი “თავისიანებთან” ერთ ჯგუფში ყოფნის ფაქტი, რაც მოცემული მომენტისთვის მისთვის პრესტიულია. თანაც სხვა შემთხვევაში ახალგაზრდას შეიძლება არც ჰქონოდა საშუალება ყოფილიყო რომელიმე “ჯგუფის” წევრი.

ახალგაზრდებზე საუბრისას ყურადღება განსაკუთრებით სკოლის დამამთავრებელ ასაკზე უნდა გამახვილდეს. ამ პერიოდში მოზარდებში იცვლება პორმონალური ფონი, მატულობს ემოციური არასტაბილობა, ჩნდება ბევრი ახალი სტრესი, რაც რეალობისგან გაქცევის სურვილს ბადებს და ნარკოტიკების მოხმარების პროვოკირებას უწყობს ხელს. [4]

როდესაც საუბარია ნარკოტიკების მოხმარების მიზეზებზე ახალგაზრდებში, აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს აკადემიური მოსწრების საკითხზე. დაბალმა აკადემიურმა მოსწრებამ, ასევე საშუალო სკოლება და უმაღლეს სასწავლებლებში თანაზოლებთან ადაპტაციის პრობლემების არსებობამ ახალგაზრდაში შეიძლება უარყოფითი ემოციები და მათი ნარკოტიკულ თრობაში ჩაკვლის სურვილი აღძრას. მოზარდებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული სწავლაში, ახლოს არიან სკოლასთან და სწავლისას დადებით ემოციებს განიცდიან, ამგვარი გართულებები ნაკლებად ემუქრებათ, ხოლო მოსწავლეთა კატეგორიას, რომელსაც არ აქვს სწავლის სურვილი, არ დადის სკოლაში, არ აკეთებს საშინაო დავალებებს, მეტი თავისუფალი დრო, მისი ფუქსავაზურად გამოყენების და შესაბამისად, ნარკოტიკებთან ზიარების მეტი შანსი აქვს.

შედარებით რთულია მდგომარეობა, როდესაც ახალგაზრდას შიშის გრძნობა ბოჭავს და რა იცის, თუ რა იწვევს მას. შესაბამისად, არ აქვს უნარი ადეკვატური რეაქცია იქონიოს მასზე. ეს გარემოება ახალგაზრდისთვის ძლიერ დამთრგუნგელია, უჭირს ან ვერ ახერხებს მასთან გამკლავებას და სტრესის მოსახსნელად ნარკოტიკულ საშუალებებს ეტანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუწყონ ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების გამოყენებას, შემდეგია:

- ბრძოლა ოჯახურ კულტურასა და ნარკომანულ სუბკულტურას შორის. ამ დროს, ხშირ შემთხვევებში, უფრო მეტი პოტენციალი დღევანდელ საზოგადოებაში ნარკომანულ სუბკულტურას გააჩნია.
- ძნელად გასაგები და არასრულად ლოკალიზებული შიშის ფაქტორი, მათ შორის, ოჯახური წარმომავლობისა, რომელსაც საფუძვლად პრობლემური სიტუაციის დროს არასრულწლოვნის თვითდაჯერებას მოქლებული მოქმედება ედება. ახალგაზრდას არ შესწევს უნარი გააანალიზოს, თუ რა წარმოშობს მასში შიშის გრძნობას.
- სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოთხოვნილების დაუცმაყოფილებლობა ახალგაზრდებში, რისი მიზეზიც ოჯახის არაჯანსაღი ქცევითი მაგალითებით თანმხლები ნეგატიური ზემოქმედებით. ოჯახებში, რომლებშიც არაჯანსაღი გარემოა, არ არსებობს პრობლემების გამკლავების უნარი, რაც ახალგაზრდებს ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში დროისტარებისკენ უბიძგებს.

ხშირად ერთადერთი, რისი გაკეთებაც ნარკომანს კარგად შეუძლია, ნარკოტიკის მოპოვება და გამოყენება. თავიდან ნარკოტიკის დანიშნულება სტრესის მოხსნაა, რაც თანდათანობით ნარკომანის ერთადერთ სურვილად რჩება. ამიტომ ფიგურირებს ნარკომანებს შორის გამონათქვამი: “შე ნარკოტიკების გარდა სხვა არაფერი ვიცი და არც არაფერი მინდა ”. [1]

ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანისთვის იხსნება აკრძალვები, ქრება შიში, ახალგაზრდას თავი ყველაფრის შემძლე ჰგონია. რეალურ ცხოვრებაშიწარუმატებელ და დაუცველ ახალგაზრდებს ნარკოტიკის მოხმარება შესაძლებლობას აძლევს, თავი ბედნიერად და ყველაფრის შემძლე იგრძნონ. მათ ბატონკაცობისა და იმის იღუზია უჩნდებათ, რომ შეუძლიათ ყველას ზემოდან უყურონ. ნარკოტიკზე უარის თქმა ახალგაზრდაში პრობლემურ რეალობაში დაბრუნების შიშს ბადებს, რაც მისთვის მეტად დამთრგუნველია და “წამლისაღმი” ფსიქოლოგიურ ლტოლვას ამძაფრებს. ცნობილია, რომ ფიზიკური ლტოლვა ნარკოტიკის მიმართ უფრო იოლი დასაძლევია, ვიდრე ფსიქოლოგიური.

სწორედ ეს გარემოებაა ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებელი ახალგაზრდების რეაბილიტაციის დროს იჩენს თავს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარამიძე ა. 2010. ნარკომანია როგორც ოჯახური პრობლემა. *ფსიქოლოგია*. კრებული. ტ. XXII. თბილისი: დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.
2. მოსულიშვილი ა. 2010. Drug addiction in young generation - social research. *European Scientific Institute & University "Grigol Robakidze"*. Tbilisi. Georgia.
3. მოსულიშვილი ა. 2008. მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებათა დაგალიზაციის შესაძლო თანხვედრი შედეგები საქართველოში. *კრიმინოლოგია*. №2 (3) თბილისი: გრიგორ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამოცემლობა.
4. მოსულიშვილი ა. 2009. ნარკომანიასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა. გრიგორ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები. თბილისი: გრიგორ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამოცემლობა.

**Amiran Mosulishvili**  
*Grigol Robakidze University*

## Problem of Drug Addiction in Generations' Interrelation

### Summary

Development of incorrect relations among juveniles can cause different kinds of pathologies that can negatively influence upon their behavior and drug use. Relations between parents and children carry enormous emotional meaning. Parents' attitude towards children varies according to their age. From parents' side, it is important to express care, protection, creation of the positive atmosphere, satisfaction of their demands and other important factors.

Relations between parents and children contain two opposite tendencies. One of them is aspiration to acknowledge something new and to take a risk, and the second one is aspiration for security and protection. The first tendency makes children separate from their parents and join the existing reality and the second one makes them go back. The correct direction of such tendencies is very important for parents as it makes positive influence upon children.

Drug use is like an argument for juveniles for their freedom and very often parents are unable to interfere in their lives. Forms of relations are very important in the communication between parents and children. This is verbal and emotional communication. We know that relation among people is expressed not only by words but also the content of massages is expressed by intonation, mimicry, gestures, etc. In those families where we come across the problem of drug addiction some, kind of secretiveness and secrete communication takes place. In this case one is said and another is meant.

Important factors that may cause drug addiction in juveniles are the following:

- Gap between family culture and drug addiction sub-culture. Mostly, in this case the drug addiction sub-culture has more potential in the current reality.
- Hardly understandable and incompletely localized factor of fear, among them of family lineage which is based on a juvenile's unassured action during the problematical situation. A juvenile is unable to make analyze correctly the factor causing this fear.
- Dissatisfaction of different demands. One of its reasons is the examples of unhealthy family behaviors that make negative influence upon a juvenile. In unhealthy families there are no ways to cope with the problems and juveniles are forced to waste time in the "narcotized" atmosphere created by drugs.

Very often, the only thing a drug addict can do is to obtain and use drugs. At first, the aim of drugs is to get rid of stress, but gradually it becomes the only desire for him/her. That is why drug addicts have such consideration: "I know nothing except drugs and that's why I want nothing except drugs".

Under the drug influence a person gets enormous possibilities: there are no prohibitions, no fear and a young person feels himself/herself omnipotent. Those young people who are unlucky in the real life and have no protection, drugs give them possibility to feel omnipotent and happy. They have the illusion of superiority. If a young person decides to give up drugs, the fear of returning to the problematical reality appears what it is quite suppressive. It is one of the main problems young people come across during the rehabilitation process.

There is no doubt that human characteristics play enormous role in the development of drug addiction. Today, the personal qualities characteristic to every drug addicted person in common are not revealed. Besides other difficulties, there is one more thing – the investigation of a drug addict is made when he is sick with this disease and it is too difficult to reveal those conditions that had brought him/her to such state.

Very often, while searching the motives of starting the drug use, "curiosity" takes the first place. The basis of this fact can be considered youth's constant striving for feeling something new and exciting. On the one hand, this is natural curiosity characteristic to a human being, what obviously is a positive feature. It is revealed from the very childhood and stays the whole life and stimulates him/her to do other positive things.

Some young people also try drugs to experience their influence personally. Unfortunately, this "feeling of curiosity" deepens in future and finally, enforces such a person to use drugs permanently.

## ალექსანდრე ღლონტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

### აქტუალური დანაშაულების შედარებითი სტატისტიკური ანალიზი საქართველოსა და საზღვარგარეთის მიზნები

წინამდებარე კვლევის მიზანია დადგინდეს, თუ რამდენად ეფექტურია დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმები საქართველოში, რა სახის პროცესს მიაღწია საქართველომ ამ კუთხით და რა გამოცდილების დანერგვა იქნებოდა მიზანშეწონილი აღნიშნული მექანიზმების შემდგომი სრულყოფის მიზნით. შედარების თვალსაჩინოებისთვის გადავწყიტეთ, გამოგვეკვლია ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომელიც აქტუალურია საქართველოში და რომელთა შემადგენლობები ანალოგიურია უცხოეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსი მუხლებისა.

განსახილვები მუხლებია:

1. მკვლელობა;
2. ჯანმრთელობის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანება;
3. პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა შენახვა, ანდა მისი ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება;
4. ქურდობა;
5. თაღლითობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსი მუხლების შემადგენლობები არ ემთხვევა საქართველოსას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე და 273-ე მუხლები, რომელთა მიხედვითაც საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებში ოფიციალური ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. ზოგიერთ ქვეყანაში ეს მუხლი/მუხლები შესულია აღმინისტრაციული დანაშაულის შემადგენლობაში, ხოლო ზოგ მათგანში - ისინი საერთოდ არ არიან ასახული ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში.

წინამდებარე ანალიზში განვიხილეთ საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის მუხლები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი 5 მუხლის ანალოგიურია.

სანამ საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების შედარებას დავიწყებდეთ, აუცილებელია, სწორი წარმოდგენა შეგვექმნას ქვეყნის შიგნით არსებულ მდგრმარეობაზე. ამ მიზნით გადავწყიტეთ შეგვესწავლა ზემოთ აღნიშნული დანაშაულის დინამიკა საქართველოში 2008-2009 წლებში. ჩვენ ჩაღრმავედებულად გავაანალიზეთ ყველა ჩამოთვლილი დანაშაულის რიცხობრივი მონაცემები და შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რატომ იმატა/იკლო კონკრეტული ქმედებების რაოდენობამ აღნიშნულ პერიოდში.

**მკვლელობა** - 2009 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოში რეგისტრირებულია მკვლელობის 205 ფაქტი. თუ ამას დავამატებთ მცდელობებს, საერთო ჯამში გამოვა 517. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 108-109 მუხლებით

კვალიფიცირებული დანაშაულების ჯამურმა მაჩვენებელმა იქლო 156 ერთეულით (დინამიკა - 30,5%).

**ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება -** 2009 წლის საანგარიშო პეროდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად [1] ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების სულ 5482 ფაქტია რეგისტრირებული. 2008 წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მაჩვენებელმა იმატა 1312 ერთეულით (დინამიკა + 24%) (გრაფიკი I).

**2009 და 2008 წლების საანგარიშო პერიოდებში რეგისტრირებული სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებების რაოდენობა.**  
(კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)



**ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვა და მათი უკანონო მიღება მცირე ოდენობით** - 2009 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადების, შეძენა/შენახვის, ანდა მისი ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარების 3751 ფაქტია რეგისტრირებული. 2008 წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მაჩვენებელმა იმატა 740 ერთეულით (დინამიკა დაახლოებით + 20%) (გრაფიკი II).

**2009 და 2008 წლების საანგარიშო პერიოდებში რეგისტრირებული პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, ან მისი ანალოგის, ან პრეკურსორის მცირე ოდენობით შეძენა-შენახვის, ან მისი მცირე ოდენობით უკანონო მიღების რაოდენობა (კოეფიციენტი გაანგარიშებულია 1000 პ)**



**ქურდობა.** - 2009 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ქურდობის 11473 ფაქტია რეგისტრირებული. 2008 წელთან შედარებით, ქურდობის სტატისტიკურმა მაჩვენებელმა იქლო 2469 ერთეულით (დინამიკა - 16,4%). (გრაფიკი III)

**2009 და 2008 საანგარიშო პერიდებში რეგისტრირებული ქურდობების რაოდენობა  
(კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)**



**თაღლითობა.** - 2009 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, თაღლითობის 1791 ფაქტია რეგისტრირებული. 2008 წელთან შედარებათ მაჩვენებელმა იმატა 490 ერთეულით (დინამიკა + 21,5% (გრაფიკი IV).

**2009 და 2008 საანგარიშო პერიდებში რეგისტრირებული თაღლითობების  
რაოდენობა გაანგარიშებული  
(კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)**



როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოში იკლო მკვლელობებისა და ქურდობის რეგისტრირებული ფაქტების რაოდენობამ, მაგრამ იმატა ჯანმრთელობის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანების, პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, ან მისი ანალოგის, ან პრეცურსორის მცირე ოდენობით შეძნა-შენახვის, ან მისი მცირე ოდენობით უკანონო მიღების და თაღლითობის რაოდენობამ. სანამ განვიხილავთ აღნიშნულის გამომწვევ მიზეზებს და გავაკეთებთ შესაბამის პროგნოზებს, მიზანშეწონილი იქნება საქართველოს მონაცემები შეგადაროთ საზღვარგარეთის ქაეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

შედარებისთვის შევარჩიეთ საზღვარგარეთის ისეთი ქაეყნები, რომლებთანაც გვაქვს/გვქონდა მჭიდრო პოლიტიკური ან/და გეოპოლიტიკური ურთიერთობა, რომელთაც მოვიაზრებოთ სტრატეგიულ და ეკონომიკურ პარტნიორებად; ასევე უურადღება გავამახვილეოთ ახლო მეზობელ და იმ ქაეყნებზეც, რომელთა პრაქტიკის გაზიარება საინტერესო იქნება საქართველოსთვის. შედარებითი კვლევის მიზნებისათვის აგრეთვე შევარჩიეთ ქაეყნებიც, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ზომითა და მოსახლეობის რაოდენობით.

რადგან საქართველო დიდი ხნის განმავლობაში იყო „დსტ“-ს ქვეყანა, გადავწყვიტეთ შეგვედარებინა ჩვენი ქვეყნის დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები „დსტ“-ს ზოგიერთი რესპუბლიკის მონაცემებთან.


დღესდღეობით „დსტ“-ში შედის 11 წევრი-ქვეყნა. მაგალითისთვის განვიხილავთ რუსეთის ფედერაციის, მოლდავეთის, უკრაინისა და აზერბაიჯანის მონაცემებს.

„დსთ“ [2]	მოსახლეობა	ტერიტორია
1. რუსეთის ფედერაცია	142 000 000	17 075 400 კმ <sup>2</sup>
2. მოლდავეთი	3 563 700	33 846 კმ <sup>2</sup>
3. უკრაინა	45 962 900	603 628 კმ <sup>2</sup>
4. აზერბაჯანი	9 047 000	86 600 კმ <sup>2</sup>

რუსეთის ფედერაცია ჩვენთვის ძალზე საინტერესო შედარების ობიექტია, რადგან მრავალი წლის მანძილზე, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, საქართველოში მოქმედებდა საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსი და სამართლისადმი მიღობის საბჭოური მენტალიტები. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება შევადაროო დანაშაულის მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში რუსეთის ფედერაციში არსებულ მდგომარეობას, მითუმეტეს, როდესაც თანამედროვე მეცნიერები და კრიტიკოსები რუსეთის დანაშაულთან ბრძოლის მეთოდებს აფასებენ, როგორც არქაულს და არაეფექტურს.

რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს (МВД Российской Федерации) ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2009 წლის საანგარიშო პერიოდში (იანვარი-დეკემბერი) რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულია სულ 2278829 სისხლის სამართლის დანაშაული, აქედან გამოიყება დაიწყო 21454920 სისხლის სამართლის საქმეზე. 2008წ-ის საანგარიშო პერიოდთან შედარებით სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობამ იკლო 7%-ით. ამავე სტატისტიკის მიხედვით რეგისტრირებულია სულ 17681 განზრას მკვლელობის (მკვლელობის მცდელობის ჩათვლით), 1188574 ქურდობის, 188723 თაღლითობის, სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანების 43838 და 238500 ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის/გამოყენების ფაქტი. დაწყებული გამოიყების თითქმის ნახევარი (47%) მოდის საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე (გრაფიკი V).

**საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის 2009 წლის მუხლობრივი  
სტატისტიკური მონაცემების შედარება (კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000  
პირზე)**




თუ არ ჩავთვლით სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანების რაოდენობას 10000 პირზე, დანარჩენ 4 დანაშაულზე საქართველოში დანაშაულის დონე საგრძნობლად (2-4-ჯერ) ნაკლებია.

რაც შეეხება მოლდავეთს, ჩვენი ინტერესის სფეროში ის მოექცა იმდენად, რამდენადაც იგი არამხოლოდ „დსთ“-ს წევრი ქვეყანაა, არამედ მოსახლეობის რაოდენობით და ტერიტორიით საქართველოს ემსგავსება.

მოლდავეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, 2009 წლის საანგარიშო პერიოდში მოლდავეთის რესპუბლიკაში სულ 23817 სისხლის სამართლის დანაშაულია რეგისტრირებული, აქედან 223 (209 – 2008 წელი) მკვლელობის, 9393 (9568 – 2008 წელი) ქურდობის და ნარკოტიკული/ანალოგი საშუალებების, პრეკურსორის უკანონო ბრუნვის/მიღების 2046 (2139 – 2008 წელი) ფაქტი.

სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და თაღლითობის შესახებ ოფიციალური მონაცემები არ მოიპოვება (გრაფიკი VI).

#### საქართველოს და მოლდავეთის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკური მონაცემების შედარება (კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)




ცხრილის მიხედვით დანაშაულის დონე დაახლოებით იგივეა, რაც საქართველოში თუ დაგაპირდებით ამ ქვეყნებში მოცემული მუხლებით კვალიფიცირებული დანაშაულების კლების/მატების დინამიკას, აღმოჩნდება რომ საქართველოში მათი რაოდენობა გაცილებით უფრო დიდი ინტენსივობით კლებულობს.

უკრაინასა და საქართველოში ხელისუფლების შეცვლა რევოლუციების გზით ფაქტობრივად ერთ პერიოდში მოხდა. („ვარდების რევოლუცია“ 2003 წელს და „ნარინჯისფერი რევოლუცია“ 2004 წელს“). ამდენად საინტერესო იყო შედარებითი ანალიზის გაგეოგრაფიული ქვეყნების დანაშაულის დონის, სტრუქტურისა და დინამიკის კუთხით.

2009 წლის საანგარიშო პერიოდში (იანვარი-დეკემბერი) უკრაინაში რეგისტრაციაში გატარდა 2907335 სისხლის სამართლის დანაშაული. გამომიება დაიწყო სულ 2884713 სისხლის სამართლის საქმეზე, აქედან 2478 განზრას მკვლელობის, 175582 ქურდობის, 18004 თაღლითობის, იარაღის უკანონო ბრუნვის 11220 და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვისა და მცირე ოდენობით გამოყენების 57624 ფაქტი. 2008 წელთან შედარებით აღნიშნება 1.3%-იანი დინამიკა (გრაფიკი VII).

საქართველოს და უკრაინის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკური მონაცემების  
შედარება (კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)



თუ არ ჩავთვლით განზრახ მკვლელობების მუხლს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177, 180 და 273 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მაჩვენებელი 10000 პირზე უფრო მცირეა.


აზერბაიჯანი ჩვენი მოსაზღვრე ქვეყანაა, რომელიც თავისი ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით მიეკუთვნება დანაშაულის დაბალი დონის მქონე ქვეყნებს. 2009 წლის საანგარიშო პერიოდში აზერბაიჯანში რეგისტრირებული იყო სულ 22830 სისხლის სამართლის დანაშაული.

2008 წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობამ იმატა 1138 ერთეულით (5,2%). აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, სულ რეგისტრირებულია მკვლელობის 164 (168 -2008 წ), ქურდობის 3640 (3401 -2008 წ) და ნარკოტიკული/მისი ანალოგიურის საშუალებების უკანონო ბრუნვის 3076 (2723 – 2008 წ) ფაქტი.

თაღლითობისა და სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ მოიპოვება (გრაფიკი VIII)

საქართველოს და აზერბაიჯანის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკური მონაცემების  
შედარება.

(კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)



მიზანშეწონილათ ჩავთვალეთ შეგვედარებინა საქართველოს და ბალტიისპირეთის ქვეყნების, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები. დღეს ლატვია, ლიტვა და ესტონეთი შედიან ევროპავშირში და მათი გამოცდილება გასათვალისწინებელია საქართველოსთვის.


ყოფილი საბჭოთა კავშირი [2]	მოსახლეობა	ტერიტორია
1. ესტონეთი	1 340 021	45 226 კმ <sup>2</sup>
2. ლატვია	2 254 653	64 589 კმ <sup>2</sup>
3. ლიტვა	3 300 431	65 200 კმ <sup>2</sup>

ლატვიის პოლიციის ოფიციალური გებ-გეერდის თანახმად, 2009 წლის საანგარიშო პერიოდში სულ რეგისტრირებულია 56637 სისხლის სამართლის დანაშაული, აქედან მკვლელობის 107 (-25) და ნარკოტიკული საშუალების უკანონო გამოყენების 771 (+209) ფაქტი.

ქურდობის, სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და თაღლითობის შესახებ ლატვიის 2009 წლის პოლიციის ოფიციალურ გებ-გეერდზე განთავსებულ ანალიზში ინფორმაცია არ არის.

#### გრაფიკი IX.

**საქართველოს და ლატვიის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკური მონაცემების  
შედარება (კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)**




როგორც გრაფიკული ცხრილიდან ჩანს, განზრას მკვლელობების რაოდენობების მხრივ 10000 კაცზე საქართველოსა და ლატვიაში მდგომარეობა ფაქტობრივად ერთნაირია. იგივეს ვერ ვიტვით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, სადაც კოეფიციენტის მაჩვენებელი საქართველოში 10000 კაცზე აღემატება ლატვიისას 5,1-ით.

ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2009 წლის საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში სულ 83273 სისხლის სამართლის დანაშაულია რეგისტრირებული, აქედან 259 მკვლელობის (303 – 2008 წელი), 2193 (1839 – 2008 წელი) ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო მიღების, 39570 (38429 – 2008 წელი) ქურდობისა და 4540 (3076 – 2008 წელი) თაღლითობის ფაქტი.

სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანების შესახებ ლიტვის ოფიციალური წყაროები არავერს იუწყებიან (გრაფიკი X)

**საქართველოსა და ლიტვის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკური მონაცემების  
შედარება (კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)**



ესტონეთის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2009 წლის საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში რეგისტრირებულია სულ 48359 (-5%) სისხლის სამართლის დანაშაული, აქედან 213 (300 – 2008 წელი) მკვლელობის, 23901 (22471 – 2008 წელი) ქურდობის, 2097 (2222 -2008 წელი) თაღლითობისა და ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებების მცირე თდენობით უკანონო მიღების 153 (301 – 2008 წელი) ფაქტი.

#### გრაფიკი XI.

**საქართველოს და ესტონეთის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკური  
მონაცემების შედარება  
(კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)**



\*გრაფაში „მუხლი 108-109“ მითითებულია ესტონეთის დანაშაულთან დაკავშირებული სიკვდილების რაოდენობა. განზრახ მკვლელობა ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის ანალიზში ცალკე გამოყოფილი არ არის.

თუ „დსთ“-ს წევრობა იყო თანამედროვე საქართველოს დამოუკიდებლობის ათვლის წერტილი, დღევანდებულება დღეს უკროკავშირში გაწევრიანება საქართველოს ერთეული უმთავრესი მიზანია. რაციონალური იქნებოდა შეგვედარებინა ჩვენი ქვეყნის დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებლები ევროპის ქვეყნებისას, რათა აღვიქვათ, თუ რამდენად ვაკმაყოფილებთ ევროკავშირის სტანდარტებს მოცემული კუთხით.

ანალიზის წინამდებარე ნაწილში ყურადღებას გავაძახვილებთ გერმანიაზე, სლოვაკეთზე, ჩეხეთის რესპუბლიკაზე, რუმინეთზე, პოლონეთსა და დიდ ბრიტანეთზე.

ევროკავშირი	მოსახლეობა	ტერიტორია
<u>1. დიდი ბრიტანეთი</u>	61 113 205	244 820 კმ <sup>2</sup>
<u>2. გერმანია</u>	81 757 600	357 021 კმ <sup>2</sup>


3. სლოვაკეთი	5 394 837	48 845 კმ2
4. პოლონეთი	38 192 000	312 679 კმ2
5. რუმინეთი	21 466 174	237 500 კმ2
6. ჩეხეთი	10 403 100	78 866 კმ2

დიდი ბრიტანეთი ეკონომიკურად განვითარებული ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, სადაც დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებლების სიზუსტეს დიდ ურადღებას აქცევენ.

დიდი ბრიტანეთის და უელსის შინაგან საქმეთა სამინისტროს („Home Office“) ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2009 წელს რეგისტრირებულია 648 მკვლელობის, 725000 ქურდობის, 163283 თაღლითობის, 533000 სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო მიღების 68757 ფაქტი.

## გრაფიკ XII.

**საქართველოს და დიდი ბრიტანეთის/უელსის სამეფოს 2009 წლის დანაშაულის  
მონაცემების ჯამის მუხლობრივი სტატისტიკების შედარება  
(კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)**




გერმანიის რესპუბლიკა, გაერთიანებული სამეფოს მსგავსად, დიდ ურადღებას აქცევს სტატისტიკის სიზუსტეს. ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის საერთო სტატისტიკაზე პასუხს აგებს „Bundeskriminalamt“, სადაც ყოველწლიურად აისახება ინფორმაცია გერმანიაში ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

2009 წლის საანგარიშო პერიოდში გერმანიაში რეგისტრირებულია სულ 6054330 (6114128 – 2008 წელი) სისხლის სამართლის დანაშაული, აქედან მკვლელობის 628, სხეულის განწრას ნაკლებად მძიმე დაზიანების 369709 (369709 – 2008 წელი), ქურდობის 2344646 (2443280 – 2008 წელი), თაღლითობის 955804 (887906 -2008 წელი) და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის 235842 (239951 – 2008 წელი) ფაქტი.

## გრაფიკ XIII

საქართველოს და გერმანიის რესპუბლიკის 2009 წლის მუხლობრივი  
სტატისტიკების შედარება (კოეფიციენტი განგარიშებულია 10000 პირზე)



ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან გამომდინარე, 2009 წელს გერმანიაში თაღლითობისა და ქურდობის ძალიან მაღალი მონაცემებია.


საქართველოსთან შედარებით, განხილული 4 მუხლის მიხედვით, გერმანიაში მხოლოდ მკვლელობების მაჩვენებელია დაბალი.

სლოვაკეთმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმით, რომ მოსახლეობის რაოდენობით იგი საქართველოს ემსგავსება. კვლევისთვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ახლოს არის ჩვენი დანაშაულის სტატისტიკის მაჩვენებლები სლოვაკეთის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2009 წლის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირდება სულ 104905 სისხლის სამართლის საქმე. აქედან 84 მკვლელობის, 46943 ქურდობის, სხეულის განზრას მძიმე დაზიანების 2618 და თაღლითობის 3867 ფაქტი. ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით უკანონო მიღების და სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანების შესახებ არანაირი ოფიციალური ინფორმაცია არ მოიპოვება.

#### გრაფიკი XIV.

საქართველოს და სლოვაკეთის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკების შედარება  
(კოეფიციენტი განგარიშებულია 10000 პირზე)




პოლონეთის პოლიციის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2009 წლის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებულია სულ 994959 სისხლის სამართლის საქმე, აქედან 729 (748 – 2008 წელი) მკვლელობის, სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე/მძიმე დაზიანების 18771 (20369 – 2008 წელი) და ქურდობის 207087 (208937 – 2008 წელი) ფაქტი.

ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებების მცირე რაოდენობით მიღებისა და თაღლითობის შესახებ ოფიციალური მონაცემები არ მოიძევება.

## გრაფიკი XV


საქართველოს და პოლონეთის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკების შედარება  
(კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)



რუმინეთის პოლიციის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2009 წლის საანგარიშო პეროდში რეგისტრირებულია სულ 299899 სისხლის სამართლის დანაშაული, აქედან 397 მკვლელობის, 46431 ქურდობის და 10745 თაღლითობის ფაქტი. ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებების მცირე რაოდენობით მიღებისა და ჯანმრთელობის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანების შესახებ ოფიციალური მონაცემები არ მოიძევება.

## გრაფიკი XVI


საქართველოს და რუმინეთის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკების შედარება  
(კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10000 პირზე)



ჩეხეთის რესპუბლიკის პოლიციის ოფიციალური ვებ-გვერდის მონაცემების თანახმად, 2009 წლის საანგარიშო პეროდში ქვეყანაში სულ რეგისტრირებულია 332829 სისხლის სამართლის დანაშაული, აქედან მკვლელობის 181, სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანების 4756, ქურდობის 138369 და 1057 თაღლითობის ფაქტი.

ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებების მცირე რაოდენობით უკანონო მიღების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ მოიპოვება.

## გრაფიკი XVII




შეერთებული შტატები საქართველოს უმნიშვნელოვანების სტრატეგიული პარტნიორია. გარდა ამისა, აშშ ითვლება ქვეყნად, სადაც დანაშაულის სტატისტიკის მაჩვენებლები ყველაზე ახლოა რეალობასთან. აშშ-ში დანაშაულის სტატისტიკის გაანალიზების პროცესში უამრავი მეცნიერი-კრიმინოლოგია ჩართული. მონაცემთა სიზუსტის შენარჩუნებისთვის ყოველწლიურად იხარჯება მრავალი მილიონი დოლარი და მონაცემთა მოწოდების გზებიც სხვადასხვაგარია.

ჩრდილოეთ ამერიკა [2]	მოსახლეობა	ტერიტორია
შეერთებული შტატები	309,204,770	9 518 900 კმ <sup>2</sup>

შეერთებული შტატების დანაშაულის გაერთიანებული რეპორტის „Unified Crime Report“ თანახმად, 2009 წლის საანგარიშო პერიოდში შეერთებულ შტატებში რეგისტრირებულია სულ 10 639 369 დანაშაული, აქედან 1 318 398 ფედონია. გასული წლის (2008) საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის რაოდენობამ იყო 4,7 პროცენტით. სულ რეგისტრირებულია 15 241 (16442 – 2008 წელი) მკვლელობის, 6 327 320 (6588046 – 2008 წელი) ქურდობის და 806843 (842134 – 2008 წელი) სხეულის ნაკლებად მძიმე/მძიმე დაზიანების (Assault) ფაქტი.

## გრაფიკი XVIII

საქართველოს შეერთებული შტატების 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკების  
შედარება გაანგარიშებული კოფიციენტით 10000 კაცზე



\*გრაფაში “მუხლი 118” შეერთებული შტატების მონაცემები მოიცავენ სხეულის განძრას ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანებებს.

რაც შეეხება ნარკოტიკულ დანაშაულს, 2009 წელს შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის დეპარტამენტის „DEA“ ცნობების მიხედვით, ყოველთვიურად საშუალოდ 21,813 ადამიანი იყენებს ნარკოტიკულ საშუალებას უკანონოდ. 2008 წელთან შედარებით, ყოველთვიურად აღინიშნება ნარკოტიკული საშუალებების გამომჟღვნებელ პირთა რაოდენობის მატება საშუალოდ 1736-ით.

თუ ნარკოტიკულ საშუალებებს დავაჯგუფებთ ცალ-ცალკე, მივიღებთ შემდეგ სურათს (გრაფიკი XIX):

#### ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ მიმღები პირების რაოდენობა ნარკოტიკული საშუალებების ტიპის მიხედვით



სინგაპური მოხვდა ჩვენი ინტერესების სფეროში, რადგან მოსახლეობის სიდიდით იგი საქართველოს მსგავსია, თუმცა მსოფლიო ცხრილებში ირიცხება ქვეყნად, სადაც დანაშაულის მაჩვენებელი ძალიან დაბალია.


აზია [2]	მოსახლეობა	ტერიტორია
სინგაპური	4,839,400	692 კმ <sup>2</sup>

სინგაპურის პოლიციის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად 2009 წლის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირდება 18 მკვლელობის, 22445 ქურდობის და სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე/მძიმე დაზიანების 4422 ფაქტი.

თაღლითობის, ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით უკანონო მიღებისა და სხეულის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანების შესახებ ოფიციალურ წყაროებში ინფორმაცია არ მოიპოვება.

## გრაფიკი XX

**საქართველოს სინგაპურის 2009 წლის მუხლობრივი სტატისტიკების შედარება  
გაანგარიშებული კოეფიციენტით 10000 კაცზე**



არსებობს არაერთი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სინგაპური ახერხებს დანაშაულის დაბალი დონის შენარჩუნებას რეპრესიული მეთოდებით. ასე მაგალითად, ისეთ ადმინისტრაციულ სამართალდარვევებზე, როგორიცა აკრძალულ ადგილას სიგარეტის მოწევა ან ქალაქის დანაგვიანება, სამართალდამრდევე შეიძლება დაჯარიმდეს 1000\$-მდე.

სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული დანაშაულები სინგაპურში ისჯება ძალიან მკაცრად. აღსანიშნავია ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული სისხლის სამართლის ნორმატიული აქტი, რომლის თანახმადაც პირი, რომელსაც აღმოუჩენენ 1,5 გრამზე მეტ ჰეროინს, შეიძლება დაისაჯოს სიკვდილით.


ზოგი მეცნიერის აზრით, სინგაპურში დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავეს უჭირს მიმაღვა ქვეყნის ტერიტორიის სიმცირის გამო. გარდა ამისა, სინგაპური მთლიანად შემოფარგლულია ოკეანით, რაც ართულებს ქვეყნის უცონტროლო დატოვებას. რა თქმა უნდა, ეს არ არის დანაშაულის სიმცირეზე მოქმედი გადამწყვეტი ფაქტორი, თუმცა მოსაზრება საგებით მისაღებია.

მიუხედავად მკაცრი სასჯელისა, სინგაპურში საკმაოდაა გავრცელებული ქურდობა. ქურდობის მსხვერპლი განსაკუთრებით ხშირად ხდებიან უცხოელი ტურისტები. სწორედ ამიტომ სინგაპურის პოლიციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, თუ როგორ უნდა დაიცვას რიგითმა მოქალაქეების/ტურისტები საკუთარი მოძრავი ქონება.

მონაცემთა თვალსაჩინოებისთვის შევქმნით დანაშაულის აღმრიცხველი გრაფიკები, რომელთა მეშვეობით მკითხველი უფრო მკაფიოდ აღიქვამს საქართველოში დანაშაულის დღეგანდელ (2009) მდგომარეობას სხვა ქვეყნებთან შედარებით.

საქართველოს მკვლელობების სტატისტიკის შედარება მსოფლიოს სხვა ქვეყნების მკვლელობის სტატისტიკებთან გამოთვლილი კოეფიციენტით 10000 კაცზე საერთო ჯამში, განსილულ 16 ქვეყანას შორის საქართველო მკვლელობების შემთხვევათა მიხედვით იმყოფება მე-13 აღგილზე. გრაფიკულად მონაცემები შემდეგნაირად აისახება:

## გრაფიკი XXI.




გრაფიკში ნათლად ჩანს საქართველოს 2009 წლის მდგომარეობა. ისეთ ქვეყნებს შორის, როგორებიცაა რუსეთის ფედერაცია, ლიტვა, მოლდოვეთი, უკრაინა და შეერთებული შტატები 10000 კაცზე დაანგარიშებული განზრას მკლელობების რაოდენობის სიმცირით საქართველო პირველ ადგილზე დგას. ერთი შეხედვით შედეგი დამაკმაყოფილებელია, თუმცა პოლონეთში, რუმინეთში, აზერბაჯანში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთში, დიდ ბრიტანეთში/უელსის სამეფოში, გერმანიასა და სინგაპურში მკლელობების რაოდენობა ნაკლებია. რაც შეეხება ესტონეთს, მონაცემთა შედარება შეუძლებელია, რადგან ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიზში არ არის მითითებული განზრას მკლელობების ზუსტი რაოდენობა.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში ამ დანაშაულის დონე უფრო მცირეა ლიტვასთან და შეერთებულ შტატებთან შედარებით. თუ ყურადღებას გავამახვილებოთ განზრას მკლელობათა რაოდენობის დინამიკაზე, ნათელი ხდება, რომ შეერთებულ შტატებში 2008 წელთან შედარებით განზრას მკლელობების რაოდენობა შემცირდა 7,3%-ით, ლიტვაში - 17%-ით, ხოლო საქართველოში - 30,5%-ით.

საქართველოში განზრას მკლელობების რაოდენობის შემცირების დინამიკა საკმაოდ მაღალია. ასეთი ტენდენცია გაგრძელების შემთხვევაში, უახლოეს მომავალში იგი აღმოჩნდება ლატვიასა (იქლო 26%-ით) და პოლონეთს შორის.

გრაფიკი XXII. საქართველოში ქურდობების სტატისტიკური მონაცემების შედარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებთან (კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10 000 კაცზე).




როგორც გრაფიკიდან ჩანს, ჩვენ მიერ განხილულ 15 ქვეყანას შორის ქურდობის სიმცირის მიხედვით საქართველოს მე-4 ადგილი უკავია რუმინეთსა და მოლდავეთს შორის.

აღსანიშნავია აზერბაიჯანში ქურდობის მუხლით კვალიფიცირებული დანაშაულის ძალზე დაბალი მაჩვენებელი, რომლის სიზუსტეც მსოფლიო სტატისტიკის რედაქციებში უამრავ ეჭვს ბადებს.

ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკურად ისეთი ძლიერი ქვეწები, როგორებიცაა შეერთებული შტატები და გერმანია, ზემოთ მოყვანილ გრაფიკში ბოლო მე-14 და მე-15 ადგილებს იკავებენ. მეორე მხრივ, ეს შეიძლება იყოს გამოწვეული სტატისტიკის შედგენის მაღალი სიზუსტით. ანალიგიური სიტუაციაა დიდი ბრიტანეთის/უელსის სამეფოს შემთხვევაში, რომელიც მე-9 ადგილზე დგას ლიტვასა და სლოვაკეთს შორის.

თუ შევადარებთ საქართველოსა და მოლდავეთში ქურდობის კლების დინამიკას, აღმოჩნდება, რომ, მოლდავეთთან შედარებით, ჩვენთან ეს დანაშაული 14,5%-ით უფრო მეტად შემცირდა. ლატვიის ქურდობის რაოდენობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ მოიპოვება. საერთო ჯამში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლით კვალიფიცირებული დანაშაულის დინამიკა საკმაოდ დადგებითია, თუმცა, სინგაპურთან შედარებით, ჩვენი მაჩვენებლები ჯერ კიდე მაღალია (სხვაობა 24,8).

**გრაფიკი XXIII.** თაღლითობების სტატისტიკური მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოსთან (კოეფიციენტი გაანგარიშებულია 10 000 კაცზე)




რაც შეეხება თაღლითობის კოეფიციენტის მაჩვენებელს, გრაფიკულ ცხრილში მოყვანილ 11 ქვეყანას შორის საქართველო მე-4 ადგილზეა.

ჩეხეთის რესპუბლიკაში თაღლითობის კოეფიციენტი, ზემოთ მოყვანილ გრაფიკში შედარებულ 11 ქვეყანას შორის, ყველაზე დაბალია.

უცნაურია, რომ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და გერმანია, ბოლო მე-10 და მე-11 ადგილებს ინაწილებენ. ეს ფაქტი კვლავ მიგვანიშნებს ამ ორ ქვეყანაში დანაშაულის რეგისტრაციის მაღალ ხარისხზე.

პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა შენახვა ანდა მისი ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება და სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სპეციფიკური მუხლებია, რომლებიც უცხო ქვეყნების სისხლის სამართლის დანაშაულების ოფიციალურ სტატისტიკიკურ ანგარიშებში ხშირ შემთხვევაში არ მოიხსენიებიან ან სულაც არ ითვლებიან სისხლის სამართლის დანაშაულებად. შესაბამისად, ჩვენ მიერ განხილული ქვეყნებიდან მხოლოდ რამოდენიმეს ოფიციალური სტატისტიკაა ხელმისაწვდომი.

და ბოლოს შევეხებით 108-109, 118, 177 და 180 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების მსხვერპლად გახდომის შანსებს (ვიქტიმიზაციის საკითხებს) საქართველოში. იხ. გრაფიკი XXIV



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დაგასიქნათ, რომ:

1. საქართველოში აღინიშნება კრიმინალიზაციის მკვეთრი და რეალური შემცირება. დანაშაულის დონის შემცირება ზოგი მაჩვენებლით წინ უსწრებს ბევრ განვითარებულ ქვეყანას და ინარჩუნებს პოზიტიურ პოზიციებს.

საქართველოში დანაშაულთან ბრძოლის პოზიტიური შედეგები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით, მათ შორის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან მიმართებაშიც, რომლებიც უკვე ევროკავშირის წევრი-ქვეყნებია.

2. სამწუხაროდ, განზრახ მკვლელობების რაოდენობა რჩება შედარებით მაღალ დონეზე, რაც საჭიროებს დამატებით პრევენციულ ძალისხმევას.

3. როგორც ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვნა, დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში სულ უფრო მეტად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა არასრულად, იმდენად რამდენადაც, ნაკლებად მძიმე დანაშაულის რიგი მაჩვენებელი ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გამო ლატენტური დანაშაულის არსებობაზე ბადებს ეჭვს. ამაზე მიუთითებს განვითარებულ ევროპულ ქვეყნებთან შედარებით საქართველოს დაბალი მაჩვენებლები ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა ქურდობა, თაღლითობა, სხეულისათვის ზიანის მიყენება, მაშინ როდესაც, განზრახ მკვლელობის მაჩვენებელი საქართველოში იდენტურია ან უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, ვინაიდან განზრახ მკვლელობის მიჩქმალვა

ძნელია და მისი ლატენტობა მინიმალურია. შესაბამისად, დიდი ალბათობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვა დანაშაულების მაჩვენებლებიც საქართველოში უფრო მეტად უნდა უახლოვდებოდეს ეგროპის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

4. მიზანშეწონილია, დღის წესრიგში დადგეს თავად საქართველოს სისხლის სამართლის დანაშაულების სტატისტიკის უნიფიკაციის, სტანდარტიზაციისა და სისტემატიზაციის გაუმჯობესების საკითხები. კარგი იქნებოდა, ამ სფეროში გაგვეთვალისწინებინა საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა, აგვეთვისებინა ინფორმაციის შეგროვებისა და დაჯგუფების მათეული მეთოდები და დაგვენერგა მათი პრაქტიკაში გამოყენება. გასათვალისწინებელია აშშ-ის სტატისტიკური მონაცემების შეგროვების პრაქტიკა, რომელსაც ახორციელებს გამოძიების ფედერალური ბიურო (Unified Crime Report – UCR), National Crime Victimization Survey da Self Reports. ეს საშუალებას მოგვცემდა, აგვემოქმედებინა დანაშაულთან ბრძოლის უფრო თანამედროვე მქანიზმები, მოგვეხდინა დანაშაულის უფრო ზუსტი პროგნოზირება, მეტი ყურადღება გაგვემახვილებინა აქტუალურ პრობლემებზე და უფრო ეფექტურად განგვეხორციელებინა დანაშაულის პრევენცია.

5. აუცილებელია, რომ საქართველოს სტატისკიკური მეთოდები ჰარმონიზებულ იქნეს დასავლეთის ქვეყნების სტანდარტებთან. ასეთი მიღომა გააადვილებს დანაშაულობის კომპარატიული (შედარებითი) ანალიზის წარმოებას და უცხო ქვეყნების კოლეგებთან ერთობლივი დონისძიებების სისტემის შემუშავებას დანაშაულთან ბრძოლის მიზნით.

#### ბამოყენებული ლიტერატურა


- <http://www.idfi.ge/uploadedFiles/files/Ministry%20of%20Foreign%20Affairs%20monitoring%202011.pdf>
- [http://en.wikipedia.org/wiki/Crime\\_statistics](http://en.wikipedia.org/wiki/Crime_statistics)

*Alexandre Glonti  
Grigol Robakidze University*

#### Comparative statistical Analysis of Actual Crimes in Georgia and Foreign Countries

The purpose of this analysis is to compare criminal situation in the Republic of Georgia with *European, Asian, and Northern American countries*. This research focuses on five, more or less, common and severe criminal law offences, committed in 2008 and 2009. These are murder (homicide), assault that resulted in minor health damages, illegal circulation of drugs, theft (larceny) and fraud. All information presented in this research comes from reliable sources such as ministries of internal affairs, prime courts and police websites. However, since different sources provide different statistics, there might be some inaccuracies.

Chart 2



#### 1. Georgian Crime statistics of 2009 and 2008

Georgian crime extent has significantly decreased in past years. To show definition of decline the author begins with the comparison of 2008<sup>th</sup> and 2009<sup>th</sup> criminal statistics of Georgia.

According to the official criminal statistics<sup>2</sup> of the Republic of Georgia in 2009 there were total of 205 homicides, 5482 assaults that resulted in minor health damages, 3571 facts of illegal drug circulation, 11473 facts of theft and 1791 facts of fraud. For information on per 10000 inhabitants please refer to Chart 1.

In comparison with 2009, Georgian criminal statistics of 2008 listed 58 more facts of homicide, 1312 less facts of assault that resulted in minor health damages, 740 more facts of illegal drug circulation, 3341 more facts of theft, 53 more facts of fraud. For information on per 10000 inhabitants please refer to Chart 2.

## 1.1 Dynamic Growth and Decline

- Homicide – 28% ↓
- Assault that resulted in minor health damage – 21% ↑
- Illegal drug Circulation – 20% ↓
- Theft – 29% ↓
- Fraud – 2% ↓


The annual criminal statistics of 2009 and 2008 clearly show that except the assaults that resulted in minor health damages (marked in RED on charts 1 and 2), other four offences significantly decreased in quantity.

## 2. Comparison of the Georgian criminal statistics with the statistics of the former Soviet Union countries


This is a very interesting subject for comparison, because for many years, before gaining the independence, Georgia was acting in the framework of the Soviet Union's Criminal Codification and the legal approaches related to the Soviet mentality. After the collapse of the Soviet Union, the newborn republic of Georgia accepted a new criminal law codex with many innovations. Throughout two decades of independence, Georgia's former and present government officials implemented mediation, restoration and other reforms that successfully operate in the western countries. The following comparative analysis will clearly show that the modern approach to combat crime proves to be more effective.

### 2.1 Russian Federation

According to the official criminal statistics of Russian Federation in 2009, there were total of 17681 homicides, 43838 assaults that resulted in minor health damages, 238500 facts of illegal drug circulation, 1188574 facts of theft and 188723 facts of fraud. Chart 3 offers the comparison of the Russian and Georgian criminal statistics per 10000 inhabitants.



### 2.2 Ukraine



According to the official criminal statistics of Ukraine in 2009, there were total of 2478 homicides, 57624 facts of illegal drug circulation, 175582 facts of theft and 18004 facts of fraud. Unfortunately, the Ministry of Internal Affairs of Ukraine does not publish the statistics of assault that resulted in minor health damage. Chart 4 offers the comparison of the



<sup>2</sup> Source: Ministry of Internal Affairs of the Republic of Georgia

Ukrainian and Georgian criminal statistics per 10000 inhabitants.

### 2.3 Lithuania

According to the official criminal statistics of Lithuania, in 2009 there were total of 259 homicides, 2193 facts of illegal drug circulation, 39570 facts of theft and 4540 facts of fraud. Unfortunately, the Ministry of Internal Affairs of Lithuania does not publish the statistics of assault that resulted in minor health damage. Chart 5 offers the comparison of the Lithuanian and Georgian criminal statistics per 10000 inhabitants.

### 2.4 Estonia





According to the official criminal statistics of Estonia, in 2009 there were total of 213 homicides, 153 facts of illegal drug circulation, 23901 facts of theft and 2097 facts of fraud. Unfortunately, Estonian Ministry of Internal Affairs does not publish the statistics of assault that resulted in minor health damage. Chart 6 offers the comparison of the Lithuanian and Georgian criminal statistics per 10000 inhabitants.

## 3. Comparison of the Georgian criminal statistics with the statistics of the European countries

According to some European scholars, Georgia is the place where criminality is prospering. This point of view is certainly out of date, because the present Georgian criminality situation is stable and steadily declining. If ten years ago criminal statistics did not practically exist, today Georgia has more than several sources, including the office of chief prosecutor, the prime court, the Ministry of Justice, and some NGOs. In the following comparative analyses a reader will find out that in some aspects Georgia has already outrun the leading European countries such as Germany and Great Britain.

### 3.1 Great Britain

According to the criminal statistics of Great Britain, in 2009 there were total of 648 homicides, 533000 assaults that resulted in minor health damages, 68757 facts of illegal drug circulation, 725000 facts of theft and 163283 facts of fraud. Refer to Chart 7 for the comparison of the British and Georgian criminal statistics per 10000 inhabitants.



### 3.2 Germany

According to “Bundeskriminalamt“ of Germany, in 2009 there were total of 628 homicides, 369709 assaults that resulted in minor health damages, 235842 facts of illegal

drug circulation, 2344646 facts of theft and 955804 facts of fraud. Refer to Chart 8 for the comparison of the German and Georgian criminal statistics per 10000 inhabitants.

#### 4. Comparison of the Georgian criminal statistics with the statistics of the USA

The United States of America have been Georgia's strategic partners lately. Many reforms that are currently implemented in the Georgian criminal law code and criminal law procedure have been aided by the USA. It would be interesting to compare these two countries in the aspect of criminality extent.

According to "Unified Crime Report" (UCR) of US, in 2009 there were total of 15241 homicides, 806843 assaults that resulted in minor health damages, 1020375 facts of illegal drug circulation, 6327320 facts of theft and 525648 facts of fraud. Refer to Chart 9 for the comparison of the USA and Georgian criminal statistics per 10000 inhabitants.

Chart 9 shows us that apart from homicide, Georgia has better criminal situation than the USA. Like Germany, the USA also experiences serious problems with theft. Compared to the USA and Germany, the chance that one may fall victim of theft in Georgia is very low.



#### 5. Georgia among other countries

In fact, if we group 7 countries we discussed and compared, it would become clear that Georgia is in a quite promising position.

Based to homicide statistic, Georgia finds itself positioned on the 5<sup>th</sup> place, between Lithuania and Ukraine. Even though the 5<sup>th</sup> place is far from ideal, still in modern Georgian history this is a record. Especially after the collapse of the former Soviet Union and civil war in Georgia, the homicide rate was more than ten times high. Today, the crime level steadily declines. If the current dynamics remains in 2013, Georgia will rank the first three places. Chart 10 shows the graphic outline of homicide statistics comparison.

Statistics of Theft (Larceny) shows that Republic of Georgia has the lowest rate among 7 countries, followed by Ukraine. This tendency is still ongoing and Georgia experiences serious decline in dynamics. In the past years, theft was one of the major problems of Georgia. According to the victimization surveys, almost every family had at least one member who fell as a victim of theft. Today, markets are stringently controlled by law enforcement agencies. Sanctions for buying/selling stolen items are very strict. These factors seriously influence present theft statistics.

Ukraine and Georgia share 1<sup>st</sup> place in fraud statistics. Same statistics of the advanced western countries are far behind. Among 7 countries we discussed, Germany seems to suffer from fraud the most. Such high amount per 10000 inhabitants can only point on the accurate statistics of Germany.



Crime related to narcotics is also low. Among 7 countries Georgia remains on the third place, between Lithuania and Great Britain. Usually, offenders who use small amounts of drugs without prescription fill Georgian narcotics statistics.

## 6. Conclusion

- In recent years, Georgia has experienced colossal decline in crime. At some point, Georgia has outrun many advanced countries. This tendency is still ongoing.
- Punishments should be overlooked. In 2010 there were about 23219 prisoners in Georgia. This is about 0.5% of all population of the country. Prisons are badly overcrowded. This situation requires different approaches. Georgia's legal authorities should implement more preventive measures to combat crime. This is especially relevant in concern with juveniles.
- The amount of homicides is still high. Some reforms and preventive measures should still be passed to lower the quantity of this severe crime.
- It is relevant that Georgia's statistics should be unified. US unified crime report, national victimization survey and self-report surveys are the examples Georgia needs to follow. More money should be invested by the Georgian government to make criminal statistics more accurate.
- Georgia suffers from the lack of professional criminologists. Problems we discussed in this article are entwined with criminology. Thus, the Georgian government should finance more students' education in western universities and colleges.
- Overall progress is already visible, but still, there are many glitches that need to be filled.

**ირაკლი ცხვიტაია  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

## **დანაშაულობის პრეზენტის ცენტრი და მისი, რობორც გლობალური პროგლობის განხილვა სამრთაშორისო აჰტებზე**

მე-XX საუკუნის შუა წლებიდან გლობალიზაციამ ერების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროები მოიცვა. გაჩნდა წინააღმდეგობრივი პროცესები, რომელთა გადალახვა არც ერთ სახელმწიფოს არ ძალუდა [2].

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ხასიათს იძენს დანაშაულობის კანონზომიერება. მასშტაბურ ხასიათს იღებს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და პოლიტიკის გლობალიზაცია, დანაშაულობა იძენს საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ ხასიათს. თავის მხრივ, ვითარდება პროტესტის გლობალიზაცია და ჩნდება ალტერნატივების ძიების აუცილებლობა, ღრმავდება პოლიტიკის ე.წ. „პრივატიზაციის” მცდელობები, ბაზარი შეუფერხებლად იჭრება სოციალურ და სულიერ სფეროებში.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შედეგად, დანაშაულობა სულ უფრო მეტად იპვეთება, როგორც გლობალიზაციის პროცესი, როგორც ტრანსნაციონალური „სოციუმი”, რომელიც

ცხოვრობს საკუთარი კანონზომიერებებით და საჭიროა, რომ ცალკე აღებულმა რომელიმე ქვეყანაში შეძლოს მასზე გავლენის მოხდენა [6].

დანაშაულობა ნელ-ჩელა საერთაშორისო პრობლემად იკვეთებოდა და მის მიმართ ინტერესი ძირითადად განპირობებული იყო დანაშაულობის ტრანსნაციონალური ფორმების განვითარებით, რომლებმაც თავი მე – XX საუკუნის 70 – იან წლებში იჩინეს.

პირველად ამ პრობლემას გაერომ ყურადღება მიაპყრო 1975 წლის უნივერსიტეტი, სადაც აღიარებული იქნა, რომ დანაშაულობა საერთაშორისო ბიზნესის ფორმით უფრო საერთოზულ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე დანაშაულებრივი ქმედებების ტრადიციული ფორმები. გამოიკვეთა მისი ძირითადი ნიშნები:

- დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელება ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით;
- კავშირი ორგანიზაციათა გარკვეულ ფორმებთან;
- პროფესიული ან თანამდებობრივი საქმიანობის გამოყენება;
- მოცემული დანაშაულობის სუბიექტების მაღალი სოციალური მდგომარეობა.

„თერთსაყელოიანთა“ დანაშაულობა განხილული იქნა, როგორც ბიზნესის ფორმა შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე. ორგანიზებულ დანაშაულობან და ტერორიზმთან ბრძოლაში კონგრესმა მიიღო რეკომენდაციები, ნარკოტიკული საშუალებების არაკანონიერ ბრუნვასთან ბრძოლის ახალი საერთაშორისო კონვენციის შემუშავების ჩათვლით, რომელიც ითვალისწინებს ექსტრადიციის და ურთიერთდახმარების შეთანხმების გაუმჯობესებულ მეთოდებს. ამასთან ერთად, კონგრესზე ხაზი გაესვა, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში აუცილებელია:

- a) საყოველთაო იურისდიქციის გავრცელება ისეთ დანაშაულზე, როგორზეც ეს გაკეთდა საპაერო მექანიზმების წინააღმდეგ, განსაკუთრებით თუ ის საფრთხეს უქმნის უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლეს;
- b) დამნაშავეთა გადაცემის კანონის დაცვის უზრუნველყოფა;
- c) ოპერატორიული შესაძლებლობების განვითარება და ტექნიკური თანამშრომლობის გამყარება სისხლის სამართლის პოლიციის ჩარჩოებში (ინტერპოლი) ინფორმაციის და დახმარების ურთიერთგაცვლის გზით [7].

კონგრესზე დასახული „თერთსაყელოიანთა“ დანაშაულობისადმი მიღებული შემდგომი განვითარება დასავლეთის კრიმინოლოგიაში პორვა, მაგრამ სატერლენდის განმარტებისაგან განსხვავებით, მეცნიერები ცდილობენ მასთვის უფრო ფართო განმარტების მიცემას. ბოლოს და ბოლოს, „თერთსაყელოიანთა“ ცნება იმდენად გაურკვეველი იყო, რომ მისი გამოყენება ნებისმიერი ადამიანის მიმართ იყო შესაძლებელი.

ამასთან ნათელი იყო, რომ „თერთსაყელოიანთა“ დანაშაულობაში კორპორაციის შორს მიმავალი ინტერესები იკვეთებოდა, რომლებიც სცილდებოდა სახელმწიფო ინტერესების საზღვრებს [5, 291].

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, გაეროს მეხუთე კონგრესის რეკომენდაციები საინტერესოა იმით, რომ მათ სტიმული მისცეს დანაშაულობის გლობალიზაციის მიზეზების განხილვას. ამავე დროს კონგრესმა დასახა „თერთსაყელოიანთა“ დანაშაულობის და საერთაშორისო ბიზნესის კავშირის ხაზი და ამგვარად სტიმული მისცა დანაშაულობის კაზუალურ ანალიზს. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ კონგრესის რეკომენდაციები ატარებდნენ შორს მიმავალ სოციალურ ხასიათს, მაგრამ თავს იჩენდნენ კრობლების სხვა ასპექტები.

ეკონომიკური დანაშაული ვითარდებოდა და ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებდა სწორედ იმიტომ, რომ ის კანონის წვდომის ფარგლებს გარეთ რჩებოდა. მეტიც, ეკონომიკური დანაშაულობის ჩადენისას ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა. ნაციონალურ კანონმდებლობათა არასრულყოფილების მიზეზით საგამოძიებო და სასამართლო ორგანიზაციებს არ შეეძლოთ ქმედითი ლონისძიებების განხორციელება დანაშაულის აღსაკვეთად. ეს თემა განხილული იქნა გაეროს მეექვსე კონგრესზე (კარაკასი 1980წ). რომელზეც განსაკუთრებით იქნა უურადღება გამახვილებული ეკონომიკრი დანაშაულის მაღალ ლატენტურობაზე [8].

„თერთსაყელოიანთა“ დანაშაულობასთან ბრძოლის დონიდან ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის დონეზე გადასვლა განხორციელდა გაეროს მეშვიდე კონგრესზე, რომელმაც აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო ფართო ჩარჩოებში განიხილა. მიღანის გეგმაში აღნიშნული იყო, რომ, ტრადიციული ფორმების გარდა, დადგა დანაშაულის ახალი ფორმების გამოკვლევის დრო. დანაშაულობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა როგორც ეროვნულ, ასევე, რიგ შემთხვევაში, საერთაშორისო მასშტაბებითაც. დანაშაულობის ზოგიერთ ფორმას შეეძლო ხელი შეეშალა ერების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისთვის და საფრთხე შეექმნა ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისათვის. ამ საგანგებო ფორმებს კონგრესმა მიაკუთვნა ის ფაქტი, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ფიტავს საზოგადოებას და მის დესტაბილიზაციას იწვევს.

ამასთან, როგორც აღინიშნა, აუცილებელია, უურადღება დაეთმოს შესაძლო ურთიერთკავშირს დანაშაულობასა და ცალკეულ ასპექტს შორის, როგორიცაა მოსახლეობის სტრუქტურა და მისი მატება, ინდუსტრიალიზაცია, საბინაო საკითხები და შესაძლებლობები შრომითი დასაქმების სფეროში [9].

1990 წელს პავანაში ჩატარებული მერვე კონგრესი უფრო მეტად შეეხო დანაშაულობის გლობალიზაციის საკითხებს. კონგრესზე ასევე აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა საშიშროებას უქმნის ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებასა თუ სტაბილურობას და პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხელისუფლებაზე ფრონტალურ თავდასხმას ახორციელებს, აგრეთვე საფრთხეს უქმნის თვით სახელმწიფოებრიობას. ის არღვევს სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებას და სახელს უფასებს მათ, რაც იწვევს დემოკრატიული პროცესების მიმართ ნდობის დაკარგვას. იგი ძირს უთხრის განვითარების პროცესს და ნულზე დაჰყავს მიღწეული წარმატებები, მსხვერპლის მდგომარეობაში აგდებს ქვეყნების მოსახლეობას და ექსპლუატაციას უწევს რა ადამიანების საქმიანობას, შემოსავალსაც იღებს აქედან. ის აიძულებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, ჩაებას ურთიერთდაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობებში. აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია ის, რომ კონგრესზე პირველად იქნა შემოტანილი „დანაშაულებრივი კომერციული გარიგებების“ ცნება და დაფიქსირდა, რომ ამ გარიგებებმა „მთელი მსოფლიო მოიცავა“. კონგრესზე ითქვა, რომ ბოლო თოწლეულებში აღინიშნება ტრანსნაციონალური დანაშაულობის სწრაფი ზრდა და ამ ტენდენციას სტიმულს აძლევს ტექნოლოგიებისა და კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარება, ასევე საერთაშორისო კომერციული და ეკონომიკური საქმიანობის, გადაზიდვებისა და ტურიზმის უპრეცენდენტო ზრდა. ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები უფასებურად იყენებენ ამ ახალ და უფრო მოქნილ საერთაშორისო მდგომარეობას და შედეგად დანაშაულობის მასშტაბი არა მარტო იზრდება, არამედ უფრო შემოსავლიანიც ხდება.

ორგანიზებული დანაშაულობის ინტერნაციონალიზაცია აისახება ნარკოტიკული საშუალებების, მოპარული ნივთების, იარაღის და სხვა უპარნო საქონლისა თუ მომსახურების მსოფლიო ბაზრების ზრდა. ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი უფასებურად იყენებენ ამ ახალ და უფრო მოქნილ საერთაშორისო მდგომარეობას და შედეგად დანაშაულობის მასშტაბი არა მარტო იზრდება, არამედ უფრო შემოსავლიანიც ხდება.

დანაშაულებრივი კომისიული გარიგებების ქსელის მეშვეობით, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო.

გაული საუკუნის 90-იან წლებში მკაფიო კონტურებს იძენს დანაშაულობის ახალი ფორმა, რომელსაც კრიმინოლოგები ბიზნეს-დანაშაულს უწოდებენ. მისი განვითარების მაჩვენებელია:

- კრიმინალის შეღწევა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში;
- აკრიმატიული საქონლისა და მომსახურების ბრუნვასთან დაკავშირებული ბიზნესის ტრანსნაციონალიზაცია;
- საგადასახადო მუტაციის მქონე დანაშაულთა განვითარება ნორმალური საქონლის და მომსახურების ბრუნვასთან დაკავშირებული ბიზნესის სფეროში;
- სისხლის სამართლის დარღვევების მასობრივი გავრცელება და მათი მსხვილი კორპორაციული ინტერესებისადმი დაქვემდებარება.

ამასთან დაკავშირებით, სწორედ ქაიროს კონგრესზე ბანი ანტონიო დი პიეტრო ამბრკიცებდა, რომ „XXI საუკუნის ზღურბლზე დანაშაულობის გლობალური პრობლემების ანალიზს საფუძვლად აუცილებელია დაედოს ცნება – დემოკრატია პასუხისმგებლობის ინტერესებში”, და არა “დემოკრატია სიმდიდრის ინტერესებში”. წინა კონგრესებისგან განსხვავებით, მეცხრე კონგრესი ქვეყნებს სთავაზობდა ერთობლივი ძალისხმევით მოხდინათ ზომების კოორდინაციის ინტენსიური ბიზნესის, შეექმნათ დემოკრატიული ინსტიტუტების თავისებური ველი კორპორაციული ბიზნესის, კრიმინალური სიმბიოზისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით.

დანაშაულობის გლობალიზაციის საკითხი კვლავ წამოიჭრა გაეროს შემდგომ კონგრესზე. დანაშაულობის პრევენციისა და სამართლდამრღვევებისადმი მოპყრობის გაეროს მეათე კონგრესზე (ვენა 2000 წლის 10-17 აპრილი) აღინიშნა, რომ ტრანსნაციონალური დანაშაულობა სერიოზული გამოწვევაა მსოფლიოსთვის მისი მასშტაბების, გამოვლინების ფორმების სწრაფი ზრდისა და აგრეთვე იმის გამო, რომ თავიანთ საქმიანობაში ტრანსნაციონალური დამნაშავეები იყენებენ იგივე ტექნილოგიებსა და მიღწევებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს კანონიერი საქმიანობის გლობალიზაციას.

ნარკოტიკების ბრუნვასთან, ფულის გათეთრებასთან და უკანონო მიგრაციასთან დაბავშირებული ოპერაციების განხორციელებისთვის ამჟამად ისევე იყენებენ ტელეფონებს, ფაქსის აპარატებს, ინტერნეტს, ჩქაროსნულ და მისაწვდომ სატრანსპორტო საშუალებებს, როგორც ნებისმიერი კანონიერი საქმიანობის დროს. ეს აისხება არამარტო დანაშაულების ჩადენის გეოგრაფიული დისტანციურობით, არამედ დამნაშავეების მიერ ნაციონალურ საზღვრებს გარეთ ოპერაციების წარმოებით. აღნიშნული მოვლენა არ ატარებს იზოლირებულ ხასიათს და წარმოადგენს გლობალიზაციის საერთო პროცესის ნაწილს.

მეათე კონგრესზე გამოსვლისას, გაეროს გენერალურმა მდივანმა თავის მოხსენებაში დანაშაულობისა და სისხლის სამართლის სფეროში მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შესახებ, ყურადღება გააძლიერა ტრანსნაციონალურ დანაშაულობაზე გლობალიზაციის კონტექსტში. მან აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში საერთაშორისო არენაზე არც ერთი ცნება არ განიხილებოდა ისე აქტიურად, როგორც „გლობალიზაცია“. გენერალურმა მდივანმა თავისი მოხსენების მიზნებისათვის მისაღებად მიიჩნია გლობალიზაციის ინტერპრეტაცია პოლიტიკური საზღვრების გაქრობისა და ეკონომიკური ბაზრების გახსნის მოვლენებთან მიმართებით. მოხსენებაში აღინიშნა, რომ გლობალიზაცია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებით გავლენას ახდენს დანაშაულობის მდგომარეობაზე. ამასთან, გაეროს ის წევრი ქვეყნები, რომლებმაც მიიღეს ვენის დეკლარაცია დანაშაულისა და სამართლის შესახებ, შეშფოთებულები იყვნენ იმით, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი ახალგაზრდები ხშირად იქცეოდნენ სამართლდამრღვევებად ან ადვილ საკილოდ დანაშაულებრივ დაჯგუფებებში მათი ჩათრევის თვალსაზრისით, მათ შორის, –

ისეთ დაჯგუფებებშიც, რომელთა საქმიანობა ტრანსნაციონალურ თრგანიზებულ დანაშაულობას ჟკავშირდება. მოხსენებაში დაფიქსირდა, რომ აუცილებელია კონტრზომების მიღება ამ მზარდი მოვლენის აღსაკვეთად.

ტაილანდში ჩატარდა გაეროს მე-11 კონგრესი, რომელიც დანაშაულობის პრევენციისა და სისხლის სამართლის საკითხებს მიეძღვნა. კონგრესის მონაწილეებმა განიხილეს საერთაშორისო თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის ზომები ფულის გათეთრებასთან ბრძოლის, ნარკოტიკებით ვაჭრობის, საერთაშორისო ტერორიზმისა და კიბერდანაშაულის სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული იმაზე, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგებმა მთელი მსოფლიოს მაშტაბით გარდაქმნა საზოგადოების ცხოვრება.

საგანგებოდ იქნა განხილული კიბერტერორიზმის პრობლემები, კონგრესზე ხაზი გაესვა და მეტი ყურადღება დაეთმო ბოლო წლებში არსებულ კავშირს ტერორიზმსა და ინტერნეტს შორის. არსებობს იმის ნიშნები, რომ ინტერნეტს იყენებენ ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე ტერორისტული აქტების დაგეგმვისა და განხორციელების, ტერორისტული საქმიანობის პროპაგანდისა და მასში უფრო და უფრო მეტი ადამიანის ჩაბმის მიზნით.

მე-11 კონგრესის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მან განიხილა დანაშაულობა, როგორც ცივილიზაციების კონფლიქტის პროცესი. ბაზგოგის დეკლარაციაში „ურთიერთქმედება და საპასუხო ზომები, სტრატეგიული კავშირები დანაშაულობის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმხაჯულების დარგში”, აღნიშნული იყო, რომ ცივილიზაციებს შორის დიალოგის დარღვევის შედეგად იქნება თავს ტერორიზმის ყველა ფორმა და გამოვლინება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბანგკოკის დეპლარაციის დებულება მთელი ხუთი წლის მანძილზე მზადდებოდა. 1998 წლის 4 ნოემბერს 53122 რეზოლუციაში ცენტრალურმა ანსამბლეამ 2001 წელი ცივილიზაციებს შორის დიალოგის წელიწადად გამოაცხადა.

უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულობის, როგორც გლობალური პრობლემის მიმართ ცივილიზებულმა მიღებომამ სახელმწიფოებს საშუალება მისცა, გამოსულიყო ნაციონალური პრობლემების ვიწრო ჩარჩოებიდან და ნათელი გახადა, რომ დანაშაულობის პრევენცია კონკრეტული სახელმწიფოს ჩარჩოებში უნდა ისახავდეს შემდეგ მიზნებს – საყოველთაო მონაწილეობას, თანასწორობას, ერთობას, სამართლიანობასა და ადამიანებს შორის მხარდაჭერას, ცივილიზაციებს შორის ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემას, ურთიერთგამდიდრებასა და ცოდნის გადრმავებას, აგრეთვე ყველა ერის ცივილიზაციის სიბრძნის შეცნობას.

მე-11 კონგრესზე დაგეგმილი დანაშაულობის გლობალური განხილვის იდეა კიდევ უფრო განვითარდა მე-12 კონგრესზე, რომლის ძირითადი თემა გახდა თემა „კომპლექსური სტრატეგიები გლობალური გამოწვევების საპასუხოდ, დანაშაულობის პრევენციის და სისხლის სამართლის სისტემები და მათი განვითარება ცვალებად სამყაროში.“

კონგრესის დღის წესრიგში შედიოდა რვა ძირითადი პუნქტი:

1. ბავშვები, ახალგაზრდები და დანაშაულობა;
2. ტერორიზმი;
3. დანაშაულობის პრევენცია;
4. მიგრანტების კონტრაბანდა და ადამიანით ვაჭრობა;
5. ფულის გათეთრება;
6. კიბერდანაშაული;
7. საერთაშორისო თანამშრომლობა დანაშაულობასთან ბრძოლაში და
8. ძალადობა მიგრანტებისა და მათი ოჯახებს მიმართ.

ამასთან, აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით დასახულ იქნა მასშტაბური ამოცანა – უსაფრთხოების გლობალური კულტურის შექმნა, რომლის ჩარჩოებში გათვალისწინებული იქნებოდა ყველა, მათ შორის, განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებები [11].

შეჯამებისათვის აუცილებელია მოვიყვანოთ ნარკოტიკების დარგში გაეროს აღმასრულებელი დირექტორის, ანტონიო მარია ოსტას მიერ გაკეთებული დასკვნები, რომელთა მიხედვითაც, დანაშაულობა, განსაკუთრებით მისი ორგანიზებული ფორმები ატარებენ გლობალურ ხასიათს და ისინი საფრთხეს უქმნიან ცალკეული სახელმწიფოს სუვერენიტეტს, რის გამოც გაეროს უწნდება საგანგებო გალდებულება, განახორციელოს კოორდინირებული მოქმედებები ფულის გათეთრებასთან და კორუფციასთან ბრძოლის კუთხით. ანგარიშში აღინიშნა, რომ დანაშაულებრივი დაჯგუფები ნარკოტიკების, იარაღის, ადამიანების, საქონლის, კონტრაბანდული საქონლის (პროდუქციის) უკანონო ბრუნვიდან, აგრეთვე საზღვაო მეკობრეობიდან და კიბერდანაშაულის ჩადენიდან ყოველწლიურად მიღიარდობით დოლარს იღებენ.

როგორც კონგრესზე აღინიშნა, საფრთხე არამარტო ეკონომიკურ ხასიათს ატარებს. დანაშაულებრივი და მაღის გამოყენების გზით მიღებული შემოსავლები ხმარდება არჩევნებზე, პოლიტიკურ და საომარ საკითხებზე გავლენის მოპოვებას და მსოფლიოში იქმნება უკანონო საქონლის უმსხვილესი ბაზარი. შესაბამისად, არ შეიძლება ამ პრობლემის სათანადოდ არ შეფასება, განსაკუთრებით დარიბ ქვეყნებთან მიმართებით, რომლებსაც არ ძალუდო, დამოუკიდებლად დაიცვან თავი. ამავე მიმართულებით მოქმედებს ფულის გათეთრება და კორუფციაც.

ანგარიშის საკვანძო ელემენტებს წარმოადგენდა შემდეგი მონაცემები:

1. ევროპაში დაახლოებით 400.000 ადამიანია ადამიანით ვაჭრობისა და სექსინდუსტრიის მსხვერპლი და მათგან მიღებული წლიური შემოსავალი დაახლოებით 3 მილიარდ აშშ დოლარს შედგენს;
2. კონტრაბანდისტები ყოველწლიურად დაახლოებით 6,6 მილიარდ აშშ დოლარს იღებენ აფრიკიდან ევროპაში და ლათინური ამერიკიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანების უკანონო მიგრაციიდან;
3. ევროპა ჰეროინის უმსხვილეს რეგიონულ ბაზარს წარმოადგენს (20 მლრდ.), ხოლო რუსეთი – მსოფლიოში უმსხვილესი მომხმარებელია (70 ტონა);
4. ტრეფიკის ფულის უმეტესი ნაწილი მიმდებ ქვეყნებში მიმართება;
5. აფრიკაში არსებული შემოწმებელი მედიკამენტების ნახევარზე მეტი კონტრაბანდულია, რაც დაავადებების შემცირების ნაცვლად, მათი რიცხვის ზრდას იწვევს.

ნაციონალური დანაშაულობის სპეციფიკის მიუხედავად, გლობალიზაციის პროცესებმა გამოკვეთა დღევანდებელი დღისთვის დანაშაულობის განსაზღვრულ სახეებთან ბრძოლის ყველაზე აქტუალური პრობლემები, რომლებიც საფრთხო მსოფლიო ქვეყნებისათვის.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, გამოიყოფა დანაშაულობის ყველაზე აქტუალური სახეები, რომლებიც მსოფლიო საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ: საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინების მრავალფეროვანი ფორმები; ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა; მონებით ვაჭრობა და განსაკუთებით – ქალებით და ბავშვებით ვაჭრობა, ძირითადად მათი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით; კორუფცია; დანაშაულებრივი გზით შეძენილი ფულადი სახსრების ან სხვა ქონების ლეგალიზაცია, ანუ გათეთრება [4].

დანაშაულობის განხილვა გლობალურ პრობლემად განსაზღვრავს საერთაშორისო აქტებში პრევენციული ზომების ძირითად მიმართულებებს. ძირითადად, ისინი განსხვავდება დანაშაულობის ფორმების მიხედვით. უმნიშვნელოვანესი პრევენციული ზომების რიცხვს განეკუთვნება:

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდები - საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში ეს ზომები ასახულია შესაბამის კონვენციებში, როგორიცაა:

- ევროპის საბჭოს 1977 წლის კონვენცია ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ;
- 1970 წლის კონვენცია საჰაერო ხომალდების უკანონო შეპყრობასთან ბრძოლის შესახებ;
- 1971 წლის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ არაკანონიერ აქტებთან ბრძოლის შესახებ;
- კონვენცია დანაშაულობის პრევენციისა და დასჯის შესახებ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირთა წინააღმდეგ, მათ შორის დიპლომატიურ აგენტებთან მიმართებით, 1973წ;
- საერთაშორისო კონვენცია მძევლების შეპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 1979წ;
- კონვენცია ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ, 1980წ;
- 1994 წლის გაეროს გენერალური ანსამბლეის დეკლარაცია საერთაშორისო ტერორიზმის ლიკვიდაციის ზომების შესახებ და 1996 წლის დეკლარაცია, რომელიც მას სრულყოფს;
- საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 1999წ;
- ტერორიზმთან, სეპარატიზმთან და ექსტრურიზმთან ბრძოლის 2001 წლის კონვენცია;

ზემოაღნიშნული კონვენციები განსაზღვრავენ ტერორიზმის ნიშნებს და ამასთან ტერორიზმის არც ერთი გამოვლიონება არ განიხილება მათში, როგორც პოლიტიკური დანაშაული, რომელიც გამოწვეულია პოლიტიკური და რელიგიური მოტივებით. ამასთან, კონვენციებში ჩამოყალიბებულია ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის ტერორისტების გაცემის წესები და პროცედურები.

უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციებმა დადებითი გავლენა მოახდინა ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ბაზის შექმნაზე საქართველოში, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლებრივი ტერორისტული ორგანიზაციების და ტერორისტული აქტების დაფინანსების სხვადასხვა ფორმის მიმართ შემოღებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ნორმები.

უმნიშვნელოვანეს პრევენციულ ზომებს მიეკუთვნება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის ზომები და ამ საკითხის მარეგლამენტებელ საერთაშორისო აქტებს განეკუთვნება:

- ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ, 1961წ (1972 წლის პროტოკოლით შეტანილი შესაბამისი შესწორებებით);
- კონვენცია ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ, 1971წ;
- გაეროს კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შესახებ, 1988წ;

ზემოაღნიშნული კონვენციების ძირითადი დებულებები ორგანულად შევიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში და ეს საკითხი მეცნიერთა მრავალ ნაშრომშია ასახული.

მონებით ვაჭრობა, ქალებით და ბავშვებით ვაჭრობა-უპირატესად სექსუალურ ბიზნესში.

ამ პრობლემის აქტუალობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში კრიმინოლოგები სულ უფრო ხშირად იყენებენ კომპლექსურ მიღებომას და

ცდილობენ დრმად გაანალიზონ ქალებით და ბავშვებით გაჭრობის დეტერმინაცია. მე-XX საუკუნეში მიღებული იქნა 15-ზე მეტი კონვენცია, დეკლარაცია და რეზოლუცია, რომლებიც ითვალისწინებენ ადამიანით გაჭრობისთვის წინააღმდეგობის გაწვეის სხვადასხვა ზომებს.

კორუფცია. აღნიშნული პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას ყველა ქვეყნის წინაშე, მათ შორის, იმ ქვეყნებისა, რომლებიც, როგორც წესი, დემოკრატიულ, ეკონომიკურ და სოციალური კეთილდღეობის ქვეყნებად ითვლება (საკმარისია გავისენორ გახმაურებული პოლიტიკური სკანდალები და სასამართლო პროცესები რეზიდენტებზე, მთავრობათა მეთაურებზე, მინისტრებზე იტალიაში, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, ისრაელში). როგორც ცნობილია (თუნდაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებით), ეს პრობლემა განსაკუთრებით სიცოცხლის უნარიანია თანამედროვე რესეფში. საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს, გამონახოს ამ ბოროტებასთან ბრძოლის სამართლებრივი საშუალებები. ამ მიმართულებით გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი [1].

დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი სახსრების ან სხვა სახის ქონების ლეგალიზაცია (გათვალისწინება). დანაშაულებრივი საქმიანობის ამ სახეობათა წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს წარმოადგენს:

- ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათვალისწინების, გამოვლენისა და კონფისკაციის შესახებ და
- გაეროს 2000 წლის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ. აღნიშნული სამართლებრივი აქტები განსაზღვრავენ (აკონტროლებენ): დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ცნებას; საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებს აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლაში; ურთიერთდახმარების ხასიათს განსახილველ დანაშაულთა გამოძიებისას და სამართლებრივი დახმარების სხვა აქტებს მითითებული კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობაში ასახულია დასახელებული კონვენციების ძირითადი დებულებები. უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმის და მისი დაფინანსების, კორუფციის, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ მიმართული ძირითადი საერთაშორისო კონვენციები ურჩევენ წევრ სახელმწიფოებს თავიანთ კანონმდებლობაში იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გათვალისწინებას. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად, აშშ –ში, კანადაში, საფრანგეთში, ინგლისში, ჰოლანდიაში აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თემის შეჯამებისთვის, შეგვიძლია მითითება გავაკეთოთ „მილანის სამოქმედო გეგმაზე”, რომელიც აღინიშნა, რომ დანაშაულობა წარმოადგენს სერიოზულ ეროვნულ პრობლემას, რიგ შემთხვევაში კი, საერთაშორისო მასშტაბებში, დანაშაულის ზოგიერთი ფორმა (ტრეფიკინგი, ტერორიზმი, ნარკოტიზნესი) აფერხებს ერების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას და საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანთა უფლებებს, ძირითად თავისუფლებებს, აგრეთვე მშეინარებებს, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. მსოფლიო ფორუმი, რომელსაც წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მოწოდებულია შეასრულოს მნიშვნელოვანი პრევენციული როლი და გაზარდოს ამ სფეროში მის მიერ შეტანილი წვლილის ეფექტურობა. ამასთან დაკავშირებით, ვ. ლუნევი შემთხვევით არ აღნიშნავდა, რომ შეიძლება ვისაუბროთ გლობალიზაციის არსებით და სპეციფიკურ წვლილზე სულ მცირე რვა კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვნად ასპექტში:

- 1) დანაშაულობის მაღალ დონეში და თავისებურ სტრუქტურაში მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებში;
- 2) დანაშაულობის და მისი სხვადასხვა სახეობების მიზეზებისა და პირობების ერთობლივობაში;
- 3) დამხაშევთა პიროვნებების თავისებურებებში;

- 4) საშიში საქმიანობის ახალი ფორმებისა და სახეობების წარმოშობაში;
- 5) სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის სპეციფიკური სფეროს გაფართოვებაში;
- 6) ტრანსნაციონალურ (განსაკუთრებით ორგანიზებულ და ტერორისტულ)
- დანაშაულობაში;
- 7) ტრანსნაციონალურ დანაშაულობის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის იძულებით გაფართოებაში;
- 8) დანაშაულობის პრევენციის შინაარსსა და ორგანიზებაში.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ შემდგომი გლობალიზაციის პროცესში კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის უველა შემადგენელმა ნაწილმა შესაძლოა განიცადოს ან უკვე განიცდის შესამჩნევ და კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვან ცვლილებებს. ამ ტენდენციაზე მრავალი მეცნიერის კვლევები მიუთითებენ. [3, 110]

#### ბამოყენებული ლიტერატურა

1. Га́муре́нко И., и др. Криминальная политика в контексте глобализации // Криминальная политика в контексте глобализации / под ред. А.А. Смирнова. М.: Юрайт, 2011. С. 110.
2. Бжезинский З. 2000. Шахматная доска. Перевод с английского М.
3. Лунеев В. 2007. Эпоха глобализации и преступность. М.: Нория стр.110
4. Лунеев В. Глобализация и преступность. Доклад на Московском форуме, 22-24 января 2003 г. Государство и Право М. 2003 №6 стр.
5. Кайзер Т. 1979. Криминология. Введение в основы М.
6. Михайловский Р. 2009. Преступление, Закон и социальные изменения.
7. Fifth UN Congress on the prevention of crime And treatment of offenders– Geneva 12 September 1975 . [http://www.asc41.com/UN\\_Congress/5th](http://www.asc41.com/UN_Congress/5th)
8. Sixth UN Congress on the Prevention of Crime and Treatment of Offenders Caracas, Venezuela 25 August - 5 September 1980
9. Seventh UN congress on the Prevention of crime and Trantment og osendess – Milan. Italy 1985 26.08. Ninth UN Congress on the Prevention of Crime and Treatment of Offenders" Cairo, Egypt 28 April - 5 May 1995
10. Vienna Declaration on Crime and Justice: Meeting the Challenges of the Twenty-first Century Declaration-18-25 April 2005 Al. Cong 203118
გაფართოება წარმოადგენს სახელმწიფოს გრძელვადიანი სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას. არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენცია ყოველთვის იყო ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

შევაჩეროთ ყურადღება არასრულწლოვან დამნაშავეთათვის დამახასიათებელ რამდენიმე ნიშანზე. არასრულწლოვან დამნაშავეთათვის სუბიექტურად უფრო მნიშვნელოვანია უქმი დროსტარება, რომელიც დიდ გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე. უქმი დროსტარების საქციოკა განასხვავებს დანაშაულის ჩამდენ მოზარდებს მათი კანონმორჩილი თანატოლებისაგან. დამნაშავეთათვის დამახასიათებელია თავისუფალი დროის გამოყენების შესაძლო გარიანტების ნაკლებობა. მაგალითად, შეკითხვაზე, თუ როგორ ატარებენ თავისუფალ დროს არასრულწლოვნები, კანონმორჩილ მოზარდთა 2/3-მა უპასუხა, რომ დაკავებული არიან ტექნიკური შემოქმედებითა და სპორტით. ანალოგიური პასუხი იგივე შეკითხვაზე გასცა კანონდამრღვევთა მხოლოდ 1-15%-მა. ტიპურია, აგრეთვე, ინტერესების არამდგრადობა: სპორტით დაკავება, რომელიც თავისუფალი დროს გატარების ყველაზე უფრო პოპულარული ფორმაა, არასრულწლოვან კანონდამრღვევებში მხოლოდ ხანმოკლე გატაცებას წარმოადგენს. თავისუფალი დროისა და დღესასწაულების უშინარსოდ გატარება წინ უძღვის დანაშაულის ჩადენას. პიროვნების სოციალ-ნეგატიური ორიენტაციის მექანიზმის განვითარება არასრულწლოვნებში ფორმულირდება, როგორც წესი, მოქმედების გარკვეული ფორმების და არა შინაგანი მოთხოვნილებებისგან. ფაქტობრივად, დროსტარება მყარდება ჩვევაში, რაც აყალიბებს შესაბამის მოთხოვნილებებს.

არასრულწლოვანი კანონდამრღვევებისთვის დამახასიათებელია ისეთი ნეგატიური თვისებები, როგორიცაა უხეშობა, გაბოროტება, აგრესიულობა, სიცრუე, უპასუხისმგებლობა, სხვათა მიმართ თანაგრძნობის უქონლობა და სხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ადგილი აქვს არა ერთი რომელიმე ამ თვისების, არამედ მთელი მათი კომპლექსის არსებობას. ეს კი მთლიანობაში პიროვნების ზეობრივი დეფორმაციის მაჩვენებელია. როგორც წესი, კანონდამრღვევებთან სასწავლო და საწარმოო საქმიანობაში წარმატებების მიღწევისათვის სწრაფვას ენაცვლება დროის უქმად ტარების მოთხოვნილებები და ინტერესები. ასეთ ადამიანებში შეფასებებისა და პრიორიტეტების სისტემა სულ უფრო მეტად ორიენტირდება პიპერტროფირებული მოთხოვნილებებისა და ინტერესების მიმართულებით, რომლებიც დაბავშირებულია მოდის აყოლასთან, არაჯანსად სურვილებთან, რასაც მოცემულ მიკროსამყაროში ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ერთერთი უმნიშვნელოვანები ადგილი, სადაც ბავშვი ყველაზე მეტ დროს ატარებს, სკოლაა. რა კეთდება მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ იმისათვის, რომ მოზარდებს შორის ძალადობა და დანაშაული შემცირდეს? არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციისათვის, საქართველოს პროგურატურასთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წელი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის წლად გამოაცხადა, რამაც არასრულწლოვნებში დანაშაულის მინიმუმადე შემცირებას შეუწყო ხელი. ამ მიმართულებით რამოდენიმე ღონისძიების გატარება დაიგეგმა. საქართველოს პროგურატურის წარმომადგენლები სკოლებში ლექციებს ატარებენ სამართლებრივ საკითხებზე, რაც მაღლა სწევს განათლების დონეს და პრევენციის კარგი მექანიზმია. ეს პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება, მასში მონაწილეობენ არა მხოლოდ პროგურორები, არამედ პოლიციელები და იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებიც. სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ეს ერთი კომპონენტი, ბუნებრივია, არასრულწლოვნებს შორის დანაშაულის დონეს ვერ დასწევს. ამიტომ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ სკოლებში ახალი პროექტის პილოტირება მოახდინა, რაც სკოლაში მანდატურების ყოფნას ითვალისწინებს. მანდატურები მეცნიერებისა და განათლების

სამინისტროს დაექვემდებარებიან, არ იქნებიან პოლიციულები და არც რაიმე კაგშირი არ ექნებათ მათთან. ისინი, ერთი მხრივ, დისციპლინას დაიცავენ სკოლაში, მეორე მხრივ კი, ითანამშრომლებენ მშობლებთან და სკოლის დირექტორისთან, მისცემენ მათ რეპომენდაციებს, იმსჯელებენ დისციპლინარულ სასჯელზე ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვების მიმართ და სხვ. მანდატურები საკმაოდ მყაცრად იქნენ შერჩეული. მათ შეიძლება, მხოლოდ საშუალო განათლებაც ჰქონდეთ, მაგრამ მანდატური ფსიქიკურად მდგრადი უნდა იყოს, მისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაზე კი საქართველოს პროგურატურასთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზრუნავს. პოლიციის აკადემიამ სპეციალური პროგრამით, მოამზადა მომავალი მანდატურები. ვფიქრობთ, რომ ეს ინსტიტუტი ძალიან შეუწყობს ხელს სკოლაში დანაშაულის პრევენციას.

მანდატურების ინსტიტუტის შექმნას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მშობელთა ნაწილი დამშვიდდა, – დარწმუნებული ვიქნები, ჩემს შვილს არავინ არაფერს დაუშავებსო. ნაწილმა კი მანდატურთა შემოსვლით მოზარდებში დანაშაულის პრევენციის 100%-იანი გარანტია ვერ დაინახა. მიზეზი მარტივია: მანდატურებმა სკოლებში სიტუაციის განეიგრადება რომც მოახერხონ, სკოლის გარეთ ყოველგვარ პასუხისმგებლობას ისხნიან. შესაბამისად, მოსალოდნელია, სკოლაში დაწყებული წყენა ქუჩაში ჩეუბის სცენამ ჩანაცვლოსო. გარდა ამისა, მოზარდის მუდმივი დევნა შეუძლებელია. შესაბამისად, დანაშაულის პრევენციისთვის ალტერნატიული გზის მოძებნაც უნდა მოხერხდეს. მთავარი ისაა, რომ მას „გარჩევებში“ მონაწილეობის მიღების ან თუნდაც, ქუჩაში უსაქმოდ დგომის სურვილი გაუქრეს.

სკოლებში ხშირია უფროსკლასელების მხრიდან უმცროსკლასელებზე ზეწოლა ფულის გამოძალვის მიზნით. სწორედ ამიტომ, „უსაფრთხო სკოლის“ ერთ-ერთი კომპონენტი სკოლის ტერიტორიაზე ნადირი ფულის ხმარებიდან ამოღება. სკოლის სასადილოებში ადარ მოხდება ნადირი ფულის გადახდა, ფულის ნაცვლად ბავშვებს პლასტიკური ბარათები ექნებათ, რომელზედაც მშობელი თანხას ჩარიცხავს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კონკრეტული წყაროს გამოვლენასა და ადგეთას, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე. აქ იგულისხმება ადმინისტრაციული ზედამხედველობა იმ პირთა საქმიანობაზე, რომლებიც გასამართლებული იყვნენ საშიში დანაშაულის ჩადენისათვის. ასევე, საჭიროა იმ პირთა პასუხისმგებაში მიცემა, რომლებიც ცეცხლსასროლ და ცივ იარაღს აკეთებენ და ინახავენ, ავრცელებენ პროგრაფიულ სურათებს, აწყობენ გარევნილების ბუნაგს და ა.შ.

არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი პიროვნების შესწავლას. საჭიროა სრულყოფილად გაირკვეს მისი ცხოვრების პირობები ოჯახში, უნდა დადგინდეს მეგობართა წრე, ვისთანაც იგი ატარებს თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს, შესწავლილი უნდა იქნეს მისი ინტელექტუალური განვითარების დონე, მისწრაფებები, ინტერესები, ხასიათის დაღებითი და უარყოფითი თვისებები და ა.შ. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, თუ როგორ ასრულებს არასრულწლოვანი დავალებებს, როგორია მისი დამოკიდებულება ამხანაგებთან და სხვა პირებთან, ასრულებს თუ არა საზოგადოებრივ დავალებებს და ა.შ. თუ პიროვნება არ სწავლოს, ასეთ შემთხვევაში გამორკვეულ უნდა იქნეს, თუ როდის და რა მიზეზით მიატოვა სწავლა. ამასთან უნდა დადგინდეს, ხომ არ ჩაუდენია ადრე დანაშაული, ან იყო თუ არა შემჩნეული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და რა ღონისძიებები გატარდა მის მიმართ.

იმ პირებს შორის, რომელთა ცხოვრების წესი, ქცევა და ურთიერთობის მანერა ცალკეულ ადამიანთან და საზოგადოებასთან რეალურ შესაძლებლობას ქმნის დანაშაულის ჩადენისათვის, უნდა ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა. გადაცდომის ხასიათის შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებები. ვინაიდან ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა მიერ

დანაშაულის ჩადენა მნიშვნელოვანწილად ქუჩებში, პარკებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხდება, მისი თავიდან აცილებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საპატიულო სამსახურის მუშაკთა სათანადოდ ორგანიზებულ მუშაობას.

არასრულწლოვნის ან ახალგაზრდა თაობის მიერ დანაშაულის ჩადენას უპირატესად კანონების არცოდნა იწვევს. ამიტომ, საჭიროა ჩვენს ახალგაზრდობას საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასებიდან შევასწავლოთ კანონმდებლობის საფუძვლები. ყველა ახალგაზრდა მტკიცედ უნდა ერკვეოდეს ისეთ საკითხებში, როგორიც არის ადამიანის უფლებანი და მოვალეობანი, თუ რა არის ჩვენ საზოგადოებაში ნებადართული და რა აკრძალული, როგორია პასუხისმგებლობის ზომა და სარისხი სამართლდარღვევის შემთხვევაში.

ამ საქმიანობას უნდა ჰქონდეს მიზანმიმართული ხასიათი და განხორციელდეს ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის ყევლა სფეროში მონაწილე ორგნოებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური საშუალებებითა და მეთოდებით. საქმე ეხება ძირითადად მოზარდთა ოჯახური, სასკოლო და შრომითი აღზრდის ნაკლოვანებების მიზანმიმართულ აღმოჩენას, აგრეთვე, დანაშაულთან ბრძოლის მწარმოებელი ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას. აღნიშნული პრობლემების გადაჭრის კონცეპტუალური საფუძვლები და კონკრეტული ღონისძიებები ასახულია საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში. აქ იგულისხმება: კანონდამრღვევი ბავშვებისა და მოზარდების სახელმწიფო პროფილაქტიკური სისტემების ფუნქციონირებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა. ბავშვებთან და მოზარდებთან უმეთვალყურო და სარგაბილიტაციო სამუშაოს შემსრულებელი ორგანოების აღჭურვა აუცილებელი მოწყობილობებითა და ავტომატიზაციით. თანამედროვე პირობებში ბავშვთა და მოზარდთა სამცნირო-მეთოდური პროფილაქტიკის საფუძვლების შემუშავება; პროფილაქტიკური სისტემის კადრებით უზრუნველყოფა.

ყველა ამ გადაწყვეტილებას აქვს პრინციპული ხასიათი კიდევ იმიტომ, რომ მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს ერთი რომელიმე კონკრეტული ტერიტორიის რომელიმე კონკრეტულ აღმინისტრაციას. სწორედ ხელისუფლების რეგიონული ორგანოების აღმინისტრაციაა მოწოდებული მუდმივად იქონიოს ეს საკითხი მსედველობის არეში, წარმართოს და კორდინირება გაწიოს კანონდარღვევასთან ბრძოლაში სხვადასხვა ორგანოებისა და დაწესებულებების, სამართლდამცავი ორგანოების, მთელი საზოგადოების, შრომითი კოლექტივების, ოჯახისა და სკოლის ძალისხმეულისა და ამისათვის აქტიურად გამოიყენოს ორგანზაციული, ეკონომიკური, და იდეოლოგიური საშუალებები. ამ მიმართულებით პროფილაქტიკური სამუშაო კომპლექსურად უნდა წარმოებდეს გეგმიურ, სისტემურ-მიზნობრივ საფუძვლებზე.

ქვეყნის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ ყველა სახელმწიფო საზგადოებრივი ორგანიზაციის ძალისხმეული კონცენტრირებული უნდა იქნეს ინდივიდუალურ აღმზრდელობით-პროფილაქტიკურ საქმიანობაზე, ადამიანის ცნობიერების გარდაქმნაზე, რაც განავითარებს მის შინაგან კულტურას გააჯანსაღებს ოჯახურ ურთიერთობებს.

დანაშაულთან ბრძოლის პრობლემები თანმდევი ნეგატიური გამოვლინებებით არ შეიძლება მხოლოდ ამკრძალავი მეთოდებით იქნეს თავიდან აცილებული. როგორც წესი, ეს ღონისძიებები არამცთუ არ იძლევა პოზიტიურ შედეგებს, პირიქით, შემდგომში ახალ პრობლემებს ბადებს.

არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან ბრძოლაში კანონმდებლობა შესაბამისი ორგანოების პროფილაქტიკურ საქმიანობას ფართოდ მიმართავს არამხოლოდ ბავშვებსა და მოზარდებზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ოჯახური და სხვა მიკროგარემოს გაჯანსაღებისაკენ.

ამ მიზნით მრავალი წლის მანძილზე გამოიყენება დონისძიებები, რომლებიც მიმართულია მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და მოზარდების დროულ გამოგლინებაზე, ქორწინების **სამართლებრივი** რეგულირების საკითხის გაუმჯობესებაზე, ბავშვების ოჯახებში აღზრდაზე, მშობელთა პასუხისმგებლობის ზრდაზე, პედაგოგური მეთალურეობის გაუმჯობესებაზე, თავისუფალი დროის ჯანსაღ გამოყენებაზე; მშობელთა და არასრულწლოვანთა შორის სამართლებრივი და პედაგოგური პროპაგანდის წარმოებაზე და ა.შ.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს არასრულწლოვან დამნაშავეებთან ბრძოლის შედეგები, აგრეთვე არსებითად გაუმჯობესდეს ნაკლებად უზურნველყოფილ ოჯახებში ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრების პირობები, საჭიროა მუდმივი მიზანმიმართული ძალისხმევა. მათი რეალიზაციის არსი მდგომარეობა იმაში, რომ ქვეყანაში შეიქმნას პრინციპულად ახალი ვითარება, როცა არ იქნებიან მიტოვებული ბავშვები არც ბავშვთა სახლებში, არც სკოლა ინტერნატებში, არც სპეციალურ სკოლებში, არც ინვალიდ ბავშვთა დაწესებულებებში, არც ქუჩაში, არც ოჯახებში.

სოციალური უზრუნველყოფის არსი – ეს არის ადამიანის დახმარება ინდივიდუალურ პიროვნულ დონეზე, რათა მან შეძლოს გადაჭრას საკუთარი ცხოვრებისული პრობლემები როგორც კანონით დადგენილი შემწეობების, ისე ფსიქოლოგიური, იურიდიული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გამოყენებით, რაც მას საშუალებას მისცემს, მოახდინოს შინაგანი თვითდახმარების პონტენციალის გააქტივება. [9]

ინდივიდუალური პრევენციის დინისძიებები მიმართულია კონკრეტული პირის დანაშაულის პროფილაქტიკისკენ. შესაბამისად, ისინი უნდა ითვალისწინებდნენ პიროვნების თავისებურებებს, მისი საცხოვრებელი გარემოს სპეციფიკას. ინდივიდუალური პრევენციის წარმატება დამოკიდებულია პროფილაქტიკური საქმიანობის მდგომარეობაზე მთლიანად საზოგადოებაში, რეგიონში, კოლექტივში, პატარა ჯგუფებში. როგორ სრულყოფილადაც არ უნდა გატარდეს აღნიშნული დონისძიებები, როგორც არ უნდა გაისარჯოს საზოგადოება, საჭირო ეფექტს ვერ მივიღებთ, თუ არ გავითვალისწინებთ კონკრეტული პიროვნების სპეციფიურ თავისებურებებსა და ცხოვრების პირობებს.

დალიან მნიშვნელოვანია დაწყებითი სკოლის როლიც, რადგან მოზარდობის ასაკის პრობლემები 6-7-8 წლის ასაკიდან იღებს სათავეს. უკვე დაწყებით კლასებში ექმნებათ ბავშვებს სირთულეები და აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის პროფესიონალიზმს. ძალიან ბევრი რამ მასწავლებელზეა დამოკიდებული. სკოლის მასწავლებელმა უნდა შეძლოს რთული ბავშვის პრობლემებთან გამკლავება. სკოლაში, ჩვეულებრივ, ბევრი ცელქი ბავშვია, მაგრამ, თუ სწორად ვმუშავებთ, ეს სიცელქი დანაშაულში არ გადაიზრდება. თუკი ბავშვი ჩამორჩება სასწავლო პროცესს, მასწავლებელს უნდა შეეძლოს ინდივიდუალური პროგრამა შესთავაზოს მას.

მაინც რით შეიძლება არაწიგნისმოყვარული, არაერუდირებული, „ქუჩის გარჩევების“ მოსურნე მოზარდის დაინტერესება? ამ კითხვაზე ერთადერთი, უალტერნატივო პასუხი არსებობს: კომპიუტერით... მაგრამ აქ მეორე საშიშროება იჩენს თავს. ამ ასაკის ბავშვისთვის, კომპიუტერი ნარკოტიკივითაა...

სკოლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში ინტეგრაცია ბოლო რამდენიმე წელია მიმდინარეობს. თავის დროზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ სიახლის დანერგვას პედაგოგებსა თუ მშობლებში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. თუმცა, ციფრული ტექნოლოგიების აუცილებლობა საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის საქმეში ყველაზე აღიარა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ბავშვებისთვის საინტერესო რომ გამხდარიყო, ჯერ „ირმის ნახტომმა“, ახლა კი „ინოვაციურ სისტემათა ინსტიტუტმა“ სხვადასხვა პროექტი შემოგვთავაზა. საგულისხმოა, რომ ამ ტიპის პროექტებში განსხვავებული ინტერესებისა და სასიათის მქონე ბავშვების ჩაბმა მოხერხდა.

როგორც დათო დვინერია აღნიშნავს: „ბავშვებს, რომლებიც გამოვლენ საპურობილიდან და რომლებიც პრობაციაში არიან, საზოგადოებაში დაბრუნების მექანიზმი უნდა შევთავაზოთ, რომელმაც რეციდივის შემცირება უნდა უზრუნველყოს. ერთ-ერთი უმთავრესი აქ მათი თავისუფალი დროის ორგანიზებაა და არამარტო დასაქმების კუთხით. გაეროს ბავშვთა ფონდს, კონვენციიდან გამომდინარე, არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი ხედვა, რომ ბავშვმა დიდი დრო მოახმაროს ფიზიკურ ან სხვა სახის შრომას. ჯობია ითამაშოს, ფიზიკურად და გონიერივად განვითარდეს. წელს ავტვანეთ ქართველი კონსულტანტი, რომელიც თბილისისა და რუსთავის მასშტაბით იმ სერვისებს აღწერს, რომლებიც შეიძლება ბავშვებს უფასოდ ან მინიმალურ ფასად შევთავაზოთ. აქ იგულისხმება ნებისმიერი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონიერივ, ეთიკურ განვითარებას და ზოგიერთ სხვა პირობასაც დააკმაყოფილებს, კერძოდ, პროგრამა არ უნდა ფინანსდებოდეს მიუღებელი წყაროდან, დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტით ადვილად უნდა ხერხდებოდეს მისვლა და ა. შ. აღნიშნულის განხორციელების მიზნით ჯერ საინფორმაციო ბაზა შეიქმნება, შემდეგ უნდა შეირჩეს სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც გადავცემთ ამ ინფორმაციას. საინტერესო მოლაპარაკებები გვაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, პრობაციაში მუშაობას უნივერისტეტდამთავრებული სოციალური მუშაკები დაიწყებენ.“

## ბამოყვენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2009. თბილისი: რაიზი.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2009. თბილისი: რაიზი.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2010. თბილისი: ბონა კაუზა
4. ბარაბაძე თ. (მთავარი რედაქტორი). 2008. იურიდიული ენციკლოპედია. თბილისი: მერიდიანი.
5. გაბისონია ი. 2002. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში. თბილისი: მერიდიანი.
6. გოგშელიძე რ. (რედაქტორი), ავტორთა კოლექტივი. 2008. სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი: სტ. შპს გაზ. »საქართველოს მაცნე«.
7. ტურავა გ. 2008. სისხლის სამართლი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა). თბილისი: ბონა კაუზა.
8. სიდაშელი გ. 2010. მრგვალი მაგიდა. სოლიდარობა. №2. გვ. 4-12.
9. Ишаков С. М. 2002. Криминология, М., “Медгиз”
10. Сибиряков С. Л. 1998. Предупреждение девиантного поведения молодожени. Волгоград: “Фирма Гардарика”

*Sopho Loladze  
Grigol Robakidze University*

## **Issues of Prevention of Minors' Criminality**

### **Summary**

Minors' criminality in general is the part of the criminality existing in society the origin of which was definitely influenced by certain factors definitely. While studying the criminality of persons between the ages 14 – 18, social-psychological and general criminological indicators and categories are used. At the same time a number of circumstances and factors should be analyzed what will enable us to determine the specificity of this negative phenomenon and develop the inevitable measures of influence on them.

In general, minors' criminality can be discussed as the integrity of the interrelated factors such as minors' age, their social role and status and psychological peculiarities. Minors' criminality and its prevention have certain peculiarities which are discussed in the given article.

The historical review of the struggle against minors' criminality confirms that practically the avoidance of delinquency on all stages is discussed as the main and more effective direction. Reduction of the use of penalty of criminal law and accordingly, the expansion of preventive measures, is one of the priorities of the long term social policy of the state.

Prevention of minors' criminality always was the component part of the cranial law policy of any state, among them of Georgia.

Idle waste of time is subjectively more important for underage culprits what has a great influence on a person's formation. Specificity of the idle waste of time distinguishes juveniles committing delinquency from law-abiding peers. Culprits are characterized by the lack of the available options of using free time. For example, on the question, if how do they spend free time 2/3 % of law-abiding juveniles answered that they are busy in technical creation and sport. Only 1-15% of lawbreakers gave the similar answer. Instability of common interests is also typical: going in for sport, which is the most popular form of spending free time, in underage guilty is only short ardour for underage lawbreakers.

Idle waste of free time and holidays precedes committing crime. Development of the social and negative orientation mechanism in juveniles is formulated, as a rule, by certain forms of action and not from inner demands. Actually, pastime becomes a habit, which forms corresponding requirements.

Such negative characteristic features as rudeness, animosity, aggression, falsehood, irresponsibility, absence of condolence towards others, etc. are typical of minor lawbreakers. It is also significant that there exists not only one of these features, but the whole complex of these features. Namely this indicates an individual's moral deformation.

For preventing minors' crime, the Ministry of Education and Science of Georgia together with the Prosecutor's Office of Georgia enounce 2010 as the year of prevention of minors' crime what conduced to minimum minors' criminality. Several measures are planned in this direction. The representative of the Prosecutor's Office of Georgia deliver lectures about jurisprudence issues at schools what develops the education level and is a good mechanism of prevention. But only this component cannot lower the criminality level among minors.

Thus, the Ministry of Education and Science of Georgia begins piloting a new project at schools which implies establishing the institution of Resource Officers at school. Resource Officers will submit to the Ministry of Education and Science; they will not be the police and will not have any kind of relation with them. On the one hand they will look after the discipline at school, on the other hand, they will collaborate with parents and the school administration; if a child has behavioral problems, they will give recommendations, discuss the issues of disciplinary punishment, etc. We think that this institute will contribute to crime prevention.

Society's response to establishment of this institution was various. Part of the parents calmed down, part of them could not see 100% guarantee of the crime prevention among juveniles.

At schools senior pupils often press juniors to extort money from them. Thus, one of the components of a “safe school” is to forbid pupils to use cash on the school territory. Cash payments will no longer be in use in school canteens, instead of money children will have plastic cards on which parents will transfer money.

While investigating a crime committed a minor, it is important to study his/her personality. His/her living conditions, circle of friends with whom he/she spends most of his/her free time, the level of his/her intellectual development, aims, interest, positive and negative features, etc. should be thoroughly investigated.

Attention should be paid to the fact how a minor performs his/her tasks, his/her relations with friends and other people, whether he/she performs public tasks, etc. If an individual does not study, it should be found out when and why he/she quit studying. It should also be ascertained whether he/she has ever committed a crime, or whether he/she has ever been noticed in violation of the public order and what measures have been carried out against him/her. As young delinquents commit crimes mostly in streets, parks and other public place, the organized work of patrol police is of utmost importance to avoid such crimes.

Crimes committed by minors or young generation are mainly caused by the nescience of laws. That is why young people should be taught the fundamentals of law from secondary school’s final classes. Each young person should be aware of such issues as human rights and obligations, what is allowed and what is forbidden in our society, what is the size and quality of responsibility in case of tort.

In the decisions made by the leadership of the country is underlined that all efforts of every state public organization should be concentrated on individual educational-preventive activities, transformation of a human’s consciousness and psychology what will developing his/her inner culture and improve family relationships.

The problems of struggle against crime cannot be avoided only with prohibitive methods. As a rule, such measures do not give positive results; contrariwise, later they cause new problems.

In order to strengthen the results of struggle against minor culprits and also to considerable improve the living conditions of children and teenagers from poor families, constant purposeful effort is necessary. The essence of their realization is to create principally new conditions in the country when there will be no abandoned children either in children’s houses, boarding schools, special schools, invalid children’s establishments, or in the streets and family.

How is possible to awake such children’s interest who are not book lovers, who are not erudite and who like “street discussions”? The only answer to this question is: computer... But computers cause another danger: children become computer edict. Integration at the lessons of IT Technologies started several years ago. At first parents’ and school teachers’ response to this novelty was various. Though, everybody admitted the necessity of digital technologies for the development of society. In order the use of IT Technologies to become more interesting to children, at first “the Milky Way” and now “the Institute of Innovative Systems” proposed us different projects. It is important that children of different interests and features were involved in these projects.

The role of elementary school as well as a teacher’s professionalism is also very important because children’s problems already start at the age of 6, 7 or 8. Dato Gvineria notes: “Children who are released from prison and are passing the probationary treatment should be offered the mechanism of returning to society. This will decrease repeated commission of an offence. One of the main things is to correctly organize their free time and not only by giving him/her a job. According to the convention, the UN children’s fund should not consider that a child must spend much time for physical or other kind of work. It is preferable for a child to play and develop physically as well as intellectually.”

**იოსებ გამესწარაშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

**მკვლელობა პგელი ქართული სამართლის მიზანით**

მკვლელობა უმძიმესი დანაშაულია, რომელიც თან სდევს საზოგადოებას მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. მკვლელობის განსაკუთრებული საშიშროება ადამიანის უმთავრესი, ძირითადი აღუდგენელი ღირებულების – სიცოცხლის მოსპობაში გამოიხატება. სიცოცხლე ადამიანის უძვირფასესი უფლებაა სხვა ფუნდამენტურ უფლებებს შორის, შესაბამისად, ქართული სახელმწიფო დასაბამიდან დღემდე იცავს მას სისხლისამართლებრივი წესით. მკვლელობის გამო პასუხისმგებლობის საკითხი ოდიოგანვე წარმოადგენდა მეცნიერთა თუ პრაქტიკოს იურისტთა ყურადღების საგანს. მის აქტუალობაზე მიგვითოებს ჩვენამდე მოღწეული უძველესი სამართლის ძეგლები, რომლის მიხედვითაც ძველი საკანონმდებლო აქტები ერთმანეთისგან განასხვავებდნენ შემამსუბუქებელ და დამამიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობებს, განზრას მკვლელობას და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას.

წარმოდგენილ ნაშრომში გვინდა განვიხილოთ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული უმძიმესი დანაშაული – მკვლელობა ძველი ქართული სამართლის მიხედვით.

მკვლელობა როგორც დღეს, ასევე უძველესი დროიდან ითვლებოდა მძიმე დანაშაულად, მაგრამ სისხლის სამართლი ყოველთვის ერთგვაროვნად არ უყურებდა ამ ბოროტებას, ან უკეთ რომ ვთქვათ, კაცობრიობას თითოეული

მკვლელობა ყოველ უამს ცოდვადა და სააუგოდ არ მიაჩნდა [5, 221]. ახლანდელის მსგავსად, ისტორიულად, ბრძოლის დროს ომში მტრის მოკვლა არა თუ დანაშაულად, არამედ, პირიქით, სასახელო საქმედ ითვლებოდა.

VIII – X საუკუნეების საქართველოში კაცისკვლა საკმაოდ გავრცელებული დანაშაული იყო. ამ მხრივ ყურადსაღებია გიორგი მერჩულეს მიერ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოთხოვნილი ერთი ეპიზოდი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს, რომ IX საუკუნის საქართველოში შესაძლებელი იყო ადამიანის მოსყიდვა მკვლელობის ჩასაფენად, ანუ მკლელობის შეკვეთა. ნაწარმოების მიხედვით, ანხის ეპისკოპოსმა ვინმე ცქირმა თავისი მამხილებლის და მტრის, გრიგოლ ხანძთელის, მოკვლა განიზრახა. ჩანაფიქრის განსახორციელებლად „ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანხელსა, ლირბსა და გლახაკსა და მაგრად მოისარსა, და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტვ და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისსა“ [5, 222].

ყურადსაღებია აგრეთვე ორიოდე ცნობა, რომელიც მოიპოვება გიორგი მთაწმინდელის თხულებაში. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ გადაურჩა ორჯერ შემთხვევით სიკვდილს ექვთიმე მთაწმინდელი ათონის მონასტერში: პირველად, როდესაც გაბოროტებულმა და გაშმაგებულმა მონაზონმა სცადა მისი მოკვდინება მახვილით, ხოლო მეორედ, მონასტრის მებოსტნე შეეცადა მისთვის სიცოცხლის მოსწრაფვას. ორივე ზემოთ მოთხოვნილი ამბავი საგულისხმოა, რადგან ნათლად გვიჩვენებს: „თუ რამდენად დაუმონებელი ყოფილა ჯერ კიდევ მაშინ ადამიანის ვნებათა ღელვა: თუკი მონასტერშიც, მონაზონებს შორის, რომელთაც ყოველსავე ქვეყნიურზე და ხორციელზე უარი ჰქონდათ ნათქვამი და მართოდენ თავიანთ სულიერსა და ზნეობრივ გასპეტაკებაზე უნდა ეზრუნაო, შესაძლებელი ყოფილა, რომ ადამიანი გულისწყრომას კაცისკვლამდე მიეყვანა, რამდენად უფრო ხშირი იქნებოდა იმ დროს ეს შემზარავი ბოროტმოქმედება ხალხში, სოფლიოთა შორის“ [5, 223].

ძველი ქართული სისხლის სამართალი მკვლელობას სხვადასხვა ტერმინებით აღნიშნავდა, როგორიცაა: „მოკლვაი“, „კაცისკლვაი“, „მკულელობა“.

IX – X საუკუნეებამდე დალატით ჩადენილი მკვლელობის აღსანისნავად შემდეგი ტერმინები გამოიყენებოდა: ჩასაფრების აღსანიშნავად – „მზირად წასლვაი“, ან „მზირ ყოფაი“, ზურგიდან დაცემის აღსანისნავად – „კაცისკვლაი მიპარვითა“, ხოლო რაც შეეხება პირს, რომელიც აღნიშნულ დანაშაულს ჩაიდენდა, ეწოდებოდა – „კაცისმკულელი მიპარვითა“.

მკვლელობა მატერიალურ დანაშაულს მიეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შედეგს, ანუ ადამიანის სიკვდილის დადგომას. ამ შემთხვევაში აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჩადენილ დანაშაულსა და დამდგარ შედეგს შორის, რომელიც არსებობს მაშინ, როდესაც მოქმედებამ გამოიწვია შედეგი, კ. ი. ქმედების განხორციელების გარეშე შედეგი არ დადგებოდა. ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით მკვლელობა შეიძლება როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობით, ძველ ქართულ სისხლის სამართალში ძირითადად კრიმინალიზებულია მოქმედებით ჩადენილი მკვლელობა, რომელიც ხორციელდება ადამიანის სხეულზე სხვადასხვაგვარი ზემოქმედებით. რაც შეეხება ობიექტს, ძველი ქართული სისხლის სამართალის მიხედვით, მკვლელობის ობიექტს წარმოადგენდა მხოლოდ სხვა ადამიანის სიცოცხლე, რომელიც, როგორც უპირველესი მონაპოვარი, დაცული იყო საკანონმდებლო კრებულების მიხედვით, სისხლისსამართლებრივი წესით დაბადებიდან სიკვდილამდე.

საინტერესოა განვიხილოთ თუ როგორ წყვეტდა მეცნიერებული ქართული სისხლის სამართალი დანაშაულის, კონკრეტულად კი მკვლელობის სუბიექტთან დაპავშირებულ საკითხებს. იმისათვის, რომ პირი მიჩნეულ ყოფილიყო დანაშაულებრივი ქმედების სუბიექტად, სახეზე უნდა ყოფილიყო ორი ძირითადი პირიბა: ასაკი და შერაცხაობა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად განიხილავდა. იოანე მმარხველის კანონის თანახმად, პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა დაწესებულიყო 30 წლის ასაკიდან, მაგრამ აღნიშნული ნორმის დასაბუთებულობა ეჭვება დააყენა ივანე ჯავახიშვილმა, მისი მოსაზრებით საეჭვოა, შერაცხვის ასაკად დაწესებული ყოფილიყო 30 წელი, მთ უმეტეს, თუ გავითვალისწინებოთ, რომ 20 - 22 წლის ახალგაზრდა სამხედრო მოღვაწეობისთვის სრულფასოვან მოქალაქედ ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის აზრით, შეურაცხველობის ზღვარი უნდა ყოფილიყო სქესობრივი სიმწიფის ასაკი - 15 - 16 წელი ან მაქსიმუმ 20 - 22 წელი, როგორც სამხედრო სრულწლოვანების ასაკი.

დანაშაულის ჩამდენის ასაკის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახტანგ VI - ის სამართლის წიგნი, რომლის 187-ე მუხლში ნათქვამია: ათ წლამდე ყმაწვილი პასუხს არ აგებს, ვინაიდან მისი მოქმედება მიჩნეულია, როგორც შეუგნებლობით, უმეცრებით გამოწვეული და გათანაბრებულია „ფათერაკთან“. მ შემთხვევაში მშობლებს ეკისრებათ ზიანის ანაზღაურება - მკვდარს აძლევს სამარხს და დაჭრილს საძიმოს [1, 204]. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პროფესორ ვ. მეტრეველის აზრით, „ფათერაკი“ უფრო ახლოსაა გაუფრთხილებლობასთან, რადგან მშობლებს აკისრებს ქონებრივ პასუხისმგებლობას [2, 270]. „ფათერაკის“ საკითხს კიდევ უფრო დეტალურად მიმოიხილავს მეცნიერი ივ. სურგულაძე, მას მაგალითად მოჟავს ლიტერატურული ნაწარმოები „ამირანდარეჯანიანი“, სადაც ხშირად გვხვდება ეს ტერმინი, რომელიც გამოიყენება შემთხვევის, ხიფათის, უბედურების სინონიმად [3, 119].

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტაში, ასაკთან ერთად, მნიშვნელოვანია შერაცხაობის საკითხი. საეკლესიო სამართლის მიხედვით, არსებობს შეურაცხაობის ორი სახე: „უმეცრებაი გონებისაი“, და „ფრიადი უძლურებაი გონებისაი“ - რა დროსაც სახეზე გვაჩვს ფსიქიკური დაავადება. როგორც პროფესორი ალ. ვაჩევიშვილი ამბობს: „არ შეგვიძლია დაგუშვათ ისეთი მდგომარეობა მართლმსაჯულების სფეროში, როცა სულით ავადმყოფი ვითომც ბრალეულად ითვლებოდა და მას დაკისრებული პქონდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“ [1, 207]. ჩვენი აზრით, აღნიშნული მსჯელობა მართებულია, რადგან დაუშვებელია სულით ავადმყოფისადმი სისხლისსამათლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

მეცნიერებული სისხლის სამართალი მკვლელობის სუბიექტურ მხარეს ადამიანის პასუხისმგებაში მიცემისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. სუბიექტურ მხარეში იგულისხმებოდა პირის ფსიქიკური მიმდინარე პროცესი, რაც უშუალო კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან. სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებულია ბრალის საკითხი. ბრალთან მიმართებაში სერიოზული დისკუსია იყო ოდითგან, ეს კამათი ახლაც გრძელდება. მირითადად ბრალის ორი გაგება არსებობს: ფსიქოლოგიური და ნორმატიული. ფსიქოლოგიური ოთორიის მიხედვით, ბრალი ეს არის ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარი შედეგისადმი, ხოლო ნორმატიული ოთორიის მიხედვით, ბრალი არის პირის სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის. ბრალის ორი

ფორმა არსებობს: განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რომელიც იქმნება ნებელობითი და ინტელექტუალური მომენტების შერწყმის შედეგად. მეცნიერ იურისტთა მოსაზრების თანახმად, ამა თუ იმ ქვენის სამართლის განვითარების დონე შეიძლება შეფასდეს იმის და მიხედვით, რამდენად კარგადაა მოწესრიგებული ბრალის საკითხი. ამ თვალსაზრისით საქართველო კარგ მდგომარეობაშია, ბრალეულობის პრინციპი ასახულია როგორც საეკლესიო, ასევე საერო ხასიათის სამართლის ძეგლებში.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. ვაჩეიშვილი ალ. 1946. ნარკევეგები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტომი I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. მეტრეველი ვ. 2002. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი: მეტრიდიანი.
3. სურგულაძე ივ. 1984. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
4. უგრეხელიძე გ. 1997. აშშ კონსტიტუცია, კომპრომისის ხელოვნება. თბილისი: ჯისია.
5. ჯავახიშვილი ივ. 1984. თხზულებაზე 12 ტომაზ. ტომი VII. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

*Ioseb Mametsarashvili  
Grigol Robakidze University*

## Homicide According to the Ancient Georgian Law

### Summary

Homicide is the most serious crime in the world, because a person loses the main value – his/her life. The scale of this dangerous phenomenon is very large, for example: murder of a human, assassination, genocide and others.

Therefore, this crime was always grave not only in Georgia, but around the world. Our ancient legislation determined the degree and the nature of homicide. During this time ancient legislative acts distinguished homicides committed under mitigating and aggravating circumstances, premeditated homicide and negligent manslaughter.

The presented article discusses the gravest crime committed against a human's life – homicide according to the ancient law.

The Georgian ancient legislative acts formulated subjective and objective sides of homicide, as well as the issues related to the age of a murderer and his / her sanity. The concept of justice presents the definitions of guilt formulated in the theory of Criminal Law (physiological and normative), as well as a wide spectra of juridical terms that were firmly implemented in the ancient Georgian Criminal Law.

Different types of homicide were committed in Georgia in VIII-X cc. It was a difficult period. During this time homicides both by order and by self-interest were widespread. The above mentioned crimes could be committed not only in secular but also in religious sphere of life.

Homicide is considered to be the most dangerous manifestation of crime in the modern world what is demonstrated by a number of theses and researches.

The crimes against human life is the subject of discussion in both Universal and Regional international organizations. Homicide is considered to be the most dangerous problem in post Soviet countries. Georgia is not an exception.

Nowadays, people, who think progressively, defend and respect human rights. If a country is able to provide an appropriate defense of human rights, it is democratic. Human rights are the most important issue of democracy, political and civil cultures and safety. Talking about human rights, I mean those rights, which each individual has. An individual cannot be deprived of these rights.

Everyone is born as a free and equal individual. Human rights are recognized everywhere, ethical and moral values are shared in almost all regions of the world.

The fundamental principles of human rights: the right of life and the right of equality which are the main features of free, democratic system. Its fundamental essence is “To protect people’s life and people’s equality in the face of law.”

Right on life is the most precious and fundamental rights among the human rights. Therefore, this right has always been specially protected by criminal law at any stage of our country’s state or public development.

Any successful country in the world protects fundamental rights of humanity. According to the declaration of Independence of the United States adopted in the 4<sup>th</sup> of July 1776 : “all Men are created equal that they are endowed by their Creator with certain unalienable Rights, that there is Life, Liberty, and the Pursuit of Happiness among them” [4, 231].

Protection of a human’s life and the equality among the people is a pivotal precondition for the formation of the developed, democratic state. Democratic state is a rock-bottom to create and develop healthy society.

In our opinion, the basic sources of Georgian Law and juridical researches is a comprehensive guide for scholars and those studying ancient Georgian Criminal Law and interested in the problems and fundamentals of felony directed against a human life.

**მაიზერ ჩანქელიანი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

### **სასჯელის მიზანები სასჯელის ეპოლუციის თმორიაში**

რატომ ჩადის ადამიანი დანაშაულს? – ეს კითხვა დიდი ხანია არ ასვენებს კაცობრიობას და ამომწურავი პასუხი დღესაც არ არსებობს. ადამიანი დროსა და სივრცეში ვითარდება, აზროვნება ეცვლება. განვითარებასთან ერთად, იგი უფრო მეტის მიღწევას ცდილობს და საკუთარი სტატუსი აღარ აქმაყოფილებს. კაცობრიობასთან ერთად იზრდება დანაშაულებრივი ფანტაზია და იცვლება მისი განხორციელების ხერხები. დანაშაულს, თოთქოს, მუტაციის საოცარი უნარი გააჩნია და მის წინააღმდეგ საზოგადოება იბრძვის უხსოვარი დროიდან.

დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა არსებობდა ძველი ცივილიზაციებიდან მოყოლებული. პირველი სისხლის სამართლის კოდექსი შეიქმნა ჯერ კიდევ შუმერების დროს. ასევე ცნობილია ჰამურაბის კოდექსი და თორმეტი ტაბულის კანონი.

სასჯელზე საუბრისას საინტერესოა ის ფაქტი, თუ როგორ აღიქვამდა მას საზოგადოება კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სასჯელის ცნებამ და მიზნებმა გრანდიოზული ცვლილებები განიცადა, დაწყებული ტალიონის პრინციპის არსებობის დროიდან, ვიდრე ჩვენს ეპოქამდე.

თანამედროვე სისხლის სამართლი მეთვრამეტე საუკუნეში ჩაისახა, როდესაც უკროპულმა ქვეყნებმა მიიღეს ერთმანეთის მსგავსი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, განსაზღვრეს დანაშაულებრივ ქმედებათა ცნება, ნიშნები, სასჯელის სახეები და მიზნები. მის უზრუნველსაყოფად შექმნეს საპოლიციო სისტემები.

მანამდე თითოეული სახელმწიფო ინდივიდუალურად განსაზღვრავდა სასჯელის მიზნებს, რომელთან დაკავშირებითაც არსებობდა მეცნიერთა განსხვავებული და ზოგჯერ, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი. ამ თეორიებმა კაცობრიობის განვითარებისა და პრიორიტეტების შეცვლის შესაბამისად, ევოლუცია განიცადეს და დაამკვიდრეს თანამედროვე სისხლის სამართლებრივ კანონმდებლობაში განმტკიცებული სასჯელის მიზნები.

სასჯელის თეორიაში სასჯელის მიზანთა საკითხი მთავარი საკამათო თემაა. ლიტერატურაში ამ საკითხზე შეხედულებებს ყოფენ ორ ძირითად მიმართულებად. პირველი მიმართულება დანაშაულს წარსულში განიხილავს და სასჯელის ძირითად მიზნად სამართლიანობის აღსაფეხნად შერისძიებას მიიჩნევს. მეორე მიმართულების თანახმად, სასჯელი მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული, რადგან მას იწვევს დანაშაული და იგი არის ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი რეაგირება მიმართული მომავალში დანაშაულის თავიდან აცილებისაკენ.

სასჯელის თეორიაში სხვადასხვა კონცეფციები სხვადასხვაგვარად განიხილავს სასჯელის ფენომენს. ისინი პირობითად შეიძლება დაიყოს აბსოლუტურ და შეფარდებით თეორიებად. აბსოლუტური თეორიები მთავარ მიზნად თვლიან სამართლიანობის აღდგენას, ხოლო შეფარდებითი თეორიები სასჯელს განიხილავნ, როგორც რეაქციას დანაშაულზე, ანომალურ, ფსიქოფიზიკურ და სოციალურ მოვლენაზე.

აბსოლუტური თეორია ემყარება შერისძიების პრინციპს. ამის ყველაზე ძველი მაგალითია ტალიონის პრინციპი, “თვალი თვალის წილ”, რომელიც სასჯელს განიხილავს, როგორც შერისძიებას და მოითხოვს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი სამაგიეროს გადახდას. ეს პრინციპი გამოხატულია უძველეს კანონებში.

უძველესი ადამიანები თვლიდნენ, რომ დანაშაულის გამოსყიდვა შესაძლებელი იყო ღმერთის წინაშე მონანიებით. დანაშაული აღვიძებდა შეურაცხყოფილი ღმერთის მრისხანებას არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მთელი ერის მიმართ. დამნაშავის დასჯა აუცილებელი იყო ღვთის რისხვის გასანელებლად. სასჯელის მიზნად ითვლებოდა ღმერთის წინაშე ადამიანის გასამართლება მოცემული მცნებების დარღვევისათვის. იგულისხმება, რომ ღმერთსა და ხალხს შორის ხდებოდა შეთანხმება ცნებათა კოდექსის სახით. დანაშაული ითვლებოდა ამ ცნებათა წინააღმდეგ ამბოხებად (ამით განსხვავდებოდა იგი სამოქალაქო სამართალდარღვევისაგან), მათ შეგნებულ უარყოფად, აბუჩად აგდებად. რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო უარყოფილი მცნება, მით უფრო მძიმედ მიიჩნეოდა დანაშაული. ამიტომ ყველაზე მძიმედ ითვლებოდა ღვთის თაყვანისცემის ცნების უარყოფა. ასევე - ღვთისგან ხელდასმულ, რჩეულ მეფეთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხი. ხალხს სჯეროდა, რომ დაისჯებოდა მთელი ერი, თუ არ დაისჯებოდა დამხაშავე, ამიტომ მზად იყო მსხვერპლად შეეწირა იგი. ამგვარი მსხვერპლშეწირვა, როგორც განწმენდის აქტი, არსებობდა ყველა ერის ისტორიაში.

შუა საუკუნეებში ინკვიტორები მიზნად ისახავდა დამნაშავის სულის გადარჩენას. ინკვიტორები თავისი მსხვერპლის წამებისას გულწრფელად ფიქრობდნენ, რომ სხეულის გვემით დამნაშავე გამოისყიდვა თავის ბრალს და მისი სული განიწმინდებოდა. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება საკამათოა, რამეთუ არასრულფასოვან ადამიანს არ ძალუბს იყოს ღვთის აბსოლუტური ნების მაუწყებელი და იგი ვერ განსაზღვრავს სასჯელის ზომასა და ტანჯვის ზღვარს [8].

შურისძიება, როგორც სასჯელის მიზანი, აღწერილია წინა საუცუნეების ფილოსოფოსთა კონცეფიებში. კანტმა შემოიღო მორალური სასჯელის აბსოლუტური თეორია. სასჯელის მიზანი არის აბსოლუტური სამართლიანობის განხორციელება და მისი სხვა რაიმე უტილიტარული მიზნებით გამოყენება დაუშვებელია. დამსჯელი კანონი არის კატეგორიული იმპერატივი. “სჯობს, მოკვდეს ერთი, ვიდრე დაიღუპოს მთელი ერი”. თუ გაქრება სამართლიანობა, ადამიანების არსებობას დედამიწაზე აღარ ექნება ღირებულება [5, 1].

კანტის მოსაზრებით, მორალური იმპერატივი მოითხოვს, რომ ბოროტება ბოროტებით გადაუხდონ. იგი სასჯელის ზომასა და მოცულობას განსაზღვრავს ჩადენილ დანაშაულთან თანასწორობის პრინციპით: ვინმეს გაძარცვისას, ან მოკვლისას, შენ ძარცვავ ან კლავ საკუთარ თავს. დანაშაულის ჩადენა არის ადამიანის ქმედება საკუთარი არსის წინააღმდეგ. საკუთარი არსების წინააღმდეგ ადამიანის მოქმედება დანაშაულებრივი ქმედების სახით გამოიხატება, რაც წარმოადგენს პიროვნების საკუთარ თავთან დაპირისპირების ტრაგიზმს. „დამაშავე ვერ დაიჩივლებს მისდამი უსამართლო მოპყრობაზე, როდესაც მან საკუთარი ხელით ჩაიდინა დანაშაული” [7, 1].

კანტის შეხედულებით, სამაგიეროს გადახდა ცხოვრებაში ზედმიწევნით ვერ განხორციელდება, ამიტომ სასჯელმა დამაშავეს უნდა განაცდევინოს ისეთივე ტანჯვა, როგორიც მან მიაყენა დაზარალებულს დანაშაულით. არ შეიძლება სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ჯარიმის დანიშვნა, რადგან ეს ვერ აანაზღაურებს შეურაცხყოფას. მდიდარმა ადამიანმა, შეიძლება, რამდენჯერაც მოესურვება, იმდენჯერ მიაყენოს შეურაცხყოფა სხვას და იხადოს ჯარიმები. დირსების დამცირებისთვის სასჯელი უნდა იყოს დირსების დამცირება. (მაგ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამაშავე იძულებული იქნება, ხელზე აკოცოს დაზარალებულს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი დაბალ სოციალურ ფეხის მიეკუთვნება). ქურდობისათვის სამართლიანი სამაგიერო იქნება ქონებისა და საარსებო სახსრების ჩამორთმევა. მკვლელობის დროს სამაგიერო შეიძლება იყოს მხოლოდ სიკვდილი, რადგან სიცოცხლის შემცვლელი არ არსებობს, ამიტომ სამართლიანია სასამართლოს განაჩენი – დამაშავის სილვდილით დასჯა. ეს არის აბსოლუტური სამართლიანობის მოთხოვნა, რომელიც საზოგადოების უმაღლესი მიზანია, მაშინაც კი, როცა ეს საზოგადოება ნადგურდება, მისმა უკანასკნელმა წევრმა უნდა გაანადგუროს ციხეში დარჩენილი მკვლელი. თუ კუნძულზე მცხოვრებმა რომელიმე ხალხმა გადაწყვიტა მიატოვოს კუნძული და სხვაგან გადავიდეს საცხოვრებლად, ციხეში კი მკვლელი იმყოფება – იგი ხალხის წასვლამდე სიკვდილით უნდა დაისაჯოს, რათა არავინ გაექცეს სასჯელს [2, 171-172].

კანტი უარყოფითად ეკიდება დამაშავეთა შეწყალებას, რადგან ეს არის სამართლიანობის განხორციელების კატეგორიული იმპერატივის აბსოლუტური მოთხოვნის შეზღუდვა. შეწყალება მხოლოდ მაშინ შეიძლება დაუშვან, როდესაც დანაშაული ჩადენილია სახელმწიფოს მეთაურთა მიმართ, ისიც მაშინ, თუ ხალხი არ თვლის, რომ დაუსჯელობით საზოგადოებრივ უსაფრთხოებას პრობლემები შეექმნება.

კანტის შურისგების კონცეფცია მიუღებელია, რადგან შეუძლებელია დადგინდეს ზუსტი და არა შეფასებითი თანაფარდობა დანაშაულით მიყენებულ ზიანსა და სასჯელს შორის. გარდა ამისა, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა და არა სამაგიეროს გადახდა. სასჯელმა დამაშავეს ტანჯვა არ უნდა მიაყენოს. მან უნდა გააცნობიეროს და მოინანიოს მის მიერ ჩადენილი ქმედება.

კანტის შურისგების თეორიის ნაკლი ისაა, რომ შეუძლებელია სასჯელში დანაშაულებრივი სიტუაციის ზუსტი რეარმოდუქცია და მატერიალური ეკვივალენტის პოვნა დანაშაულით მიყენებული ზიანისათვის. უფრო ზუსტია ჰეგელის დიალექტიკური შურისგების თეორია, რომლის მიხედვით სასჯელის არსი არ მდგომარეობს ტანჯვის მიყენებაში. ამიტომ უწოდა

თავის თეორიას პეგელმა არა შურისძიება, (Vergeltung) არამედ აღდგენის თეორია (wiederherstellung), რომელიც გამომდინარეობს მისი დანაშაულის შესახებ სწავლებიდან.

პეგელის მიხედვით, უსამართლობა არის აბსოლუტური ნების უარყოფა. იგი განვითარებისას სამ სტადიას გადის: პირველი – სამოქალაქო ან განუზრახველი უსამართლობა, როცა არსებობს მხოლოდ ფაქტობრივი დაპირისპირება, რადგან ყოველი დაპირისპირებული მხარე ფიქრობს, რომ სიმართლე მის მხარეზეა. მეორე – მოტყუება, როცა სიცრუის ჩამდენი ინიციატივა გარეგანი მორჩილებით, ამ დროს კი არღვევს კანონს. მესამე – სწორედ სისხლის სამართლის დანაშაული, როცა დამნაშავე პირდაპირ წინ აღუდგება კანონს, ობიექტურად და სუბიექტურად არღვევს მას საკუთარი სურვილით [1, 199].

პეგელის სწავლების დადებითი მხარე სასჯელის შესახებ არის სასჯელისთვის საჯარო ხასიათის მინიჭება, რომლის მთავარი მიზანია აბსოლუტური სამართლიანობის განხორციელება. დანაშაული სამართლის უარყოფაა, სასჯელმა უნდა უარყოს დანაშაული. პეგელი ასხვავებს შურისძიებას და სამაგიროს სასჯელში: შურისძიება არის ახალი უსამართლობა. დაზარალებული თავად გერ აცნობიერებს სამაგიროს საზღვრებს, რასაც მივყავართ ახალ უსამართლობამდე.

პეგელის ფილოსოფიაში გონი ყოვლად ძლიერია, ნება აზროვნების განსაკუთრებული წესია, მაშასადამე ნება ინტელექტუალი დაყვანილი. ასეთ შემთხვევაში, იძულების ფსიქოლოგიური დასაბუთება შეუძლებელია, რადგან იძულებული შეიძლება იყოს ნება და არა ინტელექტი. პეგელი ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების პოსტულატებიდან ამოდის. შეურაცხადებს არ სჯიან, მაშასადამე ღირსეულმა ადამიანმა თვითონ უნდა მოიფიქროს დასჯა მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ჩამდენ პირს უნდა სურდეს სასჯელი, რათა მოიხსნას დანაშაული და ამით კანონის მოთხოვნა აღსრულდეს [1, 200].

ზემოთქმულ აბსოლუტურ თეორიებს საერთო აქვთ ის, რომ ისინი ამართლებენ დასჯას წარსულისათვის, წარსულში ჩადენილი ქმედებისათვის, სასჯელში ხედავენ დანაშაულის შედეგებს, მის ლოგიკურ გაგრძელებას. სასჯელის აღმასრულებელი თითქოს მოქმედებს ავტომატურად, როგორც ღვთის ნების განმახორციელებული, ან სინდისის ხმა, ანდა გონების აუცილებელი მოთხოვნილება. თვით დანაშაულის ფაქტი განაპირობებს სასჯელის გარდუვალობას. ამ თეორიების დადებითი მხარე სასჯელით დანაშაულის, ბოროტების აღგვეთის მიზანი. ნაკლია: სამაგიროს გადახდის მიზანი; ასევე აბსოლუტური სამართლიანობის აბსტრაქტულ ცნებად აღიარება. სამართლიანობა, როგორც სასჯელის მიზანი, არსებობს კონკრეტული დანაშაულისთვის კონკრეტული სასჯელის დანიშნისას. სასჯელმა არ უნდა დატოვოს უსამართლობის გრძნობა დაზარალებულში (მიუხედავად იმისა, რომ სასჯელით შეუძლებელია პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა), დამნაშავესა და საზოგადოებაში.

სასჯელთან დაკავშირებთ არსებობს თეორიები, რომლებიც აღიარებენ, რომ იგი ორიენტირებულია მომავალზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული. სასჯელი გაებულია, როგორც გაფრთხილება. არსებობს ზოგადი და კერძო (სპეციალური) გაფრთხილების თეორიები.

ზოგადი გაფრთხილების კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ იძულებით აღიკვეთოს ინდივიდის უკანონო ქმედებანი. ფიზიკურმა ზემოქმედებამ შეიძლება აიძულოს დამნაშავე, უარი თქვას უკანონო აქტის ჩადენაზე, ან აღმოფხვრას უკვე მიყენებული ზიანი. ფიზიკურ იძულებას არ შეუძლია ადგვეთოს უკვე განზრახული დანაშაული, საჭიროა საშუალებები, რომელიც დანაშაულის ბუნებას გაითვალისწინებს. ანსელმ ფოიერბახის ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, კანონდარღვევის საფუძველში დევს მგრძნობელობა, სასურველი შესაძლებლობების ამოქმედება, დანაშაულებრივი აქტით მიზნის დაკმაყოფილების მოლოდინი. დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ დასახული

მიზანი ვერ განხორციელდება სასჯელის გამო. ამისათვის უნდა არსებობდეს მუქარის შემცველი კანონი და მისი გარდუვალად განხორციელდების რეალური მექანიზმი. სასჯელში გამოხატული მუქარა წარმოადგენს პოტენციურ დამნაშავეთა ფსიქოლოგიურ იძულებას.

ზოგადი გაფრთხილების თეორია, როგორც ფსიქოლოგიური იძულება, იწვევს წინააღმდეგობას. დაშინება არ არის დანაშაულებრივი ნების შეკავების ერთადერთი მოტივი, თანაც თვითონ დაშინება არ შეიძლება იყოს საყოველთაო. ერთი და იმავე სასჯელის მუქარამ შეიძლება სხვადასხვა მოტივაციური ზეგავლენა მოახდინოს არამხოლოდ სხვადასხვა ადამიანზე, არამედ ერთსა და იმავე ადამიანზე, მისი ცხოვრების სხვადასხვა მომენტებში.

ზოგადი პრევენცია ყველა შემთხვევაში არ ამართლებს და არც ყველა დანაშაულზე მოქმედებს. ერთსა და იმავე დანაშაულს სხვადასხვა ადამიანის წარმოდგენაში განსხვავებული ღირებულებითი შინაარსი შეიძლება გააჩნდეს, შესაბამისად, დანაშაულებრივი ქმედების დასჯის მუქარამ შეიძლება სხვადასხვაგვარი ზემოქმედება მოახდინოს.

თუ კანონით აკრძალული ქმედებანი შეიძლება აღიკვეთოს გარდაუვალი სასჯელის მუქარით, მაშინ ადამიანებზე, რომელიც მზად არიან ჩაიდინონ თავისი და მათი სოციალური ჯგუფის აზრით ამორალური საქციელი, შეიძლება გავლენა მოახდინოს მხილების მუქარამ, სოციალური სტატუსისა და გარშემომყოფთა პატივისცემის დაპარგვის შიშმა. როგორც ცნობილია, სასჯელის მუქარა საზოგადოებრივი გმობის გამოხატვის საშუალებაა.

შესაძლოა ყველაზე სასტიკი სასჯელის მუქარამაც კი ვერ შეაჩეროს კანონდამრდვევი. ცნობილია ქურდის სიკვდილით დასჯის მაცქერალ ბრტყმი ქურდობის ჩადენის ფაქტებიც. ყველაზე სასტიკი დაშინების დროსაც კი დამნაშავეს რჩება სასჯელისაგან თავის დაღწევის იმედი. ამიტომ კანონშემოქმედი სასჯელის გამკაცრებით უარყოფს მის მთავარ მორალურ პრინციპს და უარყოფს პრევენციის უფრო საიმედო საშუალებებს.

დაშინების თეორია წინააღმდეგობაშია მოსაზრებასთან, რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალება. დასჯილი დამნაშავე არის სხვების დაშინების საშუალება. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საზოგადოების ინტერესებს. ჩეზარე ბეკარიამ ახალი მიღომა დაამკიდრა სოციალური დაცვისა და ზოგადი პრევენციის თეორიაში. მან დაიცვა ადამიანისა და საზოგადოების ინტერესებს შორის თანასწორობის პრინციპი. სასჯელის მიზანი არის არა დამნაშავის ტანჯვა-წამება, არამედ ჩადენილი დანაშაულის დაუმთავრებლად აღიარება. ამ დროს დასჯის მიზანი არის თანამოქალაქეთათვის ზიანის მომტანი ახალი ქმედებებისაგან დაცვა და მომავალში მათი ჩადენის ადგვეთა. დანაშაულსა და სასჯელს შორის უნდა არსებობდეს პროპორციულობა, „სასჯელმა უნდა მოახდინოს რაც შეიძლება ძლიერი შთაბეჭდილება ადამიანის სულზე და რაც შეიძლება ნაკლები მის სხეულზე [3, 105].“ ასეთი სასჯელი გათვლილია ინდივიდზე, რომელსაც გააჩნია თავისუფალი ნება და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მ. ანსელის ახალი სოციალური დაცვა ფორმულირდება შემდეგ პრინციპებში: 1) საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და არა დამნაშავისგან; 2) დამნაშავის საშიშროების განეიტრალება და არა დასჯა; 3) ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა, მისთვის იურიდიული გარანტიების შენარჩუნება, მასში სოციალური პასუხისმგებლობის აღზრდა; 4) დანაშაულის კერძო გარემოებათა შესწავლა [4, 11].

ფრანგული რევოლუციის შემდეგ, პუმანიზმის ეპოქაში სისხლის სამართლის პოლიტიკამ ახალი ბიძგი მიიღო შემდგომი განვითარებისათვის, რომელმაც სასჯელის თეორიაში შემდეგი პრიორიტეტები დაამკიდრა: კანონის უზენაესობა, ინდივიდის თავისუფლების პატივისცემა და სასჯელის საეროობა. უკანასკნელმა პრინციპმა უარყო სასჯელის

აბსოლუტური სამართლიანობის განხორციელების მიზანი, რაც ასე დამახასიათებელი იყო სასულიერო, ინკვიზიციური მართლმსაჯულებისთვის.

არ არსებობს დანაშაულისა და სასჯელის საყოველთაო და ზუსტი კლასიფიკაცია. ჩ. ბექარია აღნიშნავს: „სხვადასხვა ხალხების ისტორიისა და კოდექსების კითხვაში ჩაფლული ფილოსოფობის აღმოაჩენს, რომ კანონმორჩილი მოქალაქისა და დამნაშავის ნაკლისა და ლირსების ცნება იცვლებოდა საუკუნეთა განმავლობაში. ერთი საუკუნის მისწრაფებანი ხშირად ქმნის საფუძველს შემდეგი საუკუნეების მორალისათვის“ [3, 85]. შესაბამისად, კანონმდებელმა უნდა დაადგინოს მხოლოდ ძირითადი ფარგლები, რათა ყველაზე მძიმე დანაშაულების ჩამდენთ არ შეეფარდოთ მსუბუქი სასჯელები. მაგალითად ისლამურ სასულიერო სამართლში შვიდ წლამდე ასაკის ადამიანი დასჯას არ ექვემდებარება, შვიდი წლის შემდეგ სრულწლოვანებამდე შეიძლება დაეჭვემდებაროს მხოლოდ აღმზრდელობით ლონისძიებებს და სრულწლოვანების შემდეგ ისჯება დამნაშავე სისხლის სამართლის წესით. თანაც, სიკვდილით დასჯა მიესჯება მხოლოდ შვიდი ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის. დანარჩენ შემთხვევაში, სასჯელისა ზომისა და ხასიათის გადაწყვეტა სასამართლოს საქმეა.

სასჯელის თეორიის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა სხვადასხვა კრიმინოლოგიურმა თეორიამ.

სასჯელი უნდა იყოს არა დანაშაულის, არამედ დამნაშავის შესაფერისი, რომლის ქცევა დეტერმინირებულია ბუნებრივი ფსიქოფიზიკური დევექტებით, ან მისი ცხოვრების არახელსაყრელი სოციალური პირობებით. ამ შეხედულების თანახმად, საჯელის მიზანია დამნაშავის შეცვლა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების გზით. ანუ ამ კონცეფციაში მთავარია ადამიანის დამნაშავეობრივი მდგომარეობის გაგება. ზემოხსენებული თეორიის წარმომადგენელი იყო ჩ. ლომბროზო, მან 1876 წელს გამოსცა წიგნი „დამნაშავე ადამიანი“, რომელშიც დაამკვიდრა დამნაშავის ბიოლოგიური ტიპის არსებობა. ე. ფერი თვლიდა, რომ არსებობენ სოციალურად საშიში ინდივიდები, რომელთა წინააღმდეგ აუცილებელია სოციალურად სასარგებლო სანქციების გამოყენება, გაჩნდა „ანგისოციალური პიროვნების“ ცნება. ამ თეორიით, სასჯელის მთავარი მიზანია არა საზოგადოების დაცვა, არამედ მისი გაუმჯობესება პიროვნების „სოციალიზაციის“ გზით. მისაღები სოციალური გარემოებების შექმნით, ადამიანის „საშიში მდგომარეობის“ შემსუბუქებით, თითქოსდა, შესაძლებელი იყო დანაშაულთა აღმოფხვრა. [6, I]

ზემოაღნიშნულმა თეორიამ მიიღო სხვადასხვა დასახელება. ერთ-ერთი იყო სპეციალური გაფრთხილების თეორია. ამ შემთხვევაში, სასჯელის მიზანია, როგორც პროტაგორე ამბობდა, „მრუდე ხის გასწორება“. დამნაშავე გაიგივებულია ავადმყოფთან, რომელსაც უნდა უმკურნალონ საბოლოო გამოჯანმრთელობამდე, გამოსწორებამდე. სამართლიანობის ცნება აქ მეორე პლანზე გადადის, აქცენტი კეთდება მიზანშეწონილობაზე. პოზიტივიზმის ეპოქაში ამ თეორიას მრავალი მხარდაჭერი გამოუჩნდა. მისი ძირითადი პრინციპები ასეთია: ა) „პიროვნეული თავისუფლების“ უარყოფა არა ბიოლოგიური დეტერმინიზმისა და სოციალური დარვინიზმის მსგავსად, არამედ, უარყოფა ადამიანის, როგორც ფორმალური, ისე აბსტრაქტული უფლებებისა; ბ) დანაშაულის გაგება, როგორც სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენის, რომელიც უნდა გამოიძოონ კონკრეტულ რეალობასთან და პიროვნებასთან მიმართებაში; გ) დასჯა წევებს არა უფლებათა აბსტრაქტული აღდგენის ან სამართლიანობის მიღწევის, არამედ დანაშაულის საფრთხისა და რეალური ზიანისაგან გათავისუფლების საკითხს; დ) დანაშაულის საწინააღმდეგო მეთოდების არჩევისას მთავარი კრიტერიუმია - მისი საშიშროება; ე) პასუხისმგებლობის გრძნობა არამხოლოდ ინდივიდისა საზოგადოების წინაშე, არამედ საზოგადოებისა ინდივიდის მიმართ; ვ) კრიმინოლოგიური ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობა.

„სპეციალური გაფრთხილების“ თეორიას აქვს როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. როგორც ემპირიულმა გამოკვლევებმა აჩვენა, არ არსებობს მკვეთრი პიროვნული განსხვავებანი დამნაშავეებსა და უდანაშაულოებს შორის, რეციდივის შესწავლაში კი აჩვენა, რომ დამნაშავეობის ხარისხი არ იკლებს გარეგან ფაქტორებზე ზემოქმედების შემთხვევაშიც.

„სპეციალური ზემოქმედების“ ზომების აბსოლუტიზაციას მივყავართ დამნაშავეზე ძალაუფლების გაუმართლებელ გაფართოებამდე, იმ საბაბით, რომ ამით დამნაშავე გამოსწორდება. ეს თეორია ორაზროვანიცაა, რადგან ჰუმანიზმის ნიშნით, შეიძლება იმაღლებოდეს ადამიანში პიროვნების ჩაკვლის მცდელობა, მისი ღირსების დაცირქაბა, ელემენტარული ადამიანური უფლებების წარმევა, რომელიც ავითარებს ადამიანს, როგორც პიროვნებას. ეს სისტემა ევაქტურად იმუშავებს მხოლოდ მაშინ, როცა მასში ჩაებმება დამნაშავის მთელი გარემოცვა, რაც მეტად აბსურდულია. ამ კონცეფციას აქვს ინდივიდის სტიგმატიზაციის, დამნაშავის დისკრედიტაციის ტენდენცია. სასჯელის სიმძიმე უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმის შესაფერისი და შემდეგ უკვე – დარღვეული ინტერესების შესაბამისი.

სპეციალური გაფრთხილების თეორიის თანახმად, სასჯელს აქვს სამი ძირითადი მიზანი: გამოსწორება, დაშინება და გაუვნებელყოფა. ამ მიზნებს შეესაბამება დამნაშავეთა სამი ტიპი: ა) რეციდივისტები, გამოუსწორებელი დამნაშავეები. მათგან საზოგადოებამ თავი უნდა დაიცვას განეიტრალების პრინციპით: სიკვდილის მისჯით ან უგადოდ თავისუფლების აღკვეთით; ბ) დამნაშავეები, რომელნიც მიღრეკილი არიან დანაშაულისკენ, მაგრამ დანაშაული მათი მეორე ბუნება ჯერ არ გამხდარა და საჭიროებენ გამოსწორებას. ამ მიზნით მათთვის უნდა დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა; გ) შემთხვევითი დანაშავეები, რომლებიც რეციდივს ვერ ჩაიდენენ. მათ მიმართ საჭიროა ენერგიული ჩაგონება, დამაშინებელი ზომების გამოყენება [8].

ზემოგანსილულ თეორიათა შეჯამებით შეიძლება ითქვას, რომ სასჯელი სინამდვილის ფსიქოფიზიკური და სოციალური მოვლენაა, რომელიც იწვევს რეალურ, ემპირიულად ფიქსირებულ შედეგებს. მეორე მხრივ, იგი იურიდიული ცნებაა, მიმართული სამართლიანობის განხორციელებისა და აბსტრაქტული იურიდიული არსის აღდგენისკენ [9].

სასჯელის თეორიამ ხანგრძლივი ეფოლუციის პერიოდი განვლო, რომლის გამავლობაშიც იცვლებოდა დანაშაულისა და სასჯელის ცნებები, სასჯელის სახეები და მიზნები. თანამედროვე ცივილიზებული სამართლის სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს სასჯელის შემდეგ მიზნებს: სამართლიანობის აღდგენას, დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას. ზოგიერთ შემთხვევაში ამას ემატება დამნაშავის იზოლაცია, საზოგადოებისთვის მისი საშიშროების გამო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით აღიარებულია სასჯელის შემდეგი მიზნები: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი საჯელის დანიშვნას, რომელიც არ დატოვებს უსამართლობის განცდას დამნაშავის, დაზარალებულისა და საზოგადოების თვალში. პრევენცია მიზნად ისახავს დანაშაულის თავიდან აცილებას ზოგადად და კონკრეტული დამნაშავის მიმართ, დანაშაულის მსხვერპლის რაოდენობის შემცირებას. ეს არის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები, რომელიც მიმართულია დანაშაულებრიობის კოეფიციენტის კლებისკენ, კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის განმტკიცებისაკენ.

საქართველოში სამართლიანობის ადგენის მიზანი არ ხორციელდება, რადგან კანონმდებლობა შორს დგას რეალური ცხოვრებიდან, არ ითვალისწინებს მოსახლეობაში არსებულ სოციალურ და კრიმინოლოგიურ ფაქტორებს. ხშირ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს ერთსა და იმავე სასჯელს სხვადასხვა საზოგადოებრივი საშიშროების მქონე დანაშაულთათვის. (მაგ. მკედელობისა და ეკონომიკური დანაშაულისთვის, რომელიც თავისი ბუნებით ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია). შეიძლება გარკვეული კატეგორიის დანაშაულისა და დამნაშავეთა წრის გამოყოფაც. მაგ. ე.წ. თაღლითობაში ბრალდებულნი, როგორც წესი, არიან ოჯახის დიასახლისები, რომელნიც სოციალური პირობების გამო იძულებულნი არიან ოჯახი არჩინონ და კანონის დარღვევით მოიპოვონ საარსებო სახსრები.

ჩადენილი ქმედებისათვის, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას ვერავინ უნდა აარიდოს თავი, მაგრამ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი სისხლის სამართალში ნიშნავს, რომ იგი უნდა დაინიშნოს დამნაშავის პიროვნების, ოჯახური და სოციალური მდგომარეობისა და დანაშაულის გარემოებათა გათვალისწინებით.

სასჯელის გამკაცრება დანაშაულის თავიდან აცილებას არ იწვევს. ამბობენ, თითქოს ჩვენს ქვეყანაში სასჯელის გამკაცრების შედეგად დანაშაულობის მაჩვენებელი შემცირდა, პატიმართა რიცხოვნობის ზრდა კი საპირისპიროს ამტკიცებს. (ან გამოდის, რომ უდანაშაულო ადამიანები არიან მსჯავრდებულნი).

სასჯელის გამკაცრება იწვევს შიშს საზოგადოებაში და არა პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას, რომელიც ყველა მოქალაქეს უნდა გააჩნდეს კანონის, სახელმწიფოსა და სხვა თანამოქალაქის მიმართ. ამიტომ პრევენციის მიზანი მკაცრი სასჯელით არ მიიღწევა. უნდა აღდგეს სასჯელის ჩათვლის პრინციპი, რადგან შეკრების პრინციპი სამართლიანობის მიზანს უარყოფს, ხოლო დამნაშავის რესოციალიზაცია საერთოდ შეუძლებელი ხდება ხანგრძლივი დროით საზოგადოებისაგან იზოლაციის გამო.

რესოციალიზაციის მიზნის განხორციელებას ხელს უშლის პენიტენციალური სისტემა. დამნაშავე მძიმე მდგომარეობაშია პატიმრობაში ყოფნისას, ამას ემატება ოცდაოთხსათიანი პაემანი, რომელზეც მნახველთა წრე შეზღუდულია და შვილებიდან მხოლოდ ერთი დაიშვება სანახავად. უფრო მძიმე მდგომარეობაა სოციალურად დაუცველი ოჯახების შემთხვევაში, რომელთაც უნდა შეინახონ თავისი პატიმარი. გარე სამყაროსთან კონტაქტის უქონლობა ან ასეთი ხანძოკლე ურთიერთობა საერთოდ ჩამოაშორებს დამნაშავეს საზოგადოებას. სასჯელის მოხდის შემდეგ კი იგი აბსოლუტურად ზედმეტია ყველასათვის, მას აქვს დამნაშავის იარლიყი და უჭირს ცხოვრების გაგრძელება, დასაქმება, ვერ იმკვიდრებს საკუთარ სოციალურ ადგილს.

რეალურად ასამოქმედებელია არასრულწლოვან კანონდამრღვევთა მედიაციისა და განრიდების პროგრამა, რათა არასრულწლოვანი არ მოწყდეს ოჯახს, სწავლას, საზოგადოებას და მოერიდოს წრეს, რომელიც მასზე მავნე ზეგავლენას ახდენს. ამ პროგრამის მთავარი მიზანია არასრულწლოვნის მიერ თავისი დანაშაულისა და იმ ზიანის გაცნობიერება, რომელიც მან სხვას მიაჟნა, მასში პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდა და არა დასჯა. იგი არ უნდა მოხვდეს ციხეში სხვა დამნაშავეთა გარემოცვაში, რამაც შეიძლება მისი მომავალი შეცვალოს.

სასჯელის მიზნების განხორციელებისას არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი: ნებისმიერი დამნაშავე არის საზოგადოების წევრი, მას აქვს დაბადებითი უფლებები და მის მოქმედებაზე პასუხისმგებლობა საზოგადოებასა და სახელმწიფოსაც ეკისრება. ყოველი ადამიანი არ არის დაბადებით დამნაშავე, მას ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე სხვადასხვა გარემოებანი უბიძგებს დანაშაულისაკენ. შესაძლოა, იგი გარკვეულმა ზემოქმედებამ შემოაბრუნოს მისთვის და საზოგადოებისათვის სასარგებლო ცხოვრებისაგან. ამისათვის

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანის ღირსეული არსებობისათვის აუცილებელი პირობები, ხოლო დამნაშავისთვის განახორციელოს გარკვეული პროგრამა, რომელიც მის რეინტეგრაციას ხელს შეუწყობს. საზოგადოება კი უნდა იყოს შემწყნარებელი.

სასჯელი უნდა იყოს დაშინებისა და იძულების საშუალება, მაგრამ მისი მიზანი არ არის საყოველთაო შიშისა და ტერორის დანერგვა. დამნაშავე თავისი ქმედებისათვის არ უნდა დაიტანჯოს, მან პასუხი უნდა აგოს დაზარალებულის, საზოგადოებისა და ნებისმიერი ინსტანციის წინაშე, რომლის მიმართაც პასუხისმგებლობა აკისრია.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. ფილოსოფიური ძეგბანი გ. III. 1999. ობილისი: საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია.
2. მეტრული ვ., დავითაშვილი ვ. 2002. პულიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია. ობილისი.
3. Беккариа Чезаре. *О преступлениях и наказаниях*  
[http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/Bekkar/\\_02.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Bekkar/_02.php)
4. Ансель М., Крылова Н., Серебренникова А. Новая социальная защита. *Уголовное право зарубежных стран (Англии, США, Франции, Германии)*  
[http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/Bekkar/\\_02.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Bekkar/_02.php)
5. Кант И. *Критика практического разума*  
[http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/kant/chtozn.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/kant/chtozn.php)
6. Ч. Ломброзо [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Pravo/encikl\\_yurista/1138.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Pravo/encikl_yurista/1138.php)
7. Лейст О. *История политических и правовых учений*, глава 15. Политические и правовые учения классиков немецкой философии.
8. [http://en.wikipedia.org/wiki/Main\\_Page](http://en.wikipedia.org/wiki/Main_Page)
9. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php>
10. სისხლის სამართლის კოდექსი. 2011. ობილისი.

*Maizer Chankseliani  
Grigol Robakidze University*

## Goals of Punishment in the Theory of Punishment Evolution

Why does a person commit a crime? - This is the question which is haunting humanity for a long time but the final answer has not been found yet. A person alters through the time and space, his mentality changes with the development. He is trying to achieve more and his status is no longer satisfying him.

The crime fiction increases together with the humankind and the methods of its realization also changes. The crime seems to have an incredible ability of mutation and the society struggles against it from the time immemorial. The problem of crime and punishment existed since the ancient civilizations. The first written codes of the law were designed by Sumerians; another important early code was Hammurabi's Code as well as the Law of the Twelve Tables.

Speaking about a penalty very interesting is the fact how it was perceived by the society at various stages of the human development. The concept and objectives of punishment experienced huge changes since the Talion principle until our Epoch.

The development of the contemporary Criminal Law emerged in the eighteenth century when European countries adopted similar legislation, defined the concept of criminal acts, signs and objectives. Police services were established namely for its assurance.

Before that, each country individually defined the purposes of punishment, to which scientists had different, sometimes even contradictory views. These theories have experienced the evolution in accordance with the human development and change of priorities. They established contemporary goals of criminal punishment which was reinforced in the Criminal Law.

In the theory of punishment its goals are the main topic of debate. In the literature the views on this subject are divided into two major directions. The first direction considers the crime in the past and its main purpose is to recognize the revenge to restore the justice. According to other direction, punishment should be forward-directed, because it is caused by crime and it is government's response directed to the future to prevent the crime.

In the theory of punishment various concepts discuss the phenomenon of punishment differently. It can be divided into two theories: absolute and relative theories.

The absolute theory is based on the vengeance. The person who has injured another person receives the same injury in compensation. Ancient people believed that a fault could be redeemed by confessing to god. The crime caused the rage of god. Thus, the purpose of punishment was to judge the offender and avoid the anger of god towards the whole the nation.

In the middle ages the inquisition aimed to save the offender's soul. Torturing the criminal, inquisitors believed that beating the body would expiate his/her blame.

The vengeance was the main principle in the retributivist philosophy. Wrongdoers should be forced to suffer because they have forced others to suffer. Robbing or murdering somebody means that you are robbing or murdering yourself. Depending on the retributivist, the crime's level of severity might be determined by the amount of harm, unfair advantage or moral imbalance the crime caused.

In the 19th century, philosopher Immanuel Kant wrote in the Metaphysical Elements of Justice of retribution as a legal principle: "Judicial punishment can never be used merely as a means to promote some other good for the criminal himself or for civil society, but instead it must in all cases be imposed on him only on the ground that he has committed a crime." Immanuel Kant regards punishment as a matter of justice. He states that if the guilty are not punished, justice is not done.

In Hegel's philosophy the crime was rejection of justice, so the punishment should reject the crime. He gave the punishment public nature which had the aim to restore the absolute justice.

According to other theorists, retribution against a wrongdoer is justified to protect the legitimate rights of both society and the offender. Society shows its respect for the free will of the wrongdoer through punishment. Punishment shows respect for the wrongdoer because it allows an offender to pay the debt to society and then return to society, theoretically free of guilt and stigma.

Proportionality requires that the level of punishment be scaled relative to the severity of the offending behaviour. However, this does not mean that the punishment has to be equivalent to the crime. A retributive system must punish severe crime more harshly than minor crime, but retributivists differ about how harsh or soft the system should be overall.

For retributionists, punishment is backward-looking and strict for punishing crimes according to their severity.

The deterrence is the use of punishment as a threat to deter people from crime. Deterrence can be divided into two separate categories:

General or indirect deterrence focuses on general prevention of crime by making examples of specific deviants. The individual actor is not the focus of the attempt at behavioral change, but rather receives punishment in public view in order to deter other individuals from deviance in the future. The argument that deterrence, rather than retribution, is the main justification for punishment is a hallmark of the rational choice theory and can be traced to Cesare Beccaria whose well-known treatise "On Crimes and Punishments" (1764) condemned torture and the death penalty. He claimed that punishment should affect a criminal's soul more than his/her body.

Major rationale for punishment is denunciation. Under the denunciation theory, punishment should be an expression of societal condemnation. The denunciation theory is a hybrid of utilitarianism and retribution. It is utilitarian because the prospect of being publicly denounced serves as a deterrent. Denunciation is likewise retributive because it promotes the idea that offenders deserve to be punished. It is a fact that the most severe punishment threat cannot stop from committing the crime. The offender hopes to avoid the punishment.

The new social defense is formulated as follows: 1) to protect the society from crime not the criminal; 2) to neutralize the threat not to punish; 3) to respect the fundamental rights of people, maintain legal guarantees, train the social responsibility; 4) to study the individual circumstances of crime.

In the epoch of humanism, the French revolution established new priorities in the theory of justice: the Rule of Law; Respect for individual liberty.

Specific deterrence focuses on the individual in question. The aim of these punishments is to discourage the criminal from future criminal acts by instilling an understanding of the consequences. Incapacitation is considered by some to be a subset of specific deterrence. Incapacitation aims to prevent future crimes not by rehabilitating the individual but rather from taking away his/her ability to commit such acts.

Some criminological theories played the significant role in the theory of punishment.

The punishment should be appropriate not to the crime but to criminal whose action is determined by natural psychophysical defects, unfavorable living conditions. So the aim of punishment is to change the offender influencing his/her psychological and social conditions.

In the theory of special deterrence the offender is equal to unhealthy; he/she should be treated until the final recovery. The theme of justice moves to the second plan. Its principles are: understanding the crime as a social and psychological event which should be investigated with regard to the concrete reality and person; punishment solves not the restoration of abstract human rights or justice, but the prevention of threat of crime or its real damage; selecting crime prevention methods, the major criteria is its threat; not only an individual's responsibility to society, but the society's responsibility to the individual; considering the data of criminological anthropology or sociology.

In the theory of special deterrence the main purposes of crime are: Correction of the offender; Denunciation; Neutralization. Three types of offender correspond to these purposes:

- 1) Recidivists, who should be isolated and incapacitated with death penalty or life imprisonment;
- 2) Criminals, who are disposed to commit the crime, but crime is not their second nature. Criminals are put in jail so that they will learn the consequence of their actions;
- 3) Incidental criminals, who cannot commit the recidive. The education or therapy will lead to better result than punishment.

It has been argued that deterrence is ineffective at achieving its ultimate goal. Critics of the specific deterrence argue that offenders do not pause to consider the possible punishment for a crime they are about to commit, especially in the heat of the moment.

The theory of evolution of punishment has been developing for a long time. The definition and aims of punishment was constantly changing. Contemporary world's major countries recognize the following aims of punishment: restore the justice, new crime prevention and offender resocialization.

The punishment in the criminal code of Georgia is defined as follows: The state compulsory measure set by the court verdict for a criminal who aims to restore the justice, new crime prevention and offender resocialization.

To restore the justice means appropriate penalty for the crime which will not make the sense of injustice for the criminal, the victim and the society. The prevention means the attempt to reduce victimization and deter crime and criminals. It is applied specifically to efforts made by governments to reduce crime, enforce the law, and maintain criminal justice.

Resocialization means to re-integrate the criminal. People are not permanently criminal. It is possible to restore a criminal to a useful life, to a life in which they contribute to themselves and to society. A goal of rehabilitation is to prevent criminal recidivism. Rather than punishing the harm out of a criminal, rehabilitation would seek, by means of education or therapy, to bring him into an attitude which would be helpful to society, rather than be harmful to society. This theory of punishment is based on the notion that punishment is to be inflicted on an offender so as to reform or rehabilitate him/her so as to make his/her re-integration into society easier.

Rehabilitation theories present the following deficiencies:

First, there is no sound scientific research to determine how different individuals react to the same rehabilitating methods.

Second, rehabilitation may depend more decisively on an individual's psychological background, hence on his/her particular motives to commit crimes than on the rehabilitating methods or philosophy.

Third, a rehabilitation program may prove to be complex to be successfully implemented in most countries.

Delinquency prevention is the broad term for all efforts aimed at preventing youth from becoming involved in criminal or other antisocial activity. Increasingly, governments are recognizing the importance of allocating resources for the prevention of delinquency. Because it is often difficult for states to provide the fiscal resources necessary for good prevention, organizations, communities, and governments are working more in collaboration with each other to prevent juvenile delinquency.

The restoration of justice is not realized in Georgia, because the legislation is far from reality, does not provide criminological or social factors. Often the court appoints one and the same punishment for the offense with a variety of public threat.

Nobody should avoid responsibility for committed acts, but individualizing the punishment means to appoint the punishment considering the personality of the offender, family and social situation and the circumstances of the crime.

Severe punishment does not lead to prevention for crime. It is said that in our country crime has been reduced as a result of stricter punishment, but Increase in the number of prisoners, claims the opposite.

Severe punishment causes fear in the society and not the accountable attitude that all citizens should have towards

the law, the state and other citizens. Thus, the aim of prevention cannot be reached by the stricter punishment. The counting principle of punishment should be restored because the gathering principle refuses the aim of restoration of justice; the resocialization of the offender is impossible because of long-term isolation from the society.

The penitentiary system prevents from resocialization. An offender is in bad conditions in prison, in addition to this is 24 hour appointment and the visitor's identity is limited. The absence of contact with the outside world or this short-time contact will remove an offender from society at all. After serving his/her sentence, he/she is unnecessary for everyone. He/she has the label of a criminal, cannot have a normal life, cannot find a job, cannot find his /her social place. Thus, there should exist a certain mechanism to help these people, some government programs.

Implementing the aims of punishment, we should not forget that the criminal is the member of society, has the fundamental rights and the society and government are responsible for his/her actions as well. Every human is not a criminal from birth, different circumstances push him/her to commit a crime; so some influence could turn him/her to a useful life for him/her and for society. The government should make efforts and the society should be more tolerant.

## თამარ ღლონბეგი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

### ნარკომანია – სამედიცინო და სამართლებრივი ასპექტები

ტერმინი “ნარკომანია” წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან “ნარკი”, რაც გაშტერებას, სიგიჟეს ნიშნავს. ნარკომანია – ეს არის მკვეთრად გამოხატული სწრაფვა და შეჩვევა ერთი ან რამდენიმე ნარკოტიკული ნივთიერებისადმი, რომლებიც მოქმედებენ უპირატესად ფსიქიაზე, ნერვულ სისტემაზე, აგრეთვე სხვა შინაგან ორგანოებზე და იწვევენ ადამიანში “კეთილდღების”, ეიფორიის, დაწენარების ან, პირიქით, სასიამოვნო აგზების შეგრძნებას. დიდ დოზებში ნარკოტიკი იწვევს გამოხატული თრობის, გაბრუებას, პიპერდოზირებისას (დოზის გადაჭარბებისას) – სიკვდილს.

საქართველოში ნარკომანიის გავრცელებას ხელს უწყობს მრავალი მიზეზი, მათ შორის, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, გაზრდილი კონტაქტები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან, ახლო საზღვარგარეთ ნარკომანიის სწრაფი გავრცელება, მზარდი, მიზანდასახული ინფორმაციის ნაკადი, რომელიც იწვევს ახალგაზრდების განსაზღვრული ნაწილის არაჯანსად ინტერესს ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ.

ნარკომანების საზოგადოებრივად საშიში ქმედებები გამოიხატება უმთავრესად ნარკოტიკის მოპოვებისთვის ჩადენილ ქმედებებში (რეცეპტების გაყალბება, ნარკოტიკების ქურდობა). უფრო შორსწავლის შემთხვევებში თავს იჩენს ფსიქოპათიზაცია, პიროვნების შეცვლა, ასოციალური ქცევები. აღნიშნულს ხშირად თან სდევს სამართალდარღვევები, უფრო ხშირად, ხულიგნური ქცევები, ქურდობა, ძარცვა, გაუპატიურება, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუწება და მკლელობაც კი [1, 306].

ნარკომანის პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა, რომ იურისტებს ესმოდეთ არამარტო სოციალური და სამართლებრივი, არამედ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამედიცინო პრობლემებიც. ნარკოტიკების სისტემატური გამოყენებისას ვითარდება მათ მიმართ შეჩვევა, მატულობს ორგანიზმის ტოლლერანტობა, რის გამოც აუცილებელი ეფექტის შესანარჩუნებლად საჭირო ხდება დოზის ზრდა. ნარკოტიკების ხანგრძლივი გამოყენება იწვევს მყარ და შეუქცევად პათოლოგიურ ცვლილებებს როგორც სომატურ, ასევე ფსიქიკურ სფეროში.

ნარკოტიკების მავნე ზემოქმედება ორგანიზმზე მრავალფეროვანია: ისინი შლიან ღვიძლს – იწვევენ ციროზულ მოვლენებს, აზიანებენ კუჭქვეშა ჯირგალს, რაც წარმოადგენს “ორგანიზმის ზოგადი საერთო ნგრევის” დასაწყისს, განაპირობებენ თავის ტვინის ატროფიას, ფილტვებში კიბოსწინა პროცესებს, მამაკაცებში იმპოტენციას და ქალებში ფრიგიდულობას, აქვეითებენ ინტელექტს, იწვევენ ჰერცულებას და სხვადასხვა სახის ფსიქიკურ ავადმყოფობებს. პიროვნების საერთო დეგრადაცია ნარკოტიკების მოხმარებისას დგება 15-20-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ალკოჰოლის გამოყენების დროს.

ნარკომანის სიმძიმე მდგომარეობს აბეტინენციის მოვლენებში, რომელიც წარმოიშვება ორგანიზმში ნარკოტიკული ნივთიერების რაოდენობის შემცირების პერიოდში, რის გამოც ჩნდება ნარკოტიკის ახალი დოზის მოთხოვნილება, რამდენადაც ის უკვე ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაშია ჩართული. მედიცინის თვალთახედვით, ნარკომანია ავადმყოფობაა, რომლის დროსაც ორგანიზმის ცხოველმყოფელობა შენარჩუნებულია განსაზღვრულ დონეზე მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების მუდმივად მიღების პირობებში.

ნარკოტიკების მოხმარების პარალელურად იცვლება ორგანიზმის რეაქტიულობა მათ მიმართ. კენტერნიკოგას მიხედვით, რეაქტიულობის ეს ცვლილება გადის შემდეგ სტადიებს:

1. ფსიქიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბება (ნარკომანის გადაულახავი სურვილი კიდევ ერთხელ განიცადოს პრეპარატის მიღებით განცდილი მდგომარეობა);
2. ფიზიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
3. აწეული ტოლლერანტობა;
4. უფრო ძლიერი მოქმედების ნარკოტიკების მოხმარებაზე გადასვლა [2, 322].

არსებობს ნარკოტიკების არარეგულარულად და არახანგრძლივად (ეპიზოდურად) მომხმარებელი მოსახლეობის ჯგუფი, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებიათ მყარი შეჩვევა პრეპარატის მიმართ. ეს მდგომარეობა ნარკოტიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. მოცემულ ჯგუფზე მიკუთვნება ხდება რიგი პირდაპირი და ირიბი ნიშნით. ეს ნიშნებია:

- ორობის გარეგნული გამოვლინებების დაფარვის უუნარობა (დამწევები ნარკომანის დაუფიქრებელი, ქარაფშეტული საქციელი იქცევს გარშემომყოფთა უურადღებას);
- განმარტოებისაკენ სწრაფვა, განცდების საკუთარ სამყაროში ჩაძირვა (დამახასიათებელია განსაკუთრებით ოპიუმის ან მორფის მომხმარებლებისთვის);
- უმოტივო სიცილი, ხმამაღლა ლაპარაკი, უესტიკულაცია, ხლვარგადასული მოძრაობა (უფრო ხშირად კოდეინის მომხმარებლებში);

- არააღექვაზური საქციელი—(უაზრო გაქცევა, თავდასხმა, დამალვის მცდელობა), ღორმუცელობა და წყურვილი (უფრო ხშირად ერთი საათი-საათნახევრის შემდეგ კაშიშის მიღებიდან).

ჯგუფის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ არ აღენიშნებათ აბსტინენციის ავადმყოფური მდგომარეობა [2].

ამჟამად ცნობილია 120 პრეპარატზე მეტი, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მათზე შეჩვევა. უფრო მეტად გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებებს წარმოადგენს:

1. ოპიუმი და მისი წარმოებულები;
  2. ინდოეთის კანაფი და მისი წარმოებულები;
  3. საძილე საშუალებები;
  4. კოკაინი;
  5. ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორები;
  6. ლიზერგინის მჟავას წარმოებულები;
- კომპლექსში მიღებული ნარკოტიკული ნივთიერებები [1].

#### **ოპიუმით გამოწვეული ნარკომანია**

ნარკოტიკების ეს ჯგუფი მიიღება საძილე ყაფაჩოდან, კერძოდ მცენარის სათესლე კოლოფიდან. ახლად გამოწვეულილი წენი საქმაოდ ბლანტია და თეორი, თუმცა პაერზე სწრაფად მუქდება. მისი გამოშრობით მიიღება ოპიუმი. მრავალსაუკუნოვანი სელექციის შედეგად მიღებულია სხვადასხვა ქვესახეობა: ყაფაჩო სქელი სათესლე კოლოფით, ყაფაჩო დიდი ოდენობით ზეთის შემცველი თესლით. ყველა ისინი შეიცავს ნარკოტიკულად აქტიურ ალკალინოდებს: მორფინს, კოდეინს, პაპავერინს, ტებაინს და ა.შ. საძილე ყაფაჩოდან მიღებული ნარკოტიკული საშუალებების ძირითადი სახეობებია: ოპიუმი, ყაფაჩოს ნამჯა, ყაფაჩოს ნამჯის ექსტრაქტი, აცეტილინებული ოპიუმი და ჰეროინი. ისინი მიიღებიან მოწვევით, პერიორალურად, პარენტერალურად (ინექციების მეშვეობით).

**ოპიუმი** – ყაფაჩოს მოუმწიფებელი სათესლე კოლოფიდან მიღებული გამომშრალი რძიანი წვენია, რომელიც წარმოადგენს მუქი მეწამული ფერისა და სპეციფიური სუნის მქონე ბლანტ ან მშრალ მასას. მისი გადამუშავებით მიიღება სამედიცინო ოპიუმი.

**მორფინი** – ოპიუმისა და ყაფაჩოს ნამჯის ძირითადი ნარკოტიკული ალკალინოდია. წარმოადგენს თეორიდან მეწამულამდე შეფერილობის მქონე ფხვნილს, რაც გაწმენდის ხარისხზე დამოკიდებული. საინექციოდ გამოიყენება მისი უმნიშვნელოვანების მარილი – მორფინის პიდროქლორიდის ხსნარი.

**ჰეროინი** – (უარგონული სახელები: “გერა”, “გერიჩი,” კოქტეილი “ჯეფი”, “უფენდი”, “კოსმოსი”) მორფინის ნახევრადსინთეზური პროდუქტია. გაწმენდის ხარისხის მიხედვით შეიძლება იყოს თეორიდან ყავისფრამდე. სუფთა თეორი ჰეროინი (ჰეროინის პიდროქლორიდი) კონსისტენციით პურის ფქვილს ჰგავს. ჰეროინის ერთ დოზას (0,1გ 20-30%-იანი კონცენტრაციით) ყოფენ რამოდენიმე მიღებაზე და გამოიყენებენ საინექციოდ ინტრავენურად და ინტრამუსკულარულად (დუნდულოზე ან ბარძაყზე). მისი მოქმედება გრძელდება მხოლოდ 2-4 საათი, შეჩვევის შემდეგ ნარკომანს შეიძლება დასჭირდეს რამოდენიმე დოზა დღეში. ნარკოტიკული აქტივობით ჰეროინი რამოდენიმეჯერ აღემატება

მორფინს. უკვე ორი დღის შემდეგ მის მიმართ შეიძლება ჩამოყალიბდეს სრული ფიზიკური დამოკიდებულება (აბსტინენცია) [3].

ოპიატების (მორფინი, კოდეინი, ოპიუმი, დიონინი, ომნოპონი, ჰეროინი...) მომხმარებლებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: მკვეთრად შევიწროებული გუგები, თვალების მსუბუქი შეწითლება აშკარად გამოხატული ბრწყინვა, ჩალურჯებული უპები, მოთენილობა და მოდუნება, აპათია ყველაფრის მიმართ, გარდა საკუთარი თავისა, ეიფორია და უზრუნველობა, მომატებული გამბედაობა, ნევროზულობა, უთავბოლო მეტყველება, ზედაპირული ძილი, კანის ქავილი (განსაკუთრებით ცხვირის), კანისა და ლორწოვანის (ტუჩების, ენის) სიმშრალე, შარდის გამოყოფის შემცირება, სხეულის ტემპერატურის მცირედ დაქვეითება, ხველის არქონა გაციების დროს და სხვა.

ოპიუმით გამოწვეული ნარკომანის საწყის სტადიაზე, თუ არ ხერხდება ნარკოტიკის მიღება რამოდენიმე დღე-დამის განმავლობაში, ვითარდება დეპრესიულ-დისფორიული, გაბოროგებული განწყობილება, მომატებული მგრძნობელობა ნებისმიერი ხასიათის გამდიზიანებლის მიმართ, არაადექსატური აფექტური რეაქციები. დეპრესია ვლინდება უმედობით, უპერსპექტივობის განცდით, დამახასიათებელია უძილობა, მადის მკვეთრი დაქვეითება, რომელიც შემდეგ გაუმაძრობით იცვლება. აბსტინენციის ვეგეტატიური სიმპტომები გამოხატულია სუსტად. შეიძლება დაფიქსირდეს გუგების გაფართოება, ზომიერი ტაქიკარდია, არტერიული წნევის მცირე მატება, ზოგჯერ მწვავე რესპირატორული დაავადების სიმპტომატიკა: სურდო, თვალების გაწითლება, ცრემლდენა, მსუბუქი შემცირება. აბსტინენციის ხანგრძლივობა საწყის სტადიაზე რამოდენიმე დღეა. შემდეგ ვეგეტატიური დარღვევები მთლიანად ალაგდება, ძილი და მადა აღდგება; აფექტური აფეთქებები ქრება; ნარკოტიკისადმი ლტოლვა ნარჩუნდება 2-3 თვის განმავლობაში [3].

II ეტაპზე ქრება აღრინდება აღმარტოების ნაცვლად, ჩნდება კომანიაში ყოფნის, გართობის სურვილი, იზრდება აქტიურობა, ურთიერთობისადმი ლტოლვა. მსგავსი აქტიურობა გრძელდება 2-6 საათის განმავლობაში. ეს პერიოდი მცირდება ნარკომანიის ხანდაზმულობის ზრდის პარალელურად. შედეგად ჩნდება დაუოკებელი სწრაფვა ნარკოტიკისადმი, რაც აიძულებს ნარკომანს გაიკეთოს განმეორებითი ინექციები დღე-დამის განმავლობაში. ჩნდება მყარი სომატური დარღვევები: სხეულის მასა მკვეთრად მცირდება, კუნთები ატროფირდება, კანი ხდება მშრალი, ნაოჭიანი, იქერცლება, ვითარდება უწვეულო სიფერმკრთალე, თმის ბოლოები იყოფა, ფრჩხილები მტვრევადი ხდება, კბილები სწრაფად ფუჭდება, დამახასიათებელია გუგების მკვეთრი სივიწროვე. ნარკოტიკისადმი დაუძლევებელი ლტოლვა ჩნდება 6-8 საათის შემდეგ, რასაც პრეპარატის მიუღებლობის შემთხვევაში თან სდეგს ვეგეტატიური დარღვევები: გუგების გაფართოება, ტაქიკარდია, ცრემლ- და ნერწყვდენა, გამოხადენი ცხვირიდან, ჯიუტი ცემინება, მოგვიანებით (ძირითადად მეორე დღიდან) ვითარდება შემცირებისა და ოფლიანობის მონაცვლეობა, ტკივილი ხელების, ფეხების, კისრის კუნთებში, წვივის კუნთების კრუნჩევები, დაბუჟების შეგრძნება კიდურებში, შეტევითი ტკივილები მუცელში (ნაწლავების სააზმის გამო), ზოგჯერ ღებინება, კუჭის აშლა.

დაავადების ბოლო (ქრონიკულ) სტადიაზე ყალიბდება: მორალურ-ეთიკური დეგრადაცია, ვალდებულებების უგულგებელყოფა, ნათესაობრივი და სოციალური კავშირების რღვევა, ცინიზმი, გარეგნული მოუწესრიგებლობა, სიბინძურე, მეხსიერებისა და ყურადღების დაქვეითება, ფსიქოზები, ჭბუასუსტობა; აღმოცენდება ხევა უფრო ძლიერმოქმედ ნარკოტიკზე გადახვლის ან მათი კომბინირებული მოხმარების საშიშროება.

#### ინდოეთის კანაფი და მისი წარმოუბულებები

ინდოეთის კანაფი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. კანაფის ფოთლები, განსაკუთრებით კი მისი საყვავილე და მტვრიანები, შეიცავს ძლიერმოქმედ გამაბრუებელ ნივთიერებას

(ალდეპიდ კანაბინოლს). მოსავლის აღების დროისა და ხერხის, აგრეთვე გადამუშავების მეთოდების მიხედვით არჩევენ კანაფისაგან დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების სამსახურის მარის მიერ მიმდინარებას: ჰაშიშს და ჰაშიშის ზეთს.

მარის უანა – (უარგონული დასახელებები: “ბალახი”, “პლანი,” “მერი ჯეინი”) კანაფის ნებისმიერი სახეობის წვეროებისა და ფოთლების, აგრეთვე გამოყენების გამხმარი და ნედლი ნაწილების ნარევია. იღებენ პერორალურად (ამატებენ საჭმელში, სასმელში), ძირითადად ეწევიან.

ჰაშიში – (სინონიმები: ანაშა, პლანი, ბანგი, ხუსუსი) კანაფის მიერ გამოყოფილი ფისისა და ყვავილის მტვრის ან მცენარის დაფენილი და დაპრესილი წვეროების ნარევია. გამოყენების ყველაზე გავრცელებული ხერხია მოწევა. მარის უანასა და ჰაშიშის ეწევიან სუფთა სახით, ზოგჯერ გამოიყენებენ პერორალურად. არსებობს ჰაშიშის მომზადების ორი ძირითადი ხერხი: პლასტელინის მომზადება, რაც გაცილებით შრომატევადია, მაგრამ საშუალებას იძლევა მომზადებს ჰაშიში კანაბინოლის მაღალი შემცველობით. კანაფის ფოთლებსა და საყვავილეს სრესენ ხელით. ფისი და ყვავილის მტვერი ეკრობა ხელებს და ერთიანდება ბურთულებად. მათ აგროვებენ და პრესავენ. ზოგჯერ ნარკოტიკის დამამზადებლები შიშველ სხეულზე ისვამენ ვაზელინს და კანაფის პლანტაციაში შედიან. სხეულზე მიკრულ მტვერსა და ფისს აგროვებენ და პრესავენ. ამისთვის ქალებსა და ბავშვებს იყენებენ. მეორე ხერხი უფრო გავრცელებულია. აგროვებენ და აშრობენ კანაფის საყვავილებებსა და ფოთლებს, ფხვნიან, ცრიან, ახვევენ ქსოვილში, კიდებენ მდუღარე წყლის ზემოთ და ორთქლავენ (ვინაიდან დაუორთქლავი ჰაშიში ცუდად იწვის პაპიროსში), შემდეგ პრესავენ [3].

ჰაშიშის ზეთი – კანაფის ნაწილებიდან ექსტრაქციით მიღებული ბლანტი მასა ან ზეთოვანი სსნარია, რომლითაც ედენთავენ თამბაქოს ნაწარმს. კანაფის ექსტრაქტს აწვეობენ სიგარეტზე ან ჩიბუხის თუთუნში. მარის უანა და ჰაშიში ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკია, რაც აისხება მათი მოხმარების სიმარტივით (ეწევიან, ღეჭენ, ჭამენ)

კანაბინოლით თრობისას ვლინდება შემდეგი სიმპტომები: გუგების გაფართოება, თვალების ბრწყინვა, კონიუნქტივის შეწითლება, ქუთუთოების ოდნავი შეშუპება, კანის გაწითლება, პირისა და ტუჩების სიმშრალე, უსიამოვნო სუნი პირიდან, სპეციფიური სუნი ტანსაცმელზე, უმიზეზო მხიარულება, სიცილი, ბევრი ლაპარაკი, რაც მოულოდნელად გაუგებარი დაღონებითა და შეფიქრიანებით იცვლება (ე.წ. “ზაგრუზი”), გაუგებარი გამოთქმები, შეუკავშირებელი მეტყველება, საუბრის მოსულელო ტონი, ვერბალური კონტაქტის მომატებული მოთხოვნილება, რომელსაც ენაცვლება განმარტოებისა და საათობით მუსიკის მოსმენის სურვილი, ყურადღების შესუსტება, აზრების უთავბოლობა, მეხსიერების დარღვევა, შიმშილისა და წყურვილის გრძნობა, ღორმუცელობა, მოძრაობათა კოორდინაციის დარღვევა, პულსის გახშირება, კანკალი სხეულში, შესაძლებელია შიში, აგრესიულობა ან განურჩევლობა გარშემომყოფებთან მიმართებაში, ზოგჯერ ჰალუცინაციები, გარემოს მკვეთრი შეცვლისას – შიში და პარანოიდული მოვლენები.

კანაფის პრეპარატების გამოყენებისას გაბრუებული მდგომარეობის განვითარება დამოკიდებულია ინდივიდუალურ თავისებურებებზე მეტად, ვიდრე მიღების სიხშირესა და დოზაზე. არაიშვიათად მათი პირველი გამოყენება იწვევს უარყოფით შეგრძნებებს (სიმწრის გემო პირში, გულისრევა, პირდებინება, გაძლიერებული ნერწყვდენა, თავბრუ).

ჰაშიშით თრობის პირველ სტადიაზე შემდეგი თანმიმდევრობით ვლინდება: წყურვილისა და შიმშილის, პირში სიმშრალის შეგრძნება, სასიამოვნო სითბოსა და უწონადობის შეგრძნება სხეულში, თვითდაჯერება, მოძრაობის, ცეკვის სურვილი, აზრების ხტომა, სადი აზროვნების

შეუძლებლობა, უმიზეზო ხითხითი, ზოგჯერ ხარხარის შეტევები და ტკბილისადმი ლოროლვა, იკარგება დროის, მანძილის შეგრძნება, შეუძლებელია საკუთარი კიდურების ზომის აღქმაც, თუ ამას დაემატება მოძრაობის კოორდინაციის მოშლა, პაშიშისტი მალიან სახიფათო ხდება, როგორც მდლოლი ან ფეხით მოსიარულე.

უფრო დიდი დოზის შემთხვევაში ვითარდება მხედველობითი პალუცინაციები, განსაკუთრებით თვალების დახუჭვისას. მუქარის შემცველი პალუცინეციების შემთხვევაში ნარკომანი საშიშია გარშემომყოფთათვის.

ორობის მეორე, ე.წ. დათრგუნვის სტადიაზე ფერები მკრთალდება, ხმები მიურუვდება, იკარგება ილუზიები, ფანტაზიები, ნარკომანი ხდება გულჩახვეული, აზრების მიმდინარეობა მუხრუჭდება; შემდეგ ჩნდება შიშები, დევნის მანია, გუნებ-განწყობა მკეთრად ქვეითდება; ვითარდება ვეგეტატიური კრიზები: საერთო სისუსტე, არტერიული წნევის დაცემა, კიდურების გაციება, სიკვდილის შიში.

ნარკოტიკის შემდგომი ბოროტად გამოყენებისას თრობის სურათი სახეს იცვლის: ზოგს უვითარდება ფსიქოზი ცნობიერების გამოხატული მოშლით, მხედველობითი და სმენითი პალუცინაციები, დევნის ბოდვითი იდეები ზოგჯერ მგვეთრი მოძრაობითი აგზებით; სხვებში (უფრო ხშირად) აღმოცენდება აშლილობები ემოციურ-ნებელობით სფეროში, რასაც მიგჭავართ ფსიქოპათიისა და შიზოფრენიის მსგავს მოვლენებამდე.

ქრონიკული მიმდინარეობისას, ანუ პაშიშის ხანგრძლივი გამოყენებისას, კონსტატირდება შემდგომი ფსიქოპათიზაცია, ინტელექტის დაჭვეითება, გარემოსადმი ინტერესის გაქრობა, ვითარდება მეტად გამოხატული სომატური პათოლოგიები (ჰეპატიტი, მიოკარდიოდისტროფია, დეიდლის უკმარისობა და სხვა), პაშიშის სისტემატური გამოყენების უპე მეორე თვეზე უარესდება მესისერება, ნარკომანი თანდათან დეგრადირდება, კარგავს მეგობრებს, ამხანაგებს, თუ ადრე ნარკოტიკს ხმარობდა კომპანიაში, ახლა, პირიქით, ცდილობს განცალკევებას. ერთდროულად ჩნდება გამდიზიანებლობა, აფექტური (ემოციური) აფეთქებები, რომლის დროსაც ავადმყოფი შეურაცხყოფას აყენებს გარშემომყოფთ. ასეთი პირები სასწავლო პროგრამას ცუდად ითვისებენ, ცუდად ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას და დგებიან ამორალური ქცევის გზაზე.

კანაფის პრეპარატების ხანგრძლივად მომხმარებლები მიდრეკილი არიან ძალადობრივი სამართალდარღვევების ჩადენისკენ, არაადექვატური ქცევებისა და სექსუალური აღვირასსნილობისკენ, ზოგჯერ უვითარდებათ ფსიქოზები და ჰეთასუსტობა. ფსიქიატრიული სიმპტომატიკა სულ უფრო და უფრო მეტად ემსგავსება შიზოფრენიისას. უკანასკნელ სტადიაზე ნარკომანები პრაქტიკულად აღარ იდებენ სიამოვნებას “ბალახისგან” და გადადიან უფრო ძლიერმოქმედ ნარკოტიკზე.

აბსტინენტური სინდრომი დგება პაშიშის მიუღებლობიდან 4-5 საათის განმავლობაში, რაც გამოიხატება გუნებ-განწყობილების დაჭვეითებაში, ზოგად სისუსტესა და ოფლიანობაში, არტერიული წნევის მომატებაში.

### კოკაინით გამოწვეული ნარკომანია

კოკაინი კოკის ფოთლების ძირითადი ალკალოიდია. უმთავრესად კულტივირდება პერუსა და ბოლივიაში, ასევე სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში. წარმოადგენს თეთრი ფერის ფხვნილს, პგავს თოვლს, აქვს მწარე გემო, გასინჯვისას იწვევს ენის დაბუქებას. ჟარგონული სახელები: კოკა, კრეკი, მარავეტი.

კოკაინის პრეპარატებს ძირითადად შეისუნთქვენ ცხვირით. მის ბოროტად გამოყენებას სწრაფად მოხდევს გამოხატული ფსიქიკური დამოკიდებულების განვითარება. კოკაინის

პირველივე დოზების მიღებისას დგება მსუბუქი თავბრუს ხვევა, თავის ტკივილი, რომელიც სწრაფად იცვლება ინტელექტუალური აქტივობის ზრდით და სასიამოვნო თვითშეგრძნებით. აგზნება გრძელდება დაახლოებით ორ საათს და იცვლება აპათიითა და დათრგუნვით. ზოგჯერ ერთჯერადადი მიღებისთანავე ვითარდება უწონადობის შეგრძნება, ილუზიები, ჰალუცინაციები (უპირატესად მხედველობითი, სმენითი), ხშირია შიშები.

კოკაინის ბოროტად გამოყენებლებში შესაძლებელია ფსიქოზის განვითარება, რომლის სტრუქტურაში შეინიშნება მეხსიერების უხეში მოშლა ყურადღების ფუნქციის გამოვარდნით, დროდადრო შეიძლება იყოს ამნესტიური არევა (აგადმყოფს არ შეუძლია იპოვოს თავისი პალატა, საწოლი, არ იცის სად იმყოფება, არ შეუძლია დაიმახსოვროს თვე, დღე, რიცხვი); შეიძლება განვითარდეს დელირიოზული მდგომარეობა\_ჰიპომანიაკალური და მღლელვარემდევინგარე გუნებ-განწყობით, ფერადი მხედველობითი, ტაქტილური (მხოხავი, მცოცავი ჭიების, ტილების და სხვა მწერების შეგრძნება კანქვეშ) ჰალუცინაციებით. კოკაინიზმის მძიმე ფორმებისას ყალიბდება მეხსიერების, ყურადღების მოშლა, ფსიქოსომატური სიდატაკე, პიროვნების დეგრადაცია, ზოგჯერ კრუნჩხვითი შეტევები.

კოკაინს ფიზიკური დამოკიდებულება არ ახასიათებს, თუმცა მისი მოხსნის შემდეგ აღინიშნება ხოლმე ცხვირ-ხახის ლორწოვანის სიმშრალე, თავის ტკივილი (კეფის არეში), გუგების გაფართოება და მხედველობის სიმახვილის დაქვეითება, დეპრესია ზოგჯერ სუიციდური აზრებით. აბსტინენციის მე-2-3 დღეს შეიძლება განვითარდეს ილუზიები და ჰალუცინაციები; ენერგებათ, რომ მათ სდევნიან აგრესიული ადამიანები, მხეცები, რის გამოც თავად გადადიან შეტევაზე და საშიშები ხდებიან; უფითარდებათ ეჭვიანობის ბოდვები, რომლის ნიადაგზეც შეიძლება მოკლან ცოლი ან მისი წარმოსახვითი საყვარელი.

კოკაინი სწრაფად იშლება ორგანიზმში, საჭირო ხდება ხოლმე მისი ხშირი მიღება, სადღედამისო დოზა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სიკვდილი შეიძლება დაგეხს\_სუნთქვის ან გულ-სისხლძარღვთა ცენტრის პარეზის გამო.

კოკაინური ნარკომანისათვის ძირითადად დამახასიათებელია:

- გამოხატული ფსიქიკური დამოკიდებულების განვითარება;
- სწრაფად მზარდი ფიზიკური გამოფიტვა;
- მწვავე ფსიქიკური აშლილობა და სოციალური საშიშროება.

ხაძილებ ხაშუალებებიდან ნარკოტიკებად ძირითადად გამოიყენებიან ბარბიტურატები (ბარბამილი, ლუმინდალი...) და ბენზოდიაზეპინური ტრანკვილიზატორები (ფენაზეპამი, დიაზეპამი, სიბაზონი, ტაზეპამი და სხვა). უფრო ხშირად მათ ხმარობენ ოპიომანები ოპიუმის ეფექტის გასაძლიერებლად ან აბსტინენციის სიმპტომების შესასუსტებლად, თუმცა, გვევდება ცალკე ბარბიტურომანიაც. ბარბიტურატებს ასევე ხშირად გამოიყენებენ ხოლმე ლოთები ალკოჰოლის ნაცვლად. ძალზე სახიფათოა ძილისმომგრელების გამოყენება ალკოჰოლთან ერთად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი სუნთქვის გაჩერების გამო.

### ფსიქოსტიმულატორებით გამოწვეული ნარკომანია

ფსიქოსტიმულატორებს მიეკუთვნება უფედრინის წარმოებულები. მათი ზოგადი თავისებურება გამოიხატება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (ცნს) მასტიმულირებელ მოქმედებაში. ფსიქოსტიმულატორების მიღება იწვევს სიმხეების არაჩვეულებრივ შეგრძნებას, აზროვნების გაუმჯობესებას, შინაგან კომფორტს, ცოცხალ ექსტიკულაციას, ლოგორებს (ბევრი ლაპარაკი), სექსუალური ლტოლვის გაძლიერებას, რომელიც ნარკოტიკის ხანგრძლივი მოხმარებისას იცვლება სრული იმპოტენციით. ორობის გადავლის შემდეგ ნარკომანს უვითარდება დეპრესია. ჰიპერდოზირებისას შეიძლება გაჩნდეს ჰალუცინაციები, შიზოფრენიისმაგვარი მდგომარეობა, ადამიანს ესმის ხმები, უვითარდება

დევნის მანია, ვარდება პანიკაში, შეიძლება გახდეს აგრესიული და საფრთხე შეუქმნას საკუთარ და გარშემომყოფთა სიცოცხლეს; გულისცემა გახშირებულია, ატრერიული წნევა – მომატებული, რასაც შეიძლება მოჰყებს თავის ტვინის სისხლძარღვების გახეობა და ჰემორაგია (სისხლჩაქცევა).

### პალუცინოგენებით (ლიზერგინის მეჯახს წარმოებულებით) გამოწვეული ნარკომანია

პალუცინოგენები შეიძლება იყოს მცენარეული წარმოშობის ან სინთეზის გზით მიღებული. ყველაზე ფართოდ გავრცელებული პალუცინოგენებია LSD და “ექსტაზი”.

LSD - (ლიზერგინის მეჯახს დიეთილამიდი) ნახევრადსინთეზური ალკალოიდია, რომელიც მიიღება ზოგიერთი სოკოს შემადგენლობაში მყოფი ლიზერგინის მეჯავასგან. შეჰყავთ ინტრავენურად, აწვეთებენ შაქარზე ან ურევენ დასალევში. გამოდის 100გგ ტაბლეტების ან LSD –თი გაჟღენთილი მარკების სახით.

“ექსტაზი” – სინთეზური პრეპარატია, გამოდის პატარა თეთრი ტაბლეტების სახით, რომლებზეც სხვადასხვა გამოსახულებებია (ფრინველები, ვაშლი, მომდიმარი სახეები...). მიიღება ძირითადად პერორალურად. 2-3 ტაბლეტი შეიძლება აღმოჩნდეს სასიკვდილო დოზა.

ფსიქიკური აშლილობის ნიშნები იწყება ნარკოტიკის მიღებიდან 15-30 წუთის შემდეგ. დასაწყისში ვითარდება მსუბუქი ალკოჰოლური თრობისმაგვარი სურათი, შემდეგ დგება სასიამოვნო მოთენილობა და ძლიერი სისუსტე, ხმები ხდება ხმამადალი, ხილული საგნები და შორებული და ბუნდოვანი, ჩნდება დეპერსონალიზაციის ნიშნები, ვითარდება კაშკაშა, ჭრელი მსედველობითი პალუცინაციები; დროისა (მოკლე ინტერვალები შეიგრძნება, როგორც უფრო ხანგრძლივი, შეიძლება პირიქითაც) და სივრცის აღქმის ცვლილება წარმოადგენს ერთ-ერთ უფრო მუდმივ თანმხლებ ფენომენს. ადამიანს შეუძლია შეიძინოს (დროებით) განსაკუთრებული შრომისუნარიანობა, უქვეითდება სტრესის შეგრძნება, უმყარდება თვითრწმენა, ცნობიერებაში წარმოიშვება არაჩვეულებრივი იდეები, ჩნდება აბსტრაქტული აზროვნების განსაკუთრებილი უნარი, მნიშვნელოვნად მატულობს მეხსიერება. LSD -ს ზემოქმედებით, ზოგიერთმა ადამიანმა გარკვეული დროით შეიძინა წინასწარმეტყველების უნარი (პროგნოზირებდნენ მოვლენებს, ამინდს, ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობასაც კი). გუგები ფართოვდება, პულსი ხშირდება, სხეულის ტემპერატურე და T/A (არტერიული წნევა) მატულობს.

პიპერდოზირებისას პალუცინაციები წარმოიშობა გახელილი თვალებით, იქმნება შეგრძნება, რომ ვიდაც ცდილობს მოუსპოს ნარკომანს თავისუფლება, იბატონოს მის გონებაზე, რის გამოც ხშირია სხვადასხვაგვარი არაადექვატური ქცევები და აგრესიული სამართალდარღვევები; დევნის მანია შეიძლება მკვლელობის მიზეზი გახდეს.

პალუცინოგენების ხანგრძლივი ან ბოროტად გამოყენება სავალალო შედეგებს იწვევს. ვითარდება ხოლმე ცნობიერების მძიმე აშლილობა პალუცინაციებისა და შიშის გრძნობის თანხლებით, გახანგრძლივებული ან ქრონიკული ფსიქოზები, პარანოიდული ფსიქოზები ან ხანგრძლივი მძიმე დეპრესია, რაც ხშირად სუიციდით მთავრდება. ადამიანი უხეშდება, ვიწროვდება ინტერესების წრე, პროგრესიონებს მეხსიერების დასუსტება მიმდინარე მოვლენებზე, ორსულებში ხშირია ნაყოფის დაზიანება ანომალიების, სიმახინჯეების, ზოგჯერ მუტაციების სახითაც კი.

LSD-ს მომხმარებლებში ფიზიკური დამოკიდებულების კლასიკური ნიშნები არ ვითარდება, ტოლერანციობა არ პროგრესირებს, ანუ ეფექტის მიღწევისთვის არ არის საჭირო მზარდი დოზების გამოყენება; ამ თრი თავისებურების გამო ახალგაზრდები იოლად ებმებიან პალუცინოგენურ ნარკომანიაში და ავიწყდებათ, რომ ფსიქიკური დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა გაცილებით რთულია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ LSD-ს მომხმარებლებს უვითარდებათ ხოლმე კწ. “მეორე პრიხოდის უფაძლი”. პრეპარატის მიღების შეწყვეტისა (თუნდაც ათწლეულების განმავლობაში) და შემდგომში განმეორებით მიღებისას უეცრად ვითარდება შეგრძნება, რომელიც პირმა განიცადა ლიზერგინული თრობის პიგზე. ასეთმა ადამიანმა არ იცის, როდის აღმოუცენდება ჰალუცინაციები და ფანტასტიკური ილუზიები, რამაც გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს.

იურიდიულ პრაქტიკაში ნარკომანიის დასადგენად საჭიროა ყურადღება მიექცეს პირის ქცევებსა და გარეგნულ სახეს. ნარკომანის საქციელი დამოკიდებულია ნარკოტიკის მიღების დროზე: მიღებიდან რამოდენიმე საათის განმავლობაში შეინიშნება კწ. “კაიფი” – თავისებური მანიაკალობა – აწეული გუნებ-განწყობა, ძალების მოზღვავება, ეიფორია, პრობლემებისგან გათავისუფლება და ა.შ. იძულებითი თავშეკავების პერიოდში კონსტატირდება კწ. “ლომპა” – აბსტინენტური მდგომარეობა უძილობით, სევდიან-გაბოროგებული გუნებ-განწყობით, მოუსვენრობით, მღელვარებით, ერთ ადგილზე დაჯდომის შეუძლებლობით, არაიშვიათად კრუნჩხვებით, სხვადასხვა ხარისხის ცნობიერების დაბინდულობით, ბოდვებით, ჰალუცინაციებით (სრული ფსიქოზის სურათამდეც კი). აბსტინენციის მდგომარეობაში ნარკომანები ყველაფერზე მიღიან ნარკოტიკის ხელში ჩასაგდებად. ისინი არ ერიდებიან ტყუილს, ქურდობას, ძალადობას, ძარცვას, სუტენიორობას, უხეშ აგრესიასა და მკვლელობასაც კი.

გარეგნული სახის ყურადღებით დათვალიერება სასამართლო-საგამოძიებო მუშაკებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ ნარკომანისთვის დამახასიათებელი რიგი ნიშანი:

- მკვეთრი სიგამხედრე (კახექსია);
- ტუჩების მცირე სილურჯე (ციანოზი);
- გუგების შევიწროება (ოპიომანებში) ან, პირიქით, არაბუნებრივი გაფართოება (მიდრიაზი) კოკაინისტებში;
- ადრეული დაბერება – ნაოჭების გაჩენა, შეშუპება;
- სახეზე გამონაყარი ან მისი ნაკვალევი;
- კანის მოყავისფრო-მიწისფერი შეფერილობა ნაფხანების ნაკვალევით;
- კიდურების კანის სიმშრალე და აქერცვლა;
- დეფორმირებული ფრჩხილები;
- კბილების ადრეული დაცვება;
- წინამხრისა და ბარძაყის კანის ზედაპირებზე ინექციის ნაკვალევი (როგორც წესი, მორფინისტებს);
- ხელების კანკალი (ტრემორი);
- გაუბედავი, მერყევი სიარული;
- ცხიმიანი თმები.

პირები, რომლებიც სჩადიან დანაშაულს ნარკოტიკული საშუალებებით თრობის მდგომარეობაში, როგორც წესი, ცნობილი არიან შერაცხადად.

თუ დანაშაული მათ მიერ ჩადენილია ფსიქოზურ მდგომარეობაში (დაბინდული ცნობიერების, ბოდვისა და ჰალუცინაციებისას), მძიმე ინტელექტუალური და მნესტიური (მეხსიერების) დარღვევების კონსტატაციისას და ჭკუასუსტობის შემთხვევაში (დემენცია), ისინი ცნობილი უნდა იყონენ შეურაცხადად.

მნიშვნელოვანია სამართლდამცავებს ახსოვდეთ ნარკომანიასთან დაკავშირებული სამედიცინო პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, ნარკომანია აღქმულ უნდა იქნას, როგორც ავადმყოფობა, რომლის დროსაც ორგანიზმის ცხოველმყოფელობა შენარჩუნებულია განსაზღვრულ დონეზე მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების მუდმივად მიღების

პირობებში. ნივთიერებათა ცვლის პროცესში ნარკოტიკის ჩართვის გამო, მისი ერთბაშად შეწყვეტა სახიფათო ხდება ნარკომანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. მხედველობაშია მისაღები ნარკომანის მორალურ-ეთიკური დევრადაცია. ისინი, როგორც წესი, განურჩევლები ხდებიან კველაზე ახლობლების მიმართაც კი. ნარკოტიკული შიმშილის ფაზაში ნარკომანმა შეიძლება შვილის სამკურნალოდ გადადებული ფული მოიპაროს, საკუთარი ქონება ნარკოტიკების შეძენას მოახმაროს და ოჯახთან ერთად დიაცის ქვეშ აღმოჩნდეს. შესაბამისად, სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას ნარკომანის მიმართ არანაირი ეფექტური შედეგი არ ახლავს, რაც კანონმდებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

#### ბამოზენებული ლიტერატურა

1. სამსონიძე ვ. და ავტორთა ჯგუფი. 2006. სასამართლო ფსიქიატრია. თბილისი.
2. Морозов Г. В. и др. 2003. Судебная психиатрия. М.
3. Щадрин С. Ф. и др. 2006. Судебная медицина. М. стр. 11; 29; 63.

*Tamara Glonti  
Grigol Robakidze University*

### **Drug Abuse – Medical and Legal Aspects**

Drug abuse is an addiction upon one or several types of narcotics. Drugs have an effect on human psychics, nervous system, and other inner organs. They cause pleasant feelings; calm down, or exasperate their user. Excessive use of narcotics leads to obnubilation, while overdose may lead to death.

Illegal narcotic distribution in Georgia is encouraged by many factors, including geopolitical location, fast globalization, drug distribution efficiency in neighbor countries, growing flow of negative information in younger circles that fosters them to use drugs, etc.

Addiction to narcotics forces users of the drugs to commit socially dangerous acts, basically - offences to obtain the narcotics (falsify prescription, drug theft, etc.). While usually users of narcotics commit offences such are theft, robbery, rape, and assault, in some cases they may even go mad, or/and change their personality, and/or kill other people.

To overcome the drug abuse problem, one must understand that drug abuse is not only social and legal problem, but also medical. It should be treated as an addiction that steadily grows and forces a drug user to enlarge doses. Organism of an addicted narcotics user becomes tolerant to the effect of the narcotics. However, extended use of the narcotics causes pathology changes in psychical and somatological spheres.

Drug abuse depends on abstinence that occurs when overall amount of narcotics in the organism reduces, making a user of narcotics receive a new dose. After several consumptions of narcotics they engage in the metabolism process of an addicted person making him/her suffer without them. Such users relax only while they are being under constant effect of narcotics.

According to Pechernikova, organism of a drug abuser reacts differently in the beginning compared to an effect received at the end, and passes 4 steps. These are:

1. Psychical Addiction
2. Physical Addiction
3. Heightened Tolerance
4. Substitution from weaker narcotics to stronger ones

While drug users usually become addicted, there is a group of people that use drugs only periodically. Such state is known as “narcotism state”. The basic difference between addicted people and people that are in state of “narcotism” is that the abstinence of the second group is still weak.

Today, there are above 120 preparations that cause their users to become addicted. Most common of these are:

1. Opium
2. Indian Hemp
3. Some Sedatives
4. Cocaine
5. Stimulators of Central Nervous System
6. Lysergic Acid
7. Complex drugs

### *Opium*

People addicted to opiates suffer from serious depression, bad mood, inadequate behavior, and enhanced sensitivity if they do not take opium throughout several days. Depression is formed with loss of hope to obtain new dose of opiate narcotics. Usually, abusers of opium suffer from insomnia and loss of appetite, or on the contrary, they are always hungry. Vegetative abstinence symptoms appear weakly. These narcomaniacs are identified by growth of pupils, tachycardia, increased blood pressure, sometimes, symptoms such rhinitis, eye redness, epiphora, and minor feeling of constant cold.

In the beginning period of drug use, abstinence lasts only several days. Afterwards, since addiction is not yet formed, vegetative functions, including appetite and sleep losses recommence, affective bursts disappear. Final addiction toward narcotics disappears in 2 or 3 months.

On the first stage, drug abusers enjoy spending time alone. First several doses make users of narcotics receive enormous pleasure which they do not want to share with anyone. But such sensation lasts for a very short period, thus narcomaniacs loose lust to enjoy drugs alone.

On the second stage of drug addiction, adrenaline received from state of being “high” (a.k.a. “keef”) steadily decreases. Instead of spending time alone, drug abusers chose to be surrounded by friends, have fun. They become more active, become more eager to communicate. After drug has been taken, such active state lasts from two to six hours, and decreases in length as narcomaniacs become more addicted. As a result, a drug user feels constant need to use drugs. This leads to great loss of weight, weakening of nails that become fragile, muscles become atrophied, paleness covers the whole body, and dents become damaged. The second stage drug abusers are usually identified by their thin pupils. If the second stage narcomaniac does not take narcotics in short period of every 6-8 hours, he/she suffers from vegetative malfunctions such as: growth of pupils, tachycardia, epiphora, sialorrhea, and cough. If drug hunger continues, on the second day, deficit of drugs makes a drug addict suffer from pain in arms’, legs’, and necks’ muscles, convulsion in area of calves, stupor in extremities, stomach ache, sometimes vomiting and diarrhea.

On the third, final stage, drug abusers become chronic users of narcotics. When narcomaniacs reach this state, they degrade morally and ethically. It is common for them to loose social bond with their relatives and friends. They become cynic, do not look after themselves, and do not bathe. After time, they lose concentration and have memory problems. Finally, the third stage drug abusers go through the process of dementia.

Opium abusers are able to disguise their addiction but if they have no access to drug sources, they will do anything – even commit a grave crime.

### *Indian Hemp*

Indian hemp is weed plant with lifespan of one year. Leaves of hemp, especially anther and petals, contain strong stupefying substance which causes “keef”.

Use of hemp narcotics causes the stupefying effect that differs in the individuals. Usually, first several uses of hemp cause negative feeling towards them (vomiting, nausea, sialorrhea, dizziness).

On the first stages of hemp addiction, the symptoms reveal in following sequence: thirst and hunger (usually, hemp abusers want to eat sweets), dry mouth, pleasant warmth, desire of movement, rapid rotation of thoughts, inability to think clearly, and laughter without any reason. While being intoxicated, hemp abusers lose sense of time and distance. They are very dangerous drivers. If overdose of hemp occurs, abuser may see hallucinations.

On the second stage, hemp abusers’ world loses colors, sounds become dumb, illusions and fantasies are lost, the sequence of thoughts becomes vague. Abusers have feeling that somebody watches them; vegetative problems occur such as general weakness, blood pressure decrease, extremities chilling, and fear of death.

### *Cocaine*

Cocaine is a main alkaloid of coca leaves. Largest suppliers of cocaine are considered to be Peru, Bolivia, and other South American countries. Visually, cocaine looks like white flour or snow. It has bitter taste. Drug dealers’ nickname it “coca”, “crack”, “maraphete”.

Cocaine is usually inhaled. Even after the first use, it develops a psychical addiction. After the first consumption of cocaine, an abuser usually suffers from a slight headache and dizziness. Afterwards cocaine boosts intellectual abilities of an abuser. The active phase continues for about two hours, then, narcomaniac feels apathy. Sometimes, after the first use of cocaine, an abuser sees/hears hallucinations. It is often for cocaine abuser to feel fear. Overdose of cocaine may lead to psychical madness.

Since cocaine dissolves rapidly, an abuser may need to take several doses throughout a day.

It is common for an abuser of cocaine to have psychical addiction, rapidly growing physical fatigue, acute brain disorders and poses threat to society.

### *Hallucinogens*

Hallucinogens may be of herbal or synthesis origin. Most widely spread hallucinogen is **LSD** (Lysergic Acid Diethylamide) and **Ecstasy**. LSD is made from mushrooms that contain lysergic acid. Signs of psychical disorder occur 15-30 minutes after taking it. At the beginning, an abuser feels slight intoxication that can be compared with that of alcohol. Afterwards, a narcomaniac usually sees bright hallucinations.

An abuser of LSD may temporarily obtain strong ability to work. He/she becomes confident of himself/herself. An abuser may also be able to think better. Memory becomes more extended. Unfortunately, this effect does not last long.

There has not been any proof that a user of LSD will become physically addicted. Fact is that it is not necessary to increase the amount of LSD dose to receive same “keef” as the first one. However, LSD causes strong psychical addiction which is a lot harder to overcome than physical one.

While in the state of abstinence, abusers of hallucinogens will do anything to obtain new dose. They may rob, assault, or even kill anyone - thus posing serious threat to the society.

Users of hallucinogens can be identified by thinness of their bodies, slight lip blueness, thinness of pupils, or abnormal thickness of pupils, appearance of skin rash, brown skin color, dry skin on extremities, deformity of nails, early loss of teeth, tremor, and greasy hair.

#### Conclusion

It is relevant for legislators, judges, prosecutors and attorneys to overlook medical problems of drug abusers. First of all, drug abuse should be defined as the type of disease which causes drug abusers to feel themselves comfortable only when they are intoxicated by narcotics. Because of narcotics' ability to include itself in the metabolism process, sudden abolishment of drugs may cause fatal consequences. Narcotic hunger may cause narcomaniacs to forget everything in the world to gain access to drugs. That is why the drug problem should be treated by professional doctors, not law enforcers.

**საჯარო სამართლი**

---

---

# *Public Law*

**მანანა მოსულიშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

## **საქართველოს სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის სისტემის შესაბამისობის საპირზოსათვის**

კანონმდებლობის სისტემა, ფართო გაგებით, სამართლის წყაროების ფორმალური ურიდიული ერთობლიობაა, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოში სამართლებრივი რეგულირების პროცესის დროს გამოიყენება. საქართველოში ძირითადი ფორმალური ურიდიული წყაროა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, ამიტომ, როცა ვსაუბრობთ საქართველოს კანონმდებლობის სისტემაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მას მივცეთ შემდეგი განმარტება: კანონმდებლობა სახელმწიფოს იურისდიქციის ტერიტორიის ფარგლებში მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობაა, რომელიც სამართალშემოქმედებით და სამართლის ნორმის რეალიზაციის პროცესს აწესრიგებს. მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობის სისტემას შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

- საჯაროობა;

- ობიექტურობა;
- ფორმალურობა
- იერარქია;
- უშუალო კავშირი სახელმწიფოსთან;
- უშუალო კავშირი დროსა და სიგრცესთან.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**საჯაროობა** – იმ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობას, რომლებიც კომპლექსურად ქმნიან კანონმდებლობის სისტემას, ყველას სახელით მიიღება და საქართველოს იურისდიქციის ტერიტორიის ფარგლებში მყოფ ყველა პირის მიმართ მოქმედებს.

**ობიექტურობა** – საკანონმდებლო აქტები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინტერესების უზრუნველყოფისა და დაცვის მიზნით მიიღება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ „კანონის წინაშე ყველას თანასწორობის“, „კანონის არ ცოდნა ჩადენილი დარღვევებისათვის პირს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან“ და ა.შ. პრინციპები.

**ფორმალურობა** – კანონმდებლობის სისტემა მოიცავს შესაბამისად გაფორმებული დოკუმენტების – საკანონმდებლო აქტების ერთობლიობას. იმისათვის, რომ საკანონმდებლო აქტმა მიიღოს იურიდიული ძალა, საჭიროა მას ჰქონდეს საჭირო რეკვიზიტები (დოკუმენტის დასახელება, მიღების დრო და ადგილი და ა.შ.)

**იერარქია** – ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც კანონმდებლობას შეადგენენ, დალაგებულია იურიდიული ძალის შესაბამისად, ყოველი ქვემდგომი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი იურიდიულ ძალას იძენს ზემდგომი აქტისაგან. საქართველოს კანონმდებლობაში, იურიდიული ძალის შესაბამისად, ძირითადი ნორმატიული აქტია კონსტიტუცია, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებთან შედარებით, რაც რეგლამენტირებულია საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“. კანონის მე-4 მუხლში, იერარქიის შესაბამისად, ჩამოყალიბებული, საქართველოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
- საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
- საქართველოს ორგანული კანონი;
- საქართველოს კანონი;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
- საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება;
- ბუდალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება;
- აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება;
- საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება;

- საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება;
- საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება;
- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფროსის ბრძანება;
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ნაკონისა და გაზის ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანება;
- საქართველოს მინისტრის ბრძანება;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება;
- საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის ბრძანება;
- აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება
- სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანება;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანება;
- ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება [2, მუხლი 4].

**უშუალო კავშირი სახელმწიფოსთან** – მოცემული ნიშანი გულისხმობს, რომ საკანონმდებლო აქტები სახელმწიფოს სახელით მიიღება და მათი რეალიზაცია სახელმწიფოებრივი გარანტიებისა და სანქციების მეშვეობითაა უზრუნველყოფილი. საქართველოს საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები [2, მუხლი 5].

**უშუალო კავშირი დროსა და სივრცესთან** – კანონმდებლობა, განსხვავებით სამართლის სისტემისაგან, რომელიც უფრო აბსტრაქტულობის გამო, რაიმე სივრცობრივ მასშტაბებთან და დროის მონაკვეთთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული, მაგრამ კანონმდებლობა და კერძოდ, მისი სისტემა მოცემული დროის პერიოდში ფალიბდება. მოცემულ სახელმწიფოში ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები ანუ კანონმდებლობა უშუალო კავშირშია ამ „ცვალებად სიდიდეებთან“.

სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის სისტემის განმასხვებელი ნიშნების მკაფიოდ გამოსაყოფად, საჭირო მათი ერთმანეთთან შედარება. ამით, ნათლად გამოჩნდება, რომ კანონმდებლობის სისტემის პირველადი სტრუქტურული ელემენტებია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც სამართლის ნორმებს მოიცავენ და რომელთა გამოყენებაც სამართლის მარეგულირებელი და დამცავი ფუნქციის რეალიზაციის პორცენტი იურიდიულ საშუალებათა სახით ხდება. კანონმდებლობის სისტემას სუბორდინაციის და კოორდინაციის პრინციპების შესაბამისად, ახასიათებს სტრუქტურული ელემენტების ვერტიკალური და პორიზონტალური აგებულება.

კანონმდებლობის ვერტიკალი ემყარება სუბორდინაციის, დაქვემდებარების, იერარქიულობის პრინციპებს. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ვერტიკალურად დაყოფის კრიტერიუმად გვევლინება აქტის იურიდიული ძალა. თავის მხრივ, ნორმატიული აქტია იურიდიული ძალა დამოკიდებულია, როგორც მის ფორმაზე (კანონები და კანონქვემდებარე აქტები, ისე მისი მიმღები სუბიექტების დონეზე (უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების მიღებული აქტები)).

კანონმდებლობის სისტემის პორიზონტალური ძირითადად ყალიბდება ობიექტურად ჩამოყალიბებული სამართლის სისტემის ზეგავლენით. პორიზონტალური აგებულება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთიანობას წარმოადგენს, რომლებიც სამართლებრივი რეგულირების საგნის მიხედვით ჯგუფებადაც გაერთიანებული. იურიდიულ მეცნიერებაში, როგორც წესი, ასხვავებენ დარგობრივ და დარგთაშორის კანონმდებლობას.

დარგობრივი კანონმდებლობა არეგულირებს ურთიერთობებს ცალკეული დარგის ფარგლებში (მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა თავის მარეგულირებელ-დაცვით ზემოქმედებას ავრცელებს მხოლოდ სისხლის სამართლის დარგის სფეროზე). დარგთაშორისი კანონმდებლობა არეგულირებს რაიმე ელემენტით დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშვება სამართლის სხვადასხვა დარგის ფარგლებში (მაგალითად, საბაჟო კანონმდებლობა არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც საბაჟო, ადმინისტრაციული, სამოქალაქო-სამართლებრივი და ა.შ. ურთიერთობებიდან გამომდინარებს). აღნიშნულიდან გამომდინარე, როცა ჩვენ ვეხებით სამართლის ახალი დარგის გამოჩენის საკითხს (მაგალითად, როგორებიცაა: პოლიციის სამართალი, სამთო სამართალი, სამსედო სამართალი, სატრანსპორტო სამართალი, სამშენებლო სამართალი და სხვ.), მაშინ საუბარი, არსებითად, არა სამართლის დარგების შესახებაა, არამედ დარგთაშორის საკანონმდებლო აქტების ჯგუფზე.

გარდა აღნიშნულისა, კანონმდებლობის პორიზონტალური სტრუქტურის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მიმდინარე კანონმდებლობა და საგანგებო კანონმდებლობა, აგრეთვე შეიძლება გამოვყოთ ზოგადი და სპეციალური ხასიათის კანონმდებლობა.

მიმდინარე კანონმდებლობა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კომპლექსია და მისი მეშვეობით, სტაბილურ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციის პერიოდში სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება.

საგანგებო კანონმდებლობა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ისეთი კომპლექსია, რომლის მეშვეობითაც სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება საგანგებო პირობებში. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის „თ“ქვეპუნქტით უფლებამოსილია შესაბამისი პირობების არსებობისას გამოაცხადოს საგანგებო მდგრმარეობა და ამ პერიოდში გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეპრეტებს.

ზოგადი ხასიათის კანონმდებლობა იმ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კომპლექსია, რომელშიც განმტკიცებულია სამართლებრივი რეგულირების უფრო მეტად ზოგადი, საბაზისო დებულებები და პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვანია განურჩევლად ყველა სუბიექტისათვის (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია).

სპეციალური ხასიათის კანონმდებლობა აერთიანებსიმ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს, რომლებიც არეგულირებენ მარეგულირებელ და დამცავ საქმიანობას განპირობებულ სოციალურ-სამართლებრივ სფეროებში (მაგალითად, როგორიცაა: სამართალშემოქმედების, სამართალდაცვითი, მართლმსაჯულების სფეროები და ა.შ.).

მივუბრუნდეთ ისევ კანონმდებლობის სისტემისა და სამართლის სისტემის შესაბამისობის ხაკითხს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ორივე კატეგორია მჭიდრო კავშირში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ისინი იდენტურნი ან არიან, დაუშვებელის მათი გაიგივება. ისინი ერთმანეთს შეესაბამებიან, როგორც მოვლენის ფორმა და შინაარსი.

სამართლის სისტემა შეესაბამება ფილოსოფიურ კატეგორიას „შინაარსი“ და წარმოადგენს სამართლის შინაგან სტრუქტურას, რომელიც მათ მიერ რეგულირებად საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათს შეესაბამება.

კანონმდებლობის სისტემა ფილოსოფიურ კატეგორიას „ფორმას“ შეესაბამება და სამართლის წყაროების ფორმალურ-იურიდიულ ერთობლიობას წარმოადგენს. სამართლის სისტემა სამართლის შინაგან სისტემას ახასიათებს. ამდაგვარი შეფასება კი საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მასზე, როგორც ობიექტურ მოვლენაზე, რომელიც სივრციობრივი და დროითი დაქვემდებარების გარეთა.

კანონმდებლობის სისტემა სახელმწიფოს ფარგლებში მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობაა. ამ გაგებით, კანონმდებლობა სუბიექტურია, რამდენადაც იგი წარმოიქმნება სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული წესებით და ამავე სახელმწიფოს ნებით შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს. სამართლის სისტემის პირველადი ელემენტია სამართლის ნორმა, ხოლო კანონმდებლობის სისტემისა კი, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი.

კანონმდებლობა ვერ იარსებებს სამართლის გარეშე, თუმცა ხშირად, საკანონმდებლო აქტების შინაარსი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოდ აღიარებულ ზოგადსამართლებრივ პრინციპებს. თავის მხრივ, ვინაიდან სამართალი ფორმალურ-იურიდიულ განმტკიცებას პოულობს კანონმდებლობაში, არ შეიძლება დავიყვანოთ იგი მხოლოდ ფორმალურ წყაროებამდე. სამართლებრივი რეგულირების დასაშვები ტიპი, რომლის პრინციპებიცაა: „შეიძლება ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული“ და „სამართალდარღვევად არ ჩაითვლება ქმედება, თუ ასეთად იგი კანონით არ არის აღიარებული“, ითვალისწინებს, რომ საკანონმდებლო რეგულირება სამართლებრივი რეგულირების მხოლოდ ნაწილია. მაშასადამე, სამართალი - თავის შინაარსზე უფრო მეტად მოცულობითი კატეგორიაა, ვიდრე კანონმდებლობა.

სამართლის სისტემის და კანონმდებლობის სწორი აპერცეფცია ხელს უწყობს სამართლებრივი პროცესის ეფექტურობის ამაღლებას და სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთქმედების სავალდებულო პირობას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული პრობლემა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დასახვეშია და გამოსაკვლევი, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩია გავაგრძელოს მასზე მუშაობა.

### ბამოზენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი 1995 წლის 24 აგვისტო. 2011 წლის 1 მაისის მდგომარეობით. ბათუმი. 2011 წელი.
2. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ 1996 წლის 29 ოქტომბერი #458- სს, (2011 წლის ნოემბრის მდგომარეობით,) მუხლი 4 და 5.
3. საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ 1997 წლის 17 ოქტომბერი, N 972 - სს, 2011 წლის მდგომარეობით.
4. ლობჟანიძე გ. 2009. სახელმწიფოსა და სამართლი ზოგადი თეორია. ქუთაისი. გვ. 308-331.
5. *Основы теории государства и права.* Учебник для ВУЗов. Санкт-Петербург. 2002. стр.93-96.

*Manana Mosulishvili  
Grigol Robakidze University*

### On the Issue of Correspondence between the Legal System and the Legislation System of Georgia

#### Summary

The legislation system is the official-juridical unity of legal sources that is used in the process of the legal regulation in this or that state. In Georgia, the normative-legal act is the main official-juridical source. That is why the legislation system of Georgia should be defined as follows: Legislation is the unity of normative-legal

acts spread within the territory under the state's jurisprudence which regulates the process of lawmaking and realization of legal norms. It is characterized by the following features:

**Publicity.** Publicity is the unity of those normative-legal acts that make the legislation system. The acts are enacted on behalf of each individual and are spread on citizens within the territory kept under the jurisprudence of Georgia.

**Objectivity.** Legislative acts are enacted to support and protect the major interests of society. The main emphasis goes on the following principles: "Equal justice to all", "Unawareness of law does not exempt an individual from liabilities for lawbreaking", etc.

**Formality.** The legislation system comprises the unity of appropriately formalized documents – legislative acts.

**Hierarchy.** The normative-legal acts that make legislation are placed according to the legal force. Each normative-legal act of the lower layer becomes legally empowered by the act of the upper layer. According to the hierarchy, the normative acts of Georgia are given in the law on "normative acts" [2, article 4].

**Direct contact with the state.** Legislative acts are enacted on behalf of the state and their realization is ensured by the state guarantees and sanctions. The legislative acts of Georgia are: constitution, constitutional law, organic law, law, time-limit of the Parliament of Georgia, the decree of the President of Georgia and the subordinate regulatory normative acts of Georgia [2, Article 5].

**Direct contact with time and space.** Unlike the legal system, legislation is not directly related to these two categories: time and space, but its system is formed within the certain time.

To clearly define the differentiating features of legal systems and legislation, it is necessary to compare them with each other. It will make obvious that the initial structural elements of the legislation system are normative-legal acts which comprise legal norms. According to the principles of subordination and coordination, structural elements of the legislation system have vertical and horizontal constitution.

The vertical of the legislation is based on the principles of subordination, hierarchy. While discussing horizontal legislation, current legislation, emergency legislation, general legislation and special legislation are distinguished.

The legal system corresponds to the philosophical category "content" and is the inner structure of law which matches with the character of public relations regulated by the legal system. The legislation category corresponds to the philosophical category "form" and is the official-juridical unity of legal sources.

Correct apperception of the legal system and the legislation system improves the effectiveness of the legal process and is mandatory in the process of interaction between the state and law.

***თეონა გიორგაძე  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი***

**ადამიანის უფლებათა ისტორიული ასპექტები**

თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკოსები, უურნალისტები თუ იურისტები ძალიან ხშირად საუბრობენ ადამიანის უფლებების შესახებ. სწორედ ამიტომ წარუშლელად აღიბეჭდა მათი დაცვის აუცილებლობა ჩვენს ცნობიერებაში.

მარტივად რომ ვთქვათ, აღნიშნული უფლებები ჩვენ გაგვაჩნია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ადამიანები ვართ, თუმცა, ამ მარტივ იდეას რთული პოლიტიკური და სოციალური შინაარსი აქვს.

ადამიანის უფლებების, მათი გენეზისის, სოციალური ფესვებისა და დანიშნულების ძიება ყოველთვის იყო და რჩება კაცობრიობის მნიშვნელოვან პრობლემად მისი ისტორიული განვითარების მანძილზე და დღესაც პოლიტიკური, სამართლებრივი თუ ფილოსოფიური კვლევის საგანია.

ადამიანის უფლებები რთული მოვლენაა, ალბათ ამიტომაც, სხვადასხვა ეპოქაში ისინი ხან პოლიტიკურ-სამართლებრივ, ხან ეთიკურ, ხანაც ფილოსოფიურ ჟინაარსს იძენდნენ იმისდა მიხედვით, თუ ვინ იმყოფებოდა ხელისუფლების სათავეში.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უგულვებელყოფა არის საფუძველი პოლიტიკური თუ სოციალური არასტაბილურობისა, ამიტომაც მათ დაცვას უმთავრესი როლი აკისრია ნებისმიერ საზოგადოებასა თუ ეპოქაში.

ადამიანის უფლებათა დაცვა სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საწინდარია.

ადამიანის უფლებები მოიცავს ყველა ასპექტს და საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხურს, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დისციპლინად, რაც საერთაშორისო სამართლის განვითარების შედეგია, მირითადი უფლებების გადაპეტა, იქნება ეს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურლი, მიგვითოთებს ზოგიერთ ამ უფლებათა მასშტაბზე, რომლებიც ეფუძნება რეგიონული და საერთაშორისო სისტემების კომბინირებას.

ადამიანის უფლებები მოიცავს კანონის უზენაესობის პრინციპის ელემენტებს, რაც არის აღიარება იმისა, რომ სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს ქვეყნის უმაღლესი ნორმების მიხედვით, მით უფრო, რომ სახელმწიფო და საერთაშორისო სამართალი დიდი ხანია შეთანხმდნენ ძალაუფლების აუცილებელ შეზღუდვებზე.

იდეა ადამიანის უფლებათა შესახებ ანტიკურ ეპოქაში ჩაისახა და თანასწორუფლებიანობის პრინციპს ეფუძნებოდა. მან განვითარების საქმაოდ ხანგრძლივი პერიოდი განვლო. ადამიანის უფლებათა საფუძვლის “ფორმალური თანასწორუფლებიანობის” ჩანასახი პირველყოფილ საზოგადოებაში გვხვდება “მონომონიების” სახით. ისინი ერთგვარად აყალიბებდნენ წარმოდგენებს ბოროტსა და კეთილზე და მათი მიზანი გვაროვნული წესწყობილების შენარჩუნება იყო. მათმა არსებობამ კაცობრიობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა.

ადამიანის უფლებათა წარმოშობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ადამიანის უფლებათა იდეას საფუძველი ჩაეყარა V-VIIს. ჩვ. წ. აღ-მდე. ათენსა და მოგვიანებით რომში VI ს. ჩვ.წ აღ-მდე, სოლონმა შეიმუშავა კონსტიტუცია, რომელიც დემოკრატიის ზოგიერთ ელემენტს შეიცავდა და ადგენდა სახელმწიფო ჩინოვნიკების პასუხისმგებაში მიცემის უფლებას. შემდგომში განვითარება ამ იდეამ ძველ რომში პპოვა, რასაც ხელი შეუწყო მოქალაქეობის პრინციპის შემოღებამ.

მე-13 საუკუნის დასაწყისში ევროპაში უკვე საუბრობდნენ ადამიანის ზოგიერთ უფლებაზე. მათზე მსჯელობდნენ ევროპულ ფილოსოფიურ სკოლებში. ადამიანის უფლებები იკვეთება ფილოსოფიურ მსჯელობებში, რომლებშიც ყურადღებაა გამახვილებული თავისუფლებასა და ზოგიერთ სხვა უფლებაზეც კი. ადამიანის უფლებების ცნება უკავშირდება კანონის უზენაესობის კონსტიტუციურ პრინციპს – აუცილებელ შეზღუდვებს სუვერენის ან პარლამენტის მიერ ძალაუფლების გამოყენებაზე, კანონის უზენაესობა კი ეფუძნება ბუნებითი სამართლის რელიგიური დოქტრინის თეორიას. აქედან გამომდინარე, ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ადრეულ რელიგიურ წყაროებში მოცემული საზოგადოების ქცევის წესები და მითითებები წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საფუძველს. რელიგიური დოგმები ადგენდნენ ქცევის ნორმებს, რომლებიც მეტწილად რელიგიური ხასიათის იყო. ზოგი მათგანი დღესაც მოქმედებს, რისი მაგალითიც ზოგიერთ ისლამურ სახელმწიფოში

გამოყენებული შარიათის სამართალია. რელიგიურ წყაროებში ძირითადად განსაზღვრული იყო ვალდებულებები, პოლიტიკური და რელიგიური ტრადიციები [3, 44-45].

საზოგადოების განვითარების ფორმაციათა ცვლასთან ერთად იცვლებოდა ადამიანის უფლებების ხასიათიც. მონათმფლობელურ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა გადანაწილება უთანასწოროდ ხდებოდა, ფეოდალიზმის დროს კი დაბქავებული ფენის უფლებათა მოცულობა გაიზარდა, ამ პერიოდში იზღუდებოდა მონარქის ძალაუფლებაც. მაგალითად ინგლისში, სადაც მონარქისთვის საზოგადოების გვაროვნული წრიდან კონტროლის დაწესების მცდელობა 1215 წელს, თავისუფლების დიდი ქარტის მიღებით დასრულდა. აღნიშნული დოკუმენტი სამეფო ჩინოვნიკთა თვითნებობისაგან დაცვის უფლებებს და მექანიზმებს შეიცავდა. ქარტის უმთავრესი ნორმა ის გახდათ, რომ დაუშვებლად გამოცხადდა თავისუფალი ადამიანის მიმართ სასჯელის გამოყენება სასამართლო განახენის გარეშე. 1628 წელს ინგლისში მიიღეს პეტიცია უფლებათა შესახებ, რომლითაც მონარქს უნდა დაეცვა ქვემდგომი სამეფო ადმინისტრაციის თვითნებობისაგან. ამ აქტის მიხედვით მონარქისთვის პეტიციით მიმართვის შემთხვევაში, ადამიანის დაპატიმრება, მონარქის მიერ პეტიციის განხილვამდე არაგანონიერად ჩაითვლებოდა [3, 44-45].

1679 წელს მიიღეს HABEAS CORPUS ACT. ამ აქტით პირველად გამოიყენეს პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიები.

ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა იდეის განვითარებაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ შეასრულა XVII-XVIII სს, რომელმაც აღნიშნულ უფლებათა ფართო სპექტრიდან წინ წამოსწია ადამიანთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი და დემოკრატიული პრინციპია უფლებათა მთელ სპექტრში.

ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ რეალური განცხადებები მე-17 საუკუნის ევროპაში გაკეთდა. ჯონ ლოკის ნაშრომში “მეორე მოხსენება სახელმწიფოს შესახებ”, რომელიც 1688 წელს გამოქვეყნდა, ყურადსალებია, რომ კაცობრიობის ისტორიის დასაწყის ეტაპზე ყველას თანაბარი უფლებები გააჩნდა, მაგრამ სახელმწიფოს გარეშე მათი დაცვა წარმოუდგენელი იყო, ამიტომაც ადამინებმა შექმნეს საზოგადოება, ამ უკანასკნელმა კი სახელმწიფო – სწორედ იმისათვის, რათა დაეცვათ ადამიანის უფლებები.

ლოკის მოსაზრებით, ადამიანები სწორედ მაშინ უნდა დაემორჩილონ სახელმწიფოს, როდესაც ის მათ უფლებებს იცავს, რადგანაც ადამიანის უფლება უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე თავად სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფო ლეგიტიმურია მანამ, სანამ იგი სისტემატურად უზრუნველყოფს ამ უფლებათა დაცვას.

ლოკის თეორია თავდაპირველად საზოგადოების ყველა კლასზე არ იყო გათვლილი, იგი მხოლოდ იმ ფენას შეეხებოდა, რომელსაც უძრავი საკუთრება გააჩნდა, თუმცა იდეა თავისთვალი ისეთი მიმზიდველი იყო რომ, მოხდა აღნიშნული უფლებების გაფართოება მოჰყვა და მათი დაცვისათვის ბრძოლა მთელ ევროპას მოედო. ეს ბრძოლა ევროპის ქვეყნებში პირველ მსოფლიო ომამდე მიმდინარეობდა, შტატებში კი უფრო ხანგრძლივადაც და ის თანამედროვე სამყაროში დღემდე გრძელდება.

”კაცობრიობა ერთი დიდი ოჯახია და ბარბაროსებს აქ ადგილი არ აქვთ“ – გადაწყვიტა გეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს და მიიღო ადამიანის უფლებათა

საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც უვროსაბჭოს მონაწილე ქვეყნების მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის გარანტია. აღნიშნულ უფლებათა დაცვის გამო შექმნილია მთელი რიგი მაკონტროლებელი ორგანოები როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა კომისია, ადამიანის უფლებათა ცენტრი და უვროპული სასამართლო, რომლებიც განიხილავენ ადამიანის უფლებათა დარღვევებს სახელმწიფოებრივ დონეზე.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაციის მიღების დროიდან დღემდე მიმდინარეობს მისი კოდიფიცირების პროცესი როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალურ დონეზე, რათა მოხდეს ადამიანის უფლებების წინა პლანზე წამოწევა და სრულყოფილი რეალიზაცია. აღნიშნული პროცესის ნახევარსაუკუნოვანმა გამოცდილებამ და კაცობრიობის ამ მიმართულებით სწრაფვამ დაადასტურა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, ისე საზოგადოების სოციალურ-ეკომომიკური განვითარება.

ყოველ ადამიანს გააჩნია სიკეთე, მატერიალური თუ არამატერიალური, სწორედ ამ სიკეთეთა ერთობლიობას შეიძლება ვუწოდოთ ადამიანის უფლებები.

ადამიანის უფლებათაგან, მეტად საინტერესოა პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც ქმნიან კომპლექსურ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა დარგის სამართლის ნორმები. ამ უფლებათა, ისევე როგორც, ადამიანის სხვა უფლებათა სამართლებრივი რეგულირების საფუძველს კონსტიტუცია წარმოადგენს, იმდენად რამდენადაც, სწორედ მასშია თავმოყრილი ადამიანის პირადი უფლებები და დადგენილია სამართლებრივი გარანტიები მათი რეალური განხორციელებისათვის.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი მთლიანად ეთმობა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. რაც მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო სამართლებრივი სახელმწიფო, ადამინის უფლებების და თავისუფლების როგორც უზენაესი ლირებულების კონსტიტუციით აღიარება წარნოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ მახასიათებელს, ვინაიდან იგი ერთადერთი და უმაღლესი ლირებულებაა სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ ღირებულებებს შორის.

ადამინის უფლებები – არის განსაზღვრულ ნორმატიულ სტრუქტურაში მოქცეული თვისებები და მახასიათებლები, რომლებიც გამოხატავენ პიროვნების თავისუფლებას და წარმოაგენენ ადამინის ცხოვრების, მისი საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან და სხვა ინდივიდებთან ურთიერთობის შესაძლებლობებს.

ადამინის უფლებები ინდივიდს აძლევს საშუალებას მართოს სახლმწიფო ან იურს მასთან დისტანციურ დამოკიდებულებაში, სარგებლობდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობით, აირჩიოს პროფესია, განსაზღვროს რელიგიასთან დამოკიდებულება. იქ სადაც სახელმწიფო შთანთქავს სამოქალაქო საზოგადოებას, ადამინის უფლებები ან არ არსებობენ, ან ატარებენ დეკლარატიულ ხასიათს.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის უფლებას სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, პატივსა და დირსებაზე, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლებაზე, პირად და საკუთრების ხელშეუხებლობაზე, აგრეთვე სხვა პირად არაქონებრივ უფლებებზე [6, 8-10].

არაქონებრივი უფლებები ხასითდებიან პიროვნებასთან უშუალო კაგშირით, ისინი წარმოიშობიან დაბადებით, ან კანონის ძალით. მაგალითად თუ ადამიანის სიცოცხლე, უფლება, რომელიც არაქონებრივ უფლებათაგან ერთ-ერთი უმთავრესია, დაბადებით წარმოიშობა, ადგილსამყოფელის არჩევის უფლების წარმოშობა კანონთანაა დაკავშირებული.

პირადი არაქონებრივი უფლებების სამართლებრივი რეგულირება უმთავრესად სამოქალაქო სამართლის ნორმების მიხედვით ხორციელდება სწორედ ამ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე პირადი არაქონებრივი უფლებები წარმოიშობა სულიერი ღირებულებების საფუძველზე, ესენია: პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, იურიდიული პირის სახელწოდება – რომელსაც თავის მხრივ არამატერიალური უფლებები დაფუძნებით წარმოეშობა, სახელის უფლება, ავტორობის უფლება და სხვა.

არაქონებრივი უფლებები განუყრელადაა დაკავშირებული პიროვნებასთან, ამ უფლებების საშუალებით ვლინდება ადამიანის თუ ორგანიზაციის ინდივიდუალურობა, ზნეობრივი და სხვა სოციალური ღირებულებები.

ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები თითოეულ ჩვენგანს გააჩნია, თუმცა ბევრმა მათი შინაარსი არ იცის. ეს, სამწუხაროდ, საზოგადოების ამ ნაწილის სამართლებრივი კულტურის დაბალ დონეზე მეტყველებს, აღნიშნული უფლებები ხშირად ირღვევა ყველა ეპოქაში და სახელმწიფოში, მათ შორის, საქართველოშიც, ეს რომ არ მოხდეს, აღბათ, კაცობრიობამ მსოფლმხედველობა უნდა შეიცვალოს, რაც მნელი წარმოსადგენია. ამიტომაც, ერთადერთი გამოსავალი ადამიანთა სამართლებრივი თვითშეგნების გაზრდაა. თითოეული ჩვენგანი თავად უნდა შეეცადოს ამ უფლებათა დაცვას, მითუმეტეს, რომ ამის მექანიზმები დღევანდელ რეალობაში არსებობს, თუმცა ეს მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს ყველასთვის და მის შესასრულებლად კომპლექსური ზომების მიღებაა საჭირო.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქვარელიძე ფ. 1999. ადამიანის უფლებათა ღერძისკონტროლი. თბილისი.
2. ჩერქეზიშვილი ნ., კვაჭაძე მ. 2005. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი. თბილისი.
3. რონა კ.მ. სმიტი 2005. ადამიანის საერთაშორისო უფლებები, მეორე გამოცემა. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, საკანონმდებლო აქტების კრებული. 2005. თბილისი: ბონა კაუზა.
5. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტები. 2003. თბილისი.
6. საქართველოს კონსტიტუცია. 2007. თბილისი: რაიზი.

*Theona Giorgadze  
Grigol Robakidze University*

#### Historical Aspects of Human Rights

We often hear “Human rights” in the modern world from the side of politicians, journalists, lawyers. That is why it occupies a great place in our consciousness. Easily to say, we have rights for that simple reason that we are humans, though this simple idea has difficult political and social content.

Human right - its genesis, social roots and assignment was and is a particular problem during the period of development of the history of humanity. They passed hundred of years and are still in the center of attention of political, legal, religion, philosophic approaches.

Human right is a difficult appearance, probably, that is why in different epochs sometimes they acquired political and legal, and sometimes ethical, philosophic content, and depended on the government.

Ignorance of human rights and freedom is the basis of political and social instability; that is why their protection has a great role in any society or epoch. Protection of human rights is a sign of justice and general peace.

The idea on human rights was conceived in ancient age and based upon the idea of equality. It passed sufficiently long period of development; we meet the rudiments of human rights basis “Formal Equality” as “Monomonies”. They homogenously formed imaginations on evil and kindness and their aim was to preserve family habits. Their existence played a great role in the development of humanity.

The idea of human rights was founded until V-VI centuries B.C. In Athens and later in Rome until VI century B.C. Archon Solon elaborated the constitution which consisted of several elements of democracy and restored rights of bringing to account of officials. Later the idea was developed in ancient Rome which was supported by establishment of the citizenship principle.

Every step of the development of the society changed the character of human rights. In slave-holding society the distribution of human rights was unequal, but in feudalism epoch the volume of rights was increased; in this period was made even an attempt of limitation of monarchy power. For example, in 1215 in England the attempt of establishment of control of monarch from the tribe circle was finished by adopting of great freedom charter. The document consisted of the rights and mechanisms for saving from willfulness of royal officials. The main standard of the charter was to declare administration of punishment to an independent person unpermitted without a verdict. In 1628, in England was adopted a petition of rights by which the monarch should defend a subordinate from wilfullness of the royal administration. According to the act, imprisonment of an individual without discussion of petition by monarch would be considered as illegal.

In 1679 HABEAS CORPUS was adopted. According to the act, inviolability guarantee of an individual was administrated for the fist time.

The bourgeois-democratic revolution of XVII-XVIII cc. played the most important role in the development of the idea of human rights and freedom. It put the principle of equality in the forefront from broad spectrum of human rights, which is one of the main and democratic principles within the whole spectrum of rights.

The real statements on human rights were made in Europe in XVII century. It is significant that in the work of John Lock “Second report on state”, which was published in 1688, everybody had equal rights at the first stage of the history of humanity, but their defending without state was unimaginable. That is why people made society, and the latter made a state in order to protect human rights.

According to Lock's consideration, people should subordinate to the state when it defends their rights as the human right was made earlier than the state itself. The state is legitimate until it maintains defending of human rights systematically.

At first, Lock's theory was not considered for all stratum of society; it touched upon only to that stratum which owned real estate, though the idea was so attractive that these rights were increased and the struggle for protecting rights was spread in whole Europe. This struggle lasted in the countries of Europe until the World War I, in the states it lasted longer. Fighting for similar rights is going even in the modern world.

The humanity always dreamed to put an end to wars which bring only destruction and death. That is why in the World War II, the countries of anti-Hitler coalition (USSR, USA, England, etc.) planned to establish international organization which would interrupt these occurrences to a certain extent. On October 24, 1945, an organization UNO was founded. Inevitability of creation this organization was caused by problems of human rights after the World War II which became international. Gradually, constitutional law was influenced by international standards. Nowadays, the rights of resident of any country are under the observation of world organizations. Many international documents are received; for example, from UNO which entrusts member states with the providing of documents without any kind of discrimination.

The first human rights and freedom declaration was adopted on December 10, 1948 by the United Nations Organization. It is the guarantee of human rights defence of the citizens of member countries of the European Council. Due to efficient defence of the rights controlling authorities were created such as, Human Rights Committee, Human Rights Center, European Court that discuss violations of human rights at the state level.

Human rights are integral with social activity; with its content human rights normatively form those conditions and means which are objective inevitability for normal functioning of society and state.

Each individual has specific property, material or nonmaterial, just volume of properties may be conditionally called Human rights.

Human rights and freedoms purposely have an influence upon the balance of relations between citizens and state.

The rights themselves are of different disposition: civil (personal), political, cultural and social-economic.

Civil Rights define freedom of personal life of a human, its legal defence from illegality. As it is known, civil rights consist of right of ownership, right of dignity, respect and business reputation, family right, right of inviolability, etc.

With political rights a human has consolidated right of freedom of speech, spreading and obtaining of information, right of participation in peaceful manifestations.

With cultural rights humans provide participation in art, scientific and technical achievements.

Social and Economic rights provide valuable existence of a human in modern society.

Each of us acquire the rights listed above, though, many people do not know their meaning. Unfortunately, it speaks on law level of legal culture of the society. The rights are often violated in all epoch and state, including Georgia. In order to avoid this fact, humanity should change ideology, though this change is unimaginable. That is why the only way is to increase legal self-consciousness of humans. Each of us should

try to defend rights; especially mechanisms of this exist in today's reality, though it is a very difficult problem for everybody and requires taking complex measures.

*კერძო სამართალი*

---

---

# *Civil Law*

**დაგით ძამუკაშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

## **საქართველოში დასაქმებულთა მიერ შემმნილ გამობონებასა და დიზაინზე უფლებათა მფლობელობის შესახებ**

წინამდებარე სტატიაში გაშუქებული პრობლემების საზოგადოების წინაშე წარმოჩენა გადაგვაწყვეტინა 2010 წელს საქართველოს საპატენტო, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონებში ცვლილებების შეტანამ, რომლებმაც, ჩვენი აზრით, შეღაეს დასაქმებულთა უფლებები, დაეუფლონ საკუთარი ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად შექმნილ ნაწარმოებებს, გამოგონებებსა და დიზაინებს. ეველაზე მეტად ამ ცვლილებებმა ტექნიკოლოგიების სფეროში მოდგაწე შემოქმედთა და დიზაინერთა უფლებებზე იმოქმედა და იმდენად, რომ ადარ არის გარანტირებული მათი ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალობის კონსტიტუციური მოთხოვნა. ვგულისხმობთ საქართველოს კონსტიტუციის

23-ე მუხლს, რომლის თანახმადაც: “ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია, ინტელექტუალური საკუთრება ხელშეუვალია”.

ცვლილებების შედეგად ამოქმედებული ნორმები წინა პლანზე მეტარმეთა ინტერესებს წამოსწევს და არა შემოქმედისა. წინამდებარე სტატიის მიზანია საზოგადოებისათვის შექმნილი ვითარების სამართლებრივი ანალიზის შეთავაზება, რათა საკანონმდებლო ინიციატივის მქონე პირთა უურადდებაც გამახვილდეს აღნიშნული ცვლილებების თანმხლები ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობაზე.

საპატენტო კანონმა განიცადა ძირეული ცვლილება. ერთი მხრივ, აღნიშნული კანონიდან ამოღებულ იქნა “სამრეწველო ნიმუშის” ცნება და ამ უკანასკნელის დასაცავად შემოიღეს ახალი კანონი “დიზაინის შესახებ”<sup>13</sup>. მეორე მხრივ, მას დაემატა ახალი ნორმები, რომლებმაც საქართველოს საპატენტო სამართალში დღემდე აუსახავი ინსტიტუტები შემოიტანა. ზოგადად, ასეთი ცვლილება დადგებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ სხვა კუთხით ის სერიოზულ კრიტიკას იმსახურებას. კუთმობოთ რა ძირითად უურადდებას შემოქმედ ავტორთა, გამომგონებელთა და დიზაინერთა უფლებებს, დასახული მიზნის წარმოჩენას დავიწყებთ საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, საპატენტო და დიზაინის შესახებ საქართველოს კანონების ნორმების ანალიზით.

**საავტორო და მომიჯნავე უფლებების მომწესრიგებელი ნორმები** საქართველოში შემოღებულია 1997 წელს. სამოქალაქო კოდექსში მათვის სპეციალურად იქნა გამოყოფილი IV წიგნი – “ინტელექტუალური საკუთრების სამართალი”, რომელშიც საავტორო სამართალი 1017 – 1099 მუხლებით სრულად იქნა წარმოდგენილი. ორი წლის შემდეგ იგი სამოქალაქო კოდექსს გამოეყო და სანაცვლოდ ძალაში შევიდა 1999 წლის კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რომელიც 2005 და 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით მოქმედებს ამჟამადაც.

1997 წელს დასაქმებულთა მიერ საავტორო უფლებების ფლობას ეხებოდა 1042-ე მუხლი. ეს ნორმა ნაშრომებში ჩვენ ადრე უკვე გავაკრიტიკეთ, რადგან იგი ინტელექტუალური საკუთრების მოღებელური კანონის კვალობაზე იყო შედგენილი, ხოლო პირველი და მეორე პუნქტები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, რადგან სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახის პრინციპებს ეყრდნობოდა [11, 31-32].

1999 წელს კანონმა მე-16 მუხლით არსობრივად გაიმეორა სამოქალაქო სამართლისეული ნორმა, რაც ასევე ჩვენი კრიტიკის საგანს შეადგენდა [1]. 2005 წელს სხვებთან ერთად შეიცვალა აღნიშნული ნორმაც, მუხლი ჩამოყალიბდა გაცილებით უკეთესი და სავსებით მისაღები რედაქციით, თუმცა ხარვეზები მაინც დარჩა [2, 81]. 2010 წელს მუხლი კვლავ შეიცვალა ისე, რომ პირველ პუნქტში არსობრივი ცვლილება არ მომხდარა; მუხლს მოაცილეს მე-2 – მე-5 პუნქტები, რამაც ის მკვეთრად გააუსარესა. ამ მუხლების ამოღებით ავტორებს გაუქრა შესაძლებლობა უკან დაიბრუნონ დამსაქმებელზე კანონისმიერი ცესით გადასული საავტორო უფლებები. მათი დაბრუნების შესაძლებლობა ავტორებს ჰქონდათ ორ შემთხვევაში: 5 წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ შემთხვევაში; 3 წლის გასვლის შემდეგ, თუ დამსაქმებელი ამ დროის განმავლობაში არ გამოიყენებდა ნაწარმოებს. ეს ნორმები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იყო და მათი ამოღება არაფრით გახლდათ დასაბუთებული. ამასთან, აღნიშნული ცვლილებებით საქართველოს საავტორო სამართალი ერთგვარად ევროპის საავტორო სამართალსაც დაშორდა.

<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ დიზაინერთა შემოქმედების ნაყოფის აღმნიშვნელი ადრინდელი ცნება “სამრეწველო ნიმუში” შეიცვალა “დიზაინით”, რაც, ვფიქრობთ გამართლებულია, რადგან უფრო ფართოდ და ზუსტად გამოხატავს დასაცავი ობიექტის არსს.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის ცვლილებები შეეხო საქართველოს საავტორო სამართლის კიდევ ერთ შემოქმედ სუბიექტს – შემსრულებელს, შეიცვალა 47-ე მუხლის მე-7 პუნქტი. ეს ცვლილება მხოლოდ რედაქციული ხასიათის იყო.

იმის გათვალისწინებით, რომ ავტორთა უფლებების დაუფლების განმსაზღვრელი მე-16 მუხლის პირველი პუნქტი და 47-ე მუხლის მე-7 პუნქტი 2010 წელს არსობრივად არ შეცვლილა, შეავიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საავტორო სამართლი კვლავ ეფუძნება შემოქმედის მიერ დასაბამიდან უფლებების დაუფლების საყოველთაოდ აღიარებულ წესს. ამიტომ 2010 წელს შეტანილი ცვლილების მიუხედავად, მფლობელობის საკითხი დამახინჯების გარეშეა გადაწყვეტილი.

როგორც ვხედავთ, განხილულული კუთხით საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით ხწორადაა დაბალანსებული დამსაქმებელთა და დასაქმებულთა მიერ უფლებების ფლობის საკითხი. ოუმცა, იგი გამოსწორებას მაინც მოითხოვს – მას უნდა დაუბრუნდეს მე-16 მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტები.

**განსახილველი კუთხით საპატენტო კანონის ცვლილებასა და დიზაინის ახალი კანონის მიმართ სულ სხვაგვარად გვაქვს საქმე.**

როგორც აღვნიშნეთ, **საპატენტო კანონი კონცეფტუალურად გადამუშავდა და ძირულად შეცვალა.** ნორმების ცვლილების გარდა, საპატენტო კანონში ახალი, მათ შორის, ინსტიტუციონალური ნორმები შევიდა, კერძოდ, პატენტის დაგირავების, სამედიცინო პროდუქტის პატენტის მოქმედების ვადის გახანგრძლივების, საგამომგონებლო ღონის ex-oficio შეფასების, სასარგებლო მოდელის განმსაზღვრელი და ახალი კრიტერიუმის დამდგენი, აგრეთვე, სხვა ახალი, ძირითადად პროცედურულ ნორმები. გარდა აღნიშნულისა, საპატენტო კანონს მოაკლდა და საერთოდ გაუქმდა შემოტანილი პატენტის ინსტიტუტი.

კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ამგვარი ცვლილებები დადებითი ხასიათისაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2010 წლის მდგომარეობით საქართველოს სამრეწველო საკუთრების სამართლი დაუბრუნდა 1992 წელს გამოგონებისა და სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულებების ამოქმედებით შექმნილ ვითარებას, როდესაც ტექნოლოგიური შემოქმედების შედეგი (გამოგონება; სასარგებლო მოდელი) საპატენტო კანონს იყო მიკუთვნებული, ხოლო მხატვრულ-ტექნოლოგიური შემოქმედებისა (სამრეწველო ნიმუში, ანუ დიზაინი) ცალკე აქტის განმგებლობას. შედეგად ეროვნული საპატენტო კანონი და დიზაინის შესახებ კანონი ერთგვაროვან თეორიულ საწყისებს დაეფუძნა და სისტემურად ევროპის სამართლს მნიშვნელოვნად დაუახლოვდა.

საპატენტო კანონის ცვლილებასთან დაკავშირებული მოკლე ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ყურადღებას კვლავ დასაქმებულთა შემოქმედების შედეგზე მფლობელობის საკითხზე გადავიტანთ.

პრობლემას გამოგონების შესახებ 1992 წლის დებულებისა და 1999 წლის საპატენტო კანონის შესაბამისი ნორმების განხილვით გავაშუქებოთ 2010 წლის ცვლილების შემდეგ ამოქმედებულ საპატენტო კანონის ნორმასთან შედარების ფონზე. სამრეწველო ნიმუშების შესახებ დებულებასა და დიზაინის შესახებ კანონის ნორმები საპატენტო აქტების ნორმების გამეორებაა, რის გამოც ცალკე განხილვას არ მოითხოვს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 მარტის №302 დადგენილებით დამტკიცებული გამოგონების შესახებ დებულების მე-19 მუხლი გამოგონების პატენტის მფლობელად გამომგონებელს მიიჩნევდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოგონება სამსახურებრივი დავალების შესრულებას უკავშირდებოდა. ამ შემთხვევაში დამსაქმებელს პრიორიტეტის თარიღიდანვე ეძღვოდა შესაძლებლობა გამოყენებინა გამო-

გონება მარტივი ლიცენზიის საფუძველზე, ხოლო, თუ გამოგონებელი პატენტის გასხვისებას დააპირებდა მას უპირატესი შესყიდვის უფლება ემდეოდა. ორგორც ვხედავთ, პატენტის ფლობის უპირატესობა ნამდვილ შემოქმედს – გამომგონებელს პქონდა. მაგრამ არც დამსაქმებლის ინტერესი იყო უგულვებელყოფილი, იგი ხდებოდა პატენტის მფლობელი მაშინ, როდესაც დასაქმებული იყო დაკავებული უშუალოდ საგამომგონებლო საქმიანობით [10, 60]. ასეთი შემთხვევისათვის ნორმა ითვალისწინებდა გამომგონებლის უფლებას მიეღო იმ წლილის ფარდი გასამრჯელო, რაც გამოგონებას შექონდა დამსაქმებლის შემოსავალში. თავად გასამრჯელოს ოდენობა უნდა დადგენილიყო ამ ორ სუბიექტს შორის შეთანხმებით.

განხილული ნორმის მთავარი ნაკლი იყო იმის გარკვევის აუცილებლობა, თუ რა სამსახურებრივი ფუნქციებით დატვირთული დასაქმებული უნდა მიჩნეულიყო “უშუალოდ საგამომგონებლო საქმიანობის შესასრულებლად დაქირავებულად”. გარდა ამისა, არ იყო ცალსახა, კრცელდებოდა თუ არა ნორმა დაკვეთის შედეგად წარმოქმნილ ურთიერთობებზე, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როცა დამკვეთად სახელმწიფო გამოდიოდა.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა მიერ გამოგონების შექმნის შემთხვევაში პატენტის მფლობელობის საკითხი მეცნიერული შესწავლის საგანი იყო საქართველოში და 1999 წლისათვის უკვე ჩამოყალიბდა დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, თუ რა სახე უნდა ჰქონოდა ნორმას, რომელიც დამსაქმებლისა და გამომგონებლის ინტერესებს გაითვალისწინებდა და შესაბამისი იქნებოდა საერთაშორისოდ მიღებული წესისა.

პრობლემის შესწავლას სათავეში გამოჩენილი ქართველი ცივილისტი სერგო ჯორბენაძე ჩაუდგა და 1995 წელს მისი ხელმძღვანელობით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტში ცნობილი ქართველი პროფესორის ბესარიონ ზოიძისა და პროფესორის მარიკა ცისკაძის ოპონირებით შედგა დისერტაციის დაცვა თემაზე: “სამსახურებრივი გამოგონების დაცვა საპატენტო კანონმდებლობით” [9]. დისერტაციაზე მუშაობისას გამოქვეყნდა ორი სტატია, რომლებიც უშუალოდ პატენტის მფლობელი სუბიექტის გამოკვლევას ისახავდა მიზნად [3]. საკითხის შესწავლა გაგრძელდა შემდგა წლებშიც, რაც აისახა რამდენიმე ახალ პუბლიკაციაში, მათ შორის, უცხო ენებზე [16]; [8]; [17]. გარდა სტატიებისა, საკითხი განხილული იყო საპატენტო სამართლის ამსახველ წიგნებში [5]. როგორც ვხედავთ, პრობლემის შესწავლას საქართველოში საკმაოდ დიდი დრო დაეთმო და 1999 წლისთვის საქართველოს საპატენტო კანონის მიღებისათვის პრობლემის გადაჭრის ნორმატიული გზები მეცნიერულად დამუშავებული იყო. შედეგად, საპატენტო კანონში დასაქმებულის მიერ შექმნილი გამოგონების მფლობელობის საკითხი თანამედროვე თეორიული მიმართულებებისა და საფუძვლების გათვალისწინებით გადაწყდა. 1999 წლის კანონის მე-20 მუხლის ტექსტი შემდეგი იყო:

“1. მუშაკის მიერ შექმნილ გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა ან სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან სპეციალური დავალების შესრულებასთან და რომელიც ითვალისწინებს საგამომგონებლო საქმიანობას, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის სამუშაოს მიმცემს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ პატენტი სამუშაოს მიმცემს ეკუთვნის, მაშინ მუშაკს უფლება აქვს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სამუშაოს მიმცემისაგან მიიღოს გამოგონების გამოყენების ფარდი გასამრჯელო.

2. თუ გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის შექმნა დაკავშირებული არ არის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან სპეციალური დავალების შესრულებასთან, პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის მუშაკს. ამ შემთხვევაში სამუშაოს მიმცემს განაცხდის შეტანის დღიდან ეკუთვნის ლიცენზიისა და პატენტის შესყიდვის უპირატესი უფლება”.

ამ მუხლის მე-3 პუნქტი სახელმწიფო დაბგეთას ეხება და ახალი წესი არ შემოაქვს.

მუხლის გააზრებისას ნებისმიერი მკვლევარი შენიშნავს, რომ პრინციპი “შემოქმედს ეკუთვნის უპირატესობა” ურდვევია, რასაც ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელის განსაზღვრისას მყარად მისდევს თანამედროვე ხანაში ნებისმიერი სამართლებრივი ოჯახის მიმდევარი ქვეყანა.

მართალია, დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს პრობლემის შესწავლასთან დაკავშირებულ ზემოთ მითითებულ ქართულ ლიტერატურას, მაგრამ, თვალსაჩინოებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივ კითარებას მოკლედ მაინც გავაშუქებთ. შემოვიფარგლებით ამერიკელი მკვლევარისა და პრაქტიკონის პიტერ როზენბერგის მიერ გამოთქმული მოსაზრებების წარმოდგენით ცნობილი ნაშრომიდან, რომელშიც აშშ საპატენტო სამართლის საფუძვლებია გადმოცემული. ნაშრომის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ პატენტის ფლობის საკითხს წყვეტენ ამერიკის შტატების სასამართლოები, მათი გადაწყვეტილებები გამოირჩევა გასაოცარი ერთგვაროვანებით და ემორჩილება გარკვეულ წესებს, კერძოდ: “1) თუ დამქირავებულსა და მის მუშაკს შორის არსებობს შეთანხმება შექმნილ გამოგონებებთან დაკავშირებით, მაშინ ამ გამოგონებაზე საკუთრების უფლების მფლობელობა განისაზღვრება ამ შეთანხმებით.

დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს საკუთრების უფლების ფლობა გამოგონებაზე, რომელიც მისმა თანამშრომელმა შექმნა, თუ შრომის ხელშეკრულებაში:

- ა) პირდაპირი მითითება არსებობს მუშაკის მიერ შექმნილი გამოგონების დამქირავებლისათვის გადაცემაზე,
- ბ) არსებობს დათქმა, რომ მუშაკი იყო დაქირავებული კონკრეტული გამოგონების შექმნისათვის ან კონკრეტული პრობლემის (იგულისხმება ტექნილოგიური საგამოგონებლო პრობლემა)<sup>14</sup> გადაჭრაზე მუშაობისათვის.”

2. მუშაკის მიერ შექმნილი გამოგონებების კუთვნილებასთან დაკავშირებული შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში დამქირავებელსა და მუშაკს შორის, ისინი მუშაკის საკუთრებად ითვლება. ამასთან, დამქირავებელს აქვს მარტივი ლიცენზიის მიღების უფლება ისეთ გამოგონებაზე, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია აწარმოოს და გამოიყენოს დაპატენტებული ობიექტი, თუ მან გარკვეული წვლილი შეიიჩნა გამოგონების შექმნაში. ასეთ წვლილად ითვლება მუშაკის მიერ გამოგონების შექმნა სამუშაო დროის განმავლობაში და (ან) დამქირავებლის დანადგარებისა და მასალების გამოყენება. მითითებული მარტივი ლიცენზია დამქირავებლის “საამქროს უფლებადაა” ცნობილი.

უნდა ითქვას, რომ ციტირებული წესები პრეცენდენტების მიხედვით დამკვიდრდა. გამოგონებლის სასარგებლოდ წყდება ყველა დაგა, სადაც კი პირდაპირ არ ირკვევა დამქირავებლის წვლილი ან სახელშეკრულები ვალდებულება გამოგონების მისოვეს გადაცემის თაობაზე. ამ მიმართებით როზენბერგი ასკვნის: “სასამართლოები უხალისოდ უჭერენ მხარს დამქირავებლისა და გამოგონებლის შეთანხმების ვარაუდს გამოგონების გადაცემასთან დაკავშირებით...” შემდეგ აგრძელებს: “თუ ხელშეკრულება არ შეიცავს მუშაკის მიერ შექმნილი გამოგონების გადაცემის შესახებ პირდაპირ მითითებას, მაშინ დამქირავებელი იქნება უფლებამოსილი დაისაკუთროს აღნიშნული გამოგონება, თუ დაამტკიცებს, რომ მუშაკი ამ გამოგონების შესაქმნელად იყო მიღებული სამსახურში, ან, სხვა სიტყვებით, დამქირავებელი ვალდებულია აჩვენოს, რომ გამოგონება მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობებისაგან განუყრელია” [15, 218-220].

<sup>14</sup> შენიშვნა ამ სტატიის ავტორისაა

იგივე აზრია გატარებული სხვა ამერიკელი მეცნიერების უფრო გვიანდელ ნაშრომებშიც [13, 250-251], ანუ საკითხი გარკვეულია იმ მიმართულებით, რაც წემო წარმოვადგინეთ და ეს ვითარება არამარტო ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაა დამახასიათებული, არამედ მსოფლიოს სხვა დანარჩენი ქვეყნებისთვისაც განურჩევლად იმისა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები არიან ისინი თუ ეკონომიკურად ჩამორჩენილები. აქაც, თუ გამომგონებელსა და დამსაქმებელს შორის ხელშეკრულება გამოგონების კუთვნილების თაობაზე არ დადებულა, უპირატესობა გამომგონებელს, ანუ შექმნელს ენიჭება. დამსაქმებელს მხოლოდ მაშინ ეძღვავა გამოგონების დასაკუთრების უფლება, როდესაც უპირობოდ მტკიცდება რომ დასაქმებულს საგამოგონებლო მისია ჰქონდა დაკისრებული. ამასთან, თუ შრომის ან სხვა ხელშეკრულება არსებობს, რომელიც გამოგონებაზე უფლებების გადაცემას ითვალისწინებს, მაშინ გამოგონების მესაკუთრე სუბიექტი ხელშეკრულების პირობებით განისაზღვრება.

ძირითადი ყურადღება ამერიკის სამართალზე იმიტომ შევაჩერეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მას ყველაზე მეტი პატივით ეცემობიან და იქნებ წინამდებარე სტატიაში წარმოჩენილმა აზრმა იმის შესახებ, რომ დასაქმებულთა მიერ შექმნილი გამოგონების მფლობელობასთან დაკავშირებული ნორმა აუცილებლად მოითხოვს შეცვლას, მეტი დამაჯერებლობა შეიძინოს, ვინაიდან არსებული რედაქციით ეს ნორმა ეწინააღმდეგება საყვალითაოდ აღიარებულ პრინციპებს.

მიგმართოთ უშუალოდ საქართველოს საპატენტო კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტს, რომელიც ადგენს: “თუ გამოგონების შექმნა არ უკავშირდება დასაქმებულის ან/და შეკვეთის მიმდების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას, მაგრამ დასაქმებულმა/შეკვეთის მიმდებმა გამოგონების შესაქმნელად გამოიყენა დამსაქმებლის/შექმენების მფლობელობაში არსებული რესურსი, პატენტის მიღების უფლება აქვს დამსაქმებელს/შექმენების...”. როგორც ვხედავთ, დამსაქმებელს ყოველთვის, ანუ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამოგონების შექმნა არ უკავშირდება სამსახურებრივ მოვალეობას, შეეძლება დაისაკუთროს თავისი მუშაკის გამოგონება და სამისოდ საქმარისი იქნება დაამტკიცოს, რომ მის მფლობელობაში არსებული კალმისტარი, ქაღალდი, კომპიუტერი ან სხვა სახის “რესურსი” გამოყენებული იყო გამოგონების შექმნის დროს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკავშირებს პატენტის მფლობელის განსაზღვრას მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი. ერთი შეხედვით, პრობლემის გადაწყვეტის სწორი გეზია აღგებული, მაგრამ ზემოთ მოტანილ თეორიულ საფუძვლებს ის სრულად მაინც არ ითვალისწინებს. კერძოდ, არ არის მოცემული მექანიზმი, როგორ უნდა გაირკვეს, უკავშირდება თუ არა გამოგონების შექმნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. შედეგად, შეიძლება მცდარმა შეხედულებებმა იჩინოს თავი და დავაც უკულმართად გადაწყდეს. მაგალითად, როგორ გადაწყდება პატენტის კუთვნილებასთან დაკავშირებული დავა, თუ მუშაკი მდოლია და მან გამოგონება სამსახურში ყოფის დროს შექმნა მაშინ, როდესაც ხელმძღვანელის განკარგულებას ელოდებოდა, ან, თუ ის ეკონომისტია და დამსაქმებლის საქმიანობის თემატიკის ჩარჩოებში შექმნა გამოგონება სამსახურიდან თავისუფალ დროს, ან, თუ ის ინჟინერია, მაგრამ სრულიად სხვა თემატიკასთან დაკავშირებული გამოგონება შექმნა ამავე ვითარებში?

ვვიქრობთ, ვითარება რომ გამოსწორდეს, სუდ მცირე, დღეისათვის მოქმედი ნორმა დამატებით უნდა დაიტვირთოს იმ აზრით, რომ გამოგონების შექმნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკავშირდება მაშინ, როდესაც ცხადად ირკვევა, რომ ამ მოვალეობის შესრულების შედეგად დამსაქმებელი მოედის გამოგონების შექმნას და, რომ დასაქმებული გამოგონებას ქმნის იმ თემატიკის ჩარჩოებში, რომელსაც ის ამჟავებს.

ასეთივე ვითარებაა დიზაინის შესახებ კანონთან დაკავშირებით.

ეოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია 2010 წლის ცვლილებების შედეგად შექმნილი სამართლებრივი კითარება გამოსწორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების სამართლი გრ დააგმაყოფილებს უკროპის გაერთიანების წინაშე აღებულ ვალდებულებებს მის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

ახალი ცვლილებების გაკეთება სასარგებლო იქნება იმ თვალსაზრისითაც, რომ გამოსწორდება მრავალი ხარვეზი, რომლებმაც თავი იჩინეს 2010 წელს, განსაკუთრებით საპატენტო და დიზაინის შესახებ კანონებში ცვლილებების დაჩქარებულად განხორციელების შედეგად. ამასთან, სპეციფიკურობის გათვალისწინებით, აუცილებელი იქნება შეთავაზებულ ცვლილებებს გაეცნოს და გამოეხმაუროს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სპეციალისტები, მათ შორის, კარგი იქნება, თუ ინიციატივას სამრეწველო საკუთრების საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული ჯგუფიც გამოიჩინს, რომელშიც გაერთიანებული არიან ამ დარგის პრაქტიკოსები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ძამუკაშვილი დ., შენგელია რ., ჯორბენაძე ს., გაბუნია დ., ხრუსტალი ვ. 2003. სააკტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი. თბილისი: მაცნე.
2. ძამუკაშვილი დ. 2006. ინტელექტუალური საკუთრების სამართლი. თბილისი: ინტელექტი.
3. ძამუკაშვილი დ. 1992. საპატენტო კანონმდებლობა და სამსახურებრივი გამოგონების დაცვა, სამართლი, №3.
4. ძამუკაშვილი დ. 1995. ვის უნდა ეკუთვნოდეს პატენტი სამსახურებრივ გამოგონებაზე. სამართლი №2-3.
5. ძამუკაშვილი დ. 1997. სამრეწველო საკუთრება. გამოგონება, სახარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში. თბილისი: გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური ფონდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიგრაფიული საწარმო.
6. ძამუკაშვილი დ., ჯორბენაძე ს., გაბუნია დ., ჭიკაძე ზ., კვიმსაძე მ. 2001. ინტელექტუალური საკუთრების სამართლი. ლექციათა კურსი. თბილისი: ბონა-კაუზა.
7. ძამუკაშვილი დ. 2003 საქართველოს საპატენტო კანონის კომენტარი. თბილისი: სანი.
8. ძამუკაშვილი დ. 1996. საქართველოში სამრეწველო საკუთრების დაცვის ზოგიერთი საკითხი. სერგო ჯორბენაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომათა საიუბილეური კრებული.
9. ძამუკაშვილი დ. 1995. სამსახურებრივი გამოგონების დაცვა საპატენტო კანონმდებლობით. სადისერტაციო მაცნე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
10. დებულება გამოგონების შესახებ, ოფიციალურ ტექსტი, გამოქვეყნებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა 1992 წლის მარტი – აპრილის №2 კრებულში, გ360.
11. Georgian Law on Author's Rights and Neighbouring Rights, by David Dzamukashvili, Roman Shengelia, Sandro Jorbenadze, Tbilisi, "Intelekti Publisher" 2005, pp 31-32.
12. Dzamukashvili D. The Ownership of an Employee's Invention, Patent World, London, October, 1996;
13. Fundamentals of United States Intellectual Property Law: Copyright, Patent, and Trademark by Sheldon W. Holpern, Craig Allen Nard, Kenneth L. Port, The Hague, London, Boston, 1999, "Kluwer Law International", pp 250-251.
14. Dzamukashvili D. New Georgian Legislation on Protection of Authors Rights and Neighbouring Rights, in Copyright Bulletin, UNESCO, 2000.
15. Питер Розенберг, Основы патентного права США, Москва, «Прогресс», 1979, с.218-220.

16. Дзамукашвили Д. Экспертиза. Грузинский вариант, журн. Инт. собственность, М., 1996, №5-6;
17. Охрана ОИС по новому законодательству Грузии. журн. Инт. собственность, М., 1999, №4.

*David Dzamukashvili,  
Grigol Robakidze University*

## **Notes on Ownership of Rights to Inventions and Designs Created by Employees in Accordance to Industrial Property Law of Georgia**

### **Summary**

Presentation of this article to the public is caused by the reform of Intellectual Property Law of Georgia made in 2010, during of which significant amendments were included in Acts which constitute the mentioned branch of Georgian Law. In our opinion, these amendments impair rights of employees concerning the ownership of intellectual creations. This situation applies mostly to the employees engaged in technological fields of industry: inventors and designers. Rights of these categories of employees are impaired in such level that we can say that the existence of constitutional guarantees on safety of Intellectual Property is under doubt. We mean Article 23 of Constitution according to which: "Intellectual creativity is guaranteed. Intellectual Property is ensured".

Norms enacted after the amendments give preferences to interests of employers and not of creators.

The aim of this article is to present legal analysis of the problems caused by enactment of the amended laws and to draw the attention of persons having legislative initiative to these problems.

The large scale of the amendments was made in the Patent Law after the approval of which industrial designs are no more subjects of its norms.

Now we draw our attention to inventors' and designers' rights.

After the amendments in the Patent law designs are protected by the new Act – Georgian Law of Designs. As a result, on the basis of Patent Law two independent laws are in force in Georgia: subjects of the Patent Law now are only technological creations - inventions and utility models; accordingly, subject of Designs Law is a result of designers' creativity – appearance of products. From this angle, the legislation of Georgia reseted the first legislative Acts of Georgia (passed in 1992) adopted in the field of industrial property since its independency. At the same time, Intellectual Property Law of Georgia now is harmonized better with the European Intellectual Property legislation than Intellectual Property Law enacted in 1999.

It should be mentioned together with positive amendments, negative amendments are also made in both laws – Law on Patents and Law on Designs from the point of view of inventors and designers, as same norms concerning the ownership of patent and design rights were included in them.

To realize the situation in which employed or contracted inventors and designers are set, it is enough to consider respective norms of the Patent Law. The Articles 19(5) and 19(6) of the Patent Law concern the ownership of a patent subject of which an invention is connected with employment or commission relations. It is not clear from the Article 19(5) how to determine when an invention is connected with execution of obligations and when is not connected.

The situation is worse in case of the Article 19(6) which states that an employer should have the right to own a patent in any case even when the creation of an invention does not have any connection with execution of

duties by an employee or with execution of contractual obligations. The only condition set down in the mentioned article is that the invention should be created by using employers' recourses. How to determine what meaning the legislator wanted to be understood under the term "recourse"? – it is so broad that anything, including piece of sheet which was used by an inventor during the creative process is enough to make a decision that right on invention should belong to employer. Even more, the result is the same - if criterion of an invention is not connected with execution of duties, it seems that it is enough simply to be employed to come to the mentioned decision. Also the employer should be an owner of a patent when an invention created by an employee is out of activities of an employer.

This Article contradicts the principles of determination of ownership when the subject of ownership is intellectual creation, especially if the case concerns an invention. Usually, courts have elaborated principles or their decisions are supported by the principle elaborated by scientists. For example, courts of the USA support their decisions on precedential principles and these decisions are very similar if not uniform. The main sense of these principles could be formulated as follows: "A creator should be treated as an owner of his/her creations because of the mere fact of creation and if there are other written contractual relations, ownership could be transferred by contractual obligations or by Law".

According to the principle of the notorious American scientist in Law Peter Rosenberg, which takes into consideration the courts in the USA, an employer has the right to own a patent on an invention in case when an inventor is the employee if:

- a) there is an explicit reference in the contract to transfer ownership on a patent;
- b) there is a clause in the contract that an inventor is employed for creating an invention;
- c) there is clause in the contract that an inventor is employed for performing his/her duties or solving concrete technological problems.

If we summarize the above mentioned, it is evident that if there are not contractual duties or if a technological problem is out of an employee's duties, the owner of a patent is a creator and an employer. Unfortunately, this wide spread principle is declined after the enactment of the amended Patent Law and Designs Law in Georgia.

It is noteworthy that the Law on Author's Rights and Neighboring Rights of Georgia was also amended at this period, but the former principle of determination of ownership of rights on creation made by employees, which is in conformity with the above mentioned wide spread principles, is not changed and the situation is better than the situation mentioned in connection with patents and designs. Though by withdrawal of Art 16(2)-(5) from the law author lost right to restore authors rights on his creation if an employee does not use a work of creation during 3 years or if 5 years are expired as it was a case in accordance to the article before its amendment.

In accordance to the opinion of the author of this article remedy the defects mentioned in the article is needed not only from point of view of satisfaction to established precedential and scientific principles but also from point of view of harmonization Georgian Intellectual Property legislation to the European norms. All this enables to avoid malicious abuse of creator's rights from employer's side.

If briefly summarize above mentioned amendments of made in Georgian Industrial Property Law which constitutes large part of Intellectual Property Law in a whole it is to be mentioned, that this amendments are so significant that establish legal situation which reflects trends of harmonization to modern requirements and of development of laws concerning to patents and designs. At the same time, it should be noted that the system of the Industrial Property Law of Georgia turned back to 1992 situation when the independent legal acts – Governmental degrees on inventions, on industrial designs and on trade marks were separately approved and enforced. Now designs are protected by the separate legal act in which the principles of the law of author's rights and patent law are reflected. From this angle the Industrial Property Law of Georgia is much more harmonized with the European Law when 1999 Laws were.

On the other hand, the new Designs Law does not ensure protection of many kinds of designs which do not satisfy the requirements of registration and the so called “non-registered designs”, which are out of scope of protection of the Designs Law or the Law of Author’s Rights, are not protected in Georgia at all (as it is known, Law on competition and anti - monopoly practices was abrogated in Georgia since 2006). Now *sui generis* legal norms regulating unfair competition in Georgia do not exist any more. To improve the situation the enactment of at least separate law on protection of non-registered designs which should be based on widely recognized modern principles of competition law is strongly needed.

**დალილა გოგოძე  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

**შპრი სამპტიზაცის მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედებები  
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით**

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით, ნებისმიერ პირს მინიჭებული აქვს სამართლებრივი უფლება, საკუთრებაში ჰქონდეს შეუზღუდავი რაოდენობის და ლირებულების ესა თუ ის ქონება, რომელიც არ არის ამოდებული კანონიერი ბრუნვიდან. კანონი ითვალისწინებს საკუთრების წარმოშობის სხვადასხვა საფუძველს, რომელთაგან ერთ-ერთს, წარმოადგენს მემკვიდრეობა. იგი უძველესი ინსტიტუტია და წარმოიშვა საკუთრებასთან ერთად. ამას ადასტურებს ძველი შუმერული და ეგვიპტური წყაროები [4, 95-99]; [5, 148-154]; [9]; [10]; [11]. მემკვიდრეობის

ინსტიტუტი თანდათან განვითარდა და დაიხვეწა. მეტად განვითარებული სახით იგი ჩამოყალიბდა რომის კერძო სამართალში, განსაკუთრებით კი იუსტინიანეს კანონებში, რომლის დებულებები საფუძლად დაედო მრავალი ქაფნის, მათ შორის, საქართველოს არა მხოლოდ მემკვიდრეობით, არამედ სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტებსაც. “საქართველოში მოხდა ბერძნულ-რომაული სამართლის რეცეპცია” [3, 69] ”ქართული სამართლი მკვიდრდებოდა ბერძნულ-რომაული სამართლის სისტემაში”, მაგრამ ”ქართული მემკვიდრეობითი სამართლი ყალიბდებოდა, როგორც ეროვნული სამართლი” [3, 63].

საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება (საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება) [7, მუხლი 21-ე] რეგულირდება მრავალი კანონით, მირითადი მარეგულირებელი ნორმები კი თაგმოყრილია სამოქალაქო სამართლის კოდექსში, კერძოდ კოდექსის ცალკე თავში ”მემკვიდრეობის სამართლი”, წიგნი მეექვსე, მუხლები 1306-1503.

მემკვიდრეობის ქვეშ იგულისხმება გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების (სამკვიდროს) გადასვლა სხვა პირზე (მემკვიდრეზე). სამკვიდროს მიღებით მემკვიდრე გახდება ამ ქონების მესაკუთრე სამკვიდროს გახსნის დროიდან და მასზე გადავა ყველა ის ქონებრივი უფლება (აქტივი) და მოვალეობა (პასივი), რომლებიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში წარმოეშვა, გარდა ამ უკანასკნელის პირადი ხასიათის უფლება-მოვალეობებისა, აგრეთვე იმ უფლება-მოვალეობებისა, რომლებიც ხელშეკრულებიდან ან კანონიდან გამომდინარე მოქმედებს მხოლოდ კრედიტორ-მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი გარდაცვალებისას. მემკვიდრეობით შეიძლება გადავიდეს არა მხოლოდ ქონებრივი, არამედ არაქონებრივი ხასიათის უფლებებიც და მოვალეობებიც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც შეიძლება მოწვეულ იქნან მემკვიდრეებად, ესენი არიან ე.წ. მემკვიდრეები კანონით და მემკვიდრეები ანდერმით. ჩვენი სამოქალაქო კოდექსი კანონით მემკვიდრეთა ხუთ რიგს წარმოგვიდგენს და ისინი მემკვიდრეებად მოიწვევიან მაშინ, როცა არ არსებობენ ანდერმით მემკვიდრეები. ანდერმის არსებობის შემთხვევაში კი, მოიწვევიან ანდერმისმიერი მემკვიდრეები.

ფაქტი, რომელიც სამკვიდროს მიღების უფლებას წარმოშობს, არის პირის (მამკვიდრებლის) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება და ამ ფაქტს კანონი უწოდებს სამკვიდროს გახსნას. პირის გარდაცვალების ან მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე, ითვლება სამკვიდროს გახსნის დრო. მაგრამ, მემკვიდრე გახდომა, მითითებულ ფაქტთან ერთად, დამოკიდებულია იმაზე, მიიღებს თუ არ პირი მამკვიდრებლის ქონებას. ე.ი. პირი მემკვიდრე გახდება სამკვიდროს მიღების შემთხვევაში და პირიქით, თუ იგი არ მიიღებს სამკვიდროს, შესაბამისად, კარგავს მემკვიდრეობის უფლებასაც. მემკვიდრეობის მიღება ან მასზე უარის თქმა დამოკიდებულია პირის ნებაზე, იგი არის პირის უფლება და არა ვალდებულება (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას იმ სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც კანონით დაწესებული წესით მასზე გადავა) და ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს მემკვიდრე თავის ამ უფლებას, რადგანაც სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება სამკვიდროს მიღებას ან მის მიღებაზე უარს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს როგორც სამკვიდროს მიღების, ასევე მასზე უარის თქმის წესა და პირობებს. კერძოდ: როგორც უკვე აღინიშნა, მემკვიდრეს, როგორც კანონით, ასევე ანდერმით, სამკვიდროზე უარის თქმის უფლება აქვს და ამასთან არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მიზეზზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია, რადგანაც, თუ პირი უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ ეს უფლება გადადის სხვა პირზე (პირებზე). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უარის თქმა დაიშვება, როგორც სხვა მემკვიდრის, ისე არავის სასარგებლოდ.

თუ პირს სურს უარი განაცხადოს თავის სამკვიდრო წილზე, მან უნდა მიმართოს ნოტარიუსს კანონით დაწესებულ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის დადგენილ ვადაში, რომელიც შეადგენს სამ თვეს, და ეს ვადა გამოითვლება არა სამკვიდროს გახსნის დღიდან, არამედ იმ დღიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მემკვიდრედ თავისი მოწვევის შესახებ. გაშვებული ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ მიზეზს საპატიოდ მიიჩნევს, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. მას შემდეგ, როცა ნოტარიუსი რეაგირებას მოახდენს აღნიშნულ განცხადებაზე და განახორციელებს შესაბამის სანოტარო მოქმედებას, კანონით პირს უფლება აღარ აქვს გადათქვას თავისი უარი ან შეცვალოს იგი. ასევე, თუ მემკვიდრე მიმართავს ნოტარიუსს განცხადებით სამკვიდროს ან სამკვიდრო მოწმობის მიღების თაობაზე, ამის შემდეგ მასაც აღარ აქვს უფლება, უარი განაცხადოს სამკვიდროს მიღებაზე.

როგორც აღინიშნა, თუ მემკვიდრე მიიღებს სამკვიდროს, შემდეგ მას მასზე უარის თქმის უფლება აღარ აქვს, მაგრამ იმ მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, კანონი ანიჭებს უფლებას, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. ასეთი სურვილის შემთხვევაში მემკვიდრემ უნდა მიმართოს განცხადებით ნოტარიუსს იმ ვადაში, რაც კანონით გათვალისწინებულია სამკვიდროს მისაღებად (ე.ი.სამკვიდროს გახსნიდან ექვს თვეში).

განცხადება სანოტარო ბიუროში სამკვიდროზე უარის თქმის თაობაზე შეუძლია წარადგინოს როგორც თავად მემკვიდრემ, ასევე მისმა წარმომადგენელმაც, რომელსაც მინდობილობაში სპეციალურად უნად ჰქონდეს მითითებული ამ უფლებამოსილების შესახებ.

კანონი სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის უფლებას, ამისათვის სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ანიჭებს ქმედუუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანობის ქვებაც.

სამკვიდროზე უარის თქმის უფლება გადადის მემკვიდრეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ მემკვიდრე გარდაიცვალა და ვერ მოასწრო უარის თქმა კანონით დადგენილ ვადაში, სამკვიდროზე უარის თქმა, ასეთის სურვილის არსებობისას, შეუძლიათ მის მემკვიდრეებს დარჩენილი დროის განმავლობაში, მაგრამ თითოეულ მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას თავის წილ სამკვიდროზე.

მემკვიდრემ სამკვიდრო უნდა მიიღოს მთლიანად ან უარი უნდა თქვას მთლიან სამკვიდროზე. არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით, რაიმე პირობით ან ვადით. მემკვიდრის ასეთ მოქმედებას კანონი თვლის სამკვიდროზე უარის თქმად; კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროდან გარკვეულ წილზე და ეს არ ჩაეთვლება მას უარის თქმად სამკვიდროს ნაწილზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ასეთი უარი მიღებულ იქნება. კერძოდ, კოდექსის 1436-ე მუხლის შესაბამისად, იმ მემკვიდრეს, რომელიც არ ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, შეუძლია უარი თქვას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, მოწყობილობის, შრომის იარაღებისა და პირუტყვის მიღებაზე, მაგრამ ეს არ ჩაითვლება საერთოდ უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე.

შეიძლება მემკვიდრეს სხვადასხვა საფუძლით სამკვიდროდან რამდენიმე წილი ეკუთვნოდეს. კოდექსის 1437-ე მუხლიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს მიიღოს ერთი წილი და სხვაზე თქვას უარი, ან შეუძლია უარი თქვას ყველაზე. (მაგ.თუ პირი ერთსა და იმავე დროს არის ანდერმისმიერი მემკვიდრეც და კანონისმიერიც, ან სახეზე მემკვიდრეობითი ტრანსმისია ან მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით და სამკვიდრო გაიხსნა, ან პირი არის ანდერმისმიერი მემკვიდრეც და საანდერმო დანაკისრის მიმღებიც და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია მიიღოს ყველა სამკვიდრო წილი, ან მიიღოს ერთი, ან – იმდენი, რამდენიც მისი ნებაა, ან უარი თქვას ყველაზე. თანახმად 1438-ე მუხლისა, მემკვიდრეს უფლება აქვს აგრეთვე უარი თქვას იმ წილზე, რომელიც მას შემოემატა სხვა მემკვიდრის მიერ თავის სამკვიდრო წილზე უარის თქმის გამო და მიიღოს სხვა სამკვიდრო წილი.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის უფლება, როგორც უკვე ითქვა, აქვთ კანონისმიერ მემკვიდრესაც და ანდერძისმიერ მემკვიდრესაც. მათ მიერ სამკვიდროზე უარი შეიძლება ითქვას სხვა მემკვიდრის ან მემკვიდრეების (კანონისმიერის თუ ანდერძისმიერის) სასარგებლოდ, ან საერთოდ – არავის სასარგებლოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონისმიერ მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრის (მემკვიდრეების), ასევე ნებისმიერი რიგის კანონით მემკვიდრის (მემკვიდრეების) სასარგებლოდ, ე.ი. არ არის საგალდებულო უარი აუცილებლად თანამემკვიდრის სასარგებლოდ ითქვას. ანდერძისმიერ მემკვიდრესაც აქვს ასევე უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, როგორც ანდერძით მემკვიდრის (მემკვიდრეების), ასევე ნებისმიერი რიგის კანონით მემკვიდრის (მემკვიდრეების) სასარგებლოდ. დასაშვებია, ასევე, რამდენიმე მემკვიდრემ უარი განაცხადოს თავიანთ წილ სამკვიდროზე ერთი მემკვიდრის სასარგებლოდ.

სამართლებრივი თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია, თუ რომელი კატეგორიის მემკვიდრე განაცხადებს უარს სამკვიდროს მიღებაზე, როგორია ამ უარის შინაარსი, კერძოდ, გაკეთებულია იგი ვინმეს სასარგებლოდ, თუ – არა; თუ უარი ითქვა სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ვინ არის ეს უკანასკნელი, კანონით მემკვიდრე, თუ – ანდერძით; ერთი პირის სასარგებლოდ ითქვა უარი, თუ – რამდენიმეს; თუ რამდენიმეს სასარგებლოდ ითქვა უარი სამკვიდროზე, მემკვიდრემ წინასწარ განსაზღვრა თითოეულის წილი, თუ – არა და ა.შ. ამდენად, როგორც ვხედავთ, მემკვიდრის (მემკვიდრეების) უარი სამკვიდროზე შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით, რაზედაც დამოკიდებულია კიდევ მისი სამართლებრივი შედეგი. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას მოჰყვება სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი. ეს შედეგები კი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სახის მემკვიდრე აცხადებს უარს სამკვიდროზე, აგრეთვე დამოკიდებულია თვით ამ უარის ფორმასა და შინაარსზე.

სამკვიდროს მიღებაზე კანონით მემკვიდრის უარს შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი, კერძოდ:

თუ კანონით მემკვიდრე უარს იტყვის თავის წილ სამკვიდროზე სხვა კანონით მემკვიდრის თუ ანდერძისმიერი მემკვიდრის სასარგებლოდ, მათ სამკვიდრო წილს შეემატება ის წილი მთლიანად, რომელიც უარის მთქმელ მემკვიდრეს ეკუთვნოდა სამკვიდროს მიღების შემთხვევაში;

თუ კანონით მემკვიდრე უარს იტყვის თავის წილ სამკვიდროზე რამდენიმე მემკვიდრის (კანონისმიერის თუ ანდერძისმიერის) სასარგებლოდ და წინასწარ განსაზღვრავს თითოეულისათვის წილს, შესაბამისად, ყველა მემკვიდრე აღნიშნული ქონებიდან მიიღებს მათთვის განსაზღვრულ წილს;

თუ კანონით მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროზე იმ რიგის კანონით მემკვიდრის სასარგებლოდ, რომელიც არ იყო მოწვეული მემკვიდრედ, მაშინ ამ წილს მიიღებს დასახელებული მემკვიდრე;

თუ უარი ითქვა მხოლოდ ანდერძით მემკვიდრეთა სასარგებლოდ, რომელთა წილიც ანდერძით ერთხაირი არ არის, და არც უარის თქმისას განისაზღვრა მათი წილი, მაშინ მიუღებელი წილი განაწილდება მათ შორის თითოეულის წილის პროპორციულად;

თუ კანონით მემკვიდრე არც ერთი მემკვიდრის სასარგებლოდ იტყვის უარს სამკვიდროზე, ასეთ შემთხვევაში, მისი წილი შეემატება იმ კანონით მემკვიდრეს, რომელიც რიგითობის მიხედვით მოწვეულია მემკვიდრედ, ხოლო, თუ ისინი რამდენიმეა, წილი მათ შორის თანაბრად გადანაწილდება;

ბებიას ან პაპას, შეუძლიათ უარი განაცხადონ სამკვიდროს მიღებაზე შვილიშვილის სასარგებლოდ, თუ ეს უკანასკნელი იქნება ანდერძით ან კანონით მემკვიდრე (კ.ი. სამკვიდროს გახსნის დროისათვის მისი მშობელი იყო გარდაცვლილი, თუ მშობელს სიცოცხლეში ნათქვამი არ ჰქონდა უარი სამკვიდროზე); თუ უარი ითქვა რამდენიმე შვილიშვილის სასარგებლოდ, მაშინ ბებიას და პაპას შეუძლიათ განსაზღვრონ თითოეულის წილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის წილი გადანაწილდება თანაბრად;

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და ამ უკანასკნელთა შვილები კარგავენ სამკვიდროს მიღების უფლებას წარმომადგენლობის წესით, თუ მათმა გარდაცვლილმა მშობელმა სიცოცხლეში უარი თქვა სამკვიდროზე. ასეთ შემთხვევაში, გარდაცვლილი მშობლის წილი შეემატება სხვა პირველი რიგის მემკვიდრეს. თუ ისინი რამდენიმეა, წილი მათ შორის გადანაწილდება თანაბრად. პირველი რიგის მემკვიდრის არყოფნის შემთხვევაში მემკვიდრედ მოწვეულ იქნებიან და წილი შეემატება მეორე რიგის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს), ხოლო ამ უკანასკნელთა არყოფნის შემთხვევაში – მომდევნო რიგის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) და ა.შ.;

თუ კანონისმიერი მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ გარდაცვალებამდე უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე კანონით დადგენილი წესით, მაშინ მის მემკვიდრეებს ეკარგებათ სამკვიდროს მიღების უფლება ტრანსმისიის წესით. ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილი მემკვიდრის წილი შეემატება მასთან ერთად მოწვეულ სხვა მემკვიდრეებს, ასეთების ყოფნის შემთხვევაში.

სამკვიდროს მიღებაზე ანდერძით მემკვიდრის უარს მოჰკება სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი, კერძოდ:

თუ მამკვდრებელმა მთელი თავისი ქონება ანდერძით ერთ ან რამდენიმე პირს დაუტოვა, მაშინ კანონით მემკვიდრეები კარგავენ ამ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას და შესაბამისად გაიხსნება ანდერძით მემკვიდრეობა. თუ მითითებული ანდერძისმიერი მემკვიდრეები (თუ ერთია – ის ერთი, ან თუ რამდენიმეა – ყველა), არავის სასარგებლოდ განაცხადებენ უარს სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ მემკვიდრეებად მოწვეულ იქნებიან კანონისმიერი მემკვიდრეები რიგითობის შესაბამისად და წილი მათ შორის თანაბრად გადანაწილდება, თუ ეს უკანასკნელი რამდენიმეა. ხოლო, თუ ერთია – მიიღებს ის ერთი მთლიანად.

თუ მამკვდრებელმა მთელი თავისი ქონება ანდერძით ერთ ან რამდენიმე პირს დაუტოვა და ის, თუ ერთია – იმ ერთს, ან, თუ რამდენიმეა – ყველას, რამდენიმე კანონით მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში, შეუძლიათ უარი განაცხადონ სამკვიდროს მიღებაზე ერთი კანონით მემკვიდრის სასარგებლოდ, და მაშინ მემკვიდრედ მხოლოდ ეს უკანასკნელი მოიწვევა და ის მიიღებს სამკვიდროს. ასევე შეიძლება ითქვას უარი სამკვიდროზე ორი ან მეტი ხებისმიერი რიგის კანონით მემკვიდრის სასარგებლოდ და შესაბამისად, ეს უკანასკნელი მოიწვევიან მემკვიდრეებად და მიიღებენ სამკვიდროს. თუ უარის გაცხადებისას განისაზღვრა წინასწარ თითოეულის წილი, შესაბამისად გადანაწილდება კიდეც სამკვიდრო წილი იმ მემკვიდრეებს შორის, რომელთა სასარგებლოდაც ითქვა უარი;

თუ მთელი სამკვიდრო ქონება განაწილებულია რამდენიმე ანდერძით მემკვიდრეთა შორის და სამკვიდროზე უარს ამბობს მათ შორის ერთი, ან – რამდენიმე და არა ყველა, მათი წილი სამკვიდრო ქონება თანაბარწილად გადანაწილდება და შეემატება იმ ანდერძით მემკვიდრეებს, რომელთაც უარი არ უთქვამთ სამკვიდროს მიღებაზე;

თუ მთელი სამკვიდრო ქონება განაწილებულია რამდენიმე ანდერძით მემკვიდრეთა შორის და მათი წილი სამკვიდრო ქონებაზე არათანაბარია, ის წილი სამკვიდროდან, რომელზედაც უარს იტყვის ერთი, ან რამდენიმე – და არა ყველა, გადანაწილდება იმ ანდერძისმიერ მემკვიდრეთა სასარგებლოდ, რომელთაც უარი არ უთქვამთ სამკვიდროს მიღებაზე, მათი წილის პროპორციულად, თუ არ იქნება სხვანაირი მითითება ანდერძში;

თუ მთელი სამკვიდრო ქონება განაწილებულია რამდენიმე ანდერძით მემკვიდრეთა შორის და მათი წილი სამკვიდრო ქონებაზე თანაბარია, ან თუნდაც არათანაბარია, და ისინი, ერთი, რამდენიმე და არა ყველა, მასზე იტყვიან უარს სხვა რამდენიმე ანდერძით მემკვიდრის სასარგებლოდ, მათ შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ თითოეულის წილი, რის შესაბამისადაც გადანაწილდება კიდევ სამკვიდრო წილი იმ ანდერძით მემკვიდრეთა შორის, რომელთაც უარი არ უთქვამთ სამკვიდროს მიღებაზე;

კოდექსის 1355-ე მუხლიდან გამომდინარე, თუ ანდერძი მთელ სამკვიდრო ქონებას არ მოიცავს, ე.ი. გასსნილია, როგორც ანდერძით, ასევე კანონით მემკვიდრეობა და შესაბამისად, არსებობენ, როგორც კანონით მემკვიდრეები, ასევე – ანდერძით და თუ ეს უკანასკნელი არიან რამდენიმე, ერთ-ერთის უარის თქმა სამკვიდრო წილზე არ გამოიწვევს ამ წილის გადასვლას კანონით მემკვიდრეებზე, არამედ იგი შეემატება დანარჩენ ანდერძით მემკვიდრეებს;

თუ მოანდერძის მიერ ანდერძში დასახელებული იქნება სათადარიგო მემკვიდრე, მაშინ ანდერძით მემკვიდრის (მემკვიდრეების) უარი სამკვიდროს მიღებაზე წარმოშობს სამკვიდროს მიღების უფლებას მხოლოდ სათადარიგო მემკვიდრისათვის;

სათადარიგო მემკვიდრის სამკვიდროზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნულ წილს მიიღებენ მამკვიდრებლის კანონისმიერი მემკვიდრეები;

თუ სამკვიდროს მიღებაზე უარს განაცხადებს ის ანდერძისმიერი მემკვიდრე, რომელსაც ანდერძით საანდერძო დანაკისრის შესრულება დაეკისრა, მაშინ იმ მემკვიდრეს, რომელმაც მიიღო ამ უკანასკნელის წილი, დაეკისრება საანდერძო დანაკისრის შესრულებაც;

თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები უარს განაცხადებს ლეგატის მიღებაზე, ასეთ შემთხვევაში, ის მემკვიდრე, რომელსაც ევალებოდა დანაკისრის შესრულება თავისუფლდება მისგან და წილი, რომელიც გათვალისწინებული იყო ლეგატით, გადავა მასზე;

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეს, კანონით დაწესებულ ვადაში, უფლება აქვს მიიღოს სავალდებულო სამკვიდრო ან უარი თქვას მასზე. ასეთ მემკვიდრეს კანონით არ აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროზე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ და უარის თქმის შემთხვევაში მისი სამკვიდრო წილი შეემატება ანდერძისმიერ მემკვიდრეს (მემკვიდრეებს), თუნდაც არსებობდნენ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე სხვა მემკვიდრეებიც;

თუ პირი ერთსა და იმავე დროს სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონეცაა და ამასთანავე, საანდერძო დანაკისრისაც, მაშინ მან, თუ სურს მიიღოს სავალდებულო წილი მთლიანად, უარი უნდა თქვას საანდერძო დანაკისრზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მიიღებს სავალდებულო წილს იმ დირებულების გამოკლებით, რასაც მოიცავს საანდერძო დანაკისრი;

პირს (ტრანსმისარს), რომელზედაც სამკვიდრო ქონებაზე უფლება გადავიდა მემკვიდრეობითი ტრანსმისიით, შეუძლია უარი თქვას ამ ქონებაზე და მას მიიღებენ გარდაცვლილის (ტრანსმიტენტის) თანამემკვიდრეები. ტრანსმისარს ამასთან უნარჩუნდება უფლება, მიიღოს მემკვიდრეობა საერთო საფუძვლით;

თუ ტრანსმისარი მიიღებს ქონებას მემკვიდრეობითი ტრანსმისით და უარს იტყვის მამკვიდრებელი-ტრანსმიტენტის უშუალო სამკვიდრო ქონებაზე, ასეთ შემთხვევაში ამ სამკვიდრო ქონებას მიიღებენ ტრანსმიტენტის მემკვიდრეები;

პირს, რომელმაც წარმომადგენლობის წესით უნდა მიიღოს მემკვიდრეობა, შეუძლია უარი განაცხადოს მასზე. ამ წილის მიღების უფლება გადავა მის თანამემკვიდრეებზე, ასეთების არყოფნის შემთხვევაში კი, მომდევნო რიგის მემკვიდრეებზე და ა.შ.

ანდერძი ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუ ერთადერთი მემკვიდრე იტყვის უარს სამკვიდროს მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეებად მოიწვევიან კანონით მემკვიდრეები, ასეთების არსებობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში ქონება გამოცხადდება უმკვიდროდ და გადაეცემა ხაზინას;

თუ კანონით მემკვიდრე ერთადერთია თავის რიგში და უარს აცხადებს სამკვიდრო წილზე, მაგრამ არა სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, მაშინ მისი წილი გადავა მომდევნო რიგის მემკვიდრეზე (მემკვიდრეებზე), მათი არ არსებობის შემთხვევაში –შემდეგი რიგის მემკვიდრეზე და ა.შ. ხოლო, თუ არ არსებობენ მომდევნო რიგის მემკვიდრეები, ან ყველა მათგანი განაცხადებს უარს, სამკვიდრო გადავა ხაზინაზე, რომელსაც უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე;

კანონი კრძალავს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას იმ მემკვიდრის (მემკვიდრეების) სასარგებლოდ, რომელიც:

სასამართლოს მიერ ცნობილია უდირს მემკვიდრედ;

იმ პირის (პირების) სასარგებლოდ, რომელსაც მოანდერძებ ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვა;

ანდერძით მემკვიდრე უარს ვერ იტყვის სამკვიდროს მიღებაზე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, თუ მოანდერძეს ანდერძში დასახელებული ჰყავს სათადარიგო მემკვიდრე;

ანდერძით მემკვიდრეს არ შეუძლია აგრეთვე უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე არამემკვიდრის მემკვიდრედ დანიშნული პირის სასარგებლოდ;

ბებია და პაპა ვერ იტყვიან უარს შეილიშვილის სასარგებლოდ. კანონი ამას უშებს იმ შემთხვევაში, თუ შეილიშვილი არის ანდერძით მემკვიდრე, ან კანონით მემკვიდრე (ე.ი. სამკვიდროს გახსნის დროისათვის მისი მშობელი გარდაცვლილი იყო, თუ მშობელს სიცოცხლეში ნათქვამი არ ჰქონდა უარი სამკვიდროზე);

საგალდებულო წილის მიღების უფლების ქონების მემკვიდრეს უფლება არა აქვს უარი თქვას საგალდებულო წილზე თავისი თანამემკვიდრის სასარგებლოდ;

საანდერძო დანაკისრის მიღების უფლების მქონეს შეუძლია უარი თქვას დანაკისრის მიღებაზე, მაგრამ არა სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ;

სამკვიდროზე უარის თქმის ნამდვილობა შეიძლება სადაო გახდეს მხარეთა მიერ. კანონი აწესებს შედავებისათვის ორი თვის ვადას, რომელიც იანგარიშება მათ მიერ საფუძვლის არსებობის შეტყობიდან. სამკვიდროზე უარის თქმა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას. მის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი გარიგების თაობაზე.

ამრიგად, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას მოჰყვება სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი. ეს შედეგი კი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სახის მემკვიდრე

აცხადებს უარს სამკვიდროზე, აგრეთვე დამოკიდებულია თვით ამ უარის ფორმასა და შინაარსზე.

და ბოლოს, წინამდებარე სტატია არის მოკრძალებული მცდელობა ცოტათი განსხვავებული კუთხით წარმოჩენა მემკვიდრის მიერ თავის წილ სამკვიდრო ქონებაზე უარის თქმის შესაძლო შემთხვევებისა და, აქედან გამომდინარე, მისი სამართლებრივი შედეგებისა, ვიდრე ეს არსებულ და მოქმედ კომენტარებში [1, 362-491] [2, 51-64] [6, 158-165] არსებობს, რომელთაც აბსოლუტურად ვიზიარებთ კიდევ.

#### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ჭანტურია ლ. 1999. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი მეცნიერ. თბილისი: სამართლი.
2. ახვლედიანი ზ. 1997. *მემკვიდრეობის სამართლი*. თბილისი: სამართლი.
3. ზოიძე ბ. 2000. *ძელი ქართული მემკვიდრეობითი სამართლი*. თბილისი: უფლება.
4. მეტრეველი ვ. 1995. *რომის სამართლი*. თბილისი: მერიდიანი.
5. ნადარეიშვილი გ. 2005. *რომის სამოქალაქო სამართლი*. თბილისი: ბონა კაუზა.
6. შენგელია ე., შენგელია რ. 2007. *მემკვიდრეობის სამართლი*. თბილისი: მერიდიანი.
7. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუცია. კანონმდებლობა. [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)(01.12.20011)
8. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. კანონმდებლობა, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge) (01.12.2011)
9. Косарев.А.И. 2007. Римское частное право. Учебник. Москва: юриспруденция,
10. Мосин О.В. изучение особенностей наследования хранения и раздела отдельных видов имущества в Российском гражданском праве. [www.samlib.ru](http://www.samlib.ru) 01.12.2011
11. Новицкий И. Римское право. Гл. III, §3. Виморочное наследство. [www.pravo.vuzlib.net](http://www.pravo.vuzlib.net) 01.12.2011

Dalila Gogodze  
Grigol Robakidze University

### Renunciation of an Inheritance and Its Legal Consequences According to the Civil Code of Georgia

#### Summary

According to the article 1434 of the Civil Code of Georgia an heir has the right to renounce his/her part of the inheritance. The law indicates on the determined order and conditions of the renunciation of the inheritance. First, it is time period for renunciation. An heir may renounce the inheritance within three months from the day he learned, or ought to have learned, of his invitation to accept the inheritance. If legitimate reasons exist, a court may extend this period, though not for more than two months (article 1434 of the Civil Code of Georgia). The mentioned article stipulates that the renunciation of the inheritance shall be declared at a notary office where this renunciation shall be authenticated in accordance with the appropriate order. When a notary reacts on the mentioned declaration and conducts the appropriate notary action, by the law a person does not have the right to renounce or to change it. “An heir’s declaration of renunciation of inheritance is irrevocable” (article 1446 of the Civil Code). As well, if an heir has filed a petition to accept either the inheritance or a title deed to the inheritance with a notary office, after this he/she has no right to renounce the inheritance (article 1445 of the Civil Code).

A declaration of renunciation of an inheritance may be filed with a notary office either by an heir him/herself or by his/her agent if the mandate (power of attorney) specifically stipulates the authority to renounce (article 1449 of the Civil Code).

The law gives the right of renunciation of an inheritance to a legally incapable person or a person with limited legal capacity, but they shall appeal to court for the permission on it (article 1446 of the Civil Code).

If an heir has died before the lapse of the period of time prescribed for renunciation of the inheritance, instead of him/her, the heir of the deceased has the right to renounce his/her share of the inheritance, as by the law the right to renounce an inheritance is inheritable, in addition, if the deceased has several heirs, by the law, each of them may renounce only his/her share of the inheritance. In this case the period of time for renunciation of the inheritance shall not end until the time remaining after the death elapses (article 1448 of the Civil Code).

An heir must accept the entire inheritance or must renounce the entire inheritance. The law does not allow acceptance or renunciation of an inheritance partially by specifying some conditions or a time period. Such behavior of an heir is considered as renunciation of the inheritance (article 1435 of the Civil Code). According to the articles 1436-1438 an heir has the right to renounce the defined part of the inheritance and this shall not be considered to be renunciation of the inheritance. This means that his/her renunciation will be accepted. In particular, according to the article 1436 of the Civil Code, "an heir who is not engaged in agriculture may refuse to accept a tract of land, machinery and tools intended for agriculture or livestock, and such a refusal shall not be deemed to be renunciation of the inheritance". Maybe, an heir, for any reason, is entitled to several portions of an estate; in this case, based on the article 1437 of the Civil Code, he/she may accept one portion and renounce the other, or renounce all portions. For example, if at the same time a person is a testamentary and legal heir, or there is transmission of inheritance or the inheritance with the right of representation and an estate is opened, or a person is a testamentary heir and a legatee, etc., in this case an heir may accept all portions or accept one portion, or as many as he /she desires, or renounce all of them. In addition, in accordance with the Article 1438 of the Civil Code an heir has the right to renounce the portion added because of other heir's renunciation of his/her portion and accept other portion of an inheritance.

As mentioned above, if an heir accepts an inheritance, he/she does not have the right to renounce it afterwards, but the law gives the right of renunciation to an heir who came into de facto possession or administration of an inheritance. Wishing it, an heir must file a declaration with a notary office within the period of time prescribed for acceptance of the inheritance that is within six months from the day of the opening of the estate (article 1447 of the Civil Code).

An heir, testamentary or legal, has the right to renounce an inheritance without mentioning the reason. This moment is of great importance, because, if a person renounces an inheritance, then this right passes to another person(s). It must be mentioned that the state (treasury) may not renounce an estate passed to it (article 1444 of the Civil Code). The renunciation can be carried out in favor of another heir(s) (legal or testamentary) or in favor of nobody. It means that it is not obligatory to renounce in favour of a co-heir.

From the legal point of view, it is very important a heir of which category renounces an inheritance, what is the content of this renunciation, in particular, is it in somebody's favour or – not; if the renunciation is in favour of another heir, who this heir is, weather he/she is a testamentary heir or a legal heir; weather this renunciation is in favour of just one person or several persons; if it is made in favour of several persons, weather an heir determined a portion of each person, or he/she did not do so, etc. Therefore, as we see, an heir's (heirs') renunciation can be expressed in different forms and contents, what the legal result depends on. These results depend on the category of the heirs renouncing an inheritance and they also depend on the form and content of this renunciation. In particular:

If an heir renounces his/her inheritance without naming a person in whose favour he/she renounces, then his/her portion shall be added to the share of the heirs called to the estate; it does not matter weather the heirs are legal or

testamentary (article 1440 of the Civil Code), but if an heir is the sole heir in his/her class of heirs, then inheritance of the estate shall devolve to the next class of heirs (article 1441 of the Civil Code).

If an heir renounces the inheritance in favour of several heirs, it does not matter whether the portion is specified by an heir for each of them or not. In the presence of such specification each heir shall receive a corresponding portion, otherwise, the portion in the inheritance shall be distributed in equal shares among them (article 1442 of the Civil Code).

The renunciation may be carried out in favour of those persons who are called to the estate in the order of representation or transmission. The renunciation is not allowed in favour of an heir who has been:

- declared by court an unworthy heir (article 1439 of the Civil Code);
- disinherited by explicit testamentary order (article 1439 of the Civil Code).

If an entire estate was divided by the will among several heirs, the renunciation in favour of a legal heir is not allowed, if all of them do not renounce the inheritance (article 1355 of the Civil Code).

An heir entitled to a forced portion may renounce it, but not in favour of another heir, in this case the renounced portion shall pass to the testamentary heirs (article 1380 of the Civil Code).

If a testator has designated in the will a substitute heir entitled, a testamentary heir does not have the right to renounce the inheritance in another heir's favour. If a substitute heir renounces, a portion of an inheritance passes to the legal heirs of a deceased person. If the heir who was bound to perform the legacy renounced the estate, then the obligation to perform the legacy shall be placed on the other heirs who received his portion (article 1388 of the Civil Code).

If a legatee renounces the legacy, the corresponding part of the estate shall remain with the heir who was bound to perform the legacy (articles 1394-1395 of the Civil Code).

If a person who is entitled to receive transmission of an inheritance (transmissar) renounces his/her right to the property, then the property shall pass to the heirs *co-heir* that were called to the inheritance together with the deceased heir (transmitant). The transmissar has the right to receive the estate on the common basis (article 1431 of the Civil Code).

If a transmissar receives transmission of an inheritance and renounces the transmitant's estate, in this case this inheritance shall pass to the transmitant's heirs (article 1431 of the Civil Code).

A person who receives the inheritance through an agent may renounce it. In this case the common principles of the renunciation of an inheritance are applied. The renunciation of an inheritance is a unilateral transaction that is regulated by the general norms of transactions of the Civil Code. Consequently, the renunciation of an inheritance, as all other transactions, may be contested by the parties. The law stipulates two months period of time which is counted from the day on which a person learned of the existence of the basis to do so (article 1450 of the Civil Code)

*რუსულან გარსიმაშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*

## შრომის უფლება, რობორც სოციალური უფლება საქართველოში და მისი საკანონმდებლო ხარგებაზე

ცეკილიზებული კაცობრიობის ისტორიის არსებობის მანძილზე პრიორიტეტული ადგილი უკავია ადამიანის უფლებებს. იგი უზრუნველყოფს სახელმწიფოში მატერიალურ სიკეთეთა სამართლიან გადანაწილებას საზოგადოების თითოეულ წევრზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შექმნილი საერთაშორისო ხელშეკრულებები საზოგადოების სოციალურ მდგრმარეობას განამტკიცებს და ადგენს გარკვეულ სტანდარტებს. ადამიანის უფლებებს იცავს გაეროს და ეპროსაბჭოს მიერ მიღებული სხვადასხვა ქონვენცია, მაგრამ მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპის სოციალური ქარტია, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2005 წლის 1 ივნისს. იგი ძირებულად აწესრიგებს ადამიანის სოციალურ უფლებათა დაცვისა და განხორციელების გზებს, განსხვავებით საერთაშორისო ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც მხოლოდ ამ უფლებების აღიარებით შემოიფარგლებიან.

რაც შექება ევროპის სოციალურ ქარტიას, მას საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან მიმართებაში განვიხილავ, რადგან ჩემი სტატიის მიზანს ერთ-ერთი სოციალური უფლების – შრომის უფლების განხილვა წარმოადგენს. სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვხვდებით საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში და შემდეგ კონსტიტუციის მე-2 თავში. შრომის უფლებებს ეხება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომელიც აწესებს შრომის, ასევე მეწარმეობისა და კონკურენციის თავისუფლებას. ეს მუხლი უზრუნველყოფს აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიების საზღვარგარეთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა წინამდებარე სტატიის მიზანი იმის განხილვაა, თუ რას აკეთებს ქართული სამართლი ქვეყნის შიგნით საკუთარ მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში ნათქვამია, რომ შრომითი უფლებები, „შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები“ დაცულია კანონით [1].

ეს მუხლი ადგენს შრომის უფლებების დაცვისა და შრომის სამართლიან პირობებს:

1. უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოს, რომელშიც მოსამსახურე დაცული უნდა იყოს მისი ჯანმრთელობისათვის მავნე ხმაურისა და აირისაგან;
2. სამართლიან ხელფასს;
3. სამსახურში დაწინაურების თანაბარ შესაძლებლობებს;
4. სამუშაო საათების გონივრულ რაოდენობასა და ანაზღაურებადი შეებულების უფლებას.

განვიხილოთ, თუ რამდენად შესაძლებელია შრომის სამართლიანი პირობების დაცვა ჩვენს ქვეყანაში. დირექტული სოციალური პირობების შექმნა და დაცვა სახელმწიფოს აქტიური თანადგომის გარეშე შეუძლებელია. განათლებას, სოციალური გარანტიების უზრუნველყოფას გარკვეული ფინანსები ესაჭიროება, განსხვავებით შრომის უფლებების დაცვისაგან, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით უმუშევრობისაგან დაცვის პროგრამას, რაც ჩვენს ქვეყანაში ფაქტობრივად არ მუშაობს. შრომის უფლების ნორმალურად განხორციელებისთვის უნდა არსებობდეს გამართული საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც დარეგულირებული იქნება შრომით ურთიერთობაში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობანი.

სოციალური უფლებების ყოველმხრივ დაცვა შეუძლებელია და ამას ვერც ერთი განვითარებული სახელმწიფო სრულყოფილად ვერ ახერხებს. საინტერესოა, როგორია ამ მხრივ ჩვენი კანონმდებლობა, რამდენად უხარვეზოა ის. ასევე, საყურადღებოა ევროპის სოციალური ქარტიისა და ამერიკის შრომითი კანონმდებლობის განხილვა ჩვენი ქვეყნის შრომის კანონმდებლობასთან მიმართებაში. ევროპის ქარტია მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში დასახულია ქარტიის მონაწილე სახელმწიფოების მიერ სოციალური უფლებების განხორციელებისა და დაცვის გზები [5].

საქართველო ევროპის სოციალურ ქარტიას შეუერთდა 2005 წლის 1 ივნისს. ჩვენმა ქვეყანამ ამ ქარტის რატიფიცირება სრულად ვერ მოახერხდა, რადგან იგი ბევრ ვალდებულებას უწესებს მასში მონაწილე სახელმწიფოებს, მაგრამ ქარტიაში იყო ისეთი მუხლებიც, რომელთა აღიარებაც (რატიფიცირება) აუცილებელი გახდათ. იგი განამტკიცებდა ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებებს (შრომის ანაზღაურებასთან, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრებასა და მუშაობასთან დაკავშირებით).

საქართველოს შრომის კოდექსი მაღაში შევიდა 2006 წლის 25 მაისს. მის ირგვლივ ბევრი მითქმა-მოთქმა და აზრთა სხვადასხვაობა იყო თავად კოდექსის ავტორებსა და მეცნიერებს შორის. კოდექსის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება პქნიდა საქართველოს პროფესიულ კავშირებსაც. კოდექსის ავტორები თვლიდნენ, რომ იგი ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში, რაც შექმნიდა სამუშაო ადგილებს და ეკონომიკის აღმავლობას გამოიწვევდა. მოწინადებებებს კი მიაჩნდათ, რომ არ შეიძლებოდა მხოლოდ „დამსაქმებელის“ ინტერესების გათვალისწინება „დასაქმებულის“ ინტერესების საზიანოდ. მოქმედი შრომის კოდექსი უარყოფითად შეაფასეს უცხოელმა ექსპერტებმაც.

მიუხედავად უკმაყოფილებისა, საქართველოს პარლამენტმა შრომის კოდექსი მაინც არსებული სახით მიიღო. შემოგთავაზებთ ამ კოდექსში არსებული ხარვეზების ჩემეულ ხედვას: შრომის კოდექსის I თავში საუბარია შესავალ დებულებებზე, შრომითი ურთიერთობის სუბიექტებზე. შრომის კოდექსის II თავში მოცემულია შრომითი ურთიერთობის ცნება, რომელიც წარმოიშობა მსარეთა თანასწორობისა და შეთანხმების საფუძველზე. შრომის კოდექსი კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, რომელიც ადამიანს დირსებას შეუდაბავს, დაამცირებს და შეურაცხეყოფს, რაც უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში წერია, რომ „დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება“. ამ მუხლში, ერთი შეხედვით, სადაც არაფერია, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონის ამ ხარვეზზე დაყრდნობით ყალიბდება შრომითი ურთიერთობები, რომლის დროსაც დისკრიმინაცია აშკარაა. ჩვენს ქვეყანაში ის ხშირად ემყარება განსხვავებას ასაკისა და სქესის მიხედვით, რაც, ჩემი აზრით, კანონის ფარგლებს სცილდება (მაგალითად, ბევრ განცხადებაში შევხვდებით ასეთ ფრაზებს: “გვესაჭიროება გამყიდველი გოგონები 20-დან 25-წლამდე”, რაც აშკარად დისკრიმინაციული ხასიათისაა. სამუშაოს, რომელსაც 25 წლის გოგონა შეასრულებს, 26 წლის და 1 თვის ქალბატონი ვითომ ვერ მოერება?!).

რაც შეეხება სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკსა და მასთან დაკავშირებულ შრომით ქმედითუნარიანობას, ჩემი აზრით, აღნიშნული საქოთხი კანონში ქარგად რეგულირდება. იგი სრულად შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის მე-7 მუხლს, რომელიც აწესრიგებს არასრულწლოვან პირთა სამუშაოზე მიღებისა და დასაქმების წესებს. საქართველოს შრომის კოდექსის დიდი ნაკლია დასაქმებაზე უარის თქმის დაუსაბუთებდლობა. მე-5 მუხლის მე-8 პუნქტში წერია, რომ „დამსაქმებელი ვალდებული არ არის დასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ“ [7], რაც, ჩემი აზრით, გაუმართლებელია. მოცემულ შემთხვევაში დამსაქმებლებთა უფლებების დამცველები აპელირებენ იმაზე, რომ უარის დასაბუთება დამსაქმებლებს ბევრი ადამიანისთვის მოუწევთ, რაც, გვიქრობ, არადამაჯერებელი და არასაკმარისი არგუმენტია. ხშირ შემთხვევაში, სამუშაოს მაძიებელი ჰემბარიტი პროფესიონალები შესაბამისი კონკურსის გავლის შემდეგაც დაუსაქმებლები რჩებინ, დამსაქმებელი კი საკუთარ უარს მათ არც კი უსაბუთებს, რაც, სამწუხაროდ, დღევანდელი შრომის კანონმდებლობის მიხედვით კანონიერია, განსხვავებით საქართველოს ძველი შრომის კოდექსისგან, რომელიც კრძალავდა დასაქმებაზე უარის დაუსაბუთებდლობას.

შრომის კოდექსის ერთ-ერთ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს შრომითი ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებული საკითხი. კოდექსის მე-6 მუხლის I პუნქტის შესაბამისად: „შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით.“ ამ ფორმის ხარვეზიანობა იმაში მდგომარეობს, რომ აჯობებდა კოდექსს ამომწურავად მოეწესრიგებინა ის შემთხვევები, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნებოდა შრომითი ხელშეკრულების ზეპირად დადება.

შრომითი ურთიერთობა არის განგრძობადი ხასიათის ურთიერთობა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არ არის მიმართული ერთ კონკრეტულ შედეგზე, როგორც ეს ნარდობის ხელშეკრულებაშია. თუკი შრომით ხელშეკრულებას ზეპირად დავდებთ, შრომითი ურთიერთობისას კი მხარეთა შორის დავა წარმოიშობა (მაგალითად იმის თაობაზე, შესრულდა თუ არა ზეპირი შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან საერთოდ იყო თუ არა მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება), მტკიცების ტვირთი დასაქმებულის მხარეს იქნება, რაც საკმაოდ დიდი ხარვეზია შრომით ურთიერთობაში.

კოდექსში ასევე ზუსტად უნდა ყოფილიყო გაწერილი, თუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა შრომითი ხელშეკრულების დადება ზეპირად და რა დროს – წერილობით. კოდექსის ავტორები ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრას მხარეებს თვითონ ანდობენ, რათა ამით არ შეილახოს მხარეთა თავისუფლება, თუმცა ხელშეკრულების ფორმების საკითხის მოწესრიგებით მხარეთა თავისუფლება კი არ შეიზღუდებოდა, არამედ უფრო მეტად იქნებოდა დაცული შრომითი ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის უფლებები. ყურადღებას კიდევ ერთ ხარვეზზე გავამახვილებთ: თუ ვიგულისხმებთ, რომ ზეპირი ფორმით დადებულ შრომით ხელშეკრულებაში შრომითი დაწესებულების შინაგანაწესი შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, არსადაა განმარტებული, როგორ შეასრულებს დასაქმებული ამ შინაგანაწესს ან როგორ დაიცავს მასში შეტანილ ცვლილებებს (6-ე მუხლის 5-ეპუნქტი). ალბათ, ჩვენს კანონმდებლებს არც ამის შესახებ უფიქრიათ.

შრომის კოდექსი ასევე შემოფარგლება იმით რომ დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაო არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს (მე-14 მუხლი). ამავე მუხლში ასევე წერია რომ: „სამუშაო დღეებს შორის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.“ რაც შეეხება მე-16 მუხლს, მასში ნათქამია, რომ: „როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება.“ აქედან გამომდინარეობს, რომ დასაქმებულმა სამუშაო კვირის განმავლობაში შესაძლებელია შეასრულოს სამუშაო, რომლის დღიური ხანგრძლივობა შეიძლება 12 საათიც იყოს, რაც ფაქტობრივად ადამიანს ექსპლუატირებულ მდგომარეობაში აყენებს, რაც, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება კონსტიტუციით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებს [2].

მართალია, ევროპის სოციალური ქარტია არ განსაზღვრავს სამუშაო დღის ხანგრძლივობას და არც სამუშაო კვირის საათების ოდენობას, მაგრამ ამ ქარტის მე-2 მუხლის I პუნქტი გვთავაზობს „ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათების გონივრული რაოდენობის დადგენას და ამ სამუშაო კვირის თანმიმდევრულ შემცირებას.“ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის კოდექსი ამის შესაძლებლობას არ გვაძლევს.

შრომის კოდექსის ერთ-ერთ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს მე-11 მუხლიც, რომელშიც განსაზღვრულია, თუ რა არის შრომითი ხელშეკრულების პირობების არაარსებითი შეცვლა: „დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისთვის მითითებული სამუშაოს აღგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებით საცხოვრებელი აღგილიდან სამუშაოს ახალ აღგილამდე მისგან და დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათს დღეში,

ამასთანავე არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს.“ ამ ნორმაში სადაცო, ერთი შეხედვით, არაფერია, მაგრამ თუ ამ ყოველივეს განვიხილავთ შრომის კოდექსის მე-19 მუხლთან მიმართებაში, რომელიც დამატებით შესვენებას ითვალისწინებს მეტყმური ქალებისათვის დღეში არანაკლებ 1 ანაზღაურებადი საათისა, აღმოჩნდება, რომ შრომითი პირობების არაარსებითი შეცვლის შემთხვევაში, თუ დასაქმებული მეტყმური ქალი სახლიდან სამუშაო ადგილამდე მისვლას 3 საათს მოანდომებს და დამსაქმებელს 1 საათიან შესვენებასაც მოსთხოვს ბავშვის კვებისათვის, ფაქტობრივად სამუშაო დღის 4 საათს გააცდენს, რომელიც სამუშაო დროში ეთვლება და უნაზღაურდება.

ბუნებრივია, დამსაქმებელისთვის უმჯობესია შრომითი ხელშეკრულება მოშალოს და კომპენსაციის სახით 1 თვის სახელფასო ანაზღაურება გადაიხადოს, ვიდრე ყოველივე ზემოთქმული შეასრულოს. არსებობს მეორე უკიდურესობაც – მეტყმური ქალები ვერ მოითხოვენ დამატებით შესვენებას იმის შიშით, რომ საერთოდ არ დაკარგონ სამუშაო.

ასევე შრომის კოდექსის მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე დამსაქმებელს, მიუხედავად უკვე დადგებული შრომითი ხელშეკრულებისა, შეუძლია სამუშაო დრო შეცვალოს თავისი სურვილისამებრ არა უმეტეს 90 წუთისა. დაქირავებული ამ შემთხვევაშიც ექსპლუატირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან, ჩვენი კანონით, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა 41 საათს არ უნდა აღემატებოდეს. თუმცა, დამქირავებელს ზემოთ აღნიშნული მუხლის საფუძველზე განსხვავებული დროის დაწესებაც შეუძლია, კერძოდ 48-საათიან სამუშაო კვირას და 9-საათიან სამუშაო დღეს თუ კიდევ 90 წუთს დავამატებოთ, სამუშაო დღის ხანგრძლივობა 10 საათი და 30 წუთი გამოვა. ყოველივე ეს კი XXI საუკუნეში ადამიანის ექსპლუატაციის კლასიკურ მაგალითად ჩაითვლება.

შრომის კოდექსი აწესებს 24 დღიან შვებულებას, რომელიც ანაზღაურებადია, რაც ეწინადმდებარება ევროპის სოციალური ქარტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეების ვალდებულებებს, დაადგინონ არანაკლებ 4 კვირის ხანგრძლივობის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება. სამწუხაოდ, ჩვენმა ქვეყანამ ქარტიის ამ დადებითი მუხლის რატიფიცირება არ მოახდინა. ამ მუხლს ჩვენთვის სავალდებულო ძალა არ გააჩნია, რაც შესაბამისად აისახა კიდეც საქართველოს შრომის კოდექსში.

შრომის კოდექსის მე-6 თავი ეთმობა შვებულებას ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, ასევე შვებულებას ახალშობილის შვილად აყვანისა და ბავშვის მოვლის გამო, რომელიც 477 კალენდარულ დღეს შეადგენს. აქედან 126 დღე ანაზღაურდება. საინტერესოა, რატომ არის ასე ცოტა კანონით დაწესებული ანაზღაურებადი დღეები, რომლებიც შვებულების მხოლოდ მესამედს შეადგენენ. აჯობებდა ანაზღაურებადი დღეები შვებულების ნახევარი მაინც ყოფილიყო.

საქართველომ ევროპის სოციალური ქარტიის მე-8 მუხლის I და II პუნქტის რატიფიცირებაც არ მოახდინა, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებები ბავშვის გაჩენამდე და შემდგომ პერიოდში ორსული და მეტყმური დედები აღეკვაზური სოციალური დახმარებით უზრუნველყოს, რაც ნაკლებად და თითქმის არ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს შრომის კოდექსში ჩემს გულისტკივილს იწვევს ასევე შრომის ანაზღაურების საკითხი. 31-ე მუხლის I პუნქტში წერია, რომ შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. კოდექსში საუბარი არ არის შრომის მინიმალურ ანაზღაურებაზე, კერძოდ, არაუკერია ნათქვამი იმაზე, უნდა აღემატებოდეს თუ არა ყოველთვიური ხელფასი საარსებო მინიმუმს ან იმაზე, რომ მინიმალური შრომის ანაზღაურება ერთ თვეში არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმე ნაკლები. თუმცა, არც ესაა გასაკვირი, რადგან საქართველომ არ მოახდინა ევროპის სოციალური ქარტიის იმ მუხლის რატიფიცირება, რომელიც განამტკიცებს შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების

უფლებას. შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლების გვექტურად განხორციელების მიზნით, ხელშემქვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ: „აღიარონ მუშაკის მიერ ისეთი ანაზღაურების მიღების უფლება, რაც უზრუნველყოფს მათი ცხოვრების დირსეულ დონეს.“ საქართველომ, სამწუხაროდ, არ მოახდინა ამ მუხლის რატიფიცირება ანუ დასაქმებულმა შესაძლებელია აიღოს ისეთი შრომის ანაზღაურება, რომელიც მის დირსებას ლახავს და ეს ყოველივე კანონიერია, რაც ძალიან სამწუხაროა [1].

ქარტიის მიხედვით, ჩვენ ვაღიარებთ ქალისა და მამაკაცის თანაბარი დირებულების სამუშაოსთვის ერთგვარი ანაზღაურების მიღების უფლებას, ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის დამატებითი ანაზღაურების მიღების უფლებასაც, მაგრამ არ ვაღიარებთ (რატიფიცირება არ მოხდა) ქარტიის იმ მუხლს, რომელიც არეგულირებს ხელფასებიდან თანხის დაქვითვას. კერძოდ „ხელშემქვრელმა მხარეებმა ხელფასიდან დაქვითვები უნდა დაუშვან მხოლოდ ერთეული კანონმდებლობით ან საკანონმდებლო აქტებით, ასევე კოლექტიურ ხელშეკრულებაში ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულ შემთხვევებში,“ ამის არ აღიარებამ რა შედეგიც მოგვიტანა, ახლავე მოგახსენებთ: შრომის კოდექსის 33-ე მუხლი ითვალისწინებს თანხის დაქვითვას შრომის ანაზღაურებიდან, კერძოდ: 1. „დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მისთვის აქვს გადასახდელი.“ 2. „შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადი დაქვითვის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომითი ანაზღაურების 50 პროცენტს.“

ჩემ მიერ ზემოთ ხსენებული ქარტიის მუხლის არაღიარებამ სავალალო შედეგი მოგვიტანა. მაგალითად, განვიხილოთ ასეთი შემთხვევა: დასაქმებულს აქვს შრომის ანაზღაურება 200 ლარი, რომელიც საარსებო მინიმუმის ტოლია (სამწუხაროდ ჩვენმა ქვეყანამ 200 ლარად შეაფასა საქართველოს რიგითი მოქალაქის დირსება). თუ ამ 200 ლარიდან დამსაქმებელი დასაქმებულს დაუქვითავს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს, დასაქმებულს არასაქმარისი ანაზღაურებით დირსება ელახება, აქედან ის გამომდინარეობს რომ ადამიანის დირსების ირიბად შელახვა შესაძლებელია, ანუ თუ ადამიანს მივცემთ (დავუქვითავთ და ისე მივცემთ) შრომის ანაზღაურებას, რომელიც საარსებო მინიმუმზე ბევრად ნაკლები იქნება, ადამიანს დირსება შეელახება. ესე იგი ადამიანის დირსების ირიბად შელახვა ჩვენს ქვეყანაში კანონის ძალით ნებადართული ყოფილა, რაც ძალიან სამწუხაროა. არადა, დირსების შელახვას საქართველოს კონსტიტუციაც, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც და კიდევ ბევრი საერთაშორისო კონვენციაც კრძალავს, რომლის მონაწილე ჩვენი სახელმწიფოა.

შრომის პირობების დაცვას რაც შეეხება, შრომის კოდექსის 35-ე მუხლიდან, მე მხოლოდ I პუნქტი მიმართ მისაღებად: „დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო.“ რაც შეეხება ამ მუხლში დანარჩენ პუნქტებს, აქაც ზოგადად არის საუბარი, თუ რა უნდა გააკეთოს დამსაქმებელმა შრომის უსაფრთხო პირობების შექმნისთვის. ამ ყველაფერს იმპერატიულობის არაფერი გააჩნია, იგი უფრო მორალურ მოწოდებას პგავს. შრომის უსაფრთხო და ჯანხადი პირობები ერთეულთი სამართლიანი შრომის პირობათაგანია, ჩვენ კი ევროპის სოციალური ქარტიის ის მუხლიც არ ვაღიარეთ, რომელიც უსაფრთხო და პიგიენური სამუშაო პირობებით სარგებლობის უფლებას ითვალისწინებს. შრომის კოდექსის დიდი ნაკლი ის არის, რომ „დასაქმებული და დამსაქმებელი შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდნენ მხარის უფლებათა შეზღუდვაზე, ასეთი შეზღუდვა პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს მხარის ინტერესებიდან, უნდა იყოს გონივრული და ამ ინტერესების პროპორციული“ [4]. თუ გავითვალისწინებულ უფლებებს კიდევ შევზღუდავთ ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ და ეს მხარე უმრავლეს შემთხვევაში დასაქმებულია, ასეთი შეზღუდვით დასაქმებული გარდება შრომისათვის შეუსაბამო პირობებში.

შევჩერდებით ჩვენი შრომითი კოდექსის კიდევ ერთ ნაკლზე. 46-ე მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამია: „შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დაწესდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ და ეს შეზღუდვა შეიძლება გრძელდებოდეს არა უმეტეს 3 წლისა.“ ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს და ამ შემთხვევაშიც ადამიანი იძულების მდგომარეობაშია. საინტერესოა თუ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულს ასეთ პირობას დაგუდგენთ, ამ შრომითი ხელშეკრულების მოშლის (შეწყვეტის) შემდეგ რა უნდა ქნას დასაქმებულმა, რით უნდა იარსებოს მითითებული სამი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება ინდივიდუალური ნაწილის (ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობების) სტრუქტურას, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას წინ უძღვის „ზოგადი დებულებანი“. შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებაში კოდექსის ადგილის, ისევე როგორც შრომის სამართლის ზოგადი საფუძვლების განსაზღვრის მიზნით, ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებისას შეირჩა სისტემა, რომელიც ზოგადაბსტრაქტულ ცნებათა სისტემის პრინციპების დაცვით თანმიმდევრულად აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობიდან მის შეწყვეტამდე არსებულ ურთიერთობებს. უარი ითქვა შრომითი ურთიერთობების საბჭოური სისტემისათვის დამახასიათებელ არათანმიმდევრულ მოწესრიგებაზე, რომლის დროსაც, მაგალითისათვის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მოწესრიგების საკითხი წინ უსწრებდა სამუშაო და დასვენების დროის, ისევე როგორც, შრომის ახაზდაურების შესახებ დებულებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ დამქირავებულსა და დაქირავებულს შორის შრომითი უფლებამოვალეობანი წარმოიშობა მათ მიერ დადგებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე (ცალკეულ შემთხვევაში – მისი მომზადების სტადიაზე), კოდექსის სისტემაში თანმიმდევრულად აისახა წინასახელშეკრულებო ურთიერთობის დროს და შემდგომ შრომითი ხელშეკრულების დადების საფუძველზე წარმოშობილი მხარეთა უფლებამოვალეობები. გამონაკლისს წარმოადგენს დაქირავებულის კონსტიტუციით გარანტირებული ზოგიერთი უფლება და თავისუფლება, როგორიცაა: შრომის თავისუფლება, გაერთიანებისა (თანაბრად ვრცელდება ასევე დამქირავებელზეც) და გაფიცევის უფლებები (საქართველოს კონსტიტუციის 30-ე, 26-ე და 33-ე მუხლები). ისინი კოდექსის ზოგად დებულებებში აისახა შრომითი ურთიერთობის არსის განმსაზღვრელ მხარეთა სხვა უფლებებსა და მოვალეობებთან ერთად, რომლებიც შემდგომ დაკონკრეტებასა და გავრცობას ჰქოვებენ.

ჩემი აზრით, გამოსავალი ერთია – უნდა შეიცვალოს მოქმედი შრომის კოდექსი. ეს კოდექსი იმ პირობით იქნა მიღებული, რომ ხელს შეუწყობდა ინგესტიციების მოზიდვას ჩვენს ქვეყანაში და ამიტომ იგი უფრო მეტად დამსაქმებელზე იყო გათვლილი. ინგესტიციები და ინგესტორები ბევრი მოვიზიდეთ, ზოგს საზეიმოდაც დაგხვდით, მაგრამ მათმა უმრავლესობამ ჩვენი ქვეყანა დატოვა. თუმცა, ამას სხვა მიზეზებიც აქვთ: მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, კანონის უზენაესობის პრინციპის უგულვებელყოფა და სხვა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაუმანი ქ. 2010. დასაქმება, სოციალური უსაფრთხოება და პიროვნული კავშირები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, საქართველოს მაგალითი. ელ. ვერსია [http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/08/blog-post\\_9511.html](http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/08/blog-post_9511.html)
2. ბერეკაშვილი დ. 2010. დამოუკიდებელი ექსპრტის დასკვნა „საქართველოს შრომის კოდექსზე“. ელ. ვერსია: <http://www.civilin.org.ge/parliament/workg.php>

3. ძამუკაშვილი დ. შრომის სამართალი. მეორე გადამუშავებული გამოცემა 2009 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით.
4. შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 2010. დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის სფერო.  
<http://www.labour.edu.ge/> data/file\_db/economist\_faculty
5. „ევროპის 1996 წლის სოციალური ქარტია”. სტრასბურგი  
<http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/PDF/Georgian/163-Georgian.pdf>
6. საქართველოს კონსტიტუცია. 2011 წლის რედაქცია.
7. შრომის კანონის კოდექსი. 2011 წლის რედაქცია.

*Rusudan Varsimashvili  
Grigol Robakidze University*

## **The Right of Labor as a Social Right in Georgia and Its Legislative Faults**

### **Summary**

All people have natural rights from birth and the State must protect them. One of the human rights is social right. Among the social rights the most important is the labor (employment) right. Employment is a condition, when a person has minimum source of living.

By establishing the social rights in Constitution (Basis of Law) the state takes the responsibility for their positive implementation. Though, social rights are one of the main rights and the state is unable to protect them.

Every government which has developed a comprehensive legal system or challenges having such systems, first of all must secure labor rights of the citizens that should be expressed by means of legislation and legitimate decisions by the court jurisdiction.

The countries mostly develop their legal systems according to their own experience or the experience of other countries. In order the own experience to become the main source for developing the legal system, three main conditions should be met. Firstly, the country with the codified legal system should possess the legislative traditions with at least partly expressed legal principles specified by the codification.

Secondly, the great court practices with the demand of civil turn-over regulating process in a new manner. The third condition is to have the doctrine proving the necessity of systemized law. Unfortunately, Georgia, as most of the Post-Soviet countries, lacks such happiness.

The international agreements relating to the above issues reinforce the social right of the society and form certain standards. Such standards are protected by the United Nations and the conventions adopted by the Council of Europe. The most important is the European Social Charter which was ratified by the Parliament of Georgia on July 1, 2005. It essentially regulates the ways of the protection of human social rights and their implementation. Other international agreements may exist only for recognizing such rights. Development of such agreements had specific social reasons in the period when they were made.

Regarding the European Social Charter, I will discuss this document in relation to Georgian Labor Code as the main reason of my article is to discuss one of the human social rights which is the labor right. As it has already been mentioned, the principle of the social country is met in the preamble of the Constitution of Georgia, article 2. The article 30 of the Constitution of Georgia refers to and reinforces the labor rights. This article sets the labor freedom and entrepreneurship, freedom of competition. This article also sets the

guarantees of Georgian Citizens' labor rights outside of Georgia. Everything this is very important, but the given article aims to discuss what Georgian Law does to protect the labor rights inside the country.

Let us discuss how it is possible to protect fair labour conditions in our country. Social conditions are the most valuable rights. It is impossible to create and protect worthy social conditions without getting the active support from the state. Education, social security need funds unlike the labor rights. Of course, if we do not consider the program of protection against unemployment which in our country does not actually work. For normal implementation of the labor rights the well-organized legislative base should necessarily exist which should vividly depict the rights and responsibilities of the parties being in labour relationship. The protection of social rights cannot be fully developed and none of the developing countries is able to fully manage it.

It is interesting how flawless our legislation is. It is also important to discuss the European Social Charter and the American labor legislation in correlation to the labor legislation of our country. The European Charter is notable because it describes the ways of implementing and protecting the social rights set by the countries participating in the Charter.

The Labour Code came into force on May 25, 2006. It caused diversity of opinion among scholars and even the authors of this code. Besides, Trade Unions of Georgia had a negative attitude towards the code. The authors of the code thought that it would contribute to attracting foreign investments in Georgia which would create jobs and develop the economy. The critics of this code believed that it was not possible to take into consideration only employers' interests to the detriment of employees' interests. The Labor Code was negatively estimated also by foreign experts.

Despite the above mentioned, the Parliament of Georgia still adopted the Labor Code. I would like to offer my suggestion on the faults found in the Labor Code. In I chapter of the Labor Code are discussed the introductory statutes and the subjects of the labor relations. In II chapter of the Labor Code is considered the concept of the labor relations which is evolved on the bases of the equality and agreement of the parties. The Labor Code also prohibits any kind of oppression of a person, aimed at or causing creation of harassing, hostile, humiliating, dignity harming or insulting environment. Everything this is very important, but the paragraph 5 of the article 2 of the Labor Code states that "the necessity of making distinction between the people judging from the essence, specifications of the employment or the conditions of its performance, which serves to achievement of legitimate goal and is the reasonable and necessary way of its achievement shall not be deemed as discrimination". At the first glance nothing is controversial in this article, but unfortunately, the labor relations are developed on the bases of this fault of the law, during which the discrimination is necessary. In our country it is often based on the disparity in age and sex which is beyond the scope of the law.

According to the charter, we recognise the right of men and women workers to equal pay for work of equal value, also the right of workers to an increased rate of remuneration for overtime work, but they do not recognize (is not ratified) the articles of the charter which regulates deduction from wages. Particularly, "The contracting parties should permit deductions from wages only under conditions and to the extent prescribed by national laws or regulations or fixed by collective agreements or arbitration awards". Below is given the result caused by not recognizing the above mentioned: The article 33 considers deduction from labor remuneration, namely: 1. "An employer has a right to deduct from an employee's labor remuneration the surplus amount or any other amount which has to be paid to an employer by an employee based on labor relations". 2. "The total amount of deduction made from the labor remuneration shall not exceed 50 % of the labor remuneration".

Safe and healthy labor conditions in one of the fair labor conditions, but we did not recognize even that article of the European Social Charter which considers the right of using safe and hygienic working conditions. The great fault of the Labor Code is that an employee and an employer can agree on limiting the rights of the party. Such restriction should directly come from the party's interests, should be reasonable and proportional to these interests. If we take into account the fact that we will still restrict the rights considered by the Labor Code for the benefit of one of the parties and this party is employed in most cases, with such restrictions an employee appears in unsuitable labor conditions.

One more fault of the Labor Code is also noteworthy. In III part of the article 46 is stated the following: "A contract may specify an employee's obligation that he/she shall not use the knowledge and qualifications obtained while performing the duties under the labor contract in favor of any rival employer. This restriction may remain in force no more than 3 years". It contradicts the human rights and in this case people are under constraint. It is interesting, if such conditions are laid down to an employee employed by the labor agreement, what he/she can do after the termination of this agreement, how he/she can live during the mentioned three years.

Since the employer-employee rights and obligations arise on the basis of the labor agreement between them, the rights and obligations of the parties, arisen on the basis of signed labor agreement, were consistently given in the code system. An exception is some of the employee's constitutionally guaranteed rights and freedom such as freedom of labor, the right to join (also applies to an employer) and the right to strike (Articles 30, 26 and 33 of the Constitution). They were given the general statute of the code together with the other rights and obligations determining the the essence of the labor relations which were concretized and developed later.

To my mind there is only one way out - the current labor code should be changed. This code was adopted on the condition that it would contribute to attracting investments in our country and therefore it was more figured on an employer. We attracted a lot of investments and investors, but most of them left our country. Though, it has other reasons as well: the world economic crisis, neglecting the principles of the supremacy of law, etc.

*ქვეყნის კუთხით  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*

**შვილად აყვანის ინსტიტუტის ისტორიული მიმოხილვა ძველ რომში და  
მისი სამართლებრივი რეგულირება ძველ ქართულ სამართალში**

ოჯახი, ადამიანთა ერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფორმაა. ეს ის მოკროსამყაროა, რომელშიც იზრდება და ყალიბდება პიროვნება საზოგადოების წევრად. მაგრამ მათ უზრუნველყოფს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას და ასრულებს ბავშვის აღზრდის

ფუნქციას [1, 67]. სწორედ ამიტომ, ბავშვის ინტერესების დაცვა ყოველთვის იყო და არის ქართული სამართლის განსაკუთრებული უურადღების საგანი.

შვილება ძველ ქართულ საოჯახო სამართლაში ერთ-ერთ უძველეს ინსტიტუტს წარმოადგენდა. ეს უპირველესად განპირობებული იყო იმით, რომ მას დიდი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინტერესების დაცვა და ბავშვებისთვის ცხოვრების იმავე პირობების შექმნა, რაც მათ ექნებოდათ მშობლიურ გარემოში, ოჯახში ცხოვრებისას, ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ამოცანას [2, 54].

თუმცა, ამ ინსტიტუტის წარმოშობა არ დაწყებულა ძველი ქართული სამართლით და მან გამოყენება ჯერ კიდევ რომის სამართლაში ჰქონდა.

რომში შვილად აყვანა ორ სახეობად იყოფოდა, რომელთაგან ერთი “ადოფციოს” სახელით იყო ცნობილი, ხოლო მეორე – “ადროგაციოდ”. “ადროფციო” აღნიშნავდა ოჯახის შვილის შვილად აყვანას, “ადროგაციო” კი თავისუფალი პირის შვილებას. როგორც წესი, შვილება ორნაირად ხდებოდა: ან პრინცეფისის, ან მაგისტრატის ხელისუფლებით. პრინცეფის ხელისუფლებით შვილად იყვანდნენ იმას, ვინც თავისუფალი იყო, ხოლო მაგისტრატის ხელისუფლებით შვილად აყვანდათ ის, ვინც მეურვეობას ექვემდებარებოდა. ამასთან, ყურადსაღებია ის, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა ასაყვანი ბავშვი პირველი კატეგორიის ბავშვი იქნებოდა, როგორიცაა ვაჟიშვილი და ქალიშვილი, თუ უფრო დაბალი კატეგორიის, როგორიცაა ვაჟი-შვილიშვილი, ქალი-შვილიშვილი, ვაჟი-შვილის შვილი თუ ქალი-შვილიშვილის შვილი. თუმცა, ამ ორივე სახეობისთვის საერთო იყო ის, რომ იმ პირებს, რომლებსაც შვილის გაჩენა არ შეეძლოთ, როგორც მაგალითად საჭურისებს, უფლება ჰქონდათ, შვილად აეყვანათ მათთვის სასურველი ბავშვი ერთ-ერთი ხელისუფლების გამოყენებით [3, 49-50].

რომაული სამართალი შვილად აყვანას განიხილავდა, როგორც მშვილებლის ძალაუფლების დამყარებას სხვის შვილებზე ნათესაობის მსგავს ურთიერთობათა წარმოშობასთან ერთად. ნაშვილები თავისუფლდებოდა უწინდელი მამობრივი ძალაუფლებისაგან და მთლიანად შედიოდა შვილად ამყვანის ოჯახში. შესაძლებელი იყო ასევე არარომატელი ბავშვის შვილებაც, რომელსაც ენიჭებოდა თავისუფალი მოქალაქის სტატუსი [4, 105].

შვილად აყვანის ძირითად დანიშნულებას მისი განვითარების პირველი ეტაპზე წარმოადგენდა ოჯახისათვის ვაჟის აუცილებელი ყოლა, რადგან რელიგიური ადათი ოჯახის უფროსისაგან მოითხოვდა ვაჟის ყოლას კერის სიწმინდის დასაცავად, და თუ ბუნება არ აძლევდა ოჯახის უფროს ღვიძლ შვილს ვაჟის სახით, მას ოჯახში უცხო, სხვისი ვაჟიშვილი უნდა მიეღო. საინტერესოა ისიც, რომ ბრძანსაც კი შეეძლო შვილად აყვანა [9, 401].

რომაული საზოგადოების კლასობრივ ფენებად დაყოფის პერიოდში, შვილად აყვანა ქცეული იყო პოლიტიკურ ხერხები დიდგვაროვანი პატრიციუსების გვარების შესანარჩუნებლად, გასაგრძელებლად და თვით პატრიციატის საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენელთა შესავსებად და გასაახლებლად [9, 402]. იშვიათად, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში, შვილად აყვანა მშობლიურ გრძნობათა დაკმაყოფილების საშუალებასაც კი წარმოადგენდა [8,301]. შვილად აყვანის შედეგად დირსება არ მცირდებოდა, არამედ მატულობდა კიდეც, თუკი სენატორს პლებსი (წარმომადგენელი) შვილად აიყვანდა, ის სენატორადვე რჩებოდა [3, 55].

შვილად აყვანის დროს იკვლევდნენ, ხომ არ იყო მშვილებელი ასაკით სამოც წელზე უმცროსი, რადგან ამ შემთხვევაში მას უნდა ეცადა საკუთარი შვილი გაეჩინა, თუ, რა თქმა უნდა, ავადმყოფობა ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, ან კიდევ სხვა რამ ხელს არ

უშლიდა საკუთარი შვილის ყოლას. ასაკით უმცროსს არ ჰქონდა მასზე უფროსი პირის შვილად აყვანის უფლება.

ძველ რომში, მაშინ როცა შეზღუდული იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა, შვილად აყვანას, როგორც “ფსევდოშვილებას”, აკრობირებულ ხერხად იყენებდნენ. მიწის ნაკვეთის გამყიდველს შვილად აჲყვადა მისი მყიდველი და მას, როგორც შვილს, თავისი მიწებიდან გამოუყოფდა სამკიდრო წილს. ხოლო ნაშვილები მშვილებელს აძლევდა მიწის ფასის შესაბამის საჩუქარს [8, 301]. ცხადია, რომ ხენებულ შემთხვევაში შვილად აყვანა მოწვენებით ხასიათს ატარებდა.

რომის სამართალში ფეხმოკიდებულმა ამ ინსტიტუტმა კვალი დაამჩნია კანონმდებლობის განვითარებას როგორც რომის იმპერიის შემავალ ქვეყნებში, ასევე მისი რდვეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებში. შესაბამისად, აღნიშნულმა თავისებური გავლენა იქონია აღმოსავლეთის ქვეყნების კანონმდებლობათა განვითარებაზე, მათ შორის, ქართული სამართლის ჩამოყალიბებაზეც.

შვილად აყვანა ქართული სამართლისათვის კარგად იყო ცნობილი, თუმცა ამ ინსტიტუტის განვითარების ისტორია არ ყოფილა ერთგვაროვანი. იგი ძირითადად უკავშირდებოდა საოჯახო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიც იყო ანდერძის ინსტიტუტი [5,126].

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში შემონახული კანონმდებლობის დადგენილება შვილებული სიძის შესახებ ანდერძის თავისუფლების სუროგატს წარმოადგენდა. თუ სიძე სიმამრის სახლში ოფიციალურად იქნებოდა შესული, იგი დეილი შვილის უფლებებით სარგებლობდა და თავისი სიმამრის უძრავი ქონების –მამულის მემკვიდრედაც შეიძლებოდა ყოფილიყო აღიარებული, რაც მფლობელობის გასხვისების აკრძალვის პირობებში ფაქტობრივი განკარგვის საშუალება იყო.

ვახტანგის სამართლის წიგნის 261-ე მუხლი ისევ უბრუნდება ანდერძის საკითხს: “თუ ერთმა კაცმან უმმომ, უსახლისკაცომ, გაყრილმან, უშვილომ, ცოლმან და ქმარმან ერთის სხვის კაცის შვილი დედმამიანი თუ უდედმამოდ ნაპოვნი, ობოლი ვინმე გაგდებული იყიდოს, თუ იპოვოს, იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და და ქონება შვილისებრ მიასაქუთროს მას და უანდერძოს” [5,131].

სამართლის წიგნის 261-ე მუხლის სხვა ვარიანტში ვკითხულობთ: “ვინც აიყვანოს ყმაწვილი ან იპოვოს და გაზარდოს, იმისი ასრე იქნას, იმ კაცზე კიდია, თუ უნდა, თავის შვილად გაზრდის და თუ უნდა თავის ყმად”. იმავე საკანონმდებლო ნორმაში სხვა ადგილას ლაპარაკია იმაზე, რომ “იქმნების შვილად კი არა ისრე სასამსახუროს ცოლქმართ ერთად იყიდონ სამსახურისა თუ მადლისათვის”-ო. საკანონმდებლო ნორმებიდან ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტები ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აღნუსხულ ეწევ “სახლისშვილობის” ინსტიტუტს მოგვაგონებს [9, 405].

ნათელია, რომ ფეოდალურ საქართველოში ანდერძით სიძის შვილებაც იყო შესაძლებელი. აღნიშნული პერიოდის საქართველოში შვილად აყვანის ინსტიტუტი ისე გავრცელებული ყოფილა, რომ დოკუმენტის სპეციალური სახეობაც კი შექმნილა, რომელსაც “ნაშვილობის წიგნი”, ანუ სიგელი ეწოდებოდა და რასაც ხშირად მევე ამტკიცებდა. [5, 132] ერთ-ერთ საბუთში ნახსენებია: ”ურდოელასშვილისა ნაშვილებიცა იყვენით და ნაშვილეობისა (sic) გქონდა... ურდოელასშვილისაგან ნაშვილეობისა სიგელი და ნიშანი თქუენ გქონდა”-ო [11, 47].

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „შვილო ოჯახის პატრონს შეეძლო თავის სურვილისამებრ ვინმე ეშვილნა, „გაეზარდა შვილად”. ეს „შვილი გაზრდილი” მისი მამობილის გარდაცვალების შემდგომ მისი მემკვიდრეობა ხდებოდა.

სიძის შვილად აყვანის საკმაოდ მრავალი ფაქტია მოღწეული მე-15-18 საუკუნის საქართველოდან. ერთი დოკუმენტის მიხედვით, ზესიდე ინარჩუნებს რა თავის გვარს (მიქაელ) ჩასიძებასთან დაკავშირებით ცოლის გვარს იმატებს და ხდება მიქაელ-ფალაგანდიშვილი.

აღსანიშნავია, რომ შვილად ამყვანი (მშობელი) შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო ფიზიკური პირი, არამედ იურიდიული პირიც.

გლეხის უქანონო შვილს არ გააჩნდა მემკვიდრეობის უფლება, რომელიც შეზღუდულიად, მაგრამ მაინც პქონდა აზნაურის ნაბიჭვარს. ამიტომ გლეხების უქანონო შვილებს ან სხვა უქავებალექურებრ დარჩენილ ბავშვებს, ძირითადად, ეკლესია პატრონობდა და შვილად აჟავდა [8, 302]. შემონახულია 1545 წლით დათარიღებული საბუთი, რომ გენათელი მელქისედექ საყვარელიძე იმერეთის მეფეს, ბაგრატ მესამეს თხოვს, რომ მან, მეფემ მელქისედექის მიერ აღზრდილი ივანე ცაგრილაძე ცნოს ეკლესიის მიერ შვილად აყვანილად. მეფემ დააკმაყოფილა მელქისედექ საყვარელიძის თხოვნა და, გარდა ამისა, ცაგრილაძეს უწყალობა მამული და სამოსახლო ადგილი. აგრეთვე ივანე ცეკლაძის ბეითალმანი მამული – გელათის მონასტრის სამრეკლოს ქვეშ სასაფლაო და ოთხი კომლი გლეხი ს. ოდონგანში [5,137].

აღნიშნული სახით საქართველოში შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობები არსებობდნენ ფეოდალური წყობილების დასრულებამდე, ვიდრე არ დამყარდებოდა სრულიად ახალი წყობა-სოციალისტური საზოგადოების სახით, რომელსაც შესაბამისად გააჩნდა თავისი სამართლებრივი რეჟიმი სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართ და, მათ შორის, საოჯახო სამართალში არსებული, შვილად აყვანის ინსტიტუტის მიმართაც [6, 6].

შვილად აყვანის სამართლებრივი რეგულირების ნორმებს საბჭოთა საოჯახო სამართალშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. შვილად აყვანის ინსტიტუტის დედაბირი იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვებს, რომელთაც არ ჰყავდათ მშობლები ანდა მოკლებული იყვნენ განსაზღვრული მიზეზით მშობლიურ მზურნებლობას, ენიჭებოდათ ის, რასაც შვილებისთვის საბჭოთა ოჯახი აძლევდა [12, 32].

საბჭოთა კანონმდებლობით დაშვებული იყო მხოლოდ მცირეწლოვნისა და არასრულწლოვნის შვილად აყვანა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მშობლიური ვალდებულება შვილების მიმართ ძირითადად სრულწლოვნების მიღწევამდე გრძელდებოდა. საბჭოთა სამართლის ასეთი მიღვომა თავის თავში უკვე გამორიცხავდა სრულწლოვნი პირის შვილების შესაძლებლობას და ამ მხრივ იზღუდებოდა სრულწლოვნის უფლებებიც. შვილად აყვანისთვის აუცილებელი იყო არამარტო ის, რომ შვილად ასაყვანი არასრულწლოვნი ყოფილიყო, არამედ შვილება ბავშვის ინტერესების სასარგებლოდაც უნდა მომხდარიყო.

არ შეიძლებოდა ათი წლის ასაკამდე მიღწეული ბავშვის შვილად აყვანა, მისთვის გვარისა და მამის სახელის მიცემა შვილად ამყვანის სახელის მიხედვით, აგრეთვე შვილად ამყვანთა ჩაწერა შვილად აყვანილის მშობლებად, უკეთუ არ იქნებოდა შვილად ასაყვანის თანხმობა. ამასთან, რამდენიმე პირის შვილება დაიშვებოდა [7, 29].

შვილად აყვანა უმთავრესად ბავშვთა სახლიდან ხდებოდა. საბჭოთა კანონი უშვებდა რამდენიმე ბავშვის შვილად აყვანასაც შემთხვევასაც, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა შვილად ასაყვანის და ასევე ამყვანის სოციალურ-

საყოფაცხოვრებო პირობების წინასწარი შემოწმება. მოგვიანებით შვილების ინსტიტუტის გაუქმების საკითხიც დადგა დღის წესრიგში, რამაც ასახვა პპოვა 1918 წლის 16 სექტემბრის ”მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების, საქორწინო, საოჯახო და სამურველო სამართლის კანონების შესახებ“ კოდექსში.

ამ კოდექსის 183-ე მუხლი ადგენდა, რომ ”აღნიშნული კოდექსის მიღების შემდეგ აღარ დაიშვებოდა არც საკუთარი და არც სხვისი ბავშვების შვილად აყვანა.“ ყოველგვარი შვილად აყვანა, წარმოებული მითითებული მომენტის შემდეგ არ წარმოშობდა არავითარ უფლებებსა და მოვალეობებს შვილად ამყვანთა და შვილად აყვანილისთვის” [6, 7].

ობოლი ბავშვების აღზრდაზე ზრუნვას დადებითი მნიშვნელობა პქონდა, რის გამოც შვილად აყვანის შემდგომი აკრძალვა მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. ამასთან დაკავშირებით, რსფსრ-ს და სცაკისა და სკს-ს 1926 წლის 1 მარტის დადგენილების ძალით შვილად აყვანის ინსტიტუტი აღდგა.

1926 წელს გამოცემული კოდექსის მიხედვით, შვილად აყვანის წესი არ ითვალისწინებდა აგრეთვე მისი გასაიდუმლოების უზრუნველყოფას. იგი ფორმდებოდა სპეციალური მოწმობით, რომელშიც ფიგურირებდნენ მხოლოდ ნაშვილები და მშვილებლები (მშობლები არა).

დროთა განმავლობაში იცვლებოდა კანონმდებლობაც. თუმცა მისი ამოსავალი წერტილი მაინც ბავშვის ინტერესები იყო. სწორედ ამ თვალსაზრისით, 1943 წლის 8 სექტემბერს ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა ბრძანებულება ”შვილად აყვანის შესახებ”, რომელმაც მშვილებელი არა მხოლოდ ფაქტობრივად გაათანაბრა დვიძლ მშობელთან, არამედ საშუალება მისცა მას, აღნიშნული ფაქტის რეგისტრაციის დროს დვიძლ მშობლად ჩაწერილიყო, რაც გარკვეულწილად თვით ნაშვილების მიმართ უხერხულობასაც ხსნიდა. ასეთი ფორმა არსებობდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე [9, 408].

შემდგომ პერიოდში, საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფასთან ერთად, ნათელი გახდა, რომ შვილად აყვანის ინსტიტუტი მოითხოვდა შემდგომ განვითარებასა და დახვეწას, რაც მიღწეულ იქნა საქართველოში 1970 წლის 18 ივნისს ”საქორწინო და საოჯახო“ კოდექსების მიღებით. ამ უკანასკნელში საბოლოოდ გაესვა ხაზი იმას, რომ ”ნაშვილები და მისი შთამომავლობა-მშვილებლისა და მისი ნათესავების მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები – ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლებებითა და მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს“ (საქორწინო და საოჯახო კოდექსის 114-ე მუხლი).

კანონმდებლობის შემდგომი განვითარება მიჰყებოდა და დღესაც მიჰყება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და შვილად აყვანის ურთიერთობათა სტაბილური უზრუნველყოფის გზას [6, 9].

დასასრულისთვის შეიძლება დავასკვნათ, რომ შვილად აყვანის ინსტიტუტის სამართლებრივი ნორმები წლების მანძილზე ვითარდებოდა და კანონმდებლების მიერ თუ მუდმივ დახვეწას ექვემდებარებოდა.

აღნიშნული ფაქტი თვალნათლივ მიგვანიშნებს იმას, რომ შვილად აყვანა მაღალი სოციალურ-ზნეობრივი ღირებულების მატარებელია და მისი რეგულირება მხოლოდ კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ ნორმებში ის პოზიტიური შეხედულებებიც უნდა აისახოს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს და ხელი შეუწყვეს შვილად აყვანის ინსტიტუტის დღემდე მოგანას და მის დირსეულ დამკვიდრებას ახალი სამოქალაქო სამართლის ნორმატიულ აქტებში.

ბამოყვებული ლიტერატურა

1. ბექაიძე გ. 1980. ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები. თბილისი: "მეცნიერება".
2. მელიქიშვილი დ. 1983. შვილად აყვანის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა. საბჭოთა სამართლი (3)
3. სურგულაძე ნ. 2000. რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს დიგებები, თბილისი: მერიდიანი.
4. მეტრეველი ვ. 2009. რომის სამართლი (საფუძვლები), თბილისი: მერიდიანი.
5. ნადარეიშვილი გ. 1996. ძეგლი ქართული საოჯახო სამართლი. თბილისი: სამთავისი.
6. ნადიბაძე ლ. 1998. შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი: თსუ.
7. საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი -1955წ. 1აპრილის მდგრმარეობით, თბილისი: სახელგამი.
8. შენგელია რ., შენგელია ე. 2009. საოჯახო სამართლი (თეორია და პრაქტიკა) თბილისი: მერიდიანი.
9. ჩიკვაშვილი შ. 2004. საოჯახო სამართლი, თბილისი: მერიდიანი.
10. ჯავახიშვილი ივ. 1984. თორმეტ ტომად, ტომი VII, ქართული სამართლის პისტორია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი.
11. ჯავახიშვილი ივ. 1926. ქართული ხიდელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. ჯორბეგაძე ს. 1957. საბჭოთა საოჯახო სამართლი, თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი.

**Ketevan Kukhianidze**  
*Grigol Robakidze University*

### **Historian Review of Adoption Institute in Ancient Rome and Its Legal Regulation in Georgian Law**

Family is one of the important historical forms of human unity. This is a micro universe in which a person is growing and becoming a member of the unity. Family provides continuation of humankind and performs the function of child upbringing [1, 67]. For this reason, a child's interests have always been a special focus of Georgian Law.

Adoption was one of the oldest institutes in the ancient Georgian family law. This is primarily due to the fact that it had a big state and social value.

Protecting the interests of orphan children and creating for them the same conditions as they would have in their native environment has always been important for the country [2, 54]. This institute did not start in the ancient Georgian law and it was used still in Roman law.

Adoption was divided in two parts in Rome, from which one was known as "adoptio" and the second was named as "adrogatio". "Adoptio" meant the adoption from a family. "Adrogatio" meant adoption of a free person. As a rule it happened in two ways: by the principate or by the magistrate rules. By the principate rule were adopted free ones and by the magistrate rule those who were under parents' subordination. In addition, it is notable that it did not matter whether he or she was a child of the first category, such as son or daughter, or of the lower category, such as grandson or granddaughter, or the child of the son, or the child of the daughter. An individual who could not have children (for example eunuchs) had the right to adopt a child by one of these rules [3, 49-50].

Roman law considers adoption as the fact of subordination on a child among the origination of kinship-like relationship. An adopted child was freed from the old paternal authority and wholly entered into new family. It was possible to adopt a non Roman child who was given the status of free citizen [4,105].

The main purpose of adoption on the first stage of its development was the necessity for families to have a son as the religious tradition demanded from the head of a family to have a son to preserve its integrity. If nature did not give him a son, he had to adopt someone else's son. It is also an interesting fact that even a blind man had a right to adopt a child [9,401].

In the period of the division of Roman society into class strata, adoption became a political way to maintain and continue names of nobles [9,402]. Senator adopted by Plebeian would still remain a Senator [3, 55]. Adoption was not secretive or considered shameful, nor was an adopted boy expected to cut ties to his original family. An adopted child was often in a privileged situation. Almost every politically famous Roman family used it.

During the adoption it was investigated whether adoptive parents were not under 60. In this case they had to try to have their own child. Younger men had no right to adopt an older person.

In ancient Rome was banned sale and purchase of land. For this reason adoption as "pseudo" adoption was used as an approved form. A land seller was adopting a land purchaser and gave him/her the share of the inheritance. In return, an adopted person had to give an appropriate gift for the land price [8,301].

Adoption institute in Roman law affected the development of the legislation not only in the countries of the Roman Empire, but also in other countries emerged as a result of its collapse. Consequently, the mentioned fact had certain influence on the development of the legislations of Eastern countries, among them on the formation of Georgian law. History of the development of the adoption institute was not simple. It was related to such important institute of family law as the institute of wills [5,126].

In the Law book of Baghrat Kurapalati is saved the legislation Decree about an adopted son-in-law. This Decree is a surrogate of wills. If a son-in-law officially entered the house of a father-in-law, he had the same rights as an own son and could be acknowledged even as a successor.

In the Article 261 of the Book of Law by King Vakhtang is written: "If one without brothers, relatives, divorced, childless buys, finds, adopts and brings up someone's child, with or without parents had to give him his/her land and property" [5,131].

In the other version of the Article 261 of the same Book we read: "One who finds a child and adopts him, can make him whether as own son or as a slave." These excerpts remind us also other Georgian ethnographic materials [9,405].

Obviously, in the Feudal Georgia it was also allowed to adopt a son-in-law.

Academician Ivane Javakhishvili noticed that childless families in Georgia could adopt someone. A foster son had a right to inherit a foster-father's property after his death.

Many facts are described concerning adoption of son-in- law from XV-XVIII century Georgia. According to one such document, a son-in-law used both - his own surname (Mikadze) and his wife's surname. He became Mikadze-Palavandishvili.

It should be mentioned that adoptive parents could be not only physical persons but juridical persons too. Illegitimate children of a peasant did not have the right on inheritance. Illegitimate children from principality had limited such rights. For this reason, a peasant's illegitimate children or other careless children were adopted generally by church. In one document which is saved and dated from 1545 is stated that Genateli

Melkhisedek Sakvarelidze asks the King Bagrat III of Georgia for the right to recognize Ivane Tsagriladze as an adopted son by the church. The King satisfied Melkhisedek Gaenateli's petition and also gave him the estate and land [5,137].

Relationships related to adoption existed in Georgia until the end of Feudal order, until the new social order was established which had its own legal regime towards different public relations.

The norms of legal regulations of adoption were very important also in the Soviet family law. The main thing was the question concerning homeless and careless children's appropriate living conditions [12, 32].

The Soviet Law allowed adoption only young individuals under the age of 18, because adoptive parents mostly were obliged to take care of adopted children until attained maturity. Such approach of the Soviet Law eliminated the chance of adoption. Therefore, full age persons' rights were diminished. In order to adopt a child not only his/her age had to be taken into consideration, but also his/her interests.

Law banned adoption under 10 years old child. Adoptive parents could not give him/her their name without an adopted person's consent. They could adopt two or more persons as well [7, 29].

Adoption happened mainly from children's houses. The Soviet law admitted the cases concerning adoption of two or more children. Pre-condition was to check out social and living conditions of adoptive and adopted persons. Later, the adoption institute was banned what was reflected in the Code "About citizenship, marriage, family and trustees" - September 16, 1918.

According to the article 183 of this Code, this article prohibited adoption of a foster child: "Every adoption after this moment did not produce any rights or obligations" [6, 7].

The fact of bringing up careless and homeless children had great positive significance. Because of this, furthermore prohibition of adoption was cancelled. According to the Decree of Russian Federation of March 3, 1926 the adoption institute was renewed.

According to the Code of 1926, the adoption rule did not consider keeping this information in secret. Special documents were formed so that there were named only adoptive and adopted persons (not real parents).

Laws were changed during the time. A child's interests remained the main thing in new laws as well. According to this, on September 8, 1943 authorities received the Decree "About Adoption". According to this law, an adoptive person became equal to a real parent. Such form existed until the collapse of the Soviet Union [9,408].

Finally, it can be concluded that adoption has high social-moral values and its regulations should not be restricted only by imperative demands. Those positive attitudes should be reflected in norms which contributed to bringing the institute of adoption until now and establishing it in the normative acts of the new civil law.

**მარი ქოქიაშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

## საქონლის ხარისხის პონტიფიციური და პაპურისმამათებულობის განაწილება ზოგადი ხელშეკრულებაში

ფრენშაიზის მიმცემის მიერ კონტროლის განხორციელება ფრენშაიზის მიმღების მიერ ფრენშაიზინგის სისტემის გამოყენებაზე, მეტისმეტად მნიშვნელოვანია საწარმოს სათანადოდ მუშაობისა და ფრენშაიზის მიმცემის ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების, კერძოდ, მისი განმასხვავებელი ნიშნების დაცვის უზრუნველყოფისთვის. ასეთი კონტროლი აუცილებელია, რადგან ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მოქმედებისას ფრენშაიზის მიმცემი საზოგადოების თვალში პირდაპირ ასოცირდება ფრენშაიზის

მიმდებთან. ამგვარად, ფრენშაიზის მიმცემის განმასხვავებელი ნიშნების რეპუტაციითა და “გუდვილის” შენარჩუნებით ორივე მხარე დაინტერესებული. რაც შეეხება ფრენშაიზის მიმდების მიერ წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს, ფრენშაიზის მიმცემი, ხვეულებრივ, მოითხოვს ინსტრუქციათა და რეკომენდაციათა დაცვას, რომელსაც შეიცავს საექსპლუატაციო სახელმძღვანელო, აგრეთვე, ინსპექციის განხორციელების უფლებას, რომელიც ეხება ფრენშაიზის მიმდების საჭარმოს საქმიანობას და საჭირო ნედლეულისა და მასალების შეკვეთებს უშუალოდ მასთან, ან სხვა ადგილას, მაგრამ მისი რეკომენდაციით ან მოწონებით.

ფრენშაიზის მიმდები ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ან მომსახურების ხარისხის დონე, ისე როგორც, ამას მოითხოვს ფრენშაიზის მიმცემი. ეს კი თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს ფრენშაიზინგის მიმდებისთვის კონტრაჟენტების შეზღუდვით. მაგალითად, სწრაფი კვების ობიექტებში მათთვის საკვები პროდუქტების მომწოდებელი კომპანიების ზუსტი განსაზღვრით, თუნდაც ისინი, სხვებთან შედარებით, უფრო მაღალ ფასად აწვდიდნენ საჭირო ნედლეულს ან პროდუქტს [38].

თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, მაშინ ფრენშაიზის მიმდებს შეუძლია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო, თუმცა ამან შეიძლება გამოიწვიოს ფრენშაიზის მიმცემის რეპუტაციის შედახვა. ზოგიერთ შემთხვევაში ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში შეიძლება ჩადებული იყოს პირობა იმისა, რომ ფრენშაიზის მიმდებს უფლება ჰქონდეს მიიღოს ინფორმაცია ფრენშაიზის მიმცემის შედახვა. სწორედ ამის თავიდან აცილების მიზნითაა განკუთვნილი აღნიშნული პირობა. ფრენშაიზის მიმდების მიერ ფრენშაიზის მიმცემთან შეუთანხმებელი, არაკონკურენტული საქონლის გასაღება ფრენშაიზინგის “იტალიური ვარიანტითაა” ცნობილი, რადგან იგი პირველად იტალიაში იქნა გამოცდილი [35].

აშკარაა, რომ ფრენშაიზის მიმცემს სრული უფლება აქვს მოითხოვოს ფრენშაიზის მიმდების საჭარმოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი ფრენშაიზინგის სისტემის ორივე მხარის ინტერესების დასაცავად. მიუხედავად ამისა, საჭიროა დავრწმუნდეთ, რომ ასეთი მოთხოვნა არ არღვევს ეროვნულ კანონმდებლობას კონკურენციის შესახებ. მეორეს მხრივ, ეროვნული კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ ხშირად მოითხოვს ლიცენზიისაგან მისი ლიცენზიირებული სასაქონლო ნიშნების გამოყენების კონტროლს სალიცენზიო კონტრაქტების ძალაში შენარჩუნების მიზნით. იმის გამო, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, როგორც წესი, შეიცავს სასაქონლო და სხვა განმასხვავებელ ნიშნებზე უფლებების ლიცენზიორებას, ასეთი კონტროლის განხორციელების მოთხოვნა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ ფრენშაიზის მიმდებმა უნდა დაიცვას ფრენშაიზის მიმცემის რეკომენდაციები, რომელიც ეხება საჭარმოს საქმიანობის ორგანიზებას, განსაკუთრებით კი საექსპლუატაციო სახელმძღვანელოში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს. ფრენშაიზის მიმდები ვალდებულია დანერგოს ყველა ცვლილება, გაუმჯობესება-სრულყოფა ან სიახლე, რომელიც შეტანილია საექსპლუატაციო სახელმძღვანელოში. იმისათვის, რომ ფრენშაიზის მიმცემს მიეცეს შესაძლებლობა, დარწმუნდეს, რომ მისი მოთხოვნები სრულდება, ფრენშაიზინგის ხელშეკრულება უზრუნველყოფს ფრენშაიზის მიმცემის უფლებას, განახორციელოს საჭარმოს პერიოდული

საინსპექციო შემოწმება. შეიძლება გათვალისწინებული იყოს ფრენშაიზის მიმცემის უფლებაც, ჩაატაროს ფრენშაიზული საწარმოს თანამშრომელთა და კლიენტების გამოკითხვა.

როგორც უპე აღინიშნა, ფრენშაიზის მიმცემი დიდად არის დაინტერესებული იმით, რომ ფრენშაიზის მიმღების საწარმოს საბოლოო პროდუქცია პასუხობდეს მის მიერ დადგენილი ხარისხის მინიმალურ სტანდარტებს. საბოლოო პროდუქციის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს კონტროლის დაწესება ნედლეულის ხარისხზე [37, 56].

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დებულებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ადგილობრივ ან რეგიონულ კანონმდებლობას, რომელიც იცავს კონკურენციის თავისუფლებას. ზოგ ქვეყანაში ან რეგიონში ეს პრობლემა გადაიჭრება ფრენშაიზინგის ხელშექრულების ტექსტში ასეთ მოთხოვნათა შეტანის ნებართვის გზით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა ფრენშაიზის მიმცემის ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დასაცავად ან ფრენშაიზინგის სისტემის რეპუტაციის შესანარჩუნებლად. უფრო მეტიც, კანონები კონკურენციის შესახებ ზოგჯერ ითვალისწინებს, რომ ასეთი შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელია ნედლეულის ობიექტური ხარისხობრივი მახასიათებლების დადგენა, რაც საშუალებას მისცემდა ფრენშაიზის მიმღებს შეეძინა ნედლეული ნებისმიერი პირისაგან ამ მახასიათებლების დაცვის პირობით.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით ფრენშაიზის მიმღებს შეიძლება მოეთხოვოს, არ გაყიდოს სხვა საქონელი, გარდა იმისა, რომელიც მოიწოდა ფრენშაიზის მიმცემა. ფრენშაიზის მიმცემი დაინტერესებულია იმით, რომ არ დაუშვას ფრენშაიზის მიმღების მიერ რაიმე სახის საქონლის გაყიდვა, რომელსაც, მისი აზრით, ექნება უარყოფითი გავლენა ფრენშაიზინგის სისტემაზე, ან გაუწევს კონკურენციას მის საკუთარ საქონელს [40, 23].

მართალია, ასეთი შეზღუდვა შეიძლება გახდეს ეროვნულ ან რეგიონალურ კანონმდებლობასთან კონფლიქტის მიზეზი, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ეს გონივრულია, თუ მწარმელებლის მიერ საქონლის ასეთ გაყიდვას ან მის მიერ მომსახურების გაწევას შეუძლია გაუწიოს კონკურენცია საქონელს, რომელსაც აწარმოებს თვით ფრენშაიზის მიმცემი, და არ დაუშვას, რომ რაიმე გაუთვალისწინებელმა და კონტროლს მიღმა არსებულმა ფაქტორმა უარყოფითად იმოქმედოს ფრენშაიზინგის სისტემის რეპუტაციაზე, ან დამატებითი პასუხისმგებლობა დაკისროს ფრენშაიზის მიმცემს.

ფრენშაიზინგის მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი, განსაკუთრებით საქონლისა და მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ნაკლებადაა რეგულირებული, ამიტომ სასურველი იქნებოდა აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ნორმების დეტალურად გათვალისწინება ან დამატებით ცალკე კანონის მიღება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 614-ე მუხლი, რომლის თანახმად “ფრენშაიზის მიმცემი პასუხს აგებს ფრენშაიზინგის სისტემით გათვალისწინებული უფლებებისა და ინფორმაციისთვის. თუ იგი ბრალეულად არღვევს სახელმწიფო უფლებების გადაუდებას, ფრენშაიზის მიმღები უფლებებმოსილია შეამციროს საზღაური. შემცირების ოდენობა საბოლოოდ უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნით, რომლის ხარჯებიც ეკისრებათ მხარეებს”. ფრენშაიზის მიმცემი პასუხისმგებელია ფრენშაიზინგის სისტემით გათვალისწინებული უფლებების პირნათლად შესრულებასა და ინფორმაციის ნამდვილობაზე. ბრალეულობა შეიძლება წარმოაშვას სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად, როცა ფრენშაიზის მიმცემის საქმიანობა ყოველგვარი დასაბუთებისა და ახსნა-განმარტების გარეშე არ პასუხობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელშეკრულებო უფლების დარღვევად უნდა ჩაითვალოს არსებითი, სერიოზული დარღვევები. არსებითია ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ იქნა შეთანხმება, ან თუ ასეთად

მიიჩნევს კანონი. ანალოგიურად ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დარღვევას ადგილი აქვს ფრენშაიზის მიმღების მხრიდან [41, 41-43]. თუმცა, ერთი რამ ცხადია: სახელშეკრულებო პირობათა დარღვევა შეიძლება მოხდეს არ მარტო ფრენშაიზის მიმცემის, არამედ ფრენშაიზის მიმღების მხრიდანაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უფრო მეტიც, იგი ხშირად მეტად თავისებური და სპეციფიკურია, ვიდრე ფრენშაიზის მიმცემის გალდებულებები, რის გამოც მიმღების პასუხისმგებლობის საკითხი ყოველთვის ანალოგიის პრინციპით ვერ გადაწყდება, ამიტომ, აღნიშნული საკითხი მოითხოვს დეტალურ სამართლებრივ რეგულირებას უშუალოდ საქართველოს სამოაქალაქო კოდექსით და ან სულაც ცალკე კანონით.

არსებით დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს ფრენშაიზის მიმღების მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობა, მაგალითად, გადაცემული ინფორმაციის კონფედენციალურობის დარღვევა, გადასახადების გადაუხდევლობა, ფრენშაიზის მიმცემთან შეთანხმებული ხარისხის სტანდარტების დაუცველობა, საქონლის შეთანხმებული რაოდენობის გაუსაღებლობა, ანდა, შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდება, როდესაც ფრენშაიზის მიმცემი მოქმედებს არაკეთილსინდისიერად და მისთვის ხელშაყრელი პირობებით ხელშეკრულების დადგების მიზნით შეცდომაში შეჰვავს კონტრაპენტი ფრენშაიზინგის სისტემის თაობაზე. არასწორი ინფორმაციის მიწოდება შემდგომში შეიძლება გახდეს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მოშლის საფუძველი და ფრენშაიზის მიმცემს შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს “არსებითი დარღვევის” განსაზღვრებას. მაგალითად, ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც მიკვართ ფრენშაიზის მიმცემის სასაქონლო ნიშნის გაუქმებამდე, ან ფრენშაიზის მიმცემის მიერ მისი მიმღებისათვის დაბალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება, როდესაც პროდუქციის მაღალი ხარისხი პრინციპულად მნიშვნელოვანი პირობაა ფრენშაიზის მიმცემის მუშაობისთვის, შეიძლება შეფასდეს, როგორც არსებითი დარღვევა და გახდეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველი [42, 57]. ფრენშაიზის მიმცემის მხრივ ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება გაუტოლდეს არსებით დარღვევას, მაგრამ შეიძლება მისი გამოსწორებაც. ასეთი შემთხვევებისათვის ხელშეკრულება, როგორც წესი, ითვალისწინებს, რომ ფრენშაიზის მიმცემს უნდა მოეთხოვოს და მიეცეს შესაძლებლობა – განახორციელოს საჭირო დონისძიებები დარღვევის გამოსასწორებლად გარკვეული ვადის განმავლობაში (მაგალითად, 30 დღის), ვიდრე ფრენშაიზის მიმღები შემდებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას.

მაგრამ ყველაზე მეტად საგულისხმოა, რომ ჩვენი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მომხმარებელთა უფლებების დარღვევისას რომელი მხარე, როგორ და რა ფორმით აგებს პასუხს. მაგალითად, მიღებულია, რომ ზოგადად, ფრენშაიზის მიმცემი და ფრენშაიზის მიმღები ინაწილებენ კომპენსაციებს ურთიერთშეთანხმებული წესითა და ოდენობით და სოლიდარულად აგებენ პასუხს, თუმცა, აქაც მოედი რიგი ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

კომპენსაციათა ვალდებულების გადანაწილებას იზიარებს აშშ-ისა და ევროპის უმრავლესი ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობები, თუმცა აღნიშნული საკითხი წესრიგდება დისპოზიციურობის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლოა მხარეთა შეთანხმებით ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული საკითხი განსხვავებულად დარღვეულირდეს. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არ დაეკისროს პასუხისმგებლობა ფრენშაიზის მიმღებს იმ შემთხვევაში, თუკი ზიანი დადგა ფრენშაიზის მიმცემის მიერ წარმოებული და ფრენშაიზის მიმღებისთვის მზა სახით მიწოდებული პროდუქციის გასაღების შედეგად (სასაქონლო ფრენშაიზინგი), თუ, რა თქმა უნდა, ფრენშაიზის მიმღების მიერ არ იყო დარღვეული პროდუქციის შენახვის პირობები. თუმცა ფრენშაიზული ურთიერთობები მხოლოდ ასეთი მარტივი სქემით რომ ხორციელდებოდეს, საკითხი აღვილად რეაგულირებადი იქნებოდა.

მაგრამ ფრენშაიზული ურთიერთობის მხარეთა ურთიერთობები მრავალგვარია, იმისდა მიხედვით, თუ როგორი სახის ფრენშაიზინგთან გვაქვს საქმე, და შესაბამისად, თითოეული შემთხვევაში განსხვავებულია როგორც ზიანის მიუწების წყარო, ისე კომპენსაციის ვალდებულებათა გადანაწილების პრინციპები.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადაცემული განსაკუთრებული უფლებები, როგორც წესი, გამოყენებულ უნდა იქნეს საქონლის გასაღების, მომსახურების გაწევისა თუ სამუშაოს შესრულების გაფართოებაში. ამ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) წარმოება ფრენშაიზის მიმღების მხრიდან არ უნდა იყოს იმაზე დაბალი, ვიდრე ფრენშაიზის მიმცემისა. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ, უფლებამოსილი და ვალდებულია, აკონტროლოს ადნიშნული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ხარისხი, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ასეთ პირობებში ლოგიკურია ფრენშაიზის მიმცემის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის დაწესება მესამე პირთა წინაშე საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) არასათანადო ხარისხისათვის. ასეთი პასუხისმგებლობა კი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს როგორც სუბსიდიური, ისე სოლიდარული, კერძოდ, ფრენშაიზის მიმცემი სუბსიდიურად აგებს პასუხს, თუ პრეტენზია წაეყენება ფრენშაიზის მიმღებს, როგორც ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძვლზე საქონლის მხოლოდ გამსაღებელს (სამუშაოს შემსრულებელს, მომსახურების გამწევს), მაგრამ თუ პრეტენზია წაეყენება ფრენშაიზის მიმღებს, როგორც ფრენშაიზის მიმცემის პროდუქციის (საქონლის) მწარმებელს, ეს უკანასკნელი სოლიდარულად აგებს პასუხს ფრენშაიზის მიმღებთან ერთად [36, 648].

ფრენშაიზის მიმცემი პასუხს აგებს იმისდა მიუხედავად, საქონლის გაყიდვა ხდება მომხმარებელზე თუ სამოქალაქო ბრუნვის სხვა მონაწილეებზე. ფრენშაიზინგის მიმცემის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მხოლოდ ხარისხის შეუსაბამობისას (მაგრამ არა რაოდენობის, ასორტიმენტის, კომპლექტაციის, ვადებისა და ხელშეკრულების სხვა პირობებისა).

როგორც წესი, ფრენშაიზინგის ხელშეკრულებისას უხარისხო პროდუქციით მიყენებული ზიანისთვის, (ფრენშაიზის მიმღების მომხმარებელთან ურთიერთობისას) ორივე მხარე აგებს პასუხს და ინაწილებს კომპენსაციებს (მაკენტოში, კოლექსიკოვი) [38, 105], თუმცა, პასუხისმგებლობის გადანაწილების წესი, თავის მხრივ, შეიძლება შეიცვალოს ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით. ამიტომ, ჩვენის აზრით, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ პასუხისმგებლობის ახალი, ერთიანი და უნივერსალური მოდელი, რომელიც შემდეგნაირად გამოიყერება:

- ✓ თუ პრეტენზია წაეყენება ფრენშაიზის მიმცემის მიერ დამზადებულ და მოწოდებულ საქონელს, ზიანის მოყენების შემთხვევაში იგი სუბსიდიურად აგებს პასუხს, ხოლო თუ საქონელი დამზადებულია ფრენშაიზის მიმღების მიერ, მაშინ ზიანის დადგომისას, ორივე მხარე სოლიდარულად აგებს პასუხს.
- ✓ თუკი ადრიშნული საქონელი დამზადებულია ფრენშაიზის მიმღების მიერ, მაგრამ ფრენშაიზის მიმცემის უშუალო რეკომენდაციებითა და კონტროლით, რამაც ზიანი გამოიწვია, პასუხისმგებლობა უნდა დაგავისროთ ფრენშაიზის მიმცემს სუბსიდიურად.
- ✓ თუ საქონელი მოწოდებულია ფრენშაიზის მიმცემის მიერ და ფრენშაიზის მიმღები მას მხოლოდ ასაღებს, მაგრამ დაირღვა მიმღების მიერ მისი შენახვისა და ექსპლუატაციის პირობები, რის გამოც მომხმარებელს მიადგა ზიანი, მაშინ პასუხისმგებლობა, უდავოდ, უნდა დაგავისროთ ფრენშაიზის მიმღებს.
- ✓ რაც შეეხება მომსახურების სფეროს, აქ ფრენშაიზის მიმღების მონაწილეობა ფრენშაიზულ სისტემაში გაცილებით დიდია, ხოლო ფრენშაიზის მიმცემისა – მნიშვნელოვნად მცირე, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ფრენშაიზის მიმღებმა

სუბსიდიურად უნდა აგოს პასუხი.

ზოგადად მისაღებია შეხედულება, რომ თუ ზიანი დადგა ფრენშაიზის მიმცემის უშუალო კონტროლის შედეგად განხორციელებული საქმიანობით, რომლის დროსაც ფრენშაიზის მიმღებმა არ გაითვალისწინა მისი რეკომენდაციები, სამართლიანად მიგვაჩნია, პასუხისმგებლობა დავაკისროვ მხოლოდ ფრენშაიზის მიმღებს.

#### ბამოყვებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. 1995.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997.
3. საქართველოს საგადასახდო კოდექსი. 1998.
4. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. 1993.
5. საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. 20.03.1996.
6. კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ. 05.02.1999.
7. საქართველოს საპატენტო კანონი. 05.02.1999.
8. საქართველო კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ. 03.06.2005.
9. გერმანიის სამოქალაქო სჯულდება –  
[http://www.law.ed.ae.nk/file\\_download/courses/handoust/LLM/119/1730\\_ger\\_mancivilcode.pdf](http://www.law.ed.ae.nk/file_download/courses/handoust/LLM/119/1730_ger_mancivilcode.pdf), რუსული ვარიანტი [http://www.eis-legal-reform.org.civil\\_code/index.html](http://www.eis-legal-reform.org.civil_code/index.html))
10. ევროპის ფრენშაიზული ორგანიზაციის ეთიკის კოდექსი –  
[www.eff-franchise.com/regulation](http://www.eff-franchise.com/regulation)
11. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (ინგლისურ ენაზე) - [http://www.napoleon-series.org/research/government/c\\_code.html](http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html)
12. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი (ესპანურ ენაზე) -  
[http://noticias.juridicas.com/base\\_datos/Privado/cc.html](http://noticias.juridicas.com/base_datos/Privado/cc.html)
13. ლიტვის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი (ინგლისურ ენაზე) -  
[http://www3Irl.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc\\_e?p\\_id=245495](http://www3Irl.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc_e?p_id=245495)
14. ლატვიის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი,  
[http://www3Irl.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc\\_e?p\\_id=245495](http://www3Irl.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc_e?p_id=245495)
15. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე) - <http://www.garweb.ru/project/law/doc/10064072-001.htm>
16. უზბეკეთის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე) -  
<http://lawlib.freenet.uz.laws/utbek/gkuz/gklind.html>
17. კაზახეთის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე) -  
<http://lawlib.freenet.uz.laws/kazah/gkkaz/congkkz.html>
18. ყირგიზეთის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე)  
<http://lawlib.freenet.uz.laws/kazah/kyrgyz/congkkg.html>
19. აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე)  
<http://grants.rinti.rufulldoc.ddws?uid79FB40ACDDB713321DFF33C8&dui=4581>
20. სასომხეთის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე)  
<http://grants.rinti.rufulldoc.ddws?uid79FB40ACDDB713321DFF33C8&dui=4725>
21. თურქმენეთის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე) <http://www.tax.gov.un/russian/law/068ru.html>
22. მოლდოვეთის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე) [http://www.eis-legal-reform.org/civil-code/moldova/civil-code/moldova-index\\_rus.html](http://www.eis-legal-reform.org/civil-code/moldova/civil-code/moldova-index_rus.html)
23. ბელორუსის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე)  
<http://grants.rinti.rufulldoc.ddws?uid79FB40ACDDB713321DFF33C8&dui=4779>

24. უკრაინის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე) <http://jguard.ru>. images attaches 231GK\_Ukraine.txt
25. ტაჯიკეთის სამოქალაქო კოდექსი (რუსულ ენაზე) <http://www.eis-legal-reform.org/civil-code/Tajikistan/eiv-taj-l-rus.htm>
26. იტალიის 2004 წლის 6 მაისის კანონი ფრენშაიზინგის შესახებ – [http://www.eff-franchise.com/IMG/Italy\\_Dectee\\_204\\_of\\_2\\_sept\\_2005—for—law-129\\_of\\_6.pdf](http://www.eff-franchise.com/IMG/Italy_Dectee_204_of_2_sept_2005—for—law-129_of_6.pdf)
27. ბელგიის ფრენშაიზინგის ეთიკის კოდექსი – [http://www.eff-franchise.com/IMG/pdf/Belgium--on\\_Precontractual\\_pdf](http://www.eff-franchise.com/IMG/pdf/Belgium--on_Precontractual_pdf)
28. შვედეთის 2006 წლის 24 მაისის კანონი ფრენშაიზინგის მიმცემის მიერ ინფორმაციის გადაცემის ვალდებულებაზე (ფრენშაიზინგის ეთიკის კოდექსი) - [http://www.eff-franchise.com/IMG/pdf/Sweden-franchise-law\\_lag-2005-484-in\\_English\\_and.pdf](http://www.eff-franchise.com/IMG/pdf/Sweden-franchise-law_lag-2005-484-in_English_and.pdf)
29. ავსტრალიის ფრენშაიზინგული ორგანიზაციის მიერ გაანალიზებული სასამართლო საქმეები - <http://www.accc.gov.au/content/index.phtml/itemId/6118>
30. იაპონიის 2004 წლის 24 აპრილის კანონი ფრენშაიზინგთან დაკავშირებული ანტიმონპოლიური საქმიანობის აღკვეთის შესახებ – [http://www.chusho.metigo.ip/sme\\_english/outline/08/01\\_04html](http://www.chusho.metigo.ip/sme_english/outline/08/01_04html) [www.jftc.go.ip/e-page/legislation/ama/franchise.pdf](http://www.jftc.go.ip/e-page/legislation/ama/franchise.pdf)
31. კორეის ფრენშაიზული კოდექსი – [www.kfa.or.kr](http://www.kfa.or.kr),
32. [www.eff-franchise.com/regulation](http://www.eff-franchise.com/regulation)
33. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეოთხე, ტომი 1. 2001.
34. ახვლედიანი ზ. 1999. ვალდებულებითი სამართლი. თბილისი.
35. ძამუკაშვილი დ. ინტელექტუალური საკუთრების სამართლი. 2000.თბილისი.
36. ისმოს საერთაშორისო ბიურო. 1984. ფრენშაიზინგის სახელმძღვანელო. ისმოს პუბლიკაცია №480.
37. Сергеев А. П., Толстой Ю.К., 2008. Гражданское право. часть 2. М.
38. Спинели С.-мл., Розенберг Р. М., Берли С. 2007. Франчайзинг, путь к богатству. М.
39. Коллесников В.А. 2006. Построение Френчайзингового Бизнеса. Питер.
40. Ли А.С. Некоторые вопросы применения норм международного частного права при заключении сделок франчайзинга. [www.JurExpert.ru](http://www.JurExpert.ru)
41. Oxenfeldt A. R. and Kelly A. O. 1968. Will Successful Franchise Systems Ultimately Become Wholly-Owned Chains? *Journal of Retailing* 44 (4)
42. Brickley, J. A., Dark, F. H., and Weisbach, M. S. (1991). An agency perspective on franchising. *Financial Management*, 20 (1)
43. Brown, J. R. 1981. A cross-channel comparison of supplier-retailer relations. *Journal of Retailing*, 57 (Winter)

*Mari Kokiashvili  
Grigol Robakidze University*

## Control of brand quality and separating responsibilities in franchise contract Summary

A franchiser's control towards a franchisee is utmost important for using the franchising system properly and for ensuring the right to the intellectual property, in particular defending its differentiating signs. Such control

is necessary because in the franchising agreement a franchiser is directly related with a franchisee. Thus, both parties are interested in the reputation connected with the differentiating signs of the franchisee and keeping "goodwill". As for the quality control conducted by the franchisee, the franchiser generally demands the instructions and recommendations given in the exploitation text-book to be strictly followed. He/she also requires the right to conduct inspection referring to the activities of the franchisee and ordering necessary resources and material directly to him or to other place but with his recommendations or approval.

The franchisee is obliged to guarantee the level of goods and service as it is demanded by the franchisee. It can be expressed by the restriction of counteragents; e. g. by exactly determining the companies providing the fast food places with foodstuff even if they deliver necessary goods and products in higher prices comparing with others.

Based on the franchising agreement, the term of product distribution restriction by the franchisee can be taken into consideration, according to which he/she has the right to realize selling of those goods and services that are agreed with the franchiser or if they do not present the competitive goods and services. Otherwise, the image of the franchise can be humiliated.

In the franchising agreement it is considered that the franchisee should follow the franchiser's instructions, concerning organizing activities of the enterprise, especially the recommendations given in the exploitation text-books. The franchisee is obliged to establish all the changes, developments or innovations introduced in the exploitation text-books.

The most important is that according to our legislation neither parties are considered to be responsible for the breach of rights. For example, it is generally admitted that the franchiser and the franchisee share compensations on the basis of the joint agreements though, many factors must be taken into consideration in this case as well.

Redistribution of compensation obligations is shared by the civil legislations of the majority of the USA and European countries though, the mentioned issue is regulated according to the principles of disposition and may be regulated differently in particular cases. To our mind, the responsibility must not be imposed on the franchisee in case the damage is caused by the franchisers' production delivered to the franchisee as a result of distribution, certainly, in case the terms of preserving goods were not broken. But if the franchising relations could be regulated so easily there would not be so many difficulties in this case. But the franchising relations between parties differ depending on what sort of franchising we are dealing with; consequently, in any case there are differences between the damage sources and the principles of redistribution of compensation obligations.

The franchiser is responsible notwithstanding the goods are distributed on the consumers or the other participant of the civil turnover. The matter of the responsibility takes place when the quality does not meet the demands (but not the other terms of the amount, assortment, and other terms and agreement).

As a rule, in case of damage caused by the poor quality production, both parties are responsible and share compensations. Though, the rule of responsibility redistribution may be changed according to the particular cases. That is why we can define the following new, joint and universal model of responsibility:

- If the goods made and delivered by the franchiser are under the claim, in case of the damage the franchiser is subsidiary responsible, and if the goods are made by the franchisee, then in case of damages both parties are responsible.
- If the mentioned goods are made by the franchisee but by the direct recommendations and control of the franchiser that caused the damage, the franchisee must be subsidiary responsible.
- If the goods are delivered by the franchiser and the franchisee only has to sell it, but the terms of preservation and exploitation are broken and consequently, the consumer was damaged, the

- responsibility must be imposed on the franchisee.
- As for the service, here the participation of the franchisee is higher in the franchising system, and the participation of the franchiser is much less; that is why we think that the franchisee must be subsidiary responsible.

It is generally viewed that if the damage was caused by the activities resulted by the direct control of franchiser and the franchisee did not take into consideration the given recommendations, it is just to impose responsibility on the franchisee.

If the quality of performance is not exactly defined in the given agreement, then the franchisee is available to perform the task of the middle quality, though it may humiliate the franchiser's reputation. In some cases, the franchising agreement contains the term according to which the franchisee is able to receive the information about the profit of the franchiser.

Based on the franchising agreement, the particular term related to the restriction of the distribution of the goods and services can be defined. This consideration means to distribute and sell those goods and services that are determined in the agreement made by the franchiser. Otherwise, it may cause the breach of the image and reputation of the franchiser. In order to avoid such kind of confusions this term is one of the most important terms in the mentioned agreement. Any kind of the business activity from the side of the franchisee that is made independently, without consultations with the franchiser and distribution of the non-concurrent goods and services are known as "Italian variant", because such kind of the business activity was first used and tested in Italy.

It is quite obvious that the franchiser has the right to demand the quality control of the products made in the franchisee's factory in order to defend the interests of both - the franchiser and the franchisee. In spite of it, is it necessary to make sure that such kind of demand does not break the rules, rights and laws of the national legislation about the concurrence. But on the other hand, very often the national law about trademarks demands to control the licenced trademarks to keep valid the licenced contracts from the parties. As the franchising agreement contains the licence on the trademarks and other differentiating signs, the demand of passing such kind of control must be taken into consideration.

**ნინო ჭიათული  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

### **საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით**

საბანკო გარანტია, დღითიდებე უფრო პოპულარული საბანკო ინსტრუმენტი ხდება სამოქალაქო ბრუნვაში.

საბანკო გარანტიის იურიდიული ძალა და სამართლებრივი ბუნება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879 – 890-ე მუხლებშია ჩამოყალიბებული [5]. ამ მოქნილი და იაფი საბანკო ინსტრუმენტის გამოყენება სამოქალაქო ბრუნვის მხარეებს შორის, ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების გაწევისას, სამუშაოს შესრულებისას,

ნასყიდობისას, ან საერთაშორისო ვაჭრობისას, ფულადი თანხის გადახდის გარანტიაა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის იმ შემთხვევაში, თუ გადახდა არ მოხდება იმ მხარის მიერ, რომელსაც ხელშეკრულების ძალით წარმოეშვა გადახდის გადახდებულება.

იმ პირებისათვის, ვისაც ბიზნესთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან შეხება არ ჰქონია, „საბანკო გარანტია“ სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრული მუხლების გაცნობის შემდეგაც კი, ბუნდოვან სამართლებრივ ინსტრუმენტად რჩება. აღქმა იმ გარემოებისა, რომ თუ გარიგების მხარემ დათქმულ დროში დათქმული თანხა არ ან ვერ გადაუხადა ხელშეკრულების მეორე მხარეს, – მაშინ ამ თანხას გადაიხდის ბანკი, - ხშირად დაუჯერებელია მათვის. თუმცა, ვისაც ერთხელ მაინც მიეცა საშუალება გამოყენებინა ეს ფრიად მოქნილი და იაფი საბანკო ინსტრუმენტი, ხშირად მიმართავს ბანკს განცხადებით ამ მომსახურების მისაღებად.

აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს ხელშეკრულების მეორე მხარეს, დარწმუნებული იყოს თავისი კუთვნილი თანხის მიღებაში მაშინაც კი, თუ ხელშეკრულების მხარე არ ან ვერ გადაიხდის ხელშეკრულებით დათქმულ თანხას.

როგორც ბიზნეს-პრაქტიკით ირკვევა, სწორად და იურიდიული ხარვეზების გარეშე შექმნილი ხელშეკრულებაც კი არ არის საუკეთესო დაცვის მექანიზმი კონტრაგენტის მხრიდან სახელშეკრულებო ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. სწორედ საბანკო გარანტიაა აღნიშნული ვალდებულების შესრულების უტყუარი უზრუნველყოფა, რადგან იგი იცავს სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებში მონაწილე მხარის ფინანსურ ინტერესს.

ქართულენოვანი ელექტრონული ენციკლოპედიის **CIVIL** ენციკლოპედიური ლექსიკონის [2] მიხედვით, - „საბანკო გარანტია (რწმუნებულება) ნიშნავს, იმას, რომ ბანკი, კლიენტის მიერ სესხის დროულად არგადახდის შემთხვევაში, იღებს ვალდებულებას, თვითონ იკისროს მისი გადახდა, გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც ფულადი ფორმითაა გამოხატული. თუ კანონით, ან ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, მოვალე და გარანტი (რწმუნებული) პასუხს აგებენ სოლიდარულად. გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. კლასიკური რომის სამართალი იცნობდა საბანკო გარანტიის უზრუნველყოფას, რომელსაც “receptum argentarii” ერქვა. ეს იყო არაფორმალური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბანკირი იღებდა ვალდებულებას თავისი კლიენტის წინაშე, გადაეხადა მისი ვალი მესამე პირისათვის. ამ შეთანხმების მიხედვით, ბანკირი (argentarii) არ ხდებოდა მესამე პირის მოვალე. მესამე პირი რჩებოდა მხოლოდ ბანკირის კლიენტის კრედიტორად. თუ მოვალეს არ გააჩნდა სახსრები გადახდისათვის, მაშინ იგი სთავაზობდა თავისი ბანკირის მომსახურებას, რომელთანაც მოვალეს შეთანხმება ჰქონდა დადებული. თუ ბანკირი უარს ამბობდა გადახდაზე, კლიენტი დებულობდა სასარჩევო დაცვას (actio receptia). აქცის ეს ფორმა უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს საბანკო გარანტიის წინამორბედად.“

აღნიშნული განმარტება კონკრეტულად სასესხო ურთიერთობაზე უთითებს, მაგრამ საბანკო გარანტია გაცილებით ფართოდ გამოიყენება. ქართულ ბაზარზე პრაქტიკამ ჩამოაყალიბა მოთხოვნა საბანკო გარანტიის შემდეგ სახეობებზე:

1) აგანსის დაბრუნების გარანტია: ამ შემთხვევაში ბანკი პრინციპალის (გარანტიის დამკვეთის) დავალებით აბრუნებს საგარანტიო თანხას ან მის გამოუყენებელ ნაწილს ავანსის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ან იმ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებლობისათვის, რომლის ფარგლებშიც გადახდილი იქნა საავანსო თანხა;

**2) სატენდერო გარანტია:** ეს ფორმატი ორ ვერსიას ითვალისწინებს, ესენია: სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია და ხელშეკრულების შესრულების გარანტია;

**3) გადახდის გარანტია:** იგი გაიცემა ორგანიზაციისათვის მიწოდებული პროდუქციის ან მომსახურების დირებულების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;

**4) საბაჟო ორგანოების სასარგებლოდ გაცემული გარანტია, რომელიც მოითხოვება:**

ა) რეექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმის დაცვის შესახებ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად დროებითი შემოტანის სამართლებრივ რეჟიმში საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისას.

ბ) იმპორტისა და გადამუშავების საბაჟო რეჟიმის უზრუნველსაყოფად, როდესაც გადამუშავებული პროდუქცია ექსპორტს ექვემდებარება.

გ) საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის მოსაწყობად, რათა სასაწყობო მეურნეობამ მიიღოს საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის სტატუსი.

**5) ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია:** გაიცემა მიწოდებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების უხარისხობის გამო კონტრაგენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;

**6) სააღსრულებო ბიუროს სასარგებლოდ გაცემული გარანტია:** აუქციონზე ქონების შესაძენად, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად;

**7) ხელშეკრულებით გათვალისწინებული გალდებულების შესრულების (იგივე გადახდის) გარანტია:** ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი გალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

**8) საქსესო გარანტია:** გაცემული კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული ჩამონათვალი, საბანკო გარანტიის მეტნაკლებად მოთხოვნადი სახეებია და, რა თქმა უნდა, არასრულია. სამოქალაქო კოდექსის მე-10-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება“ [5]. თუ აღნიშნული მოქმედება გარიგების დაღებით თავდება, ხელშეკრულება ფორმდება და ფულადი ვალდებულება ჩნდება, ყველგანაა შესაძლებელი გამოყენებული იქნეს საბანკო გარანტია, როგორც გადახდის უზრუნველყოფის საშუალება.

საბანკო გარანტიის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენების პოპულარობა საქართველოსა და მსოფლიოში განაპირობა იმან, რომ იგი ფულადი ვალდებულების შესრულების ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი და სწრაფი საშუალებაა. საბანკო გარანტიის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობენ გარანტი - საბანკო გარანტიის გამცემი ფინანსური ინსტიტუტი (ბანკი, სადაზღვევო კომპანია, სხვა საკრედიტო ინსტიტუტი), პრინციპალი - პირი, რომელმაც მიმართა გარანტის განაცხადით მისი ვალდებულების შესარულებლად, ვთქვათ, სახელშეკრულებო პარტნიორის სასარგებლოდ საბანკო გარანტიის გაცემაზე, და ბენეფიციარი, - პირი, რომელიც წარმოადგენს პრინციპალის კრედიტორს (ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე).

საბანკო გარანტია მარტივი წერილობითი ფორმის მქონე დოკუმენტია. მას გასცემს ბანკი, სადაზღვევო კომპანია ან სხვა საკრედიტო დაწესებულება, ანუ ფინანსური ინსტიტუტები. ეს დოკუმენტი შეიცავს ფულის უპირობო გადახდის შესახებ წერილობით დათქმას, რომელსაც კისრულობს გარანტი (ბანკი, სადაზღვევო კომპანია) მისივე პლიენტის, ანუ პრინციპალის კრედიტორის წინაშე - პრინციპალის თხოვნით. დოკუმენტის გამოთხვა არ ხდება გარანტის მიერ და ამ ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული იმ ხელშეკრულების ნამდვილობაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა. საბანკო გარანტიაში ჩადებული დათქმა, - აღსრულდება იმ პირის, თუნდაც დაუსაბუთებელი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომლის სასარგებლოდაც იგი გაიცა. საბანკო გარანტია „სწრაფი აღსრულების“ რეჟიმის მატარებელია, როგორც პრაქტიკა უჩვენებს,

გადახდა ხდება არაუგვიანეს ხუთ დღეში გარანტისათვის წერილობითი მოთხოვნის წამოყენებიდან.

საბანკო გარანტია უზრუნველყოფის მყარი, საიმედო და „სწრაფად აღსრულებადი“ საშუალებაა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს „პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას“.

ზურაბ ჭეჭელაშვილი თავის სახელმძღვანელოში „ქართული ბიზნესსამართალი“ [1] ლაპონურად და ზუსტად განმარტავს საბანკო გარანტიას როგორც ორ სხვადასხვა გარიგებას. კერძოდ იგი წერს რომ: „საბანკო გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვისას უნდა განვახსხვავოთ ერთმანეთისაგან ორი გარიგება: საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება და თავად საბანკო გარანტია.“

ა) **საბანკო გარანტიის ხელშეკრულება.** საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ხელშეკრულების ერთი მხარე – ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო კომპანია (გარანტი), ხელშეკრულების მეორე მხარის – პრინციპალის თხოვნით, კისრულობს ვალდებულებას, რომლის შესაბამისად, გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყოველთვის საფინანსო ინსტიტუტია – ბანკი (ყველაზე ხშირ შემთხვევაში), სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო კომპანია. ხელშეკრულების მეორე მხარე – პრინციპალი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ვინაიდან საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით, ხელშეკრულების ორივე მხარეს აქვს როგორც უფლებები, ასევე ეკისრება ვალდებულებები, ხოლო ხელშეკრულება ჩაითვლება დადგებულად მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გაფორმების მომენტიდან, თავისი სამართლებრივი ბუნებით ეს ხელშეკრულება ორმხრივი და კონსენსუალურია. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება სასყიდლიანია.

ბ) **საბანკო გარანტია.** საბანკო გარანტიის ხელშეკრულება საფუძვლად უდევს თვით საბანკო გარანტიას, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა. საბანკო გარანტია გაიცემა საფინანსო ინსტიტუტის მიერ და მისი სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული არც ნებისმიერი სხვა პირის თანხმობაზე, არც იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როდესაც გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე და არც თავად საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ნამდვილობაზე. ამდენად, სამართლებრივი ბუნებით საბანკო გარანტია არ არის აქცესორული, ანუ დამოკიდებული სხვა ვალდებულებაზე; იგი აბსტრაქტული გარიგებაა და არსებობს სამართლებრივი საფუძვლის – *causa* არსებობის მიუხედავად.”

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ 890-ე მუხლში არის ჩანაწერი შეთანხმებაზე გარანტისა და პრინციპალს შორის დადგებულ შეთანხმებაზე, რომლის შესასრულებლადაც გარანტია გაიცა [5]. ამ შეთანხმებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გარანტიის რეგრესის უფლება პრინციპალის მიმართ, გარანტიის მიხედვით გადახდილ თანხაზე. ეს ნიშნავს, რომ გარანტისა და პრინციპალს შორის უნდა დაიდოს წერილობითი ხელშეკრულება და მისი ნაწილობრივი რეალიზაცია უნდა მოხდეს საბანკო გარანტიის გაცემით, ამ ხელშეკრულებაში, სულ ცოტა, უნდა განისაზღვროს გარანტიის თანხა, სასყიდლიანობა, გარანტიის ვადა, გარანტიის უზრუნველყოფა და რეგრესის წესი და უზრუნველყოფის სახე.

საბანკო გარანტიით დადგენილი საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების შესახებ დავა განხილული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ, საკასაციო საჩივრის ფარგლებში. გადაწყვეტილება საინტერესოა სწორედ ამ ორი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შეფასების ნაწილში, თუმცა დავის საგანი იყო გადახდის მოთხოვნა მოქმედების გადამოწურული საბანკო გარანტიის მიხედვით. გადაწყვეტილებაში

აღნიშნულია შემდეგი: „სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით მხარეები<sup>15</sup> შეთანხმდნენ ასევე საბანკო გარანტიის ამონაწერის გასაცემ ტექსტზე და განსაზღვრეს მისი სამართლებრივი ბუნება. კერძოდ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე ბენეფიციარისთვის წარსაღვენად გაიცა საბანკო გარანტიის ამონაწერი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და მას დამოუკიდებელი იურდიული ძალა არ გააჩნია, სააპელაციო პალატა იზიარებს საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ საბანკო ამონაწერი დამოუკიდებელ დოკუმენტად რამდენიმე ვალდებულების წარმოშობის ან დადგენის სამართლებრივ საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან ის ფაქტობრივად შეიცავს მოკლე აღწერას ძირითადი ხელშეკრულების არსებით პირობებზე და თავად ხელშეკრულებითვევა განსაზღვრული, რომ ამონაწერი ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილია და დამოუკიდებელი ძალა არ გააჩნია.

ამდენად მათი შინაარსის განმარტება უნდა მოხდეს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში. ამავდროულად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიის განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს ოუარა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის ეს დანაწესი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის საიმედობას და იმავდროულად, კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ საბანკო გარანტიით გარანტიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში. ამასთან, კრედიტორის (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტიის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. აქვე საკასაციო სასამართლო, საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მიუთითებს, რომ საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილეები არიან რა ბენეფიციარი, პრინციპალი და გარანტი, ამ ურთიერთობის ფარგლებში ფაქტობრივად ორი ხელშეკრულება იდება: 1. გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ორმხრივი, სახეოდლიანი ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლი) და 2. თვით საბანკო გარანტია, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა და წარმოშობს გარანტიის ცალმხრივ ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი). ამავდროულად, საბანკო გარანტიის გაცემით გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობა დამოუკიდებელია იმ ძირითადი ვალდებულებებისგანაც, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული (სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი). ამდენად, მხარეთა მიერ „საბანკო გარანტიის ამონაწერად“ შეფასებული საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტი ცალმხრივი გარიგება – საბანკო გარანტიაა, რომელიც წარმოშობს მხოლოდ გარანტის ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე” [8].

როგორც ირკვევა, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დაუკარგეს რა დამოუკიდებელი გარიგების სტატუსი საბანკო გარანტიას, შეუცვალეს მას დასახელება, უწოდეს „საბანკო ამონაწერი“ და ეს დამოუკიდებელი გარიგება განიხილეს, როგორც საბანკო გარანტიით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი და არ მიიჩნიეს ვალდებულების წარმოშობის ან ამგვარი ვალდებულების დადგენის სამართლებრივ საფუძვლად.

<sup>15</sup> იგულისხმება პრინციპალი და გარანტი.

საკასაციო ინსტანციამ კი სწორად მიუთითა აღნიშნულის არამართებულობის შესახებ და აღუდგინა საბანკო გარანტიას დამოუკიდებელი გარიგების სტატუსი, რითაც გასწორდა აღნიშნული არამართებული შეფასება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბანკო გარანტიის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება სასყიდლიანია. სასყიდლიანობას განაპირობებს ფინანსური რისკის არსებობის ფაქტორი გარანტის მხრიდან, შესაბამისად ეს რისკი კომპენსირდება საგარანტიო თანხაზე დარიცხული პროცენტის პრინციპალის მიერ გარანტის სასარგებლოდ გადახდით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება იდება წერილობით. ზეპირი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამორიცხავს.

საბანკო გარანტია მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ცალმხრივი გარიგებაა. პრაქტიკაში დამკვიდრებულია, რომ იგი შესრულებული უნდა იქნეს გარანტის საქმიანი მიმოწერის საფირმო ბლანკზე და მას ხელს უნდა აწერდეს საამისოდ უფლებამოსილი პირი. ცხადია იგი უნდა წარედგინოს ბენეფიციარს, როგორც პრინციპალის მიერ მის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების უტყუარი უზრუნველყოფა.

პრაქტიკაში საბანკო გარანტია, როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტი, შეიცავს მითითებას გამოუხმოვადობაზე, მალაში შესვლის თარიღს (ან კონკრეტულ გარემოებას მალაში შესვლის თარიღის ათვლისთვის), საგარანტიო თანხის მიხედვით გადახდის მოთხოვნის ფორმას, საგარანტიო თანხის მოცულობას და გარანტიის მოქმედების ვადას (ან კონკრეტულ გარემოებას), თუ როდის უნდა დასრულდეს საბანკო გარანტიის მოქმედება.

მიუხედავად უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობისა, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზეც გარანტია (სამოქალაქო კოდექსის 881 მუხლი).

მაინც რა ფაქტორი განაპირობებს საბანკო გარანტიის, როგორც უზრუნველყოფის სანდო საშუალებას, რა ევალება გარანტს, როდესაც იგი მიიღებს ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნას საგარანტიო თანხის გადახდაზე?

სამოქალაქო კოდექსის 886-887-ე მუხლების შესაბამისად, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს პრინციპალს ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, ამავდროულად თავადვე უნდა განიხილოს ეს მოთხოვნა გონივრულ ვადაში და დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ბენეფიციარის მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტი - საბანკო გარანტიაში მითითებულ პირობებსა და დოკუმენტების ჩამონათვალს შინაარსობრივად.

თუ მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალმა თავისი ვალდებულება სრულად ან ნაწილობრივ შესარულა, ან ეს ვალდებულება შეწყდა, ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის შესახებ როგორც ბენეფიციარს, ასევე პრინციპალს. თუ ბენეფიციარმა მიიღო გარანტის ამგვარი შეტყობინება და ხელახლა წარუდგინა მოთხოვნა გარანტს გადახდაზე, გარანტი ყველა შემთხვევაში ვალდებულია გადაუხსადოს ბენეფიციარს გარანტიის თანხა [5].

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გადახდაზე უარის თქმის მხოლოდ სამ შესაძლებლობას, აქედან ორი სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული: პირველი, - თუ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტაცია არ შეესაბამება საბანკო გარანტიაში გაწერილ პირობებს, მეორე, - გავიდა საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა და მოთხოვნა არ იყო წარმოდგენილი ვადის გასვლამდე. მესამე ეყრდნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლს, რომელიც დანაშაულად შერაცხავს ყალბი

საკრედიტო და სხვა საგადასახადო დოკუმენტის ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადებას, ან შეძენას გასაღების ან გამოყენების მიზნით, რომელიც არ არის ფასიანი ქადალდი. საბანკო გარანტიის წერილის სიყალბის შემთხვევაში, საგარანტიო თანხის ანაზღაურება არ უნდა განხორციელდეს, ვინაიდან გარიგება დოკუმენტის სიყალბის გამო არც წარმოშობილა [9].

სამოქალაქო კოდექსი (889-ე მუხლი) ითვალისწინებს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტის სამ შემთხვევას: 1. ბენეფიციარის სასარგებლოდ იმ თანხის გადახდით, რომლზეც გაიცა გარანტია, 2. გარანტიაში დათქმული ვადის გასვლით; და 3. ბენეფიციარის მიერ გარანტიის მიხედვით თავის უფლებებზე უარის თქმით და გარანტიის დაბრუნებით. [5].

მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ საბანკო გარანტიის მიხედვით გადახდა ნაწილობრივ მოხდა? ამ საკითხს არსებული პრაქტიკით პირდაპირ საბანკო გარანტია არ ეცულირებს. მასში, როგორც წესი, მიეთითება, რომ, ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში, საგარანტიო თანხა ავტომატურად მცირდება გადახდილი თანხის ოდენობით.

საბანკო გარანტიის მიხედვით მოთხოვნის წარდგენის ფორმად სამოქალაქო კოდექსის მიერ დადგენილია ორი განსხვავებული სახე (სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლი). პირველი არის წერილობითი ფორმა, რომელიც უნდა დაიცვას ბენეფიციარმა, ამ წერილობით მოთხოვნას უნდა დაურთოს ის დოკუმენტები, რაც საბანკო გარანტიაშია მითითებული. თავად წერილობით მოთხოვნაში ბენეფიციარმა უნდა ჩამოაყალიბოს და ზუსტად უნდა მიუთითოს, რაში გამოიხატა პრინციპიალის მიერ იმ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომელსაც საბანკო გარანტია უზრუნველყოფდა.

მეორე ფორმა შედარებით ახალია და ახლა იყიდებს ფეხს ბაზარზე. ეს არის მოთხოვნის ელექტრონული ფორმით წარდგენა გარანტიისათვის ბენეფიციარის მიერ, მაგრამ ამავდორულად მოთხოვება სხვა ხელშეკრულების არსებობა, კერძოდ ბენეფიციარსა და გარანტს შორის შეთანხმება ელექტრონული დოკუმენტრუნვის სისტემის გამოყენებით ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღების თაობაზე (885-ე მუხლის პუნქტი „1<sup>1</sup>“)[6].

ეს ჩანაწერი ზოგადი ფორმისაა და შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ორგნიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ბენეფიციარის მიერ, თუ გარანტსა და მას შორის იარსებებს ასეთი შეთანხმება. დღესდღეობით აღნიშნული ფორმაზი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი არის სახელმწიფო სტრუქტურა, მაგალითად, აღსრულების ეროვნული ბიურო, საბაზო ორგანოები და სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, არასავალდებულო რეჟიმში, საბანკო გარანტია დაექვემდებარა საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ეს ნიშნავს, რომ დაინტერესებული მხარის სურვილზეა დამოკიდებული, გაატარებს თუ არა რეგისტრაციაში საბანკო გარანტიას. იმავე კანონის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტში ჩაიწერა დანაწესი, რომ საბანკო გარანტიის წარმოშობის და მასში ცვლილების რეგისტრაცია დაუყოვნებლივ რეეიმში 10 ლარი დირს. ამავე კანონის 33-ე მუხლი „გ“ პუნქტით ასევე დადგინდა რომ თუ პრინციპალი სახელმწიფოა, მაშინ იგი გათავისუფლებულია სარეგისტრაციო თანხის გადახდისაგან. იმავე მუხლის „ო“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ საბანკო გარანტიის შეწყვეტა ხდება დაუყოვნებლივ (უსასყიდლოდ) [7].

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ამ ცვლილებაში არამართლზომიერადაა მითითებული საბანკო გარანტიის იურდიული ძალის წარმოშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, რადგან იგი იურიდიულ ძალას იძენს მისი

გაცემის დღიდან სამოქალაქო კოდექსის 884-ე მუხლის შესაბამისად და მას არ ესაჭიროება საჯარო რეესტრში რეგისტრაცია იურიდული ძალის შესაძენად, ხოლო ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა [5].

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.2011 წლის № 21 ბრძანებაში მე 7-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით (21.11.2011). № 148 ბრძ.), პირდაპირ დაიშვა ელექტრონული სახის საბანკო გარანტის არსებობის შესაძლებლობა, რაც ნიშნავს, რომ საბანკო გარანტია შეიძლება ადარ იქნას გაცემული ქადალდის მატარებელზე და ფიზიკურად წარედგინოს ბენეფიციარს, იგი შეიძლება წარედგინოს ელექტრონული ფორმითაც [3].

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ”, ასევე დაიშვა საბანკო გარანტიის ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობა (მუხლი 16). [4].

საქართველოს საბანკო სექტორი ფრთხილად მოვკიდა ამ საკანონმდებლო ცვლილებებს, რადგან სამოქალაქო კოდექსს საბანკო გარანტიის ელექტრონული ფორმის არსებობა და მისი იურიდიული ძალა არ დაუდგენია. მან დაადგინა მხოლოდ ბენეფიციარის მოთხოვნის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა გარანტობის, ისიც იმ შემთხვევაში, თუ გარანტი წინასწარ წერილობით შეუთანხმდება ბენეფიციარს ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წარდგენაზე. ამიტომ საბანკო სექტორი ელექტრონულად საბანკო გარანტიის გაცემის პარალელურად, ჩვეულ რეემში ახდენს საბანკო გარანტიის გაცემას და ცდილობს დაიცვას როგორც სამოქალაქო კოდექსის იმპერატივული ნორმები, ასევე ბიზნეს ეთიკა და საკუთარი კომერციული ინტერესი. ასეთი მიღვომა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ელექტრონული საბანკო გარანტიის კომპიუტერულ პროგრამაში შეიტანება მწირი ინფორმაცია, კერძოდ, საგარანტიო თანხის მოცულობა, პრინციპალი და ბენეფიციარი, ხოლო გარანტია შესაძლოა სხვა პირობებსაც შეიცავდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული საბანკო გარანტია მსოფლიო ბაზრისათვის არაა სიახლე და იგი აშშ-ს ბანკებში გამოიყენება. საქართველოში კი ის მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს და საკანონმდებლო დონეზე ჯერ კიდევ მოითხოვს სათანადო რეგულაციას.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. ჭეჭელაშვილი ზ. 2011. ქართული ბიზნესსამართალი. თბილისი: საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.
2. გაბუნია დ. [David A. Mchedlishvili](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2843). საბანკო გარანტიების სამართლებრივი რეგულირება საბაზო ეკონომიკის პირობებში. CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2843> (08.12.2011).
3. საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. 2011. მინისტრის ბრძანება ცვლილებების შეტანის თაობაზე “იმულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებაში. (148, 21.11.2011). სსიპ “საქართველოს საკონმდებლო მაცნე.” ვებ გვერდი 111121011, 21/11/2011. სარეგისტრაციო კოდი 070010110.22.027.016215. [https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=1512638](https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=1512638) (08.12.2011).
4. საქართველო. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. 2011. სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ.” (9, 07.04.2011). სსიპ „საქართველოს საკონმდებლო მაცნე”. გებ გვერდი 1100408019, 08.04.2011წ., სარეგისტრაციო კოდი 010240060.21.014.016016.

[https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1279790](https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1279790)  
(08.12.2011წ.).

5. საქართველო. პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (786-IIს, 24.07.1997წ) პარლამენტის უწყებაზე. 31, 24.07.1997წ., სარეგისტრაციო კოდი 040.000.000.05.001.000.223.

[https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=31702](https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31702)  
(08.12.2011წ.).

6. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. (3537-რს, 21.07.2010წ.) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” I №47 05.08.2010. სარეგისტრაციო კოდი 040.000.000.05.001.004.166

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=93070](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=93070) (08.12.2011წ.).

7. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. (3888-IIს, 07.12.2010წ.) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” I, №67 09.12.2010წ. სარეგისტრაციო კოდი 040000000.05.001.016076

[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1130815#](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1130815#) (08.12.2011წ.).

8. საქართველო. საქართველოს უზენაეთი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული. (7; 2009წ. 51-57) სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-562-871-09 №ას-562-871-09 ბიჯისი; 20.10.2009წ.

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.12.2011წ.).

9. საქართველო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”. (3446-რს. 16.07.2010წ.) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” №44 28.07.2010წ. სარეგისტრაციო კოდი 080.000.000.05.001.004.136

[https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=92926#](https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=92926#)  
(08.12.2011წ.).

*Nino Chipashvili  
Grigol Robakidze University*

## Bank Guaranty According to the Georgian Legislation Summary

Bank guaranty is daily becoming a popular bank instrument.

Legal force and nature of bank guaranty is indicated in the articles 879-890 of the Civil Code of Georgia. Usage of this flexible and cheap bank instrument among the parties of the civil turnover is a guaranty of payment during provision of services determined by the agreement, conducting of works, during purchase or international trade if the party who is obliged to pay based on the agreement fails to pay.

The concept of “bank guaranty” is vague for people who had never dealt with financial instruments or business even after studying the above mentioned articles of the Civil Code. They cannot believe that if a party of the agreement fails to pay due amount of money within the due time to the other party of the agreement, the bank will pay this amount. But those people who have used this flexible and cheap bank instrument apply to bank in order to get this service again.

This financial instrument gives an opportunity to the party of the agreement to be sure in getting due amount of money in cases when the other party of the agreement fails or does not pay the amount determined by the agreement.

As it is shown by business practice, even an agreement that is made without any legal defects is not the best protection mechanism when the contracting party fails to fulfill obligations of payment determined by the agreement. Bank guaranty warrants fulfillment of liabilities as it defends financial interests of the parties participating in civil-legal agreements.

According to the dictionary of Georgian electronic encyclopedia CIVIL [2] – “Bank guaranty means that bank takes a responsibility to pay if a customer fails to cover loan timely. Guaranty is pecuniary obligation. Unless otherwise determined by the law or the agreement, a debtor and a guarantor bear a joint liability. Guaranty is of urgent and unconditional character. Classical Roman law was familiar with bank guaranty that was called “receptum argenratii”. It was an informal agreement. According to this agreement, a banker took a responsibility to pay his customer’s debt to the third party. Banker (argentarii) will not become a debtor of the third party based on this agreement. The third person remained a creditor of a banker’s customer. If a debtor had no finances to pay, he/she offered service of his/her banker. If a banker refused to pay, a customer would get an action defense (actio receptia). This act can be considered as a predecessor of the bank guaranty”.

The given definition refers to a loan relationship but the bank guaranty is more widely used. Practice has outlined demand on the following kind of bank guarantees:

- 1) **Guaranty of returning the advance payment:** In such case a bank returns guaranty amount or its unutilized part based on the principal’s order if advance money is not utilized purposefully or for fulfillment of the agreement liability within which the advance payment is made;
- 2) **Tender guaranty:** This format includes two options: tender proposal guaranty and guaranty of fulfillment of the agreement;
- 3) **Payment guaranty:** It is issued for guarantying reimbursement of cost of service or products delivered to the organization;
- 4) **Guaranty issued in favour of the customs office:**
  - a) For observing re-export or transit regimen – is required during moving goods within legal regimen of temporary import according to the custom law of Georgia;
  - b) For ensuring custom regimen of import and processing when the processed products are subject to export;
  - c) For arrangement of customs consignment stock in order to give consignment stock status to storage facilities.
- 5) **Quality guaranty:** Is given for reimbursement of damage incurred to a contractor due to poor quality of the delivered goods, conducted work or provided service.
- 6) **Guaranty issued in favour of the Enforcement Bureau:** For purchasing property at the auction, for participation in the auction.
- 7) **Guaranty of fulfillment of liabilities (payment) determined by this agreement:** For guarantying fulfillment of pecuniary liabilities imposed by the agreement.
- 8) **Loan guaranty:** For securing returning of the allocated credit.

These are mostly demanded forms of bank guaranty and this list is not complete. According to the 2<sup>nd</sup> part of the article 10 of the civil code “Parties of civil relationship can carry out any act that is not forbidden by law including any act that is not directly envisaged by law”. [5] If such act ends by concluding an agreement, the agreement is signed and pecuniary liabilities appear, bank guaranty can be used for securing payment.

Popularity of the bank guaranty in Georgia and in the world is due to the fact that it is the fast and trustworthy means of fulfillment of pecuniary liabilities. The following parties involve in the legal relationship of the bank guaranty: **guaranty** – financial institution issuing bank guaranty (bank, insurance company, other credit institutions), **principal** – a person, who has applied to a guarantor for giving guaranty for securing fulfillment

of his/her (principal's) obligations in favour of a contract partner and **beneficiary** – a person who is a **principal's** creditor (based on the agreement or law).

Bank guaranty – is a document of a simple written form. It is issued by a bank, insurance company or other credit institution i.e. financial institutions. This document contains the written obligation taken by a guarantor (bank, insurance company) regarding unconditional payment of money in favour of its customer i.e. a principal's creditor based on a principal's request. The document cannot be revoked by a guarantor and fulfillment of this obligation does not depend on validity of that agreement which is secured by guaranty. Conditions of the bank guaranty will be fulfilled based on a written demand (even groundless) of a person in favour of whom this guaranty was issued. The bank guaranty is subject to “urgent execution”. As it is shown by practice, payment is made within five days from submitting a written request to a guarantor.

Bank guaranty is reliable, solid and fast means of securing and according to the first part of the article 880 of the civil code of Georgia it secures “Proper fulfillment of obligations by a principal in favour of a beneficiary”.

In his book “Georgian Business Law” [1] Zurab Chechelashvili accurately determines the bank guaranty as two different transactions. He writes: “In case of discussion of legal institution of the bank guaranty we must differentiate two kinds of transactions: the transaction regarding issuing the bank guaranty and the bank guaranty itself.

- a) Bank guaranty agreement. One party of the bank guaranty transaction – bank, credit institution or insurance company (guarantor) takes a responsibility based on a principal's request to pay a principal's creditor (beneficiary) if a beneficiary submits a written demand of payment. One party of the bank guaranty agreement is a credit institution – bank (in most cases), other credit institution or insurance company. Other party of the agreement – principal – can be any physical person or legal entity. Both parties of the agreement have rights based on the bank guaranty agreement and they have obligations as well. An agreement is valid from the moment of signing it. According to its legal nature, this agreement is bilateral and consensual.
- b) Bank guaranty. Bank guaranty agreement is a basis for the bank guaranty. It is a unilateral transaction. Bank agreement is issued by a financial institution and its legal force does not depend on consent of any other person; it does not depend on obligations secured by it even in case when guaranty includes reference to this obligation and it does not depend on validity of the bank guaranty. Bank guaranty is not ancillary and does not depend on other liabilities. It is an abstract transaction and exists despite the *causa*”.

Only the article 890 of the civil code of Georgia includes provision regarding the agreement concluded between a guarantor and a principal which is secured by guaranty [5]. This agreement must consider the recourse of a guarantor in relation to a principal on the amount paid according to guaranty. It means that a guarantor and a principal must sign a written agreement and it must be executed partially by the issuing bank guaranty. This agreement must indicate guaranty amount, guaranty period, guaranty security, rule of regress and type of security.

The Chamber of Civil, Enterprise and Insolvency Affairs of the Supreme Court of Georgia has discussed a dispute within cassation lawsuit regarding imposing an obligation of payment of guaranty amount determined by the bank guaranty. Resolution is interesting when evaluating the legal nature of these two agreements though subject of dispute was demand of payment based on the bank guaranty with expired validity. According to the resolution: “The Appeal Court has concluded that by signing the bank guaranty agreement the parties have agreed upon text of extract of the bank guaranty and have determined its legal nature; i.e. the bank guaranty extract was issued based on the bank guaranty agreement for submitting it to a beneficiary which is an integrated part of the given agreement and has no independent legal force. The Chamber of Appeal agrees with the following resolution made by the city court – bank extract cannot be considered as an independent document and as a legal basis of appearing of obligations as it contains short description of the main terms of the principal agreement and is determined by the agreement itself. Extract is a part of the agreement and has no independent force. Thus, their content must be explained within the bank guaranty

agreement. Besides, the Court of Review indicates that the civil code considers the bank guaranty as one of the means of security which is different from other forms of security by its independence – it is not accessorial. It means that the main obligation – agreement - that is secured by the bank guaranty has no influence on it. The bank guaranty must be executed immediately after the request of a beneficiary despite the fact whether plea that is based on general obligations exists or not. This enactment of the article 887 of the civil code secures reliability of the bank guaranty and a creditor's anticipation regarding the fulfillment of obligations but only within the liabilities taken by a guarantor based on the bank guaranty. Besides, selection of the bank guaranty for securing a creditor's (a beneficiary's) demands means that he/she agrees to these terms as according to the first part of the article 51 of the civil code of Georgia when expression of will which requires its acceptance by the other party will be considered to be true from the time when it is delivered to the other party. Considering the legal nature of the bank guaranty the Court of Review indicates that as a beneficiary, a principal and a guarantor are participants of the relationship related to the bank guaranty two agreements are made within this relationship: 1. An onerous agreement between a guarantor and a principal regarding issuing the bank guaranty (article 880 of the civil code of Georgia); 2. The bank guaranty itself which is an unilateral transaction and creates unilateral obligation to a beneficiary (article 879 of the civil code of Georgia); Besides, by issuing the bank guaranty the relationship between a guarantor and a beneficiary is independent from those main obligations that are secured by the given guaranty (article 881 of the civil code of Georgia). Thus, “Bank guaranty extract” document that is given in the case is a unilateral transaction – it is a bank guaranty that creates only obligations of a guarantor to a beneficiary” [8].

As we see, courts of the first and the second instances have deprived status of independent agreement from the bank guaranty; they have changed its name and called it “bank extract” and they have reviewed it as an annex to the bank guaranty service agreement and they have not considered it as a basis of creation of liabilities or legal basis of determining such liabilities.

The cassation instance indicated to inadequacy of the above mentioned act and restored independence status of the bank guaranty thus correcting the incorrect evaluation.

As we have already mentioned above, the bank guaranty service agreement is onerous. Onerousness is determined by a financial risk factor of guaranty. This risk is balanced by payment of interest accrued to the guaranty amount by a principal in favour of a guarantor. The bank guaranty agreement is made in a written form. The Georgian civil code excludes possibility of making a verbal agreement.

Bank guaranty is a unilateral transaction concluded in a simple written form. It must be written on a letter-headed paper and it must be signed by an authorized person. It must be submitted to a beneficiary as a security of fulfillment of pecuniary liabilities of a principal to a beneficiary.

As a result, the bank guaranty as an independent document includes indication to irrevocability, date of coming in force (or definite circumstances for calculating date of enactment), a payment demand form according to the guaranty amount, guaranty amount and validity (or definite circumstances) when the bank guaranty validity expires.

Despite the volume of secured demand, the guaranty liability to a beneficiary determined by the bank guaranty is limited to the payment of the amount that was secured (article 881 of the civil code of Georgia).

Which factor ensures bank guaranty as reliable means of security? What are the obligations of a guarantor when he/she gets a beneficiary's written demand regarding payment of the guaranty amount?

According to the articles 886-887 of the civil code of Georgia, he/she is obliged to deliver a beneficiary's written request to a principal together with all attached documentations. He/she is obliged to discuss this issue within reasonable period of time and determine if a beneficiary's demand and attached documents are relevant to conditions indicated in the bank guaranty and if the list of documents is relevant from the point of content.

If before satisfying the demand, a guarantor finds out that a principal has fulfilled own liabilities completely or partially or if the agreement is terminated or becomes void, he/she must immediately inform both a principal and a beneficiary regarding it. If a beneficiary receives such notice from a guarantor and still submits a request of payment of guaranty, a guarantor must pay the guaranty amount in any case [5].

The Georgian legislation envisages three possibilities of refusal by a guarantor to pay the guaranty amount. Two of them are indicated in the first part of the article 887 of the civil code of Georgia: First – when the request submitted by a beneficiary and the attached documentations are not relevant to the conditions given in the bank guaranty; second – the bank guaranty validity period has expired and the request was not submitted until expiration of the deadline. The third possibility is based on the article 210 of the criminal code of Georgia. According to this article, such acts as making of forged credit or other kind of payment document, document certifying proprietary rights (when they are not securities) for the purpose of sale or purchase are considered as a crime. In case of the counterfeited letter of guaranty, the bank guaranty amount shall not be paid since the transaction itself does not exist as a result of forgery of the document [9].

Three cases of termination of the bank guaranty are considered by the civil code of Georgia (article 889):

1. Making payment in favour of the beneficiary in the amount that was secured by the guaranty;
2. Expiration of the deadline indicated in the guaranty and
3. Waiver of guaranty rights by a beneficiary and by returning back the guaranty [5].

But what happens when partial payment is made according to the bank guaranty? This issue is regulated directly by the bank guaranty. As a rule, it is indicated in the bank guaranty that in case of partial payment, the guaranty amount is reduced in proportion to the paid amount.

The civil code of Georgia (article 885) has determined two forms of submitting a request. The first is a written form that must be observed by a beneficiary. He/she must attach those documents to this form that are indicated in the bank guaranty. In the above mentioned written form, a beneficiary must describe in details violation of obligations by a principal that were secured by the bank guaranty.

The second form is new. It envisages sending a request electronically to a guarantor by a beneficiary. But in such case, one more agreement must be concluded between a beneficiary and a guarantor regarding accepting the payment request by means of the electronic system of the document turnover (Paragraph 1<sup>1</sup> of the article 885) [6]. This form can be used by a beneficiary with any organizational-legal structure if the above mentioned agreement is concluded between a guarantor and a beneficiary. At present, such format is used when a beneficiary is a state structure i.e. National Bureau of enforcement, customs office or State Procurement Agency.

According to “c” subparagraph of the first part of the article 16 of the Georgian law on “Public Register”, the bank guaranty is subject to non-compulsory registration at Public Register. It means that the parties may decide whether to register it at the Public Register or not. “e<sup>1</sup>” subparagraph of the first part of the article 31 of the same law indicates that the fee for immediate registration of the bank guaranty or amendments that are made in it equals to 10 GEL. “c” paragraph of the article 33 of the same law indicates that if a state is a principal, it is free from the payment or the registration fee. According to “n” subparagraph of the same article, the bank guaranty is terminated immediately (free of charge) [7].

These amendments to Georgian law on “Public Register” make an incorrect statement when indicate that the legal force of guaranty is created by registering it at the Public Register. It obtains a legal force from the date of issuance and according to the article 884 of the civil code of Georgia it does not need registration at the Public Register for obtaining a legal force. And selection of the bank guaranty by a beneficiary as a security is considered as his/her consent to these conditions as according to the first part of the article 51 of the civil code of Georgia expression of will that requires acceptance by the other party is considered as true from the moments of its delivery to the other party [5].

Electronic bank guaranty was permitted based on the amendments to the article 7 of the decree N 21 31.01.2011 of the Minister of Justice of Georgia (21.11.2011, order 148), which means that the bank guaranty can be delivered to a beneficiary electronically [3].

Based on N 9 decree made on April 7, 2011 by the Chairman of “State Procurement Agency” on “Approving rules of simplified procurement and electronic tenders” possibility of submitting an electronic form of the bank guaranty was permitted as well (article 16) [4].

Georgian bank sector was very careful about these legislative amendments as the civil code of Georgia has not determined the existence of the electronic form of the bank guaranty and its legal force. It has determined only the possibility of submitting a beneficiary’s request electronically to a guarantor if a guarantor and a beneficiary agree in advance about it in a written form. For this reason the bank sector together with issuing the electronic bank guaranty continues to issue the bank guaranties in an usual mode and tries to observe imperative norms of the civil code, business ethic and own commercial interest. Such approach was determined by the fact that the electronic bank guaranty contains very little information, such as the guaranty amount, a principal and a beneficiary and the guaranty may include other conditions.

It must be mentioned that the electronic bank guaranty is not a novelty for the world market and it is used by US banks. In case of Georgia, it starts to appear now and requires regulation at the legislative level.

**ლია ჭილდაშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

**ქორწინების მართვა და გადაწყვეტილებების უფლებები - ზოგადი მიმოხილვა**

საოჯახო კანონმდებლობა იცავს ისეთ ქორწინებას, რომელიც ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირზეა დაყურებული და რეგისტრირებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. სწორედ ქორწინების რეგისტრაციით ხდება შემდგომში მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ინტერესების დაცვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განმარტავს, რომ ქორწინება მიჩნეულია ქალისა და მამაკაცის კავშირად და როგორც პროფესორი რ.შენგალია აღნიშნავს, ამ “კავშირს” განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. იგი მიუთითებს იმაზე, რომ ქორწინება არ არის სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ადეკვატური ცნება, თუმცადა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ქორწინებაში გარიგების ელემენტები თვალნათლივია. გარდა ამისა, სიტყვა “კავშირი” ქორწინების რელიგიურ იდუმალებასაც გულისხმობს, რაშიც, სამართლებრივთან ერთად, ზნეობრივ-ეთიკური, რელიგიური და სულიერი, მათ შორის, ინტიმური ურთიერთობებიც მოიაზრება. აქედან გამომდინარე, როდესაც კანონმდებელი ამახვილებს ყურადღებას ქალისა და მამაკაცის კავშირზე, ქორწინების ცნებაში ორ მნიშვნელობას დებს:

1. ქორწინება არის იურიდიული ფაქტი, რასაც შედეგად მოჰყვება ქალსა და მამაკაცს შორის მეუღლეობრივი ურთიერთობის წარმოშობა;
2. ქორწინება განსაზღვრავს ცოლისა და ქმრის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს. ამ ორი მნიშვნელობის გაერთიანებით კანონმდებელმა ერთიან ცნებაში მოაქცია ქორწინების რეგისტრაცია და ქორწინებაში მყოფ პირთა სამართლებრივი მდგომარეობაც.

ვიდრე განვიხილავდეთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებს, სასურველი იქნება თვალი გადავავლოთ წინა საუძუნებების საქართველოში, ისტორიული წყაროების მიხედვით, ქორწინების ინსტიტუტი როგორ არეგულირებდა და იცავდა დაუქორწინებელ პირთაგან დაბადებული ბავშვის ინტერესებს.

ქორწინების ქართული ინსტიტუტის კვლევისას, ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში მიუთითებდა, რომ საქართველოში დაუქორწინებელ პირთაგან შობილი ბავშვი თავისი ღირსებითა და უფლებით, კანონის თანახმად დაბლა იდგა კანონიერ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან შედარებით [1, 144].

უკანონდ დაბადებულ ბავშვთა სამამეკვიდრეო უფლებები ქართულ სამართალში ასევე უადრესად შეზღუდული იყო ვახტანაგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვითაც, იგი პირდაპირ უთითებს “ნაბიჭურის წილი არ არის მამულში”, თუმცა სხვა შემთხვევაში გარკვეული შედავათებია დაუქორწინებელ პირთაგან შობილ შვილებზე- მაგალითად თუ ნაბიჭვარი ძმებს ეყმობა, მაშინ “ძმებმა ერთი ყმის ალაგს უნდა არჩინონ”.  
ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავდით, რომის სამართლის მიხედვით არასაქორწინო ფაქტობრივი კავშირი წარმოშობდა სამართლებრივ უფლებებს და მოვალეობებს, ასეთ ქორწინებას რომში კონკუბინატად იხსენიებდნენ. ამ კანონის თანახმად ბავშვს პქონდა იგივე უფლებები, როგორიც ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვს. ასევე შეეძლო მემკვიდრეობის მიღების უფლება მამის ქონებიდან და პქონდა ალიმენტის მიღების უფლებაც.

საოჯახო კანონმდებლობა დეტალურად არეგულირებს რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა უფლებებს, რომლებიც მათ წარმოეშობათ დაბადებისთანავე, რასაც

ვერ ვიტყვით ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვების მიმართ. აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე მუხლით - თუ მშობლები დაქორწინებული არ არიან ერთმანეთთან, ჩანაწერი ბავშვის დედის შესახებ კეთდება დედის განცხადებით, ხოლო ჩანაწერი მამის შესახებ-ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მამად აღიარებულია სავარაუდო მამა, მაშინ ბიოლოგიურ დედასა და მამას ეპისრებათ ისეთივე ვალდებულებები შვილის ზრუნვაზე, როგორიც მათ დაეკისრებოდათ რეგისტრირებულ ქორწინებაში. დაუქორწინებელი მშობლებისაგან ბავშვის დედად პირის აღიარება ეყრდნობა მისგან ამ ბავშვის გაჩენის ფაქტს, დედის მიერ ბავშვის გაჩენის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს სამედიცინო დაწესებულების მიერ, სადაც დაიბადა ბავშვი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაუქორწინებელი მშობლებისაგან დაბადებული ბავშვები კანონით მემკვიდრეები არიან დედის გარდაცვალების შემდეგ, ხოლო დაუქორწინებელი მშობლებისაგან დაბადებული ბავშვები მამის მემკვიდრეები არიან, თუ მამის ნებაყოფლობით იქნება აღიარებული ან დაღგენილი სასამართლოს მიერ. ქორწინებისგარეშე შობილი ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამის აღიარებულია კანონით დადგენილი წესით [2, 3].

როდესაც ბავშვის მშობლები დაქორწინებული არ არიან და სავარაუდო მამა აცხადებს, რომ გაჩენილი ბავშვი მისი შვილი არ არის, შეიძლება მამობა სასამართლო წესით დადგინდეს. მამობის დადგენა ხდება სასამართლოში, სარჩელის შეტანის გზით. თუ რა გარემოებების არსებობისას დგინდება მამობა დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში, ამას აზუსტებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი. კანონის შესაბამისად, სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს; მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად თანაცხოვრებას, (ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას) საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან რაიმე დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას [3, 155].

უკანასკნელ წლებში თავი იჩინა ოჯახური ცხოვრების ალტერნატივებმა, მათ შორის აქტუალურია ერთობლივი ცხოვრება ქორწინების გარეშე. სამწუხაროდ პოლო 15 წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილების დაბადების ფაქტების რაოდენობა, არარეგსიტრირებული ქორწინებები. მრავალი დამკვირვებელი განიხილავს არსებულ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც არ უნდა დარჩეს საზოგადოების ყურადღების მიღმა. მათ შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი პრობლემები: ქორწინების შემცირება; ქორწინებისგარეშე წყვილთა თანაცხოვრება; ქორწინებისგარეშე გაჩენილ ბავშვთა რაოდენობრივი ზრდა და მირითადად მარტოხელა დედების რაოდენობის მატება.

მარტოხელა დედების ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან უფრო მძიმდება. ხშირ შემთხვევაში მარტოხელა დედა ცხოვრობს სიდარიბის ზღვარზე ან მის მიღმა. ქალები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ მოქოვებინათ იგივე უფლებები და თავისუფლებები, რაც მამაკაცებს გააჩნდათ. საზოგადოებაში, სადაც ქორწინებას დიდი ყურადღება ეთმობა, მარტოხელა დედები ხშირად თავს საზოგადოებისაგან გარიყელად და დამცირებულად გრძნობენ და მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს შეუძლებლად თვლიან.

მრავალრიცხოვანი გამოკვლეული საშუალებას იძლევა, გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ქორწინებისგარეშე დაბადებული ან მარტოხელა დედების მიერ გაზრდილი ბავშვები ხშირად საჭიროებენ მატერიალურ, მორალურ დახმარებას და გვერდში დგომას სახელმწიფოს მხრიდან. პუმანურობის პრინციპების შესაბამისად, ასეთი ოჯახები უნდა დებულობდნენ მათვის საჭირო მხარდაჭერას.

ქორწინებისგარეშე დაბადაბულ ბავშვთა უფლებები მკაფიოდ არის დაცული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში. იგი ეყრდნობა სოციალურ და სამართლებრივ პრინციპს, რომელიც მოიცავს ბავშვების დაცვასა და კეთილდღეობას ეროვნულ საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული პრობლემები პირდაპირ ეხმაურება ევროპულ კონვენციას ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივ სტატუსთან მიმართებაში.

სახელმძღვანელოში “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით” ვეცნობით, რომ “ოჯახური ცხოვრების” ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა “ოჯახურ კავშირებსაც”. ასეთ ურთიერთობას აქვს საკმარისი მდგრადობა და ამ ურთიერთობის შედეგად დაბადებული შვილი არის “ოჯახის ერთეულის” ნაწილი მისი დაბადების მომენტიდან და თავად ამ ფაქტის გამო... რადგან მამაკაცისა და ქალის თანაცხოვრება არ მიიჩნევა ოჯახური ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობად [4, 180].

ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით ქორწინებისგარეშე შვილების აღიარება მხოლოდ მაშინ მოხდებოდა თავიანთი დედის შვილებად, თუ დედა ფორმალურად ცნობდა თავის დედობას. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დედასა და შვილს შორის ბიოლოგიური კავშირი ქმნის ოჯახურ ცხოვრებას, (მე-8 მუხლი) რაც ასევე ვრცელდება დედისა და უკანონო შვილების შემთხვევაზე, ვინაიდან კონვენცია არ განასხვავებს “კანონიერ” და “უკანონო” შვილებს [4, 181].

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაუქორწინებულ მშობლებს შორის ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობის ნორმალურად განვითარება მოითხოვს, რომ მათი შვილები იმავე სამართლებრივ და სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომელშიც არიან კანონიერ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები. მშობელთა ქორწინებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო შვილების განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება იკრძალება. (კონსტიტუციის მე-8 მუხლი, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ მე-14 მუხლთან ერთად) [4, 181].

საქართველოს კანტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად, “სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. დედათა და ბავშვთა უფლებები აღიარებულია, დაცულია კანონით”. მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში დედებს არ შესწევთ უნარი, დაიცვან საკუთარი უფლებები, რადგანაც ბავშვის წარმოშობის დადგენა ბევრ პრობლემას შეუქმნის მომავალში, როგორც თავად ბავშვს, ასევე დედასაც.

ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა დაბადების მოწმობებში ჩანაწერი მამის არსებობის შესახებ არ არის დაფიქსირებული, რაც შემდგომში ბავშვზე მტკიცნეულად აისახება. ბავშვს აქვს უფლება იცოდეს ვინ იყო მისი ბიოლოგიური მამა. მამა კი

ვალდებულია იქისროს პასუხისმგებლობა და სცნოს თავი ბავშვის მამად, რადგან ის ბავშვი, რომელიც დაიბადა არარეგისტრირებულ ქორწინებაში თავს არ უნდა გრძნობდეს დაბეჩავებულად. ზოგადად ასეთ პირობებში დაბადაბული ბავშვები ძალიან როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან არც მემკვიდრეები არიან მამის ქონებისა და არც არანაირი ეკონომიური დახმარება მშობლების მხრიდან მათ არ გააჩნიათ, სწორედ ამ ტიპის ვალდებულება იქნება მშობლების მხრიდან აუცილებელი.

სულ ახლახან სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლში შევიდა ცვლილება, მამობის აღიარების ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილება, დაარეგულირებს სადაო მამობის საკითხს. რა მოვალეობები ეკისრება ბავშვის ბიოლოგიურ მამას და როგორ იცავს კანონი ე.წ. უკანონო შვილებს?

კანონი, რომელიც ითვალისწინებს იძულების წესით მამობის დადგენას, ძალადობისაგან დაცვის ორგანიზაციის ქსელის ფარგლებშია შემუშავებული. იგი დაფუძნებულია იმ მოთხოვნაზე, რაც დღეს საზოგადოებას აწესებს, ვინაიდან ქალი, რომელსაც პყავს არალეგალურად გაჩენილი შვილი, და მასთან ერთად ბავშვიც, დისკრიმინაციას განიცდიან.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ კანონის თანახმად საქართველოში ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის მამობა ახალი წესით დადგინდება. ყველა მამას, რომელიც ასეთი ბავშვის მამობაზე უარს აცხადებს, საკუთარი სტატუსის მოპოვება კანონის ძალით მოუწევს. მათთვის გენეტიკური ანალიზის დნმ-ის ჩატარება შესაძლებელი გახდება. ეს აუცილებლობა ბოლო პერიოდის სტატისტიკამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც ძალიან გაიზარდა ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვებისა და მარტოხელა დედების რიცხვი.

დნმ-ის ექსპერტიზის ჩატარება ძირითადად საჭირო გახდება მაშინ, როდესაც სასამართლოში მიმდინარეობს დავა ბავშვის მამობის დასადგენად. დნმ-ის ექსპერტიზის დასკვნა არის მტკიცებულების ერთ-ერთი სახე.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში საქმის განხილვის დროს რომელიმე მხარე არ ეთანხმება წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნას, მას, კანონის თანახმად, უფლება აქვს მოითხოვოს განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება. ასევე ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს, გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება. თუ სადაო მამა აღიარებული იქნება ბავშვის მამად და მიიღებს ალიმენტს, იგი ასევე გახდება მამის ქონების მემკვიდრეც.

ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობის შესწალა უმნიშვნელოვანებია სამართლებრივი ოვალსაზრისითაც. ყველა ადამიანი დაბადებიდან თავისუფალია კანონის წინაშე. პატივს სცემენ ბავშვის აზრს, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლებას. ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია ითვალისწინებს ბავშვთა თანასწორუფლებიანობას და კრძალავს მათ დიფერენციაციას.

სამწუხაროდ სასოწარკვეთილ, მარტოხელა ქალებს, უწნდებათ შიში და ზოგიერთი მათგანი ტოვებს შვილს სამშობიაროში, იკეთებს აბორტს, კლავს ბავშვს, რადგან უკანონო ბავშვის გაჩენა დიდ სირთულეს შეუქმნის შემდგომში, როგორც დედას, ასევე ბავშვს, ამიტომაც ეს ადამიანები რადიკალურ ზომებს მიმართავენ.

ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვები, რომელთა გაზრდაზეც დედებმა უარი განაცხადეს, ძალაუნებურად ქუჩაში აღმოჩნდებიან. მათ მიმართ გამოვლენილმა უკურადებობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოზარდების ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას, შეურაცხყოს მათი პიროვნული დირსება, დააკინოს ზეობრივი ფასეულობები და დაარღვიოს კანონიერი უფლებები.

სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვის უფლების დაცვაზე. შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უზრულეველყოს ბავშვის ჯანხალი განვითარება, რათა იგი იზრდებოდეს ბედნიერების, სიკვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. მოზარდთა დაცვა სახელმწიფოსთვის უნდა იყოს პრიორიტეტი.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა, წვლილი შევიტანოთ ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვის სფეროში. თუკი კანონი არ ითვალისწინებს ამა თუ იმ უფლების დაცვას, ჩვენ უნდა შევძლოთ ამის შეცვლა, გამოსწორება. სახელმწიფო უნდა იყოს მთლიანი ჯაჭვის რგოლი, რომლის სამომავლო მიზანი საზოგადოებასთან სწორი და სამართლიანი ურთიერთობის უზრუნველყოფაა. სახელმწიფო არის ის ძლიერი ძალა, რომელიც არ ახდენს ადამიანების დიფერენციაციას მათი ფერის, ასაკის, სქესის და სოციალური წარმოშობის მიხედვით. სამართლმა და საზოგადოებამ სწორი გზით უნდა იაროს.

ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ წარმატებული ნაბიჯები იდგმება ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესების ათვის. აღნიშნული საკითხის სრულყოფილი შესწავლა ხელს შეუწყობს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების პარმონიზაციას.

ამდენად, ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლა კანონთან მიმართებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებია სამართლებრივი და სოციალური ნაკლოვანებების ფორმულირების თვალსაზრისით. საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, აქტიურად უნდა ჩაებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეკომენდაციებში, საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით, ასევე მიზანმიმართულად განახორციელოს შესაბამისი პროგრამები და სახელმწიფო ვალდებულებები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯავახიშვილი ივ. 1982. თხზულებანი 12 ტომად. ტომი VI. თბილისი.
2. ახვლედიანი ზ. 1997. მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი: სამართალი.
3. ჭანტურია ლ., ზონდე პ., ნინიძე თ., შენგალია რ., ხეცურიანი ჯ., 2000. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. თბილისი: სამართალი.
5. კორკელია პ., ქურდაძე ი., 2004. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა უკროპული კონვენციის მიხედვით. თბილისი: ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში.

## **Rights of Children Born out of Marriage - General Review**

The family legislation protects such marriage, which is based on the voluntary union between a man and a woman for the purpose of making a family and is registered in the territorial service of an agency. The legal interests of children and parents are defended namely with the marriage registration in future.

The family legislation regulates in details the rights of children born in marriage which they are given since they are born what we cannot say about those ones born out of marriage. The mentioned legal relations are regulated on the basis of several articles of the Civil Code. If the parents are not married with one another, the record about a child's mother is made on the basis of mother's declaration, and the record about father is made on the basis of joint declaration made by parents of a child or on the basis of the court resolution. In case if any presumable father is recognized as a child's father, then the biological mother and father are obliged to take the same obligations on taking care of a child, as they would be charged when been in registered marriage. Unmarried parents may recognize mother's existence which is based on the fact of delivering this baby, and the fact of delivering the baby by mother may be approved by the medical institution where the baby was born.

According to the legislation of Georgia, children born out of marriage are legal heirs after mother dies, and those children born out of marriage are heirs of father if the paternity is recognized voluntarily or determined by the court. Father of a baby born out of marriage will be considered if the paternity is recognized with the determined rule.

When parents of a child are not married and presumable father declares that a baby born is not his child, the paternity may be determined at the court by the way of raising the claim. The fact of establishing paternity in case of having unmarried parents is specified by the Article 1190 of Civil Code of Georgia. In relevance with the law, the court takes into consideration the following circumstances:

- The birth of a baby by unmarried parents is established on the basis of the declaration submitted by parents jointly to the territorial service of the agency;
- The birth of a baby by unmarried parents is also established on the basis of the joint declaration made by parents and submitted to the Diplomatic Representation of Georgia or Consular Department;
- While establishing the paternity, the court takes into consideration the fact of co-living of a child's mother and a defendant or any other document certifying the recognition of father by a defendant.

2004 წლის დასაწყისში სააკაშვილი არჩეულ იქნა პრეზიდენტად ხმათა 96% -იანი უმრავლესობით. “გარდების რევოლუციის” შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამ რადიკალურად შეცვალა ქვეყნაში არამხოლოდ პოლიტიკური მდგომარეობა, არამედ დანაშაულობა. ახალმა მთავრობამ მმიმე მემკვიდრეობა მიიღო წინამორბედებისაგან: შედარებით დიდი ბიუროკრატიული აპარატი, სუსტი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ცუდი

ეკონომიკური მდგომარეობა, კორუფცია და უკანონობა. სახელმწიფო ბიუჯეტი სრულად იყო დაგალიანებული, ენერგიით უზრუნველყოფა იყო არასაიმედო, მომგებიანი სავაჭრო სფერო კვლავაც კრიმინალური დაჯგუფებისა და პოლიტიკური სისტემის ანდა მთავრობის კორუმპირებული წევრების ნათესავების ხელში გახდდათ. ახალ მთავრობას მოუხდა საქმაოდ მძიმე პრობლემებთან შეჭიდება, საჭირო იყო 2003 წლის რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოს გადახდისუნარიანობის გაზრდა და მართლწესრიგის გაძლიერება.

მთავრობის უკედა სფეროში განხორციელდა რადიკალური სტრუქტურული ღონისძიებები. სამინისტროებსა და დეპარტამენტებში გათავისუფლდნენ თანამდებობის პირები. ეს, უპირველეს ყოვლისა, შექმნა იურიდიულ მიმართულებებს. მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპლექსური რესტრუქტურიზაცია. იგი მიხედული იყო კორუფციის ცენტრად. შეიცვალა პირადი შემადგენლობის 80%-ზე მეტი. იგივე შექმნა პოკურატურასა და სასამართლო სისტემას. ახალი მთავრობა დაეყრდნო ახალ სამართლებრივ სისტემას და შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდას. ამისათვის მათ შევარდნაძის დროინდელი მთავრობის წევრებისაგან, კორუმპირებული მოხელეებისაგან, მეწარმეებისა და ბიზმესმენებისაგან მოითხოვეს უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფო ბიუჯეტისთვის უკან დაბრუნება. ამ მიზნისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პოკურატურამ შექმნეს განსაკუთრებული “ფონდი”, რომელშიც ირიცხებოდა ყოფილ კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეთა “ნებაყოფლობითი დაბრუნებები”. დააპატიმრეს საქმაოდ ბევრი მაღალი რანგის მქონე და გავლენიანი მოქალაქე, სანამ მათ არ გადაახდევინეს შესაბანი პოკურატურის მიერ დადგენილ საწევრო “ფონდში”. ამის შედეგად ადრინდელმა მოხელეებმა სათითაოდ დააბრუნეს რამდენიმე ათასიდან მილიონ აშშ დოლარამდე ღირებულების უკანონოდ მოპოვებული ქონება. ოფიციალური შეფასებით სახელმწიფოს უკან დაუბრუნდა 100 მილიონი აშშ დოლარი. საერთო შენატები არ გამოქვენებულა და ამიტომ შეუძლებელია მათი საბოლოო შეფასება. “გასხვისების” ეს ფაზა გრძელდებოდა დაახლოებით ორი წლის განმავლობაში და წარმოადგენდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური ოპოზიციის კრიტიკის საგანს ნაკლები გამჭვირვალობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არარსებობაზე მითითებით. ფონდში გადარიცხული ფული გამოყენებულ იქნა თანამედროვე პოლიციის ჩამოსაყალიბებლად, შესაბამისი ადმინისტრაციის, სატრანსპორტო სამუალებების შესაქმნელად და დედაქალაქ თბილისში ბევრი სახელმწიფო შენობის გასაახლებლად. რეფორმირებულ იქნა მთელი სისხლის სამართლებრივი დევნის სისტემა. შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ბრძოლისუნარინი პოლიციის გაერთიანება, რომელიც მოწოდებას იმსახურებდა და იმსახურებს მოსახლეობის მხრიდან.

“ფონდის” ირგვლივ შექმნილი გაძლიერებული კრიტიკის გამო უკედა თანხა გადაირიცხა ფინანსთა სამინისტროში და ეროვნული ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი გახდა. 2004 წლიდან ადმინისტრაციული მიმართულებით გატარდა ცვლილებები – შეიცვალა 5 პრემიერმინისტრი, ხანგრძლივი ცვლილებები მიმდინარეობდა ასევე სამინისტროებსა და ქვეყნის სხვა პოლიტიკურ განყოფილებებში. მთავრობის აპარატში მიმდინარე ინტენსიურმა ძრვებმა გამოიწვია კადრებს შორის გამოცდილებისა და სპეციალური, პოლიცეისული ცოდნის შეუსტება და ადამიანის უფლებათა დარღვევის მრავალი შემთხვევა. “პიროვნებათა კარუსელი” გრძელდებოდა 2007/2008 წლებამდე, სანამ აღიარებულ არ იქნა მსგავსი ნაბიჯების პრობლემატიკა. “ეკონომიკური საკვირველების” იმედი ქვეყანაში ჯერჯერობით მიუღწეველია. საქართველო კვლავ დამოკიდებულია საზღვარგარეთის დამარტინაზე. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეკონომიკის განვითარებას ზოგჯერ მნიშვნელოვნად უშლის ხელს არასწორი ადმინისტრირება, შესაბამისი დადგენილებები, მაღალი გადასახადები და საკანონმდებლო დებულებათა პერმანენტული ცვლილება.

## 1. სამართლებრივი განვითარება

ა) განვითარება 2003 წლამდე

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაუმჯობესებლად კანონმდებლობა საქართველოში მეტ-ნაკლებად არასისტემურად ვითარდებოდა. ამის მაგალითია სხვადასხვა სამართლებრივი რეგულირება, რომელიც მიღებულ იქნა 1990 -იანი წლების მეორე ნახევრიდან საზღვარგარეთული დამფინანსებლების გავლენით. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონით “საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ”, რომელზეც დიდი იმედი იყო დამყარებული, თუმცა ნაკლები პოზიტიური შედეგები აჩვენა. 2001 წლის 13 აპრილს პრეზიდენტის დეკრეტის სახით მიღებულ იქნა “საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკორდინაციო საბჭო”, რომელსაც უნდა შეეცვალა ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა. საბჭო მუშაობდა 2004 წლამდე, შემდგომ თავისი არაეფექტურობის გამო გაუქმდა.

### ბ) განვითარება 2003 წლიდან

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი მასშტაბებით დაიწყო. ახალი მთავრობის სურვილი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე არსებითად მხარდაჭერილი იყო დასავლეთის ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა, კი აშშ-სა და ევრო კავშირის მიერ. საქართველოს ევროკავშირში შესვლის დიდი ინტერესი წარმოადგენდა პოლიტიკოსთა მოტივს გაეტარებინათ იუსტიციისა და სისხლისამართლებრივი პოლიტიკის რეფორმა, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევდა. ამავე დროს ქვეყანა დასავლეთის სახელმწიფოებისგან დებულობდა როგორც ფინანსურ მხარდაჭერას, ისე ექსპერტთა და მრჩეველთა რეკომენდაციებს. პირველი დონისძიება გამოიხატა “ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის” მიღებაში 2005/2006 წლებში. ამ საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე შემუშავებულ იქნა შემდგომ წლებში კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგია, რომელიც ნაწილობრივ მოიცავდა სხვადასხვა სფეროს და საკმაოდ თანმიმდევრული იყო. მიღებულ იქნა ზომები მოსახლეობის პრობლემებში გასარკევევად და ამ საკითხთან დაკავშირებით მათი შეხედულებების შესაცვლელად.

ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაციისთვის პასუხისმგებლობა ხშირად იცვლებოდა. საბოლოოდ, 2008წ-ის დეკმბერში შექმნილი “ NTI – Corruption Interagency Council” –ის ხელში გადავიდა ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალობის კოორდინაცია. მას უნდა ეზრუნა აქტუალურ საკითხებზე და თვალყური ედევნებინა ცალკეული დონისძიების გატარებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებით. ეს ორგანო ხელს უწყობს ანტიკორუფციული კანონების მიღებას. მისი თავმჯდომარეა ქვეყნის იუსტიციის მინისტრი. პრეზიდენტი ასახელებს მის წევრებს, უპირველეს ყოვლისა, მაღალი რანგის პოლიტიკოსებსა და პარლამენტარებს, ასევე ოთხ წევრს არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (Tl Georgia, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, Open Society Georgia Foundation , American Bar Association). შესაძლებელია მათი გაწვევა ნებისმიერ დროს. ეს ოგანო საკმაოდ კარგად ფუნქციონირებს. მისი საქმიანობა მიუთითებს მთავრობის მიერ კორუფციის შესამცირებლად გატარებულ აქტიურ დონისძიებებზე.

### გ) კანონმდებლობის რეფორმა

კორუფციულ ქმედებათა კრიმინალიზაციით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საერთაშორისო სტანდარტებთან განთანაბრების თვალსაზრისით. შემოღებულ იქნა დანაშაულის ახალი შემადგენლობები, რომლებიც აქტიურ და პასიურ მექრთამეობას შეეხებოდა და მნიშვნელოვნად გაიზარდდა მათვის გათვალისწინებული სანქციები. (შედარებისთვის იხილეთ სსკის 338-ე და 339-ე მუხლები, რომლებიც ქრთამის აღებასა და ქრთამის მიცემას ითვალისწინებს). აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი რეგულირება სავსებით

ახლებურად უნდა დაწყებულიყო. მცირე იყო გამოცდილება. ასეთ დროს ეყრდნობოდნენ უცხოელ ექსპერტებს, ამიტომ ნაწილობრივ გამოყენებულ იქნა უცხო ქვეყნების მოდელი.

2008 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა ახალი კანონი პროგურატურის შესახებ, რომლის მიხედვითაც მხოლოდ იუსტიციის მინისტრს აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება საჯარო მოხელის, პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, მთავრობის წევრის, მოსამართლისა და პროგურორის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე. ეს განსაზღვრავს მაღალი თანამდებობის პირთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებას.

სისხლის სამართლის პროცესის ცვლილების შემდეგ, შესაძლებელი გახდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება კორუფციის ფაქტებზე მასმედიის მონაცემების საფუძველზე და უურნალისტების მოწმეებად გამოძახება სასამართლოში. თუმცა, პროგურატურა მზად არის იმისათვის, რომ მასმედიის განცხადებებზე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს. მთავარი ბრალმდებლის საგამოძიებო გაერთიანება მოიცავს 26 თანამშრომელს, რომელთაგან 17 პროგურორია, 8 გამომძიებელი და 1 სპეციალისტი კორუფციის საკითხებში. ჯერჯერობოთ ბრალდება არ წაყენებია არაცერთ მაღალი თანამდებობის მოხელეს. საზოგადოებაში არსებობდა მოსამართლების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკური თვალსაზრისის გამოყენების თაობაზე. აღნიშნულს არ შეუმცირებია მნიშვნელოვნად საზოგადოების ნდობა იუსტიციისადმი. ამის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო სასამართლო ხარჯების სიდენტური და პროცესების ხანგრძლივობა. საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, მოსამართლეები ისეთ გადაწყვეტილებებს დებულობენ, რომ შესაძლებელია კორუმპირებულ მოხელეთა გათავისუფლება. გამამამწუნებელ განაჩენთა წილი 96%-ს შეადგენს. პროგურატურაში შეიქმნა საგამოძიებო განყოფილება/დეპარტმანეტი კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად. იუსტიციის მინისტრი წარმოადგენს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის უფლების განმახორციელებელს.

საქართველომ მიიღო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელი ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ნორმა. მთავრობა 1990 წელს შეუერთდა “ევროპის საბჭოს კონვენციას უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის შესახებ” და 2003 წელს მოახდინა კორუფციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციის რატიფიცირება. 2008 წელს განხორციელდა აგრეთვე კორუფციის წინააღმდეგ გაერთო კონვენციის, ხოლო 2009 წლის ივნისში “ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის” რატიფიკაცია.

დასავლური ნიმუშების მიხედვით კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი ახალი საკანონმდებლო რეგულირება, უპირველს ყოვლისა, შეეხო ისეთ ქმედებათა შემადგენლობების დასჯადობას, როგორიცაა: უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 220-ე მუხლი), კორუფციული მოსყიდვა (სსკ-ის 221-ე მუხლი), სამართლებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლი), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (სსკ-ის 333-ე მუხლი), ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება (სსკ-ის 334-ე მუხლი), განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება (335-ე მუხლი), სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (337-ე მუხლი), ქრთამის აღება (338-ე მუხლი), ქრთამის მიცემა (339-ე მუხლი), ზეგავლენით ვაჭრობა (3391-ე მუხლი), კანონით აკრძალული საჩუქრის მიცემა (340-ე მუხლი), სამსახურებრივი სიყალბე (341-ე მუხლი), სამსახურებრივი გულგრილობა (342-ე მუხლი).

ახალ ქმედების შემადგენლობათა კორუფციულ დანაშაულად გამოცხადებასთან ერთად გამკაცრდა სანქციები უკეთ არსებულ, კანონით გათვალისწინებულ კორუფციულ დანაშაულებზე. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, კორუფციული დანაშაულისთვის

გათვალისწინებულია შემდეგი სახის სანქციები: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო და თავისუფლების აღკვეთა. ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს სსკ-ით ზოგიერთი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქციების მიმოხილვა.

#### ცხრილი 1. კორუფციული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქციები

დანაშაულის სახე.	ჯარიმა.	გამასწორებელი სამუშაო	თავისუფლების აღკვეთა.	თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა
ქრთამის მიცემა	დიახ	2 წლამდე	სამ წლამდე	არა
ქრთამის მიცემის კვალიფიციური შემადგენლობა	არა	არა	5-წლამდე	არა
ქრთამის აღება	არა	არა	6 -დან 9 წლამდე	არა
ქრთამის აღების კვალიფიციური შემადგენლობა	დიახ	არა	11 -დან 15 წლამდე	არა
სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება	დიახ	ოთხ თვემდე	3 წლამდე	სამ წლამდე
სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო- პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ	დიახ	არა	5 წლამდე	სამ წლამდე
სამეწარმეო საქმიანობაში უკანონ მონაწილეობა	დიახ	ორ წლამდე	2 წლამდე	არა
სამსახურებრივი უფლებამოსიების გადამეტება	დიახ	არა	4 წლამდე	არა
სამსახურებრივი უფლებამოსიების გადამეტების კვალიფიციური შემადგენლობა	არა	არა	2-დან 7 წლამდე	სამ წლამდე
ფულის გათეთრება	დიახ	არა	3 -დან 6 წლამდე	არა
ფულის გათეთრების კვალიფიციური შემადგენლობა	არა	არა	6 -დან 12 წლამდე	არა
კომერციული მოსყიდვა;	არა	არა	სამ წლამდე	სამ წლამდე

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ შემადგენლობის ჩადენის შემთხვევაში გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელები. სასჯელების სიმკაცრე, მათი ზომა დამოკიდებულია ასევე იმაზე, ერთპიროვნულად არის ჩადენილი დანაშაული თუ ჯგუფის მიერ. შესაძლებელია კორუფციული დანაშაულით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის გადაცემა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნისგან იმუნიტეტი იცავს შემდეგ პირებს: პრეზიდენტს, პარლამენტარსა და მოსამართლეს. იმუნიტეტის მოხსნის შესაძლებლობა დამოკიდებულია პირის მდგომარეობაზე. იმუნიტეტი შეეხება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხს და არა საქმის გამოძიების გარემოებებს.

საქართველოში საკმაოდ ინტენსიურია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ მისი გამოვლენის ფაქტებიც ხშირია, თანაც ისეთებისა, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფო მოხელეთა და სხვა ცნობილ პირთა მიერ.

## 1. განვითარება ფაქტების მიხედვით

როდესაც მთავრობა რვა წელზე მეტია ხელისუფლებაშია, შესაძლებელია მის მიერ გატარებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმების შეფასება. ეს ძირითადად შეეხება დამნაშავეობის წინააღმდეგ, სახელმობრ, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებს. ძირითადად მხედველობაშია მიღებული მოვლენათა განვითარება უკანასკენელი ათი წლის განმავლობაში დამნაშავეობის შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით. რომელიც ეფუძნება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ სტატისტიკას, იუსტიციის სამინისტროს მოხსენებებს, კრიმინოლოგიურ-სოციოლოგიური სტატისტიკის შედეგებსა და პუბლიკაციებს, ასევე საერთაშორისო შედარებითი კვლევების შედეგებს. საყურადღებოა, რომ კორუფციულ დანაშაულთა შესახებ ეროვნული სტატისტიკა საკმაოდ შეზღუდულია ამ დანაშაულთა ფარული ხასიათის გამო. მთავრობა ცდილობს დასავლეთის ქვეყნების დახმარებით სისხლისსამართლებრვი სტატისტიკის გაუმჯობესებას.

### ა) პოლიციისა და სასამართლო სტატისტიკა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის მიხედვით, დინამიკისა და სტრუქტურის თვალსაზრისით, დამნაშავეობა საქართველოში არსებითად შეიცვალა. 2006 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი, რომელიც შემდეგ კვლავ შემცირდა. ეს შეეხება როგორც დამნაშავეობას ზოგადად, ისე რეგისტრირებულ კორუფციულ დანაშაულებს. დამნაშავეობის ინტენსივობა მოცემული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2001წლიდან ( 15.662 რეგისტრირებული დანაშაული) 2006 წლამდე (62.283) თითქმის ოთხჯერ გაიზარდა. 2004 წ-დან 2005წ-მდე პოლიციაში რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობამ იმატა 174% -ით, ხოლო 2005 –დან 2006წლამდე 144% -ით. კორუფციულ დანაშაულებს რაც შეეხება, 2002წ-დან 2004წ-ის განმავლობაში შეინიშნება რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვის გაორმაგება. ყველაზე მეტ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 2006 წელს, შემდეგ რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობამ დაიკლო, 2008 წლიდან კი ის მეტ-ნაკლებად უცვლელი დარჩა.

თუკი ამ მონაცემებს, კერძოდ, პოლიციაში რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობას შევადარებოთ გერმანიისას, ვნახავთ, რომ დასავლეთის განვითარებული ქვეყნისათვის საკმაოდ მაღალია საერთო დამნაშავეობის ინტენსივობა, თუმცა ის საკმაოდ დაბალია კორუფციულ დანაშაულებთან მიმართებაში. გერმანიაში 2009 წელს რეგისტრირებულ საერთო დანაშაულთა რაოდენობა იყო 6. 054. 330, რაც 100.000 სულ მოსახლეობასთან მიმართებაში შეადგენს 7. 383-ს . ეს რიცხვი საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულისა იყო 35.945, ფარდობითობის რიცხვი კი 810. კორუფციასთან მიმართებაში გერმანიაში დაფიქსირდა „მხოლოდ“ 5. 881 შემთხვევა (სამეწარმეო, კორუფციული და სამოხელეო ქმედების), ფარდობითობის რიცხვი შეესაბამება 7.17%. საქართველოში კი ცნობილი გახდა 800 შემთხვევა, რაც 18 ფარდობითობის რიცხვს გულისხმობს. საქართველოში რეგისტრირებულია კორუფციის საკმაოდ ბევრი შემთხვევა, რომელთა 95%-ს ფარული ხასიათი ჰქონდა. ყოფილ საბჭოთა ქვეყნის მაგალითზე საკმაოდ მნიშვნელოვანია ოფიციალურად რეგისტრირებულ მონაცემთა გაუმჯობესება.

უზენაესი სასამართლოს ინფორმაციის მიხედვით, 2004-დან 2009წ-მდე გაიზარდა კორუფციულ ქმედებათა სისხლისსამართლებრივი დევნა. ასე მაგალითად, 2004 წელს ყველა გამოვლენილი 9.993 შემთხვევიდან მსჯავრდებულ იქნა 7.601 ანუ 76%. 2009 წლს კი 15.483

ერთეულს დაემატა ახალი შემთხვევებიც და მსჯავრი დაედოთ პირებს 15.592 დანაშაულისთვის, რაც შეადგენს 101%-ს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აქ მსედველობაში მიიღება მსჯავრდება ადრე ჩადენილი ქმედებებისთვის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ადრე ჩადენილ ქმედებათა გამო მსჯავრდებით საკმაოდ იზრდება კორუფციულ დანაშაულთა დასჯადობა.

კორუფციულ დანაშაულთან მიმართებაში დასჯადობის გაძლიერების ტენდენცია თვალსაჩინოა. ოუკი 2004-2005 წლებში გამოვლენილ შემთხვევათაგან ნახევარზე ნაკლები მთავრდება გამამტყუნებელი მსჯავრდებით, 2009 წლამდე ეს სურათი თვალნათლივ შეიცვალა – შემთხვევათა უმრავლესობა, განსაკუთრებით კი მექრთამეობის შემთხვევები, მსჯავრდებით დამთავრდა. ესეც მიუთითებს საქართველოში კორუფციის გამო საკმაოდ მკაცრ დასჯადობაზე.

### ბ) საერთაშორისო სტატისტიკა/ მონაცემები

პოლიტიკურ წრეებში კორუფციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესწილად მაღალი (პოლიტიკური) წრეები ქვეყანაში რეალურად არსებულ მონაცემებს ნაწილობრივ შეცვლილი სახით წარმოადგენენ ხოლმე. თვით დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებშიც კი, მაგალითად, როგორიც გერმანია, ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ემპირიული მონაცემების საფუძველზე გაკეთებულ საერთაშორისო შეფასებებს. ქვემოთ მოკლედ იქნება წარმოდგენილი ის შედეგები, რაც საქართველოსთან დაკავშირებით მოიპოვა Transparency International-მა, მსოფლიო ბანკმა, Fund for Peace- მ და საერთაშორისო დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის კვლევის ჯგუფმა. ეს მონაცემები შესაძლებლობას იძლევა საქართველოში კორუფციის მასშტაბის საერთაშორისო შედარებისათვის.

#### აა) საერთაშორისო გამჭვირვალობა თუ (TI)

1995 წლიდან TI ყოველწლიურად წარმოადგენს საერთაშორისო “კორუფციის აღქმის ინდექსს” (CPI)<sup>iii</sup> რომელიც ეყრდნობა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ინსტიტუტების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. მონაცემები შეეხება კორუფციის აღმინისტრაციულ და პოლიტიკურ ასპექტებს. CPI -ის უახლოესი მონაცემების მიხედვით გერმანია მე-15 ადგილზეა 178 ქვეყნის შედარების მონაცემების მიხედვით, რაც ადრინდელ მდგომარეობასთან შედარებით მდგომარეობის ცოტათი გაუარესებაზე მეტყველებს. რაც შეეხება საქართველოს, მას 68-ე ადგილი უკავია. ცნობილია, რომ 2003 წლისათვის 133 ქვეყანას შორის საქართველოს 127-ე ადგილი ეკავა.

#### ბბ) მსოფლიო ბანკი

მსოფლიო ბანკის კვლევითი ჯგუფი “ Worldwide Governance Indicators (WGI) მოიცავს 200-ზე მეტ ქვეყანას. გამოიყენება ექვსი კრიტერიუმი, 1996 წლიდან “Control of Corruption”-იც- იც. 1996-2009 წლებისთვის საქართველოში კორუფციის კლევის შედეგები გვიჩვენებსაც, რომ თავიდან მგომარეობა საქმაოდ ცუდი იყო, რასაც ხელს უწყობდა არსებული ეკონომიკური ინდიკატორებიც, თუმცა ბოლო ათწლეულის შემდეგ არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა<sup>iv</sup>. 1996 წელს გარმანიას ჰქონდა საკმაოდ კარგი მდგომარეობა, თუმცა 2009 წლამდე იგი საგრძნობლად გაუარესდა . ტენდენციურად ეს შეინიშნება აშშ-სთან მიმართებაშიც, რომელსაც ამ თვალსაზრისით უფრო ცუდი შედეგები აქვს, ვიდრე გერმანიას.

გგ) Business Environment and Enterprise Performance Survey (BEEPS) აქ მსედველობაში მიიღება ევრო ბანკის, ისევე როგორც, მსოფლიო ბანკის საერთო ინიციატივა განვითარებისათვის<sup>v</sup>. BEEPS განხორციელდა ოთხი პერიოდისათვის : 1999, 2002, 2005 და 2008 წწ და მოიცავდა ცხრილური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს და

თურქეთს. მხედველობაში იყო მიღებული თითოეულ ქვეყანაში ეკონომიკური მდგრძალებელის ბევრი სფერო. 2005 წელს საქართველოში გამოკითხა 110 ფირმა, 2008წ. კი – 354. 2005 წელს ფირმების 31% -მა მიუთითა ქვეყანაში კორუფციის პრობლემების არარსებობაზე, ხოლო 2008წელს ასეთი ფირმების რაოდენობა 58%-ს შეადგენდა. გამოკითხეულთა 10%-ის მიხედვით 2005წელს “ხშირი” იყო მექრთამეობის შემთხვევები, 2008წელს კი მსგავს შემთხვევებზე მხოლოდ 4% -მა მიუთითა. მექრთამეობა საბაჟო სამსახურში იცვლებოდა შემდეგნაირად: 2005წ. – 9%, 2008წ. კი 10%, სასამართლო სისტემაში: 2005წ. – 9%, 2008წ. – 8%. ფირმების 39%-მა 2005წელს მიუთითა, რომ კორუფცია გაბატონებულია სამეწარმეო და ბიზნეს სფეროში, 2008წ-ს კი ეს მიუთითა ფირმების მხოლოდ 31%-მა. 2005 წელს კორუფცია ქვეყანაში დასახელდებული იყო კველა პრობლემათა შორის მეოთხე ადგილზე, 2008 წლისათვის კი მან მეცხრე ადგილზე გადაიხაცვლა. კოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ კორუფცია ქვეყანაში მცირდება.

დდ) “ფონდი მშვიდობისათვის”<sup>ა</sup> არის 1957 წელს აშშ-ში დაფუძნებული საზოგადოებრივად სასარგებლო და დამოუკიდებელი კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლის მიზანია “ომის პრევენცია და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების შერჩილება”. 2005 წლიდან ორგანიზაცია კვლევებში იუნებს სტანდარტიზირებულ “არშემდგარი სახელმწიფოს ინდექსს”. 2005 წელს ინფორმაციის ნაკლებობის გამო შესწავლილი იყო მხოლოდ 76 ქვეყანა<sup>ბ</sup>, 2010 წელს კი – 177<sup>ბ</sup>. შესაძლებელი გახდა თითოეული ქვეყნის შესახებ არსებული უამრავი ინფორმაციის გაანალიზება. თითოეული ინდიკატორის საფუძველზე განხორციელდა ცალკეულ ქვეყანაში არსებული ამა თუ იმ მდგრძალებელის რაოდენობრივი შეფასება. №7 ინდიკატორი მიუთითებს კორუფციის მასშტაბზე ქვეყანაში. 2010 წლისათვის შეფასების სკალაზე (სადაც 0 ნიშნავდა მცირე, ხოლო 10 – ძლიერ კორუფციას) საქართველოს ერგო ციფრი 9, (გერმანიას 2,1; აშშ-ს 2,5), რის გამოც იგი საქმაოდ კორუფციულ და ეკონომიკურად ცუდი მდგრძალებელის მქონე ქვეყნად იქნა დასახელდებული.

ეე) დანაშაულის და ვიქტიმიზაციის საერთაშორისო კვლევა (ICVS)<sup>ბ</sup> 1989 წლიდან ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით სტანდარტიზირებულად განხორციელდა. 1996 წლიდან ICVS იკვლევს ასევე კორუფციის საკითხს (მოხელისათვის ქრთამის გადახდა)<sup>ა</sup>. განსხვავებულია შედეგები თითოეული ქვეყნისათვის. ძლიერი კორუფციის მქონე ქვეყანაში ნაკლებად არის გამომჯდავნებული შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედებები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ ასეთი პრაქტიკა “ნორმალურად” და “ჩვეულებრივად” მიიჩნევა. ამიტომ მონაცემები ნაკლებ ცვლილებებს გვპირდება, რის საფუძველზეც უნდა დავასკვნათ, რომ კორუფციულ ქმედებებს ექნებათ შემდგომი მხარდაჭერა<sup>ა</sup>.

2004 წლისათვის განვითარებად ქვეყნებში გამოკითხეულთა 20% მიუთითებდა კორუფციის შემთხვევებზე, ევროპის ქვეყნებში კი – 8%. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისთვის ასეთი დონის კორუფცია უჩვეულოა. ევროკავშირის ფარგლებში შესაბამისი ინციდენტის შესახებ მიუთითა საშუალოდ მხოლოდ 1,4%-მა.

საქართველოს ამ გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუდია. თუმცა, მონაწილეობდა ადრინდელ, 1992 წლის გამოკითხვაში<sup>ა</sup>. მაშინ გამოკითხეულთა 65,1%-მა აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში იყო თაღლითობის მსხვერპლი, ხოლო 20,7% – კორუფციისა. ნოიგებერტა<sup>ა</sup> და სხვა მკვლევარები გვაცნობენ 1989 წლიდან 2000 წლამდე გამოკითხვის შედეგებს, რომელიც შეეხება კორუფციას სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც.

1996 წლიდან ICVS-ში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებული საკითხი კორუფციასთან დაკავშირებით<sup>ა</sup>. სამსრეო ამერიკიდან, აზიიდან, აფრიკიდან, აღმოსავლეთ, შუა და დასავლეთ ევროპიდან შედარებისათვის შერჩეულ 50 ქვეყანას შორის საქართველოს საკმაოდ ცუდი მაჩვენებელი ჰქონდა. მეთოდურად შესადარებელი კითხვარების შედეგების

მიხედვით კორუფციის მხილების ხარისხი საქმაოდ მაღალი იყო. უვალა გამოკითხულიდან 28,6%-მა მიუთითა, რომ ის იყო კორუფციული ქმედების მსხვერპლი. 30% კორუფციაში ჩართულებს შორის ასახელებდა მებაჟებს, სასაზღვრო სამსახურის თანამშრომლებს ან პოლიციელებს, 26% კი სხვა მოხელეებს ხვთის. აქ იგულისხმება ის შემთხვევები, რომლებიც ქრთამის მიცემასთან იყო დაკავშირებული. ეს მიუთითებს იმ დროისათვის ქვეყანაში საქმაოდ ძლიერი კორუფციის არსებობაზე. საქართველოს შესახებ ICVS -ს ახალი მონაცემები არ მოიპოვება.

ვვ) OECD- ანტიკორუფციული ქსელი (CAN)- აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის. OECD –ს “ანტიკორუფციულმა განყოფილებამ” 2010 წლის მარტში “სტამბულის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის” ჩარჩოებში შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით გააკეთა მეორე მოხსენება საქართველოში კორუფციის შესახებ<sup>1300</sup>. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება 2006 წელს გაკაეთებული პირველი მოხსენების შემდეგ გადადგმული ნაბიჯებისა და მაშინ შეთავაზებული წინადაღებების განხორციელების ფაქტების შემოწმება. ერთდროულად შემოთავაზებულ იქნა ახალი წინადაღებები პრობლემების შესამცირებლად პოლიტიკური ღონისძიებების თაობაზე, განსაკუთრებით კი კრიმინალიზაციასა და პრევენციასთან მიმართებაში. კომისია ადასტურებს ქვეყანაში კორუფციასთან ძირფესვიანი ბრძოლის პოლიტიკურ ნებას, ამისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარებასთან<sup>1301</sup>. აღსანიშნავია, რომ საჭიროა მოხალეობის გააქტიურება და სპეციალური აქციების მოწყობით მოცემულ პრობლემასთან ბრძოლა. კომისია წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კორუფციულ ქმედებათა შემდგომ კრიმინალიზაციას. ეს შესახება პრევენციის სფეროსაც.

ზვ) კვლევები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ემპირიულ-კრიმინოლოგიური კვლევები იშვიათობას წარმოადგენს, უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთის დახმარებით აქ ბევრი გამოკითხვა ჩატარდა, რომლებიც ასევე კორუფციის თემასაც შეეხებოდა. 2009 წლის ივლისში მთავრობამ ფირმა გორბის<sup>1302</sup> და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით (GEPAC -პროექტი) კორუფციის პრობლემასთან დაკავშირებით ორი გამოკვლევა განახორციელდა, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, გამოკითხულ იქნა ზოგადად მოხალეობა<sup>1303</sup>, მეორე მხრივ კი – საჯარო მოხელეები და სახელწიფო სამსახურში მყოფი პირები.<sup>1304</sup> მოსახლეობის გამოკითხვისას 2002 წლის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით შემთხვევითი შერჩევის საფუძვლზე 18-წელზე მეტი ასაკის 1000-მდე ახალგაზრდა იქნა გამოკითხული.<sup>1305</sup> საერთო შედეგი გვიჩვენებს, რომ გატარებული სხვადასხვა რეფორმის მიუხედავად, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი კორუფციას კვლავაც მიიჩნევს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პრობლემად<sup>1306</sup>. თუმცა, მოხალეობის თვალსაზრისით პრობლემამ მნიშვნელობა დაკარგა. დღეისათვის ქვეყნის პირველ პრობლემად დასახელებულია (“ძალიან დიდი”) უმუშევრობა (97,6%), სამედიცინო მომსახურეობის სიძოირე (95,2%) და საყოფაცხოვრებო, სამომხმარებლო მინიშვიმის გაძირება (93,2%). ამას ადასტურებს ადრინდელი გამოკითხვის შედეგებიც<sup>1307</sup>. კორუფცია კვლავაც 58,6%-ის მიერ არის დასახელებული პრობლემად<sup>1308</sup>. ქვეყნის მასშტაბით არსებული სერიოზული პრობლემების რანჟირებაში კორუფციას მე-16 ადგილი უკავია.

საჯარო უწყებისადმი ნდობის საკითხს რაც შესახება, პირველ აღგილზე დასახელებულ იქნა ეკლესია (82,8%), სისხლის სამართლის დანაშაულის აღმკვეთი პოლიციური უწყებები (41,7%), თავდაცვის სამინისტრო, სამსედროები (45,6%), დაცვის პოლიცია(48,4%). შეალის მეორე მხარეს დგანან პოლიტიკური პარტიები და სხვა უწყებები<sup>1309</sup>.

მეორე გამოკვლევისას იმავე დროის შუალედში GORBI –ის მიერ გამოკითხულ იქნა 20 წელზე მეტი ასაკის 800 საჯარო მოხელე სხვადასხვა უწყებიდან. გამოკითხულთა შერჩევა მოხდა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტისა და პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის ინფორმაციის შესაბამისად, ამავდროულად გათვალისწინებული იყო უწყების სიდიდე და შერჩევის შემთხვევითობა. კვლევის შედეგები გვიჩვენებს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კორუფციის შემთხვევების ოდენობაში არსებით განსხვავებას.

გამოკითხულთა 71 %-ის აზრით, დღეისათვის მთავრობის უწყებებში კორუფცია აღარ არსებობს და უურადღებას აღარ იმსახურებს. ორი წლის წინ ასე ფიქრობდა 62%, ხუთი წლის წინ კი მხოლოდ 22% ხევით.

### III. დისკუსია

ათეული წინ საქართველო მიეკუთვნებოდა მსოფლიოს კორუმპირებულ ქვეყნებს. კორუფცია შესამჩნევი იყო ყოველდღიურად ქუჩაში, მოქალაქეებთან პოლიციელების ურთიერთობისას ანდა სასაზღვრო შემოწმებისას, რაც ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ ხსნას. ამჟამად მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამას ადასტურებენ როგორც საერთაშორისო შედარებითი გამოკვლევები, ისე მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები. საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ პოლიციელის ან სხვა სახელმწიფო მოხელისათვის ქრთამის გადახდა უკვე “ჩვეულებრივი” მოვლენა აღარ არის. ამის ერთ-ერთი მიზეზია მათვის მაღალი ანაზღაურების დანიშვნა. ამიტომ “საჭირო” აღარაა ქრთამი და კორუფციაც მნიშვნელოვნად შემცირდა. კორუფციული ქმედებისათვის სანქციები მნიშვნელოვნად გამკაცრდა, დანაშაულის რეგისტრაცია გაუმჯობესდა, გაიზარდა მოსახლეობის გათვითცნობიერების ხარისხი მოსალოდნელი ზიანის შესახებ. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი მასმედიამ ითამაშა.

აღნიშნულ პოზიტიურ ცვლილებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დასავლეთის ქვეყნების ექსპერტებმა, განსაკუთრებით ევროკავშირიდან ხსნას, რომელიც, ერთი მხრივ, სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას იძლეოდა და მეორე მხრივ, უბიძგებდა ცვლილებების გატარებისკენ. ამის გარეშე წინსვლა, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა.

დასავლეთის ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაშიც, თავისუფალი პრესა ცენტარალურ როლს თამაშობს კორუფციის, შესაბამისად პოლიტიკური დანაშაულობის გამოვლენაში. აღნიშნულის გათვალისწინებით გასაკვირი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ დიქტატურის დროს ყოველთვის ცდილობენ პრესის გაკონტროლებას.

დასავლეთის ქვეყნებთან საქართველოს შედარებისას, შეიძლება ითქას, რომ მდგომარეობა განსხვავებულია, მაგრამ ქვეყანა სწორი გზით ვითარდება დამნაშავეობის, უპირველეს ყოვლისა, კორუფციის შემცირების კუთხით. არის მცდელობა პრობლემის აღმოსაფხვრელად გამოყენებულ იქნებს მკაცრი სანქციები. შესაბამისად გადამუშავდა სისხლის სამართლის კანონმდებლობა დასავლური ნიმუშების მიხედვით, შემოღებულ იქნა ახალი ქმედების შემადგენლობები და გამკაცრდა სანქციები. ამავე დროს არ უნდა დაგივიწყოთ ის გარემოებაც, რომ დამნაშავეობის ამ სფეროში ზომაზე მაღალია მისი ლატენტობა, რაც ხშირად 95%-ს აღემატებოდა. ხსნას საქართველოსა და მის მსგავს ქვეყნებში განვითარება მიიღწევა კორუფციის მავნე შედეგების შემცირებითა და მოსახლეობის შეხედულებების შეცვლით. საზოგადოებამ უნდა შეიგნოს კორუფციის დამაზიანებელი ზემოქმედება და თანმიმდევრულად უარი თქვას მასზე. ამ საქმეში კი ძალზე მნიშვნელოვანია მასმედიის მეშვეობით ინფორმირება. გამოაშარავებული შემთხვევები გამოკვლეულ უნდა იქნეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. თუ რამდენად ძნელია დანაშაულის ასეთ სახესთან ბრძოლა, გვიჩვენებს გერმანიის გამოცდილება, სადაც მედია ყოველდღიურად ახალ კორუფციულ შემთხვევაზე მოგვითხოვთ.

#### ამოყვებული ლიტერატურები

1. Bundeskriminalamt (Hrsg.), Polizeiliche Kriminalstatistik. Bundesrepublik Deutschland. Berichtsjahr 2009. Wiesbaden, S. 30.
2. Bundeskriminalamt (Anm. 4), S. 209
3. Transparency International (TI)
4. CPI – Corruption Perceptions Index
5. Transparency International, Corruption Perception Index. Berlin 2010, S. 4. Siehe auch: [www.transparency.org](http://www.transparency.org)

6. Vgl. zur Methodologie der Erhebungen *Kaufmann/Kraay/Mastruzzi*, The Worldwide Governance Indicators: Methodology and Analytical Issues. Washington, D.C., 2010, Policy Research Working Paper 5430 ([http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1682130##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1682130##)).
7. Vgl. <http://info.worldbank.org/governance/wgi/pdf/wgidataset.xls>
8. Vgl. <http://rru.worldbank.org/BESnapshots/Georgia/default.aspx>
9. Fund for Peace - <http://www.fundforpeace.org/global/>
10. The World Bank Group (2010). BEEPS At-A-Glance 2008. Georgia. January 2010. EBRD-World Bank Business Environment and Enterprise Performance Survey (BEEPS). ([http://siteresources.worldbank.org/INTECAREGTOPANTCOR/Resources/704589-1267561320871/Georgia\\_2010.pdf](http://siteresources.worldbank.org/INTECAREGTOPANTCOR/Resources/704589-1267561320871/Georgia_2010.pdf))
11. <http://www.fundforpeace.org/global/?q=fsi-grid2005>
12. ICVS - International Crime and Victimization Survey
13. <http://www.fundforpeace.org/global/?q=fsi-grid2010>
14. Killias (1998). Korruption: Vive la Repression! – Oder was sonst? Zur Blindheit der Kriminalpolitik für Ursachen und Nuancen. In: Schwind/Kube/Kühne (Hrsg.), Festschrift für Schneider, S. 239-254, 240.
15. Killias (Anm. 11), S. 240.
16. Pachulia, Georgia, in: Alvazzi del Frate/Zvekic/van Dijk (Hrsg.), Understanding Crime. Experiences of Crime and Crime Control. Acts of the International conference, Rome, 18-20 November 1992, S. 531-536.
17. Nieuwbeerta/de Geest/Siegers, Corruption in industrialized and developing countries. A test of law & economics hypotheses. In: Nieuwbeerta (Hrsg.), Crime victimization in comparative perspective. Results from the International Crime Victims Survey, 1989 – 2000. Den Haag, 2002, S. 163-182.
18. Vgl. Kesteren/Mayhew/Nieuwbeerta, Criminal Victimization in Seventeen Industrialised Countries. Key findings from the 2000 International Crime Victims Survey. Den Haag, 2000, S. 37. Die Frage lautete: “In some countries, there is a problem of corruption among government or public officials. During 1999, has any government official, for instance a customs officer, a police officer or inspector in your country asked you, or expected you to pay a bribe for his or her services?”
19. Nieuwbeerta u.a. (Anm. 14), S. 172ff. Vgl. a. Zvekic, Criminal victimisation in countries in transition. Rome, 1998, UNICRI publication, No. 61.
20. OECD Anti-Corruption Network (ACN) for Eastern Europe and Central Asia. Istanbul Anti-Corruption Action Plan. Second Round of Monitoring. Georgia. Monitoring report. Paris, 2010 ([www.oecd.org/corruption/acn; http://www.oecd.org/document/34/0,3746,en\\_36595778\\_36595861\\_44999138\\_1\\_1\\_1\\_1,00.html](http://www.oecd.org/corruption/acn; http://www.oecd.org/document/34/0,3746,en_36595778_36595861_44999138_1_1_1_1,00.html)).
21. GORBI - “Georgian Opinion Research Business International “
22. OECD Anti-Corruption Network (Anm. 17), S. 3.
23. GORBI, Council of Europe, Ministry for Development Cooperation of the Netherlands, Perceptions of Corruption in Georgia. General Public Survey. Tbilisi 2009.
24. GORBI, Council of Europe, Ministry for Development Cooperation of the Netherlands, Perception of Corruption in Georgia. Survey of Public Officials.Tbilisi 2009.
25. Vgl. GORBI (Anm. 19), S. 7; GORBI, Corruption Survey in Georgia, Second Wave, Tbilisi 2002. [www.gorbi.com](http://www.gorbi.com)
26. Vgl. Tab. 17; GORBI (Anm. 20), S. 49.
27. Vgl. Kury/Kapanadze/Lammich (2003). Strafverfolgung in Georgien – Zum Problem Korruption. Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe 52, 163-165.
28. Bannenberg, Korruption, in: Schneider, Internationales Handbuch der Kriminologie, Band 2: Besondere Probleme der Kriminologie, 2009, S. 371.

**Lala E. Rahimli**

Baku State University  
Azerbaijan

## **The principle of equality of rights and its importance in Azerbaijani modern society**

*This article includes the main peculiarities of constitutional foundations of equality of rights in the national legislation of the Republic of Azerbaijan. At the same time different sides of the principle of equality of rights (for example ideological, political, economic e.t.c) fixing in national Constitution described by author.*

Azerbaijan experienced democratic governance in 1918-1920 – the first such experience in Turkish and Muslim countries. In May 28<sup>th</sup> of 1918 Azerbaijan witnesses the establishment of the Democratic Republic of Azerbaijan - the first Parliamentary Republic in the history of the people of Azerbaijan, the first democratic, legal and secular state in the whole East and Islamic world [2, p. 69, p.133; 3, 67].

Among the important accomplishments of the Parliament was the extension of suffrage to women, making Azerbaijan the first Muslim nation to grant women equal political rights with men [4, p. 124, p.222, p.269]. The historical Declaration of Independence adopted in May 28<sup>th</sup> of 1918 declared the establishment of the first parliamentary republic in the Turkish and Muslim world and in the entire East - the Democratic Republic of Azerbaijan. For example, paragraph 4 of the Declaration of Independence of the National Council of Azerbaijan stated: “The People's Republic of Azerbaijan ensures the political rights and citizenship to all its residents within its bounds regardless of nationality, faith, class, estate and sex”.

After gaining its independence in 1991, Azerbaijan has reached a high level of human development. Azerbaijan today is among the Muslim countries where support for secularism and tolerance is the highest [5, p.229, p.270].

First Constitution adopted in 1995 established basics of governmental construction of Azerbaijan as democratic, juridical and global country and first time in its history chose priority of human rights and principle of separation of powers as the main direction of the future development. The first Constitution of independent Azerbaijan was the basis of the country's foundation after the fall of the Soviet Union. The Constitution of the Republic of Azerbaijan is the basic law of the Azerbaijani government.

It is important to note, that equality, unlike primitively conception of equality of rights, does not assume the levelling approach to individuals. Social value of equality of rights is predetermined by the maintenance of this legal principle. Fastening of the specified principle at the constitutional level assumes the spreading of the rights and freedoms of person and citizen proclaimed by the constitution equal to all individuals without exception. The rights of each of them are equally recognized as inalienable and integral.

Equality of rights and freedoms of person and citizen is recognized by the national Constitution as equality of possibilities, not as actual equality which is really unattainable in life [6, p.115]. It's not enough to declare equality of the rights, freedoms and duties for all individuals, but it's necessary to have filling of this declaration by the real legal maintenance in the current legislation and practice. Each member of society must be provided by Constitution in possibilities to put into practice all rights and freedoms an equal base with other individuals.

Thus, equality as a legal category assumes giving to each member of society the equal possibilities for participation in social life, realisation and protection of the rights and legal interests. Equality as the legal category does not deny and ignore actual inequality of individuals within society, but at the same time it establishes impossibility of any individual discrimination to each other. Besides, the State takes all steps (tax and social legislation) to keep the actual inequality under control that it will not reach the dangerous limits [7, p.146]. Above mentioned legal principle assumes the establishment of equal conditions and possibilities for all individuals to participate in a social life completely realize and protect all their rights. So, modern equality is an equality of individuals as society members.

In the Republic of Azerbaijan the state guarantees rights, liberties and legal interests of persons with disabilities and children with impaired health by means of court or other means defined by law. According to the Azerbaijani Constitution every Person shall be equal to the Law and Court [1, article 25]. Equality before the Law and Court means that despite of the person laws are applied equally to all subjects in the juridical

relation.

In the legal state it is necessary to observe an equality principle of all before the Law irrespectively of social, property and official position of the person. Nobody has the right to break law of the state in which he lives, and for infringements of these laws should answer before Court. All citizens of the Republic of Azerbaijan are equal before law and court. The state guarantees equality of rights and liberties of everyone. In the Republic of Azerbaijan the state guarantees rights, liberties and legal interests of persons with disabilities and children with impaired health by means of court or other means defined by law.

According to the national law everyone has the right for obtaining qualified legal advice. In specific cases envisaged by legislation legal advice shall be rendered free, at the governmental expense [1, article 61].

National legislation also provides of equality of sexes (gender equality) in realisation of their rights and freedoms [1, article 25]. So in the Azerbaijani society men and women have equal rights and freedoms (participation in government, in elective bodies etc) and suitable political and legal conditions are created by State.

The most important activity carried out in direction of protection of women's rights by adoption of the Law "On insuring gender (man and woman) equality" in October 10, 2006, which is the fundamental document in this field. The objective of the document is insuring gender equality by prevention of all forms of gender discrimination and creating equal opportunities for men and women in political, economic, social, cultural and in other fields of life.

Azerbaijani legislation establishes the State guarantee of equality of the rights and freedoms of everyone irrespective of race, a nationality, religion, language, a floor, an origin, a property status, office position, belief, an accessory to political parties, trade-union and other public associations [1, article 25].

Today Azerbaijan is a multinational country and its official policy is defined on the principles of tolerance and coexistence of various nationalities, ethnic groups and religious minorities. According to the main law [1, article 25] of the Republic of Azerbaijan, i.e. the Constitution, the state ensures equality of rights and freedom of everybody irrespective of his race, nationality, religion, language, gender, background, state of property, service position, faith, membership to political parties, trade unions and other public institutions. Restriction of the freedom and rights of people and citizens for racial, national, linguistic, political and social background, as well as gender is forbidden [1, article 25].

In conclusion it should be noted that, constitutional norms establishing equality were further improved with additions and amendments to the Constitutions in March 18, 2009. Thus, with additions to the article 25 (Right of equality) no one may be granted allowances or privileges, or deprived from granting allowances and privileges on the basis of their gender or other status.

Equal rights of everyone are guaranteed in relation with decision making agencies on rights and responsibilities, and state agencies in charge of government authorities. No one may be harmed, granted allowances or privileges, or deprived from granting allowances and privileges on the basis of the grounds elaborated in Part III of the article 25. Equal rights shall be provided for everyone in relationship to the state institutions making decisions on rights and responsibilities and those having the competencies of state authority.

#### References:

1. Constitution of the Republic of Azerbaijan (November 12th, 1995)
2. Swietochowski, Tadeusz. Russia and Azerbaijan: A borderland in transition. Columbia University Press. 1995

3. Schulze, Reinhard. A modern history of the Islamic world. I.B.Tauris, 2000
4. Kazemzadeh, Firuz. The struggle for Transcaucasia: 1917–1921. The New York Philosophical Library. 1951
5. E. Cornell, Svante. The politicization of Islam in Azerbaijan. Silk road paper. 2006
6. Constitutional law under E.I.Kozlova and O.E.Kutafin's edition, Moscow. 2001
7. Askerov Ziyafet. Constitutional law. Baku. 2006

*Key words:* equal rights, freedoms, realisation, protection, rights and legal interests, constitution, individuals.

**ლალა ქ. ლაპიძე**  
ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აზერბაიჯანი

### რეზიუმე

აზერბაიჯანის თანამედროვე საზაობადოებაში თანაბარუფლებიანობის პრინციპები და მათი მნიშვნელობა.

აღნიშნულ სტატიაში განხილულია აზერბაიჯანის ტანამედროვე დანვიტარების ძირითადი ეტაპები. ავტორი აანალიზებს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს და აღნუშნავს რომ ჩამოყალიბდა მულტინაციონალური საზოგადოება და ადანიანის უფლებები დაცულია კონსტიტუციით

# სოციოლოგიური (კრიმინოლოგიური) კვლევები

---

---

*Sociological (Criminological) Surveys*

გიორგი დლონბეტი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

პრიმიტიული და გიგანტური სოციოლოგიური კვლევის შედეგების  
მიმღება - საქართველო 2009-2011

კვლევის მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა

## შერჩევა

წინამდებარე სტატიაში ასახულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგები, რომელიც 2 ეტაპად განხორციელდა - 2010 და 2011 წლებში.

მოსახლეობის გამოკითხვისას გამოყენებული იყო მრავალსაფეხურიანი რეპრეზენტატული შერჩევა, რომელმაც მოიცვა მთელი საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა. გამოკითხულ იქნა 16 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა პირისპირი ინტერვიუების მეთოდით.

სულ გამოიკითხა 6001 რესპონდენტი, მათგან 3000 გამოკითხულ იქნა პირველ ეტაპზე. თითოეულ ეტაპზე, თბილისში, დამოუკიდებლად შეირჩა ათას-ათასი რესპონდენტი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დედაქალაქის მონაცემების შედარება ევროპული და სხვა ქავების დედაქალაქების შედეგებთან. მონაცემების ანალიზის დროს მოხდა მათი შეწონვა, რათა არ დარღვეულიყო რესპონდენტთა პროპორციები განაწილება ქვეყნისა და დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით.

### საგელე სამუშაოები

პირველი ეტაპის საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2010 წლის 3 აპრილიდან 15 მაისამდე. გამოკითხვაში მონაწილეობდა 100-მდე ინტერვიუერი და 10 სუპერვაიზერი. მეორე ეტაპი - მიმდინარეობდა 2011 წლის 4 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით. გამოკითხვაში მონაწილეობდა 100-მდე ინტერვიუერი და 10 სუპერვაიზერი.

### კითხვარის აღწერა:

პროექტში გამოყენებული კიტიმიზაციის კვლევის კითხვარის სტანდარტული მოდული თავსებადია ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებულ გამოკითხებში გამოყენებულისა. კითხვარში შეტანილი შეკითხვები დასმული იქნება ევროპის მოქალაქეების ვიქტიმიზაციის კვლევის განხორციელებისას, რომლის საველე სამუშაოები დაიწყება 2012-2013 წლებში.

ქართულ კითხვარში დამატებულია სპეციალური ბლოკი, რომლის საფუძველზეც მოხდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა და სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ ზოგიერთ დანაშაულზე გათვალისწინებული სასჯელის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით თითოეულ მათგანზე ხალხისათვის მისადები დასჯის ფორმების გამოვლენა. გამოკითხვაშ მოიცვა დანაშაული, რომლის მსხვერპლი გახდა როგორც მხოლოდ პიროვნება, ასევე პიროვნება და ოჯახიც.

### 2010-2011 კითხვარების შინაარსი

#### დანაშაული პიროვნების და ოჯახის წინააღმდეგ - 2010/2011

1. პირუტყვის ქურდობა
2. ავტომობილიდან ნაწილების ან ნივთების ქურდობა
3. მოტოციკლის ქურდობა
4. ქურდობა ბინაში შეღწევით
5. სადგომში ან საცავში შეღწევით ქურდობა
6. ავტოს ვანდალიზმი
7. უძრავი ან სხვა ქონების ვანდალიზმი

- 
8. ველოსიპედის ქურდობა
  9. ქურდობის მცდელობა ბინაში შეღწევით
  10. ავტომობილის ქურდობა
  11. სადგომში ან საცავში შეღწევით ქურდობის მცდელობა
  12. გამოძალვა/შანტაჟი

#### **დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ 2011**

1. მომხმარებლის მოტყუება
  2. სხვა პირადი ქონების ქურდობა
  3. ძარცვა/ყაჩაღობა
  4. თავდასხმა/ძალადობა
  5. კორუფცია
  6. ძალადობის (ძალადობით) მუქარა
  7. პირადი საბანკო ანგარიშის ბოროტად გამოყენება სხვის მიერ
  8. სქესობრივი დანაშაული
  9. პირადი ინფორმაციის გამოყენება ნებართვის გარეშე
- 

#### **დეზალური ანალიზი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა და დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა.

დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევამ საქართველოში მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა იმ სამართლებრივი რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც ქვეყანაში 2004 წლიდან მიმდინარეობს.

კერძოდ, აღნიშნულმა კვლევამ ხელი შეუწყო:

- საქართველოში დანაშაულობის შესწავლის თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების დანერგვას ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური ბაზების საერთაშორისო ბაზებთან უნიფიკაციის მიზნით.
- საქართველოში კრიმინალიზაციისა და ვიქტიმიზაციის დონის დამოუკიდებელ (არაუწყებრივ) შეფასებას, რაც სამართალდამცავი სისტემის საქმიანობის ეფექტურობის ობიექტური ინდიკატორი გახდა;
- მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისა და საქართველოს ვიქტიმიზაციის მაჩვენებლების შედარებას ქვეყანაში უსაფრთხოების დონის შეფასებისათვის.
- საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის პოპულარიზაციას ბიზნესის, ტურიზმისა და მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით.
- დანაშაულთან ბრძოლის პროცესში საკვანძო პრობლემებისა და ხარვეზების გამოვლენას პრევენციის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებისა და მისი რეალიზაციისათვის.

განვითარებულ ქვეყნებში ვიქტიმიზაციის გამოკითხვის მონაცემები პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის მიერ წარმოებული დანაშაულის სტატისტიკის შემავსებელი ინფორმაციაა.

ამ ტიპის კვლევების უპირატესობა ისაა, რომ საშუალებას იძლევა, შეფასდეს დანაშაულის მდგრმარეობა რამდენიმე პარამეტრის მიხედვით, გაანალიზდეს დაზარალებულის პოლიციასთან თანამშრომლობის გამოცდილება, მართლმსაჯულების ინსტიტუტების მომსახურების ხარისხი და შეფასდეს მათი ზოგადი პროფესიონალიზმი, აგრეთვა, განხორციელდეს ვიტქიმიზაციის დონის ცვლილების მონიტორინგი და განისაზღვროს რისკ-ფაქტორები, დადგინდეს დანაშაულის ლატენტიზაციის დონე საქართველოში.

The level of victimization according to various types of theft in 1992 was 3.5% and in 1996 - 6.5%, which was almost a two-fold increase. However, its overall level significantly reduced (by 7.8 times), and in 2010, it stood at a mere 0.8%, and now, 2011, it is only reflected in the statistics as amounting to 0.2%.

The same ratios are maintained for the following five year periods: 1988-1992; 1992-1996, and 2006-2010 – the level of victimization in 2006-2010 in comparison to the 1990's, which is 5-10 times lower.

<sup>59</sup> The total stands for the actual victimization level – number of respondents those were victims of crimes.

**Graph 1. Average victimization level in Georgia in 1993-2011.**



*The comparison is done only with 8 crimes researched in 1992-2011.*

Such significant differences may be rooted in criminological explanation which is connected with various objective or other subjective factors, amongst them:

1. Collapse of the Soviet Union and the end of centralized Communist control;
2. Conflicts in breakaway regions of Abkhazia and South Ossetia;
3. Civil war in Georgia, 1990-1992;
4. Economic collapse in the early 1990s;
5. Inefficient legal system;
6. Corrupted judicial system;
7. Lawlessness and chaos described in criminology as the theory “Anomy”.

The comparative analysis of victimization based on various crimes in 2005 and 2011 demonstrated that there was a sharp change in terms of the victimization level decrease in the proceeding five years: e.g. the level of victimization according to car theft decreased from 1.8% to 0.0%, and during 2010 there was not a single case reported of a car having been stolen. Theft from inside and outside of car decreased (from 9.2% to 0.3%), a difference of approximately 30.7 times. Meanwhile, burglary declined from 7.1% to 0.5% (approximately 14 times) and robbery/armed robbery - from 1.1% to 0.2% (5.5 times); theft of other personal property - from 2.8% to 0.2% (14 times); assaults and threats of violence - from 1.2% to 0.5% (2.4 times). (See table 6)

**Table V - victimization rate according to several crimes**

Crime	Ownership (yes)		Not victimized		Victimised (5 years prevalence)		Victimized last year (2009)	Victimized last year (2010)	Victimized last year (2005)**	ICVS average
	2010	2011	2010	2011	2010	2011				
<b>Car theft</b>	36,1	35,0	98,9	99,6	1,1	0,4	0,02	0,0	1,8	0,8
<b>Theft from and out of car</b>	36,1	35,0	92,7	96,4	7,3	3,6	0,80	0,3	9,2	3,6
<b>Motorcycle theft</b>	1,6	1,2	97,2	95,5	2,8	4,5	0,00	0,0	-	0,3
<b>Bicycle theft</b>	14,9	9,0	98,5	99,5	1,5	0,5	0,06	0,0	-	2,9
<b>Burglary</b>			97,3	97,8	2,7	2,2	0,51	0,5	7,1	1,8
<b>Robbery/armed robbery</b>			99,4	99,5	0,6	0,4	0,19	0,2	1,1	1
<b>Theft of other personal property</b>			97,9	99,0	2,1	1,0	0,83	0,2	2,8	3,8

<b>Sexual offences</b>	99,9	99.9	0,09	0.1	0,04	0.0		0.8
<b>Assault and threats of violence *</b>	99,5	98.9	0,5	1.1	0,36	0,5	1.2	3. 8*
<b>Consumer fraud</b>	89,9	95.6	10,2	4.4	5,08	2.6	-	11
<b>Corruption</b>	99,5	99.5	0,5	0.5	0,2	0.2	-	2

\* Assaults and threats of violence are summarised

\*\* Victimization survey in Georgia, 2005

#### Main findings:

1. In the last decade in Georgia the level of crime rate is characterized by the fluctuations of volatility, its structure and distribution are reflected in all main statistical figures (of crime rate, all registered crimes by MIA, convicted persons, prisoners and probationers).
2. Between 2003 and 2007, the actual number of registered crimes increased from 17,397 to 62,283, which represent an effective increase in the crime rate by 72.1% for this four year period.
3. However, in the subsequent three years, 2007 – 2010, the rate of crime actually decreased what is clearly reflected by a decrease in registered crimes (from 62,283 to 34,739), demonstrating a 44.7% decline. Although the figures cannot be taken as final, the effective crime rate continued to drop in 2011, and for the first quarter of the year, including March 2011, an 8.1% decrease was reported.
4. The preliminary survey results for 2011 demonstrate that for the past five years only 16.8% of respondents fell victims to crime (according to the list of 21 crimes) which is 12.9% less compared with the 29.7% of those who reported falling victim in the survey conducted in 2010.
5. Among the list of 21 crimes, last year's overall victimization rate of Georgian citizens in 2010 stands at 5.5%, which a 3.8% decline compared with the same rating (9.3%) for 2009.
6. The comparable analysis of the victimization rate for 10 select crimes in Georgia (over the last 5 years) is one of the lowest in the world. This figure for Georgia is 7%, which accordingly is 7.5 times lower when compared with the average of 30 leading countries (45.5%), and approximately eight times lower than the figure in Estonia (58.4%) which is the only other former Soviet Union republic that participated in International Crime and Victimization Survey (ICVS).

*ლიტერატურის მიმხილვა*

---

---

## *Books Review*

გიორგი თოდრია  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ორიოდე სიტყვით ახალი პროექტის შესახებ –  
„პრიტიპული პრიმინილობის: პრესამჭიდვები და პროგლობები”

წარმოდგენილი ნაშრომი „პრიტიპული პრიმინილობის“ რონალდ აკერსის წიგნის „პრიმინილობის თეორიების“ ერთერთი თავის მოკლე თარგმანს წარმოადგენს, რომელიც პრიტიპული პრიმინილობის წინააღმდეგობრიობათა მიმოხილვას ეძღვნება. იგი სწორედ რომ ინტერნაციონალურ ნაშრომად მიიჩნევა, რომელიც არაერთხელ ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე [2, 175-185].

ცნობილი ამერიკელი პრიმინილობის რონალდ აკერსი სოციოლოგიის პროფესორი და ფლორიდის უნივერსიტეტის პრიმინილობისა და სამართლის პედაგიგითი ცენტრის დირექტორია. მიუხედავად იმისა, რომ რ. აკერსი სწავლების თეორიის მომსრეა, იგი

ცდილობს კრიმინოლოგიაში იმ სახის წინააღმდეგობრიობათა ობიექტზე გადმოცემას, რომლებმაც “კრიტიკულ კრიმინოლოგიად” წოდებული თანამედროვე კრიმინოლოგის ახალი მიმართულების წანამდღვრები შექმნეს.

მოცემული მასალის პუბლიკაციის აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მკითხველის თანამედროვე კრიმინოლოგიაში არსებულ ახალ მიმართულებებთან გაცნობის აუცილებლობითაა ნაკარნახევი. ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ ზოგიერთ ნაშრომში გაანალიზებულია დასავლეთის ქვეყნების ის კრიმინოლოგიური თეორიები, რომლებიც დიდი ხანია მივიწყებულ იქნენ. სამწუხაროდ, გამონაკლისს არც მ. შალიკაშვილის სახელმძღვანელო “კრიმინოლოგია” (თბ. 2010წ.) წარმოაგენს, სადაც ჩიკაგოს სკოლის კონცეფციით სრულდება თეორიების განხილვა და არაა გაშექებული კრიტიკული კრიმინოლოგია. ნიერის, პირშისა და სხვათა თეორიები, რომელთაც სახელმძღვანელოში ყურადღება ეთმობა, წარმოადგენენ პერსონალისტურ თეორიებს, რომლებიც დიდი ხანია წარსულს ჩაბარდნენ. ამასთან ერთად, ნაშრომში განიხილება აკერსის სწავლების თეორია, რომლის შექმნაც არ წარმოადგენს ამ ავტორის მიღწევას. მისი დამსახურება კრიტიკული კრიმინოლოგის თავისებურებების წარმოჩენაა, რაც მ. შალიკაშვილს ყურადღების მიღმა დარჩა. გასაგებია, რომ საუნივერსიტეტო კურსებში ასახული უნდა იყოს კრიმინოლოგის განვითარების თანამედროვე დონე, მაგრამ მაინც რაცომაა აუცილებელი ყურადღების გამახვილება ახალი მიმართულების – კრიტიკული კრიმინოლოგის განვითარებაზე?

გლობალური საბაზრო ურთიერთობების განვითარების პერიოდში თავს იჩენს ნეგატიურ მოვლენათა ახალი ფორმები, რომელთა ნაწილს დანაშაულობა<sup>60</sup> წარმოადგენს. კრიმინოლოგთათვის გასაგები ხდება, რომ გლობალური პროცესები რამდენადმე ირევა და ისეთ ფორმებს იდებს, რომელთა ნიშნები აღნიშნულ პროცესთა სამართლებრივად შეფასებამდე უნდა დადგინდეს. ამასთან დაკავშირებით, სოციოლოგიური კრიმინოლოგია რადიკალიზაციას იწყებს და 60-იანი წლების დასაწყისში დევიანტური ქცევის სოციოლოგიად ყალიბდება. პარალელურად ჩნდება წინამორბედ სოციოლოგიურ თეორიათა ჩარჩოებს გარეთ გასვლის აუცილებლობა, ვინაიდან მათი მეშვეობით შეუძლებელია გლობალური პროცესების ახსნა. კრიმინოლოგის განვითარების მოცემულ ეტაპზე გასაგები ხდება, რომ დიფერენციალური კავშირის, ანომიის, სუბკულტურისა და სხვა წინამორბედი კრიმინოლოგიური თეორიები საკმაოდ ჩახლართული და წინააღმდეგობრივია, რადგან ისინი ცალკეული პირის, ჯგუფისა თუ სტრუქტურული წარმონაქმნის შესწავლაზე არიან ორიენტირებული.

70-იანი წლების დასაწყისში სამეცნიერო აზროვნების აღმავლობა შეიმჩნევა იან ტეილორის, პაულა ვალტონისა და ჯონ იანგის წიგნის “ახალი კრიმინოლოგიისა” და მათი მონოგრაფიის – “კრიტიკული კრიმინოლოგიის” გამოცემასთან დაკავშირებით. ამავე პერიოდში ამერიკელმა მკვლევარებმა გერმან და იულია შვენდინგერებმა და ანტონ პლატმა რადიკალურ კრიმინოლოგთა კავშირი შექმნეს, რომლებმაც ახალ კრიმინოლოგიურ შეხედულებათა პროპაგანდის მიზნით მათ პერიოდულ გამოცემას ჩაუყარეს საფუძველი. კრიტიკული კრიმინოლოგიის ძირითადი პოსტულატი მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალიზმის ძირითადი კანონი – მოგების მიღება დანაშაულს იწვევს და იმავდროულად მართლმსაჯულების პარალელურ სისტემას ქმნის, რომელიც როგორც გმობს, ისე ხელს უწყობს დანაშაულის განხორციელებას [3].

კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კანონის გათვალისწინებას ითხოვდა ტ. იანგი, რომელმაც ჩამოაყალიბა კრიმინოლოგიური აზროვნების პერსპექტივა: თუ კრიმინოლოგიამ

<sup>60</sup> ტექსტის სირთულის გათვალისწინებით ზოგჯერ გამოიყენება ტერნიმი “დანაშაული” “დანაშაულობის” ნაცვლად. ანალოგიურად, “სოციალური კონტროლის” მაგივრად ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი “აღკვეთა” – გ.თ.

უკეთესი თეორია უნდა შემოგვთავაზოს, მაშინ მან თავიდანვე უნდა განავითაროს შესაბამისი კონცეპტუალური აპარატი და სათანადოდ დაამუშავოს მასალა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განიჭერიტოს წინასწარ დანაშაული. ძელი ეპროპის კრიმინოლოგებისგან განსხვავებით, ამერიკელთათვის გასაგები გახდა, რომ ზუსტად კაპიტალიზმის კანონების ცოდნა მოგვცემს დანაშაულის წინასწარ განჭვრეტის საშუალებას. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრების მარქსისტულ ინტერპრეტაციას ისინი ემიჯნებიან.

ამრიგად, კრიტიკული კრიმინოლოგის განვითარებით უარყოფილი იყო დანაშაულობის ფსიქოლოგიური და ჯგუფური სოციოლოგიის კონცეფციები და წინა პლანზე წამოიწია საზოგადოების წინააღმდეგობათა კონცეფციამ. მსგავსი გამოკვლეულების ნაკლოვანება სოციალური პროცესორმა ჩარლზ მილსმა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში აღწერა თავის ნაშრომში “სოციოლოგიური წარმოსახვა” მაკრო-სოციოლოგიური მიდგომის ფარგლებში. “პირადი სიძნელები, წერდა იგი, განისაზღვრება ინდივიდის ხასიათით და სხვებთან მისი უშუალო ურთიერთობით; ისინი ეხება მის “შე”-ს და საზოგადოების ცხოვრების იმ შეზღუდულ სფეროებს, რომლებსაც იგი პირადად იცნობს. შესაბამისად, ამ სიძნელეთა გააზრება და გადალახვა არ გამოდის ინდივიდის, როგორც კონკრეტული ბიოგრაფიის მატარებლის ცხოვრელქმედების უშუალო სფეროს, ანუ იმ სოციალური გარემოცვის ფარგლებიდან, რომლებიც განისაზღვრება მისი პირადი გამოცდილებით და გარკვეულ წილად მისაწვდომია მასზე გააზრებული ზემოქმედებისთვის. საზოგადოებრივი პრობლემები ჩვეულებრივ ეხება იმ ურთიერთობებს, რომლებიც სცილდება ინდივიდის უშუალო გარემოცვის და მისი შინაგანი ცხოვრების ჩარჩოებს. საზოგადოებრივ პრობლემებს ეწოდება “საზოგადოებრივი” იმიტომ, რომ მათი წარმოშობისას საფრთხის წინაშე დგება ფასეულებები, რომლებიც აღიარებულია საზოგადოების სხვადასხვა ფენის მიერ. ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რას წარმოდგენს სინამდვილეში ეს ფასეულობები და სახელდობრ რა ემუქრება მათ. საზოგადოებრივი პრობლემები ძნელად ექვემდებარება განსაზღვრას უბრალო ადამიანების ყოველდღიური ყოფის ამსახველი ტერმინებით. სინამდვილეში საზოგადოებრივი პრობლემები ხშირადაა დაკავშირებული “წინააღმდეგობებთან” ან “ანტაგონიზმებთან”. პრობლემა რომ სწორად ჩამოვაყალიბოთ და განვსაზღვროთ მისი შესაძლო გადაწყვეტის დონე, მხედველობაში უნდა მივიღოთ საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები და არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდის “პირადი სიტუაციები” და განსაკუთრებით ხასიათის თავისებურებები” [4, 17-18].

გ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი რ. აკერსის აღნიშნული პუბლიკაციის შემოთავაზებით იწყებს ახალ პროექტს სახელწოდებით – “**კრიტიკული კრიმინოლოგია: პერსპექტივები და პრობლემები**”. მოცემულ რეპრიკაში განვიხილავთ კრიტიკული კრიმინოლოგიისადმი მიღვნილ ცნობილ კრიმინოლოგთა შრომების თარგმანს, რომლებიც ჯერ არ გამოცემულა ქართულ ენაზე. ამ მიმართულებით წარმოჩნდება ახალი პრობლემატიკა: 1) დანაშაულობა, როგორც თანამედროვე საზოგადოების ძირითადი კანონების გამომხატველი მოვლენა და 2)სისხლის სამართლის პოლიტიკა, როგორც საკუთრებისათვის ბრძოლის საშუალება.

ზემოაღნიშნულთან ერთად, მიზანშეწონილია იმ ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა გამოკვლევების გამოქვეყნებაც, რომლებიც კრიტიკულ კრიმინოლოგიაში დაიწყებენ მოღვაწეობას. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ჩვენ უკვე ვეცადეთ, განგვეხილა კრიტიკული კრიმინოლოგიის ევოლუციის საკითხი სტატიაში “კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება”, რომელიც გამოქვეყნდა კრებულში “კრიმინოლოგია” [1, 1-30].

იმედოვნებ, რომ დასახულ პროექტში მონაწილეობას მიიღებენ კრიტიკული კრიმინოლოგიის მომხრე საზღვარგარეთელი მეცნიერები და სტუდენტები. ასევე იმედს ვიტოვებ, რომ ზემოაღნიშნული პუბლიკაციებით უნივერსიტეტი თავის წვლილს შეიტანს საქართველოში თანამედროვე კრიმინოლოგიის მიღწევათა განვითარებაში და მით უფრო ქართველ და

საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგებს შორის მეცნიერული პავშირების გაძლიერებაში. მადლობას ვუხდი ახალგაზრდა კრიმინოლოგს – თინათინ თოდრიას წარმოდგენილი ტექსტის შემოკლებული თარგმანისთვის.

პროფ. გ. თოდრია.

**Ronald L. Akkers**  
**“Criminological theories”**

**კრიტიკული კრიმინოლოგია (Critical Criminology)**

ამერიკულ კრიმინოლოგიაში მარქსიზმს, ოოგორც კონფლიქტის თეორიას, სამოცდაათიანი წლების შემდეგ პერიოდიდან მიეკცა სათანადო ფურადლება. ბევრი კრიმინოლოგი საკუთარ ნაშრომებში ტერმინებს “კრიტიკულსა” და “რადიკალურს” მარქსისტული თეორიის სინონიმებად და იმ პერსპექტივების განსასაზღვრავად იყენებდა, რომლებმაც მოცემულ თეორიაში და დასავლური ტიპის დემოკრატიის შესაბამის კანონებსა თუ სამართალში პპოვეს ასახვა. კრიმინოლოგიის აღნიშნული მიმართულების კრიტიკა უფრო ხშირად “რადიკალური” პოლიტიკის მიზნების ანალიზის დროს უდერდება. მარქსიზმის “ბუმის” შემდეგ, 80-იან წლებში მეცნიერთა წრეში ტერმინები “კრიტიკული” და “რადიკალური” სულ უფრო ნაკლებად გამოიყენება ხოლო 90-იანი წლების კრიმინილოგიურ სტატიებსა და წიგნებში მარქსიზმი უკვე იშვიათად ფიგურირებს.

წინ წამოიწია უფრო რადიკალურმა, კრიტიკულმა და მემარცხენე მიმართულებებმა. კრიტიკული და რადიკალური ტიპის კრიმინოლოგია არასდროს ყოფილა მარქსისტულ კრიმინოლოგიასთან გაიგინებული. მასში უფრო მეტად ფემინისტურ, მემარცხენე რეალისტურ და სხვა მიმართულებებზეა ყურადღება გამახვილებული. შესაბამისად, ის, რაც კრიტიკულ კრიმინოლოგიას გულისხმობს, სულაც არ არის მარქსიზმი. შინაარსის ბუნდოვანების გამო რთულია კრიტიკული კრიმინოლოგიის არსისა და საფუძვლიანობის განსაზღვრა რიგითი კრიმინოლოგებისათვის, თუმცა არა მათთვის, ვინც კრიტიკული კრიმინოლოგიისადმი მიძღვნილი ნაშრომების ავტორად გვევლინება. დონ გიბონსის მტკიცებით, კრიტიკული კრიმინოლოგიის თეორიები, ფართო გაგებით, ბოლო წლებში ჩამოყალიბდა და მათდამი მიძღვნილ ნაშრომებში აზრის, მონაცემების განზოგადებისა და მამტკიცებელი ფაქტების ლოგიკური მთლიანობა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია [5]. კრიტიკული კრიმინოლოგია ის ინტელექტუალური ნაყოფია, რომელიც კრიმინოლოგიური ნაშრომების საფუძველზე შეიქმნა.

**კრიტიკულ-კონსტიტუტიური კრიმინოლოგია (Critical Constitutive Criminology)**

კრიტიკული კრიმინოლოგიის არსი სტუარტ ჰენრისა და დრაგან მილოვანოვიჩის კრიტიკული კრიმინოლოგიის მიმოხილვაშია წარმოჩენილი [6]. მათ მიაჩნიათ, რომ მართებული იქნება, თუ ტერმინი “კრიტიკული კრიმინოლოგია” შეიცვლება ტერმინით “კონსტიტუტიური კრიმინოლოგია”, რომელიც სოციალურ კონსტრუქტივიზმს, მემარცხენე რეალიზმს, სოციალურ ფემინიზმსა და პოსტ-სტრუქტურალიზმს უნდა მოიცავდეს. ინსტადტერსი და ჰენრი ასევე ანარქისტულ, მშვიდობისმყოფელ და პოსტმოდერნისტულ კრიმინოლოგიაზე მსჯელობენ [7].

ჰენრი და მილოვანოვიჩი ამტკიცებენ, რომ კონსტიტუტიური კრიმინოლოგია არ არის ოპოზიციური; ისინი კრიტიკულ კრიმინოლოგიაში ვერ სძლევენ ზოგადად კრიმინოლოგიის

ძირითად წინააღმდეგობრიობას, თუმცა, ერთდროულად უარყოფენ ამ უკანასკნელის ტრადიციებს.

გიბონსი ამტკიცებს, რომ კონსტიტუტიური კრიმინოლოგია ე.წ. “მშვიდობისმყოფელ კრიმინოლოგიასაც” მოიცავს, პენრი და მილოვანოვიჩი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ძიებაზე უარს ამბობენ, იმის მიმართ კი, რაც სისხლის სამართლის კანონის ამოქმედებისა თუ მისი უარყოფის მიზეზებს შეეხება, მათი მიღვომა ბუნდოვანია. მეცნიერები ადასტურებენ, რომ დანაშაულობა “არაერთგვაროვანი მოვლენა”, აგრძელებენ კვლევას და ცდილობენ ფილოსოფიური ასენა მოუქებნონ მას [8, 293-315].

ზემოთ ნახსენებ ავტორთა მოსაზრებები დანაშაულობის კონტროლისა და კრიმინოლოგის შესახებ ჩვეულებრივ აღწერილობით მოსაზრებებად რჩება. უბრალოდ მიიჩნევა, რომ ზოგიერთი ადამიანი დანაშაულს სხადის, ზოგიერთ ორგანოს დანაშაულობის გაკონტროლების სურვილი ამოძრავებს და არსებობენ ისეთი კრიმინოლოგები თუ სხვა სოციალურ სფეროებში მოღვაწე მეცნიერები, რომლებიც ცდილობენ ასენაზ დანაშაული. პენრისა და მილოვანოვიჩის მტკიცება, რომ დანაშაული ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგია, იმ ჩვეულებრივ მოსაზრებას წარმოადგენს, რომელსაც თითქმის უკელა კრიმინოლოგი ადასტურებს. მსგავსი მოსაზრებები დანაშაულობის ჭეშმარიტების შესახებ არსეს უარყოფენ. დანაშაულობა იმიტომ არსებობს, რომ მას სამართლდამრღვევები, მაკონტროლებელი პირები, კრიმინოლოგები და სხვა პირები აფასებენ და შესაბამისად იგი ამ შეფასებების შედეგია. ზემოაღნიშნული მოსაზრება გულისხმობს იმას, რომ დანაშაულობა, როგორც ობიექტური რეალობა არ არსებობს, რადგან ის, სისხლის სამართალთან, სოციალურ სტრუქტურებთან და ინსტიტუტებთან ერთად, მხოლოდ მსჯელობის, შესაბამისი ტექსტებისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის საგანია. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დანაშაულობა არ იარსებებს თუ იგი მსჯელობის საგნად არ იქცევა?

ამ კითხვაზე პენრისა და მილოვანოვიჩის პასუხი სრულებით გაურკვეველია, მათი მტკიცებით, მოცემულ ვითარებაში დანაშაულობა იმ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც განხილვას, ასენასა და გაკონტროლებას მოითხოვს. ამრიგად, კონსტიტუტიურ კრიმინოლოგიში შინაგანი ლოგიკური არათანმიმდევრულობა იკვეთება. თუ გამომწვევი მიზეზების მიება არ გაგრძელდება ან თუ დანაშაულობა, როგორც ობიექტური რეალობა, არ არსებობს, მაშინ როგორ უნდა ჩაითვალოს ის განხორციელებად მოვლენად და იმავდროულად როგორ უნდა იქონიოს ზეგავლენა სოციალურ სტრუქტურაზე.

კონსტიტუტიური კრიმინოლოგის თანახმად<sup>61</sup>, მსხვერპლი და მაკონტროლებელი პირები პროცესის ნამდვილი მონაწილეები არიან. როგორც ჩანს, კონსტიტუტიური კრიმინოლოგია არ უარყოფს დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კვლევის საჭიროებას, რადგან დანაშაული, მსხვერპლი და კონტროლი როგორც მიკრო-დონის (“ინდივიდუალური არჩევანი ან განწყობილება”) ისე მაკრო-დონის (საზოგადოების სტრუქტურული ორგანიზაცია) მოვლენების ურთიერთქმედებითა წარმოდგენილი. ამრიგად, მსჯელობა დანაშაულობისა და მისი კონტროლის საკითხის შესახებ ეხება როგორც ინდივიდუალურ ქმედებას, ისე სოციალურ სტრუქტურას.

ამ კონცეფციის მომხრეები უარყოფენ, რომ ადამიანის საქმიანობას არჩევანისა და განწყობის ან სტრუქტურული შეთანხმების ინსტიტუციონალურ თუ საზოგადოებრივ დონეზე რაიმე სახის პრიორიტეტი ენიჭება დანაშაულის რეალიზებაში, მასზე კონტროლის განხორციელებასა თუ მსხვერპლის გამოწვევაში. ისინი სოციალურ სტრუქტურასა და მის შემადგენელ მაკონტროლებელ ინსტიტუტებს იხილავენ, როგორც პიროვნებასთან მათი

<sup>61</sup> ფრჩხილებში მოთავსებული ფრაზა დამატებულია ტექსტის სრულყოფის მიზნით – გ.თ.

ურთიერთქმედების შედეგს. ეს სტრუქტურები ბიძგს აძლევენ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას და ხელს უწყობენ მის რეალიზაციას. ზემოაღნიშნული სტრუქტურები ერთდროულად განსაზღვრავენ როგორც დანაშაულობას, ასევე მასზე კონტროლს. კონსტიტუციური კრიმინოლოგია არ არის ისეთი პლევის საგანი, რომელშიც ადამიანის საქმიანობა მოწყვეტილია იმ სტრუქტურისაგან, რომელიც მასსავე ქმნის.

პენრისა და მილოვანოვიჩის კონცეფცია “ტრანსკრაქტიკის” შესახებ იმ მიზნითაა დამუშავებული, რომ განივრცოს ინფორმაცია ამ პროცესში არსებული გაუთვალისწინებელი შედეგების შესახებ და გვერდი აექცეს “პრაქტიკის” მარქსისტულ კონცეფციას, რომელიც სოციალურ ცვლილებებზეა გათვალისწინებული. კონტროლის გაუთვალისწინებელი შედეგის ახესნაზე ორიენტირებული თეორიის აგებისას, პენრი და მილოვანოვიჩი წინააღმდეგობას აწყდებიან, რადგან მიდიან დასკვმანდე, რომ პრაქტიკა ხშირად კაპიტალისტური კონტროლის იმ სტრუქტურას აკანონებს, რომელსაც ასე ეწინააღმდეგება.

კონსტიტუციური კრიმინოლოგიის განსაკუთრებული ან ახალი ხედვა იმის შესახებ, რომ მაკონტროლებელ და გასაკონტროლებელ პირთა ქმედებას შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვეს, სინამდვილეში ძველ მოსაზრებად რჩება, რომელიც სოციოლოგიაში ადამიანთა რიგი ქცევისა და სოციალური სტრუქტურის გამოსახატავად იყო გამოყენებული.

პენრისა და მილოვანოვიჩის აზრით, კრიმინოლოგები არაფორმალური კონტროლის სისტემას გამორიცხავენ და ვერ აცნობიერებენ, რომ ორმხრივი ვალდებულება, ლოიალობა, მადლიერება და სხვა პროცესები არაფორმალურ სისტემაში “სიმბოლურ ძალადობასა” და “იდეოლოგიურ ბატონობას” ამკვიდრებენ. კრიმინოლოგები ან იხილავენ არსებულ საკითხს და ვერ წვდებიან მის არსეს, ან მას, როგორც “ჩვეულებას”, წარსულს მიაკუთვნებენ.

არაფორმალური კონტროლის ამგვარ დახასიათებას ზოგიერთი კრიმინოლოგი არ იზიარებს. სიმართლეს არ შეესაბამება ის, რომ ტრადიციული და ძირითადი კრიმინოლოგიური მიმართულებები ფორმალურ მაკონტროლებელ სისტემას ან არაფორმალურ მექანიზმებს ყურადღების გარეშე ტოვებენ. ფაქტობრივად, შეკავების კლასიკური თეორიისა და ძველი სტილის ბიოლოგიური თეორიის გარდა, არაფორმალური კონტროლის პროცესები თითქმის ყველა კრიმინოლოგიურ თეორიაშია აღიარებული.

პენრი და მილოვანოვიჩი წერენ: “ჩვენი პოზიცია დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების ფუჭი მიების შეწყვეტის მოთხოვნაში მდგომარეობს, რადგან იგი უბრალოდ დეტალურად ასახვს ცალკეულ განსხვავებას, როგორც ცალკეულ რეალობას, მაგრამ არა დანაშაულობას, რომელიც საზოგადოების შემადგენელ ნაწილად არ მიიჩნევა. ჩვენ გვაინტერესებს ის მიმართულებაც, რომლის თანახმადაც სამართალდამცველები აქტიურად ქმნიან იმას, რაც შემდგომში დანაშაულად იქცევა ხოლმე”.

ინტერესი იმის შესახებ, თუ როგორ ესმის ხალხს დანაშაულობა, მრავალ შეკითხვას წარმოშობს, რაც პასუხებაუცემელი რჩება. პენრი და მილოვანოვიჩი მსჯელობის დონეზე განიხილავენ დანაშაულსა და სისხლის სამართალს და იმას, თუ რა კავშირს ხედავენ მათ შორის სამართალდამცავი ორგანოები და სოციალური სტრუქტურები, თუმცა არც დანაშაულობისა და არც სისხლის სამართლისათვის კონსტიტუციური კრიმინოლოგიის მიმდევრებს საფუძვლიანი ახსნა ჯერ არ მოუნახავთ. შესაბამისად, იბადება კითხვა: თუ თეორია ვერ ხსნის დანაშაულობასა და სისხლის სამართალს, რას ისახავს ის მიზნად? კონსტიტუციური კრიმინოლოგია, როგორც კრიტიკული კრიმინოლოგიის ნაირსახეობა კრიმინოლოგიის სხვა მიმართულებების ნაკლოვანებებზე უფრო ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე დანაშაულობის ცნების ახსნაზე.

ყოველივე აღნიშნულის გამო კრიტიკული კრიმინოლოგია თვითონ იქცევა კრიტიკის საგანად, რადგან არ გვთავაზობს შესაბამის თეორიულ ალტერნატივებს. კრიტიკული

კრიმინოლოგიის ვერსიებს რადიკალურ-კრიტიკული კრიმინოლოგიის იმ მიმართულების მომხრევი არ ეთანხმებიან, რომლებიც “მემარცხენე რეალისტებად” მოიხსენიებენ თავს.

### მემარცხენე რეალიზმი (Left Realism)

მემარცხენე რეალიზმი რადიკალურ კრიმინოლოგიაში დიდ ბრიტანეთში 1970-იან წლებში აღმოცენდა. მის განვითარებაში ბრიტანელ კრიმინოლოგთა შორის წამყვანი როლი ჯოკ იანგმა (1987წ.) შეასრულა. “მემარცხენე რეალიზმის” მნიშვნელოვანი თეზისები რადიკალურ-კრიტიკულმა კრიმინოლოგიამ დანაშაულობასა და სისხლის სამართლთან მიმართებაში ჩამოაყალიბა. მისი მიმდევრები აღნიშნავდნენ, რომ ბრიტანულ საზოგადოებაში მსხვერპლის ოდენობამ საგრძნობლად იმატა იმ პოლიტიკურ ცვლილებათა ფონზე, რომლებიც კონსერვატიზმისა და “მემარჯვენე” რეალიზმის განვითარებას უწყობენ ხელს. [9, 1-24]

”მემარცხენე რეალიზმის” მომხრევი კაპიტალისტური საზოგადოების უსამართლო სისხლის სამართლის სისტემაზე მსჯელობენ, რათა ასახონ დანაშაულობით გამოწვეული განცდისა და ტკივილის რეალობა.

ისინი ქუჩის დანაშაულს კლასობრივი ბრძოლისაგან მიჯნავენ და მას საბაზრო ურთიერთობების გავრცელებას უკავშირებენ [10, 141-160]. მემარცხენე რეალისტები მიუთითებენ იმაზე, რომ არც ქუჩის და არც “თეორსაყელოიანი” დამნაშავეები რევოლუციურად განწყობილ პირებად ან კლასობრივ მებრძოლებად არ მიიჩნევიან.

აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მზარდ დანაშაულობაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, კონსერვატიული მთავრობის მიერ რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკის მხარდაჭერამ წარმოშვა ის მდგომარეობა, რასაც მემარცხენე რეალისტები კრიმინოლოგიაში “კრიზისს” უწოდებენ. შექმნილმა კრიზისმა კვლავ მოითხოვა მდგომარეობის როგორც რადიკალური, ისე ტრადიციულ-ლიბერალური შეფასება. მემარცხენე რეალისტები უჭვობენ, რომ “კონსერვატიული კრიმინოლოგია” და მემარჯვენე რეალიზმი შეძლებენ დაძლიონ ის რადიკალური შეხედულებები, რომლებიც დანაშაულობისადმი საზოგადოების ყურადღების შესუსტებასთან ერთად, უნავოფო კრიტიკის საგნად იქცნენ.

მემარცხენე რეალისტები ასევე აკრიტიკებენ მემარცხენე იდეალისტებსა და მარქსისტებს, რადგან მიაჩნიათ, რომ დანაშაულობა არაფერია თუ არა მმართველი ფენის გამონაგონი და რომ სისხლის სამართლის სისტემა არაფერს ქმნის და არც დანაშაულობაზე ახორციელებს რეალურ კონტროლს. ამგვარ სისხლის სამართლის სისტემას ისინი განადგურებას უწინასწარმეტყველებენ... მათი აზრით, პოლიტიკური რეპრესიები სავარაუდო მაშინ შესუსტდება, როცა გაუმჯობესდება მთავრობის დამოკიდებულება გაჭირვებულთა და მუშაობა კლასის მიმართ. მეთიუ და იანგი უარყოფენ შეხედულებას იმის შესახებ, რომ დანაშაულობა სიტყვიერად ან საუბრით მოგვარებადი სოციალური კატეგორიაა. მემარცხენე რეალისტები ამტკიცებენ, რომ ქუჩის დანაშაული მნიშვნელოვან და აქტუალურ მოვლენად იქცევა და რომ საზოგადოებაში სისხლის სამართლის არსთან დაკავშირებით ნამდვილი კონსენსუსი არსებობს, ასევე თანხმდებიან იმაზეც, რომ სისხლის სამართლის რეფორმა და დანაშაულობის კონტროლი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია, რომლის განხორციელებისთვის კრიმინოლოგები და იდეის გამტარებლები უნდა იღწვოდნენ (ლოუმენი).

აღნიშნული რეფორმის განხორციელებისას მემარცხენე რეალისტები კონტროლის შესახებ კრიტიკას არბილებენ და პირიქით, მხარს ისეთი ქმედებების განხორციელებას უჭერენ, როგორიცაა დანაშაულობაზე კონტროლი, დაზარალებულ ხალხზე ზრუნვა, ზარალის ანაზღაურება, საზოგადოებისთვის გაწეული სამსახურის განხორციელება, საზოგადოების

დაცვა და სასჯელის მინიმალური ზომის გამოყენება (გიბონსი, [11] კურანი და რენზები, [12] აინშტადტერი და ჰენრი).

მემარცხენე რეალისტები ემიჯნებიან სხვა კრიტიკულად განწყობილ კრიმინოლოგებს და მემარჯვენე რეალისტების კრიტიკული და კონსერვატორული მიღების გვერდის ავლით მემარცხენე იდეალისტების არარეალურ მიღების აკრიტიკებენ. მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რისი მეშვეობითაც მემარცხენე რეალისტები დანაშაულობის ლიბერალური კონტროლის გეგმას მთავარი მიმართულებისგან<sup>62</sup> გამოყოფენ.

მემარცხენე რეალიზმი ამტკიცებს, რომ “შეოლოდ სოციალისტური ქრები შეამცირებს სოციალურ უთანასწორობაში ფუნდამენტურად დამკიდრებული დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებს, დანაშაულობის ყოველმხრივი კონტროლი აღებინებს გაჭირვებულებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე, ჰეშმარიტად დემოკრატიული ორგანოების მხრიდან მეთვალყურეობა განამტკიცებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. რთულია იმის ასენა, თუ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში “სოციალისტური ჩარევა”, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოწოდება დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების გასახეიტრალებლად, დანაშაულის აღსაკვეთად, მსხვერპლის უფლებების დასაცავად, დანაშაულობაზე კონტროლის დასაწესებლად, განაჩენის გამოტანის მიზნით საკმარის მტკიცებულებათა მოსაპოვებლად და მაკონტროლებელ ორგანოთა შესაქმნელად, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევრის სარეფორმო შემოთავაზებებში აისახა, მაინც ემსახურება ეფექტურ სისხლისსამართალწარმოებას და სამართლიანობის განმტკიცებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, მემარცხენე რეალისტები ყოფილი რადიკალი და კრიტიკულად განწყობილი კრიმინოლოგები არიან, რომლებმაც სცნეს დანაშაულობის რეალობა, შეარბილეს კაპიტალისტური საზოგადოებისა და სისხლის სამართლის სისტემის კრიტიკა და ნაკლებად რადიკალური რეფორმების მომხრეებად იქცნენ, თუმცა, კურანისა და რენზების მტკიცებით, მემარცხენე რეალისტების მიერ დასახული პერსპექტივები ჯერ კიდევ დასამკვიდრებელია.

ისმის კითხვა, კრიმინოლოგის ან/და სისხლის სამართლის რომელ თეორიას აღიარებენ მემარცხენე რეალისტები, როგორც ერთადერთ ჰეშმარიტებ?.. ისინი ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მსჯელობას აწარმოებენ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოება და როგორ უნდა მოქმედებდეს მისი სისტემა. პასუხი შეკითხვაზე, თუ როგორ ალტერნატიულ მიღებას გვთავაზობენ მემარცხენე რეალისტები, ჯერ არ არსებობს.

### “დანაშაულობის წრე” (The “Square of Crime”)

“დანაშაულობის წრის” კონცეფცია მიუთითებს ოთხ ელემენტზე (სახელმწიფოზე, საზოგადოებაზე, სამართალდამრღვევზე და მსხვერპლზე), რომლებიც ერთდროულად ზემოქმედებენ დანაშაულობაზე. თუმცა, მემარცხენე რეალისტურ კრიმინოლოგიაში არაა მოცემული დანაშაულობის ასენა, რადგან ეს ოთხი ელემენტი არ მიეკუთვნება გამომწვევ მიზეზთა რიგს და ისინი მოქმედებენ მხოლოდ დანაშაულთა ცვალებადობაზე. ყოველი ელემენტი “დამოკიდებლად” იცვლება და თავის მხრივ უნდა იყოს ასენილი მიზეზობრიობის პრინციპის საფუძველზე (იანგი). დასახელებული მრავალი მიზეზი კი დაზუსტებული არ არის. “დანაშაულობის წრის” ეკლექტიკური ანალიზი მოცემულია სტიგმატიზაციის, ანომიისა და სხვა თეორიებში [13, 69-94] (ლი).

<sup>62</sup> სოციალისტური რეფორმებისაგან – გ.თ.

რეალისტური კრიმინოლოგის თანახმად, დანაშაულობა დეტერმინირებულია ორი ძალის - დანაშალებრივი ქცევისა და მისი ცვალებადობის ფაქტორთა შედეგად. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია დაგუმატოთ, რომ დანაშაულობა იცვლება ისეთი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, როგორიცაა: 1) დანაშაულობის არსებითი მიზეზი, 2) ზნეობრივი არჩევანი, 3) დანაშაულის ჩადენის მდგომარეობა; 4) კრიმინალური ხერხის არჩევანი, 5) რეაქცია სამართლადამრღვევთა მიმართ, 6) მსხვერპლის რეაქცია და 7) სისხლის სამართლის მდგომარეობა (იანგი) <sup>63</sup>.

რეალისტურმა კრიმინოლოგიამ უბიძგა დიდ ბრიტანეთში გამოიყებისა და სათანადო სტრუქტურებში რეფორმების განხორციელებას. ამავე დროს მან კრიტიკულად გამოააშკარავა კრიმინოლოგის ნაკლი. თუ ინგლისში 25 წლის წინ იანგის, ვოლტონისა (1972წ.) და ტეილორის გავლენის შედეგად კრიმინოლოგია რადიკალურად იცვლებოდა, დღესდღეობით იანგის მემარცხენე რეალიზმი იცვლება, რომელიც ცდილობს განმარტოს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი თეორია, მაგრამ იგი არც დანაშაულობის და არც სისხლის სამართლის ახალ თეორიას არ გვთავაზობს. თუმცა, “დანაშაულობის წრის” ოთხი ელემენტი იმ სოციალურ მოვლენებზე მიუთითებს, რომელთა შესახებ შეიძლება სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური მსჯელობა.

კონცეფციაში დასახელებული ოთხი ელემენტი ყველასათვის ცნობილი ჩვეულებრივი სოციალური კატეგორიაა და მემარცხენე რეალიზმში სიახლესა და ორიგინალურობას არ წარმოადგენს. მემარცხენე რეალიზმს გააჩნია საკუთარი მიღომა დანაშაულობისადმი. მაგრამ ის არ წარმოადგენს თეორიას, რომელიც ემპირიულად იქნება დასაბუთებული.

### **მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგია (Peacemaking Criminology) [14]**

მემარცხენე რეალისტების გარდა, დანაშაულობისადმი ყურადღება გამოიჩინეს ასევე “მშვიდობისმყოფელმა” კრომინოლოგებმა, განსაკუთრებით ჰეროლდ ე. პეპინსკიმ და რიჩარდ ქვინმა [15]. ისინი დანაშაულობასა და მისი კონტროლის ურთიერთობას ომს ადარებენ და აცხადებენ, რომ დროა მშვიდობა დამყარდეს სამართალდამრღვევებსა და დაზარალებულებს, პოლიციასა და საზოგადოებას შორის. მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგია მხარს უჭერს კონფლიქტის გადაწყვეტას, შერიგებას, საზოგადოებაში სამართალდამრღვევის რეინტეგრაციას იმ მიზნით, რომ ხალხის ტანჯვა და დანაშაულობა შემცირდეს (პეპინსკი და ქვინი). მიიჩნევა, რომ მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგია რელიგიური, ჰუმანისტური, ფემინისტური და კრიტიკულ-მარქსისტური ტრადიციებიდან აღმოცენდა [16, 299-327].

როგორც უკვე ვიხილეთ, პირველად კონფლიქტის თეორიის საგანს ქვინის თეორიული, ხოლო შემდეგ კი მარქსისტური შეხედულებები წარმოადგენდნენ. მაგრამ მათი მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგია რელიგიური კრიმინოლოგიაა (ძირითადად ქრისტიანული, ხოლო გარკვეული ელემენტებით კი – ბუდისტური). იგი სულიერი და ტრანცენდენტურია, თავაზიანობისა და მშვიდობიანობის (ფანტაზიური, წინასწარმეტყველური) – მოქადაგ, რაც ხალხთა განსაცდელის შემსუბუქებაზეა ორიენტირებული. ვინაიდან ქვინი დანაშაულობას ისე განსაზღვრავს, როგორც განსაცდელის ფორმას, მისი მოსაზრებები ტავტოლოგიური ხასიათისაა: თუ განსაცდელი

<sup>63</sup> რ. აკერსის მსგავსად მრავალი ქვეყნის კრიმინოლოგი ხვდება, რომ დანაშაულობაზე, როგორც უხილავი არსის გამოვლენაზე მოქმედებენ როგორც თავად არსის ფაქტორები, ისე მოვლენისათვის დამახასიათებელი ფაქტორებიც. მაგრამ მათი გამიჯვნა უჭირთ, რადგან დანაშაულობის მკვლევარი სოციოლოგები მოწამლული არიან ემპირიზმით, ხოლო კრიმინოლოგები ვერ სცილდებიან იურიდიულ აზროვნებას, რომელიც კრიმინოლოგიის პრობლემატიკის გადაწყვეტისათვის არის არასაკმარისი – გთ.

აღარ იარსებებს, მაშინ დანაშაულიც აღიკვეთება. მისი აზრით, ახლანდელი სისხლის სამართლის სისტემა ძალადობის პრინციპზეა დაფუძნებული. ეს ყველაფერი უნდა ჩანაცვლდეს სიუვარულისა და მშვიდობის პრინციპით, როგორც დანაშაულობის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი საშუალებით. “როდესაც ჩვენი გულები სიუვარულით აივსება, ჩვენი გონება კი – მონდომებით, მაშინ გვეცოდინება, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ესაა მშვიდობიანი კრიმინოლოგის საფუძველი (ქვინი) [17, 3-13].

მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგისგან განსხვავებით, ზოგიერთი მეცნიერი არარელიგიული მიდგომის მომხრეა. მაგალითად, ანდერსონი (1991) ამტკიცებს, რომ როგორც გენდჰინერული, ისე მარქსისტული პუმანიზმი დანაშაულობის პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტას გულისხმობს. პარისი (1991) მიიჩნევს, რომ ფემინისტური თეორია პარმონიასა და “დიდ ბეჭინიერებას” ქადაგებს და რომ ის უურადღების გაზიარებას, აღზრდასა და სიუვარულს გულისხმობს. აღნიშნული მიმართულება ეწინააღმდეგებია ძალისმიერი კონტროლის პერსპექტივას, რომელიც ომის დროს კრიმინოლოგიასა და დანაშაულობაზე ხელისუფლების რეაგირების პრინციპებიდან აღმოცენდა. ფემინისტური პერსპექტივა მიმართულია სისხლის სამართლის სისტემაში კონფლიქტისა და მშვიდობის ერთიანობის პრობლემის გადაწყვეტისკენ.

მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგია არ გვთავაზობს იმ დანაშაულობის ან სისხლის სამართლის სისტემის თეორიას, რომელიც ემპირიულად იქნება შეფასებული. დანაშაულობისა და სისხლის სამართლის სისტემის განმარტებები არ შეესაბამება რელიგიურ ან სხვა წესებს, რომლებიც მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგიის მიერაა შეარდაჭერილი. ეს წესები ხელს არ უწეობს თეორიის ემპირიულ შემოწმებას. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგიის ვერიფიცირებული თეორია შეიქმნას, მაგრამ იგი მეტწილად უფრო ფილოსოფიას წარმოადგენს, ვიდრე თეორიას. ეს არის საზოგადოების უტოპიური ხედვა, რომელიც აღდგნას და რეფორმის გატარებას მოითხოვს იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებულ ომი, დანაშაულობა თუ ძალადობა და შეიქმნას საზოგადოება სამართლიანი სისტემით, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტას გულისხმობს. ყოველივე ეს სისხლის სამართლის ძალზედ მისაღვებ ფილოსოფიას წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნულით ვერ საბუთდება ის, თუ რატომ მოქმედებს სისტემა ამგვარი გზით ან რატომ ჩადის სამართალდამრღვევი დანაშაულს.

თუმცა, ყველა რელიგიური მრწამსი და ჩვეულება არ ქადაგებს მშვიდობიანობას და რელიგია არ არის მშვიდობიანობის ერთადერთი საფუძველი. აზრი იმის შესახებ, რომ კრიმინოლოგიის ზოგიერთი რელიგიური ფასეულობა მის მშვიდობისმყოფელ პერსპექტივებს ამჟარებს, საკმაოდ ნათელია. ქრისტიანული რელიგია ქადაგებს სიუვარულს როგორც ახლობლისადმი, ისე მათ მიმართაც, ვინც არ არიან პიროვნებისადმი კეთილგანწყობილნი. ეს რელიგია მშვიდობიანობას, პატივებას, შერიგებასა და გამოსწორებას ეფუძნება. იმის მიუხედავად, რომ ცუდი საქციელი არცთუ მთლად მისატევებელია, ზოგიერთი სულაც არ მიიჩნევს, რომ დამნაშავე ჩაქოლვის დირსია. ზოგიერთი კი მხარს ბოროტმოქმედის დასჯას უჭერს, რათა მან განმეორებით არ ჩაიდინოს ცუდი ქმედება. ქრისტიანულ რელიგიაში სამართლიანობა იმაზეა დაფუძნებული, თუ როგორ უნდა ემსახურო ხალხს ისე, რომ არ გქონდეს ძალაუფლებისკენ სწრაფვისა და სხვების კონტროლის სურვილი.

დიდი ხნის წინ პეპინსკი, ქვინი და სხვა მეცნიერები, ასევე მრავალი სასჯელადსრულების დაწესებულება, რომლებსაც ეკლესია და გარკვეული ჯგუფები მართავდნენ, მშვიდობისმყოფელ კრიმინოლოგიას ციხის რელიგიურ პროგრამებში იყენებდნენ. ისინი სიუვარულის პრინციპსა და სამართალდამრღვევთა მშვიდობიან გამოსწორებას მიმართავდნენ, რასაც სამართალდამრღვევი რელიგიური ვალდებულებების აღსრულებისა და დანაშაულის ჩადენასთან და ზიანის მიუენებასთან შეუთავსებელი ცხოვრების წესის დაცვამდე მიყავდა. ბარაკის თანახმად, ეკლესიები და სხვადასხვა გაერთიანებები უსახლკაროთა თავშესაფრებზე, დროებით დახმარებასა და კელთიდდეობაზე ზრუნავდნენ.

ასევე აღნიშნულია, რომ არსებობდნენ სხვა საზოგადოებებიც, რომლებიც მსგავს დახმარებას მოელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებდნენ. [18, 47-68] ანალოგიურად ბუდიზმი და სხვა ტრადიციების მქონე რელიგიებიც ქადაგებდნენ მშვიდობიანობასა და შემწენარებლობას. ზოგიერთი რელიგიური თუ ფილოსოფიური მოძღვრება კი მშვიდობიანი სოციალური რეფორმების აუცილებლობაზე ამახვილებდა ქურადღებას.

მიუხედავად ამისა, მშვიდობისმყოფელ კრიმინოლოგიას ზოგიერთი შიდა წინააღმდეგობრიობაც ახასიათებს, რომელსაც შეუძლებელია შეეგუო. მაგალითად, ის არ აღიარებს მარქსისტულ - კრიტიკულ კრიმინოლოგიას, როგორც მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. როგორც ანდერსონი მიუთითებს, სინამდვილეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ მარქსის ნაშრომები ჰუმანურობის ელემენტებს შეიცვას [19, 14-30]. მაგრამ იზიარებენ კი ისინი მარქსისტულ თეორიას, რომელიც აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური საზოგადოება შეურიგებელ კლასურ კონფლიქტსა და ძალადობრივ გადაწყვეტილებებს ემყარება? მარქსიზმისა თუ ნეო-მარქსიზმის თეორიის მთავარი პოლიტიკური რეკომენდაციის თანახმად, კაპიტალისტური საზოგადოების განაღგურებისთვის არსებითია ძალადობა.

საინტერესოა, როგორ შეუთავსებს ვინმე მშვიდობისმყოფლურ წარმოდგენას იმ მთავრობის ქმედებებს, რომლებიც მარქსისტულ პრინციპებს - მოქალაქეთა ძალადობრივ რეპრესიას, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანთა შეუწენარებლობას, უწესრიგობის რეპრესიულ კონტროლსა და შიშით მართვას ეფუძნება?

რა თქმა უნდა, არაფერი ძალადობრივი არ არის კრიტიკული კრიმინოლოგის არამარქსისტულ მრავალმხრივობაში, მაგრამ ამავდროულად ის შემრიგებლურ და მშვიდობისმყოფლურ პრინციპებს მოიცავს. იგი კრიტიკული და ოპოზიციურია. მშვიდობისმყოფლობა არ არის ცნობილი მათვის, ვინც მისი კრიტიკის საგნადაა ქცეული. რადაც ლოგიკური წინააღმდეგობრიობა იჩენს თავს, როცა ამტკიცებენ, რომ ფემინისტური თეორია მშვიდობისმყოფლური კრიმინოლოგიის საფუძველია.

ის განსხვავება, რომელსაც პერისი აფიქსირებს ქალთა და მამაკაცთა მშვიდობისმყოფლურ ორიენტაციას შორის, შეიძლება დამაჯერებელი (საფუძვლიანი) აღმოჩნდეს. [20, 83-97] იგი იმ კვლევის შედეგების ციტირებას ახდენს, რომელიც უჩვენებს, რომ ქალები უფრო მეტად არიან მოწოდებული, რომ მხარი აღმზრდელობით და მზრუნველობით ფასეულობებს დაუჭირონ, ვიდრე მამაკაცები, რომლებიც ძალაზე დამყარებულ ურთიერთობებს ემსხობიან. თუმცა, ქალთა აღმზრდელობითი, მზრუნველობითი, სიყვარულისა და მშვიდობიანი ორიენტაციის აღზევება არ წარმოადგენს ფემინისტური ტრადიციის მნიშვნელოვან ნაწილს.

როგორ არის წარმოდგენილი მშვიდობისმყოფლურ კრიმინოლოგიაში ფემინისტური თეორია? მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგების მიერ იმის მტკიცება, რომ კრიმინოლოგიის “ტრადიციის არც ერთი მიმდევარი” ან არც ერთი ადამიანი სისხლის სამართლის სისტემაში არ აღიარებს დანაშაულით გამოწვეულ ნამდვილ განცდას და ის, რომ არავის არ დაუცვია დანაშაულობის პროცედურების გადაჭრის მშვიდობიანი გზები, უბრალოდ მცდარ აზრს წარმოადგენს. მშვიდობისმყოფელი კრიმინოლოგიის არც ერთი მტკიცებულება არ არის უნიკალური.

ყველა ისეთი მტკიცებულება, როგორიცაა სამართალდამრღვევთა მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების უგულგებელყოფა, მათი რეინტეგრაცია, რეაბილიტაცია და ა.შ. დიდი ხანია “ლიბერალურ” კრიმინოლოგთა რეკომენდაციების საფუძველია. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის სისტემაში ზემოაღნიშნული პროცედურები უკვე ჩვეულებრივ საკითხებად იქცნენ. როგორც დონ გიბონესი აღნიშნავს, მშვიდობისმყოფელ კრიმინოლოგებს აქამდე არ უჩვენებიათ, თუ როგორ გასცდნენ ისინი დანაშაულობის მშვიდობიანი კონტროლისათვის

საჭირო ცნობილ მტკიცებულებებს, რათა საზოგადოებაში დიდი მასშტაბის სტრუქტურული ცვლილებები განახორციელონ.

#### ბამოვენებადი ლიტერატურა

1. თოდრია გ. 2008. *კრიმინოლოგია, როგორც მუცნიერება*. თბილისი
2. R.Akkers. Criminological theories (second edition). Los Angeles, California. 1997, p.175-185
3. I. Taylor,P. Walton, J.Young The new criminology.New York. 1973
4. Ч.Р. Миллс. Социологическое воображение. М., 1998. г., с.17-18
5. C. Gibbons. The Criminological Enterprise: Theories and Perspectives. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall. 1979.
6. D. MilovanovicPostmodern Criminology. NY.-L.: Garland Publishing.1997
7. W. Einstadter, S. Henry. Criminological Theory: An Analysis of Its Underlying Assumptions. Ft. Worth:Harcourt Brace College Publishers. 1995.
8. S. Henry, D. Milovanovic. "Constitutive criminology: the maturation of critical theory", Criminology 1991, pp. 293-315.
9. R. Matthews, J.Young. "Reflections on realism", 1992, pp. 1-24 in Jock Young and Roger Matthews, eds., Rethinking Criminology: The Realist Debate. London: Sage Publications.
10. J. Lowman. "Rediscovering crime", 1992, pp. 141-160 in Jock young and Roger Matthews, eds., Rethinking Criminology: The Realist Debate. London: Sage Publications.
11. D. Gibbons. Talking About Crime and Criminals: Problems and Issues in Theory Development in criminology. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall, 1999
12. D.Curran, C/Renzetti Theories of Crime. Boston: Allyn and Bacon, 1994.
13. J.Lea. The analysis of crime", 1992, pp. 69-94 in Jock Young and Roger Matthews, eds., Rethinking Criminology: The Realist Debate. London: Sage publications.
14. Roger C. Barnes. Peacemaking Criminology: Challenges and Possibilities  
<http://translate.google.ru/translate?hl=ru&sl=en&tl=ru&u=http%3A%2F%2Fwww.nssa.us%2Fjournals%2F2007-29- 1%2F2007-29-1-05.htm&anno=2>
15. H.Pepinsky, R.Quinney. Criminology as Peacemaking. Bloomington, In: Indiana University Press. 1991.
16. H.Pepinsky. "Peacemaking criminology and criminal justice", 1991, pp. 299-327 in Harold E. Pepinsky and Richard Quinney, eds., Criminology as Peacemaking. Bloomington, In: Indiana University Press.
17. 17. R.Quinney. "The way of peace: on crime, suffering, and service," 1991, pp. 3-13 in Harold E. Pepinsky and Richard Quinney, eds., Criminology as Peacemaking. Bloomington, In: Indiana University Press.
18. G. Barak. Homelessness and the case for community-based initiatives: the emergency of a model shelter as a short-term response to the deepening crisis in housing", 1991, pp. 47-68 in Harold E. Pepinsky and Richard Quinney, eds., Criminology as Peacemaking. Bloomington, In: Indiana University Press.
19. K.Anderson. "Radical criminology and the overcoming of alienation: perspectives from Marxian and Gandhian humanism", 1991, pp. 14-30 in Harold E. Pepinsky and Richard Quinney eds., Criminology as eacemaking. Bloomington, In: Indiana University Press.
20. K.Harris. "Moving into the new millenium: toward a feminist vision of justice", 1991, pp. 83-97 in Harold E. Pepinsky and Richard Quinney eds., Criminology as Peacemaking. Bloomington, In: Indiana University Press.

**Giorgi Todria**  
Grigol Robakidze University

## Preface

A few words about the new project: "Critical Criminology: Problems and Prospects" We have submitted to readers' consideration the translation of section "Critical Criminology" of Ronald L. Akers' book "Criminological Theory". This monography has of great international significance and has been translated into many languages.

The famous American sociologist Professor Ronald L. Akers is the director of the Legal and Criminological Studies Center, University of Florida, USA. He is an active follower of the sociological school in criminology and developing new approaches to a "Social Learning Theory", but in his publications he also analyzes and evaluates other approaches, including the so-called "critical theories" in criminology.

With the publication of Ronald L. Akers' scientific works Grigol Robakidze University will start a new project called "Critical Criminology: Problems and Prospects." The proposed project will be devoted to discussion around the achievements of modern western critical criminology which have never been translated into Georgian. The main attention will be paid to the following issues:

1. Criminality as a main manifestation of the basic economic laws in modern capitalistic society, and
2. Criminal law policy as a means to struggle for private property.

I am expecting that scholars and students who are interested in "Critical Criminology" issues will take an active part at mentioned project. I also hope that this publication in scientific journal of Gr. Robakidze University will be contribution to popularization of contemporary criminological theories and a stimulus for the strengthening of cooperation among the Georgian and foreign criminologists.

I would like to thank the young criminologist Tinatin Todria for partly abbreviated translation of Ronald L. Akers' book.

---

---